

1976/4

# ՀԵՏՈՒՆՈՒԹՅԱՆ



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ

**1**

**1976**



# ენათობი

საქართველოს  
კომუნისტური  
პარტია

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტიის  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 51-ე.

№ 1.

იანვარი, 1976 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი


იბაკლი აბაშიძე — ციკლიდან: „ქიში სივრცელს დამაშიფაზა“ ლექსი . . . . .	3
რამაზ კობიძე — გვიჩვენს უმთლესი. რომანი. ვაგრძელება . . . . .	7
მარგან ლეხანიძე — ლექსები . . . . .	34
ლევან ხაინდრაძე — შოკს მშობლიური ვიწიდან. მოთხრობა . . . . .	44
ნიკოლოზ ზაზაონი — აივნებიანი ბაღები რომანი. ვაგრძელება . . . . .	62
ფრიდრიხ დიურენმატი — მოსაპართლე და მისი ჯალათი. რომანი. ვაგრძელება. თარგმანი ვერვანულიდან ნოდარ ტუხაძისა . . . . .	92

### *XXV ყრილობის შესახებ*

გიორგი სანადირაძე — რეპორტაჟი საუკუნის მანისტალიდან . . . . .	106
---	-----

### *კრიტიკა და პუბლიცისტიკა*

ზურაბ გვარდამიანი — სანადირაძის ბრძოლის ველი ჩანს . . . . .	123
აკაკი შრუჭაძე — კლასიკური ფილოლოგიისა და გიგანტიზაციის მართლად სკოლის კატრიაჟი . . . . .	133
გიორგი ნატროშვილი — ისტორიულ-ლიტერატურული კიბაანი . . . . .	142
ზაირა სტურაბა — ჯოვანი ბოკაჩო „დაბადების“ და კართეზიანი ვაითხვილი . . . . .	159
მლიჩაბა ჯაფარიძე — შუა დამის ვიხილი შუა . . . . .	166
ნიკო მღვინე — ბალი — ანატასია მინსტაჟ-მონტარია შემოქმედების გვირი . . . . .	175
თეიმურაზ ბერიძე — სონეტული . . . . .	182



მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკადავციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ანაწყოელი (პ/შე მდივანი), ხ. ბერუაშვილი, ო. გიგინეიშვილი, ვ. ლევა-  
 ნიძა, ლ. მგაღალაშვილი, ვ. ძღვენიძე, ბ. სულაბაძე, ა. მუთათაძე, ს. შანშიაშვილი,  
 დ. შანგიანი, ნ. წულუკიანი, ვ. წულუკიანი, ო. ბილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარი-  
 ძე, ვ. ჯიბლაძე.

ტექნოლოგიური რ. ნატროშვილი

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.

პ/შე მდივანის — 93-55-12, განყოფილებე-

ლის — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 6/1-76 წ., ხელმოწერი-  
 ლია დასაბეჭდად 18/1-76 წ., ანაწყობის ზომა  
 $7\frac{1}{4} \times 12$ , ქაღალდის ფორმატი  $70 \times 108\frac{1}{16}$ .  
 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი  
 ნაბეჭდი ფურცელი 16, მ. საიდ.-სავაჭრო-საგამომცემლო  
 თაბახი 12.

უფ. 00006. ტირაჟი 13.900 შიკვ. № 0028

საქ. კვ. ც-ის გამომცემლობის სტამბა,  
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ციკლიდან:  
„ჰიმნი სიცოცხლეს დედამიწაზე“

შახვედრა აპკინში

თქვენ არ გახსოვართ...  
მეც ამ სიტყვას,  
ამ ლექსს დღევანდელს  
თქვენ არც გთავაზობთ —  
თქვენ ჩემს სახეს  
რა გაგახსენებთ!  
ეს ჩვენ, მგოსნები, კალმოსნები,  
თქვენგვარ ბელადებს  
ერთხელ თუ შეგხვდით —  
არ გივიწყებთ,  
ალარ გასვენებთ.

თქვენ ეს არ გახსოვთ...  
მეც, აღვსილი  
თქვენში ნახულით,  
იმ დიდ შეხვედრას დღეს ვიგონებ  
ზღაპრულ ძილსავით:  
ტიან ან მინზე  
შხედრიონის გქონდათ აღლუმი —  
რეგოლუციის გუბუნებდა ათი წლისთავი.

დიდ ტრიბუნაზე  
თქვენ იდეებით  
თქვენს დიდ ჩინეთში,  
თქვენს დიდ პეკინში,  
სახით მშვიდით,  
სახით საოცრით;  
თქვენ გვერდში გედგათ,  
მაშინ თქვენი უმორჩილესი

თქვენი პინ ჯენი,  
ლინ ბიაო  
და ლუ შაო ცი.

მეც ვიდექ იქვე,  
რაღაც ვრცელში,  
რაღაც უღვევში,  
რაღაც უთვლელში,  
რაღაც რთულში,  
რაღაც ქაოსში;  
მეც გვერდით მედგა  
მაშინ თქვენი უერთგულესი,  
მაშინ ბრძენკაცი,  
მაშინ კაცი,  
თქვენი ლაო ში.

მოწყვიტეთ თვალი  
დაბლა ზვირთებს  
რკინის მდინარის,  
თქვენ წუთით ჩვენკენ შემობრუნდით,  
როგორც ჭაბუკი,  
და საბჭოეთის კეთილ სტუმრებს,  
სახით მღიმარით,  
მაშინ გულთბილად ჩამოგვართვით  
ხელი ფაფუკი.

უერთგულესი,  
უმტკიცესი,  
უმორჩილესი

ძირს დუღდა ხალხი,  
დიდ ზეიმში ერთად დამთვრალი  
და „თუნგო“, „ჩუნგო“,  
მხოლოდ „ჩუნგო“,  
მხოლოდ ჩინეთი —  
ადგზნებულ აღლუმს  
დაჰყოდა  
პინ დე სარდალი.

ჯარი ჯარს მწყობრად  
მოჰყვებოდა  
რკინის რაზმებად,  
შიგ სტეჟდა პანგი  
სულ ერთ ხმაზე,  
როგორც ონკანი;  
ზვირთს ცვლიდა ზვირთი,  
ზვირთი რისხვა,  
ზვირთი აღგზნება  
და ზვირთი ერთხმად მიშინებდა:  
„მოჰკალ, მოჰკალი“!

მე რაღაც ჩამწყვდა,  
მე ვმალავდი ჩემს შეცბუნებას,  
გულს მცემდა დაშნა  
ხმის მრისხანის,  
ხმის საშინელის;  
არა, არ ჰგავდა ეს ხმა  
თქვენის კაცის ბუნებას,  
არა, არ ჰგავდა ეს ხმა  
სალამს  
მაშვრალ ჩინელის.

სულმოუთქმელად,  
თითქოს მთელ დღეს  
ერთად ირბინეს,  
ხენგმდნენ ლოზუნგებს  
აბეზრულად,  
თვლით და დამარცვლით;  
(ჟერ კიდევ თავი არ გასვლოდათ.  
ხუნგებიინებს,  
ჟერ კიდევ დუმდა,  
შორს, შორს დუმდა  
სადღაც დამანსკი).

შორს, შორს გასცქერდნენ  
ქვემეხები,  
სივრცეს ჭოგრიტით;  
იყვნენ ზვირთები საოცრები,  
საარაკონი;

მოჰქონდათ ზვირთებს  
მალლა „დიდი იერლგლიფი“  
მოჰქონდათ ტალღებს  
დაბლა მკვდარი  
„დიდი დრაკონი“.

მოჰქონდათ ზვირთებს  
პლაკატები  
სახლის ოდენა  
და რაც მათ ზუთხეს,  
რაც მათ უთხრეს,  
რაც მათ ასწავლეს,  
კვიოდნენ ერთხმად  
შეუგნებლად,  
შეუცნობელად:  
„აღმოსავლეთის ქარმა უნდა სძლიოს  
დასავლეთს“.

მერე კი ტალღამ  
ტრიბუნის წინ,  
თქვენს სადიდებლად  
დასტეჟა პიშინი,  
თქვენივ ხელით დამოწმებული:  
„აღმოსავლეთით განათება ზეცამ ინება,  
აღმოსავლეთით აღმობრწყინდა მათ ძე  
დუნი“.

„ათასი წელი მათ ძე დუნს,  
ათასი წელი,  
ათასი წელი ენთოს ისე,  
დღეს რომ ანთია“  
თითქოს თქვენ კაცი კი არ იყოთ, —  
ძე, ზორციელი,  
არამედ სხვა რამ,  
სხვა მოვლენა,  
ვთქვათ: — ბიზანტია.

რატომაც არა! —  
გეტყვიტ გულით,  
გეტყვიტ ყოველთვის...  
არ არის საქმე არც ათასში,  
არც წვირლ ხურდაში;  
რატომაც არა,  
გეტყვიტ როგორც პოეტს პოეტი  
დღე, მეტიც იყოს —  
ათას ასიც,  
ათას ხუთასიც.



მაგრამ მე თქვენთან,  
ვიდექ იმ დღეს  
    ზღვასთან მქუხართან,  
რომელიც ჩვენს წინ  
    რკინის ზვირთებს  
    ზვირთზე აწყობდა,  
არა მგოსანთან —  
    უკვე ღმერთთან,  
    უკვე უფალთან,  
ვინც მე თდესდაც  
    სულ სხვად მწამდა,  
    სულ სხვად მახსოვდა.

ო, რა ძველია,  
რა ძველი და სამუზეუმო  
ხატად განდგომა,  
    ღმერთად ქცევა  
    ზეცას შეწევდომა...  
ბატონობს კაცი? —  
    მხოლოდ ერთი სიტყვა ზეიმობს;  
ბატონობს კაცი? —  
    სხვა რამ სიტყვა არის შეცდომა.

სიტყვა კი ითხოვს,  
    სიტყვა ხალხის,  
    ხალხის, ალაღის,  
სიტყვა მესიტყვის,  
    სიტყვა მჭედლის,  
    სიტყვა მგუთნის: —  
არ არის ღმერთი? —  
    ტახტი მისი  
    კაცის არ არის,  
არ არის ღმერთი? —  
    ტახტი მისი  
    კანონს ეკუთვნის.

ო, ძველის ძველი:  
ხმლით ნაშენი  
    ტაში და ვაშა,  
ო, ძველის ძველი:  
    ხსნის და შვების  
    ხატს მოფარება...  
დღეს იცით თქვენშიც,  
    ვიცით ჩვენშიც,  
    დღეს იცის ბავშვმაც  
რომ ღმერთს შობს შიში,  
    მხოლოდ კანონს  
    კაცთმოყვარება,  
რომ შიში ღმერთს ქმნის —

ეს კაცს ესმის,  
    ეს ესმის ხესაც,  
ამ ძველ სიმღერას  
    ბრმა წარსულის  
    ხმა და სუსხი აქვს.  
მაგრამ ეს ჭირი  
    დღეს რით ცოცხლობს  
    რით ხარობს დღესაც —  
ეს თვით შეცნიერთ  
    თვითონ ბრძენთაც  
    ვერ აუხსნიათ.


მაშ, ეს თქვენა ხართ?  
ესეც თქვენ ხართ,  
იხიც თქვენა ხართ —  
იმ ახალ ცეცხლთა წარმმართველი,  
    ცეცხლთა მხურვალთა?  
ვინც მე იმ წლებში  
    ჯერ თვით სიზმრად  
    არც კი მენახა,  
მაგრამ გვერდს ვუდექ  
    ძინგანშანთან,  
    ვუდექ ზუნანთან.

ვისაც სიმართლის,  
კაცთა ძმობის,  
    გულთა გაგების  
წმინდა წყურვილი,  
    გულით მწამდა,  
    დაჰყვა აკენიდან;  
ვისაც ოცნებით,  
    ვისაც სიტყვით,  
    ვისაც პანჯებით  
ვუდექ მუკდენთან,  
    იანანთან,  
    ვუდექ ნანკინთან.

მაშ, ეს თქვენა ხართ?  
მზე ამ ძალთა,  
    ამ წერილ უნასთა,  
ღმერთი ამ ტაღლის,  
    ამ გუგუნის,  
    ამ ხმის, მრისხანის...  
გეტყვით პირდაპირ:  
    თქვენს აღლუმზე,  
    თქვენს ტრიბუნასთან  
მე სულში მომხვდა  
    ავებდითი ხმა ჩინგისხანის.

არა, დამთავრდა...  
 გზა მშვიდობას,  
 მხოლოდ მშვიდობას,  
 მშვიდობა მიწას,  
 ყველა მართალ კაცის კერძას;  
 ომი — დაპყრობას,  
 ომი — წარღვნას  
 და წყაღდიობას,  
 ომი — მეფობას,  
 „ციხქვეშეთის დიდ იმპერიას“!  
 ომი — ლაშქრობას,  
 ომი — მტრობას,  
 ომი — მზაკერობას —  
 ასე, ასე ქექუსს  
 დღეს მსოფლიოს  
 ხმა ვულკანური;  
 ერთი დაპყრობა,  
 მხოლოდ ერთი,  
 ერთი დაპყრობა,  
 ერთი დაპყრობა, — რასაც იპყრობს  
 ბაიკანური.  
 ბაიკანური —  
 მტრობის, ტანჯვის,  
 ხმლის გაუქმება;  
 ბაიკანური —  
 შორი ზეცის

ზარის წკარუნი,  
 ბაიკანური —  
 უსასრულო თავისუფლება;  
 ბაიკანური —  
 ჩვენი სიბრძნე, ბაიკანური.  
 ბაიკანური —  
 რწმენის, სწრაფვის,  
 გზის განმტკიცება;  
 ბაიკანური —  
 კართა გახსნა  
 კართა, ფარულთა;  
 ბაიკანური —  
 ხელის, სიტყვის,  
 გულის მიცემა;  
 ბაიკანური...  
 მე დღეს ვდგავარ ბაიკანურთან.  
 თქვენ არ გახსოვართ...  
 ბატონი ხართ,  
 ღმერთი ბრძანდებით...  
 მეც იმ შეხვედრას  
 დღეს ვიგონებ  
 ზღაპრულ ძილსავით;  
 დულდა პეკინი,  
 მიწა დულდა დემონსტრანტებით,  
 რევოლუციის გუგუნვებდა ათი წლისთავი.



## გვიმრის ფოთლები

რომანი

წიგნი კირველი

ნაწილი მეორე

თავი V

— რას განუმებულხარ, მინაგო?

— ეჰ!

— ნუ გეშინია. ღმერთი მოწყალეა. ყველაფერი ჩაივლის. ხომ გაგიგონია, წყალნი წაელენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

— გამიგონია.

— ჰოდა, ასეც იქნება...

სარდიონი თვითონვე უნის საკუთარი „ვოლგის“ სატეს და შახტისაკენ მიმავალ აღმართ-დაღმართიან, მიხვეულ-მოხვეულ გზებს საათში სულ ოცდაათი კილომეტრის სიჩქარით მიჰყვება. ან რა ეჩქარება? გაშლილი სუფრა და ტაშ-ფანდურა მას არც შახტზე მოელის. მინაგოს წინაშე კი სარდიონი დავალებულია. ამ რამდენიმე დღის წინათ, კრებაზე მინაგო სარდიონს ვაეკატურად ამოუდგა მხარში და ამისათვის დღეს რაიკომის მდივნისაგან მავარ-მა-

ვარებიც მიიღო. იქნება, მომავალი წლისთვის პარტიკომის მდივნობაზე რეკომენდაციაც აღარ მისცენ. ჰოდა, აღამიანის სიკეთეს და თავგანწირვას დაფასება და გადახდა უნდა.

— სადმე ხომ არ შევსულიყავით? ხახიაშვილმა შემომითვალა, რძესავით „ოჯალეში“ მივიღეთო.

— აჰ!..

არა, მინაგოს არ ექეიფება, ღვინოს საერთოდ ერიდება, ახლა კი, მით უმეტეს. ვერაა კაცი ხასიათზე და რას იზამ? მოკალი ახლა! მინაგო თავმოყვარე კაცია და უბრალო საყვედურსაც მწარედ განიცდის. ლონგინოზმა კი უბრალო კი არა, კარგა მაგრები აკადრა. ნამდვილად კარგა მაგრები.

თუმცა — რაღა მინაგო? ვითომ თვითონ სარდიონი ძალიან დალბენილია? აი, რა არის აღამიანის ცხოვრება. მართლაც რომ ამ მიხვეულ-მოხვეული, დაკლავნილი გზასავითია. ახლა რომ სწორზე მისრიალებ, შორეთს გა-

\* ვაგრძელება იხ. „მნათობი“, № 12, 1975 წ.



სცქერი და მთელი ქვეყნიერება ხელის გულზე გაქვს. ერთს მოუხვევ და სწორედ ცხვირწინ ვეებერთელა კლდე აგზინდება. საქვს მაგრად ჩააფრინდი, სმენა და მხედველობა გაიასკეცე და ყოველ წამს ხიფათისა და განსაცდელის მოლოდინი გქონდეს. თორემ ბევრია ამ ქვეყანაზე ისეთი გზა, იქით მიმავალი რომ ბევრი უნახავთ, აქეთ დაბრუნებული კი არავინ.

— ასეა...

ათი-თორმეტი დღის წინ კი სარდიონი ბედნიერი, მოსვენებული, წელგამართული კაცი იყო. მასაც და მის თეოლინესაც ბევრი შენატროდა. ან რა ჰქონდა სადარდებელი? ერთადერთი ვატიშვილი უკვე დიდი ხანი იყო, რაც თბილისში დააბინავეს. ჯამლეთმა თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრა, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მოეწყო და კიდეც დაოჯახდა. სადაც იყო, მასა და ზეინაბს შვილიც უნდა შესძენოდათ. თეოლინე რძლით კმაყოფილი იყო, მაგის სწავლა-განათლება და დიპლომები მე სულაც არ მაინტერესებს, მე იმას ვხედავ, რომ ჩემი შვილი უყვარს, პატივსა სცემს და ცხოვრებაში მხარდამხარ მიჰყვება. ზეინაბი თვითონაც საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობდა. ეს, შენ ხარ ჩემი... ბატონი, თბილისის ფრონტზე აქ კი — აქ მართლაც რა ჰქონდათ სადარდებელი? საშინაო საქმეებს თეოლინე სულ ადვილად აუღიოდა და მოცილობისაგან გასუქდა კიდეც. შახტზე კი სარდიონს საქმეები პირდაპირ საათივით ჰქონდა აწყობილი. მეოთხე წელიწადი მიდიოდა, რაც შახტის თავზე დღედაღამ კიაფობდა წითელი ვარსკვლავი. თავისი მომავალი ცხოვრებაც სარდიონს ხელისგულზე ჰქონდა ვადაშლილი. კიდეც სამიოდე წელიწადი მუშაობა, სახელი, დაფასება და პატივისცემა, მერე კი პენსიაზე პატივით გაცილება, მოსვენებული სიბერე შვილიშვილების ჟღერტული, ხანდახან შახტზე შევლა, საჭიროებისას რჩევა-დარიგების მიცემა, წამუშაება, ახალ-

გაზრდობის გახსენება... ეს უგულაფური სარდიონს მართლაც ხელის გულზე ეწერა. და აი, ამ ერთ კვირაში უგულაფური აიწეწ-დაიწეწა, გუშინდელი მოწმენდილ-მოკრიალებული ცა საავდრო ღრუბლებმა დოფარა და სარდიონმა აღარც კი იცის, ხვალ როგორი დიღაუთენდება.

— მინავო, რას ვაჩუმებულხარ-მეთქი, ბიჭო!

— რა ვიცი... ვფიქრობ, ერასტოვიჩ.

— რას ფიქრობ?

— რა ვიცი.

— უნდა იცოდე! ადამიანმა ყოველთვის უნდა იცოდე, რაზე ფიქრობ. გაიგე?

— გავიგე, ერასტოვიჩ.

— ჰოდა, ასე.

მაინც რა უცნაურია ადამიანი! კაცმა რომ თქვას, სარდიონი თავისი ცხოვრებით უკმაყოფილო არ უნდა იყოს. უბრალოდ დარბი გლეხის შვილმა რამდენ რამეს მიაღწია და ცხოვრებაში რამდენი სიხარული, რამდენი სასიამოვნოდ და საამაყოდ გასახსენებული განიცადა. არაფერი სიკეთე სარდიონს არ დაჰკლებია. მან კარგად იცის, თუ რა არის სახელი და პატივიცემა, ამხანაგების სიყვარული და უფროსების მოწონება, ოჯახის სიტკბო, ცოლის ერთგულება, შვილის სიკეთე და კაიბიჭობა... რამდენი ერთი გაიხსენოს! მაგრამ ადამიანის გონება ისე უცნაურადაა მოწყობილი, რომ ოდნავ ფეხი გადაუბრუნდება თუ არა, შეგზნეული ფიქრები შემოესევინან და თავისი ცხოვრებიდან მარტო ცუდი და უსიამოვნო ამბები ახსენდება. ზოგჯერ მესსიერებაში ისეთი რამ ამოუტიტევიდება, რაც სამუდამოდ ვადავიწყებული გონია. და — მაინცადამაინც უსიამოვნო. თითქოს კარგად და ტკბილად მოსაგონარი ამ ცხოვრებაში სულაც არაფერი გამოემეცადოს.

ახალგაზრდობაში სარდიონ რაჰველიშვილს თავისი პირველი შახტის უფროსი და მასწავლებელი, გერვასი აფხაიძე პირდაპირ საფიცრად ჰყავდა. სა-

მთო კურსების თვრამეტეოდე წლის მსმენელს სწორედ იმ მთასავით ბრვე, მუდამ გაუპარსავამ და დაღლ-ლობისაგან ფერწასულმა, მაგრამ მანინე მუდამ ხალისიანად მოლიმარე ვაჟ-კაცმა გაუწოდა დახმარების ხელი, და-აძლევიანა ჩაბნელებული, ნესტიანი და ხიფათიანი მიწისქვეშეთისადმი რიდი და შიში... სარდიონმა სწორედ აფხაი-ძის შემხედვარემ გადაწყვიტა, რაკი ფეხი მეშახტის გზაზე შემოვდგი, ბარემ მთელი სიცოცხლე ამ გზით ვივლა და, როგორც არ უნდა გამიჭირდეს, არ გადავუხვევო. თორემ, გერვასი აფხაი-ძე რომ არა, იქნებ, სარდიონსაც ისევე მიეტოვებინა შახტიცა და ქვანახშირის ქალაქიც, როგორც არა ერთმა მისმა ტოლმა — იმავე სამთო კურსების მსმე-ნელმა მიატოვა.

რვა თუ ათი წლის შემდეგ, როცა სა-რდიონი უკვე გამოცდილ, ავტორიტე-ტიან სამთო ინჟინრად ითვლებოდა, ერთი ძველი, ჩამორჩენილი შახტის უფროსად დანიშვნა დაუპირეს. საკი-თხი თბილისში, რესპუბლიკურ სამმარ-თველოში წყდებოდა. სამმართველოს უფროსმაც და სხვებმაც სარდიონს ბევრი და კარგად ილაპარაკეს. ყველა უყოყმანოდ აცხადებდა, მაგ უკუღმართ შახტს თუ ვინმე მოუვლის და გაუთა-ვებელი დარღვევებიდან გამოიყვანს. ეს მხოლოდ სარდიონ რაქველიშვი-ლიაო. და როცა საკითხი თითქმის უკ-ვე გადაწყვეტილი იყო. მოულოდნე-ლად სიტყვა სამმართველოს კადრებო-განყოფილების ინსპექტორმა, ვინმე გუჩუე ჭიქაბერიამ აიღო. ამ მომცრო ტანის თავმოტვლებილ, მომწვანო თვა-ლებიან კაცს ყველა იცნობდა და ყველა-ერიდებოდა. ბოროტი, ქვეშევშელა და დაუნდობელი კაცის სახელი ჰქონ-და დაეარდნილი.

— მე ყველა ამხანაგის გამოსვლა მო-ვისმინე და უნდა გითხრათ, ბიროდაპირ რომ თქვენ მე მაკვირვებთ, ამხანაგებო. ამხანაგ სარდიონს აქ აქებენ, უნარიან ამხანაგად სახავენ და მისი კანდიდატუ-რა შახტის უფროსის თანამდებობაზე სადაცაა დამტკიცდებოდეს იქნება. მა-გრამ... ჩვენ ხომ ვიცით ამხანაგი სარ-დიონის ურთიერთობა ცნობილ ხალხა-მტერთან აფხაიძესთან, რომელიც გა-მოაშკარავებული და განადგურებული იქნა სათანადო ორგანოების მიერ. ეს ყველაფერი ჩვენთვის ცნობილია. მე ამხანაგებს ვთხოვდი, ერთხელ კიდევ გადახედონ ამხანაგი რაქველიშვილის კანდიდატურას.

ჭიქაბერია დაჯდა და გაოფლილი, მე-ლოტი თავი კარაქისფერი აბრეშუმის ცხვირსახოცი თ მოიწმინდა.

მმართველის ვრცელ კაბინეტში მძი-მე სიჩუმე ჩამოწვა. გრძელ მაგიდას ხმაჩავარდნილი უსხდნენ თმაქალარა, მრავალპირნახული სამთოელები, რო-მელთაც მთელი სიცოცხლე მიწისქვე-შეთში გაატარეს; ერთმანეთს მზერას არიდებდნენ; ჭიქაბერიასთან შეკამათე-ბას ვერავინ ჰბედავდა. ისიც კი ვერა-ვინ ჰკითხა, მეტი რაღა პოლიტიკური სიწმინდე მოვთხოვოთ ამ აღამიანს, რომელიც შახტში აღამებს, შახტში ათენებს, ხალხისა და სამშობლოს სამ-სახურში თავს არ ზოგავებს, ხშირად არც ძილი იცის, არც მოსვენება, არც საღილ-ვახშამი, ცოლ-შვილი და ნათე-სავ-მეგობარი... სდუმდნენ თმადათოვ-ლილი სამთოელები და მაგიდაზე დახ-ვაგებულ რაღაც ქაღალდებს უაზროდ დასჩერებოდნენ.

ბოლოს ისევ სამმართველოს უფ-როსმა ჩაახველა: — თქვენი წინადადება როგორი იქ-ნება, ამხანაგო ჭიქაბერია?

— ჩემი წინადადება ასეთი იქნება.— არ დააყოვნა ჰიქაბერიამ, — ჯერჯერობით თავი შევიკავოთ მკაცრი სანქციებისაგან. ჩვენ სულგრძელობის გამოჩენაც შეგვიძლია. ამხანაგი რაჰველიშვილი კი გაიგზავნოს შახტის უფროსის მოადგილედ.

შეკამათება ახლაც ვერავინ ვაბედა. და ასეც გადაწყვიტეს. თითქმის წელიწადნახევარი სარდიონი შახტის უფროსის მოადგილედ მუშაობდა, ფაქტიურად კი ყველაფერს თვითონ განაგებდა: ის შახტის უფროსი არაყსა და ღვინოს ეძალეობდა და ყველაფერზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული. წლინახევრის შემდეგ ჰიქაბერია სადღაც გადაიყვანეს და სამმართველოს უფროსმა სარდიონმა იმავე დღეს შახტის უფროსად დანიშნა, თან ძმურად გადაჰკოცნა და თხოვა, მაპატიე, რომ იმ უკუღმართ დღეს შენს დასაცავად კრინტიც ვერ დავძარი და ასე უსამართლოდ მოგვეჭკითო.

ეს ამბები ახლა რა გასახსენებელი იყო? სად ესენი და სად სარდიონის დღევანდელი გასაქირი? მაგრამ აი, ასეთი უცნაურია აღამიანი.

— მინაგო!

— ბატონო!

— შენ გერვასი აფხაიძე გახსოვს?

— არა.

— დიდი ვაჟაკი იყო.

— გამიგონია.

მაშინ სარდიონმა ის ტყვილი ღრმად ჩაიმარხა გულში და... იმავე გერვასის მიერ ნაჩვენებ გზას გაჰყვა. ის ექვსთვიანი კურსები არ იკმარა და დაუსწრებლად პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი დაამთავრა. ისე, რომ შახტში მუშაობა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია. გერვასი აფხაიძისგან ჩაგონებული და ნასწავლი იოტის ოღენაც არაფერი გადაუგწივებია. ახ-

ალ და დიდ საქმეს ისე არაფერს წამოიწყებდა, რომ გამოცდილი მემსახტეებისათვის რჩევა არ ეცითხა. არასოდეს აჩქარებულა. ურყევად სწამდა, — ასევე გაზომე და ერთხელ გასჭირო. თან ძალიან შეუბოვარი, პირდაპირ უჭიათიც იყო. თუ რამეს გადაწყვეტდა, უკან ველარაფრით დაახევინებდი. რაღა დასამალავია, ბედიც წყალობდა. რაც შახტში მუშაობა დაიწყო, იმ ხნის მანძილზე ერთი მიმზე შეცდომაც კი არ მოსვლია. ეს კი მემსახტეთა ცხოვრებაში ძალიან იშვიათი ამბავია. და ისე მალე გამოარჩიეს და დააწინაურეს, რომ თვითონაც კი არ ელოდა. ოცდათხუთმეტი წლის არც კი იყო, რომ უკვე შახტი ჩააბარეს. შეეჭიდა და გაუძღვა. ბევრ უფრო ხანდაზმულ და გამოცდილ შახტის უფროსსაც კი აჯობა. აქედან სხვა შახტის უფროსად გადაიყვანეს — ჩამორჩენილია და წამოაყენეო. ჩაეჭიდა და წამოაყენა. და ასე დაკანონდა, თუ რომელიმე შახტს გაუჭირდებოდა, იქ უფროსად უსათუოდ სარდიონი უნდა გადაეყვანათ. თეოლინესთან რომ ხელი მოაწერა, მკერდზე უკვე შრომის წითელი დროშის ორდენი უკიაფობდა. მეტი თბილისში გადაიყვანეს და ოთხი წელიწადი რესპუბლიკურ სამმართველოში ამუშავეს. ომი რომ გათავდა. სთხოვეს, ადგილებზე ხალხი გვაკლავ და გვიშველეო. დათანხმდა და მას აქეთ ქვანახშირის ქალაქიდან აღარსად წასულა. ბოლო ექვსი წელიწადი სულ მეორე შახტის უფროსად მუშაობდა და აჰა, ახლა ეს უსიამო ამბავიც იმავე შახტზე შეემთხვა.

— მინაგო, რამე ხეირიანი ვერაფერი მოიფიქრე?

— ჯერ ვერაფერი, ერასტოვიჩ!

— ცუდია, ცუდი. თუ რამე მოიფიქრო, არ დამიბალო.

— ბატონი ბრძანდება.

ისე, ბევრი სიმაართლე კი იყო დღეა ლონგინოზ ფეიქრიშვილის ნალაპარაკეში. სარდიონი პირველად ასევაგულს თავის ცხოვრებაში, საქმე ხეირიანად აღარ მოზომა (ან ამდენი მოსაზრობი აქ რა იყო?), ხელი ჩაიქნია და... არა, კაცს, რომელიც ოცდახუთი წელიწადია, სულ შახტის უფროსის თანამდებობაზე მუშაობს, ასეთი საქციელი არ ეპატიება.

თუმცა, მეორე მხრივ, კარგად რომ გავსინჯოთ: სხვა რა გამოსავალი იყო? სხვა რა შეიძლებოდა? არაფერი. ღმერთია მოწამე არაფერი და კაცმა რომ თქვას, რამე უსაშველო — კაცის თვალთ უნახავი და ადამიანის ყურით გაუფონარი არც არაფერი მომხდარა. ეს ყოველთვის ასეა: ახალგაზრდა ინჟინრის დანიშვნას თანამდებობაზე, — პრაქტიკოსი ხელმძღვანელის დიპლომანი ინჟინრით შეცვლას მუდამ ასეთი ვაი-უშველებელი და უხერხულობა ახლავს. ზოგჯერ უარესიც. ბევრი რამ არც იმითი წამხდარა, რომ სარდიონმა: ახლა უბანი მართლაც პირდაპირ მატარებლიდან ჩამოსულ ჭაბუკს ჩააბარა ჩვეულებრივ, რა თქმა უნდა, ასე არ ხდება. ჩვეულებრივ ახალგაზრდა ინჟინრები უფრო უბრალო თანამდებობებიდან იწყებენ, აქაურობას, შახტს, უბანს, უბნის ხალხსა და პირობებს ეჩვევიან. მაგრამ სულერთია: როგორც კი მას უბნის უფროსის თანამდებობაზე დანიშნავ — ბოლოსდაბოლოს ეს ხომ უნდა მოხდეს? პრაქტიკოსი ხომ უნდა შეცვალო? — ჰოდა, როგორც კი ახალგაზრდა ინჟინერს უბნის უფროსად დანიშნავ, მეშახტეები მაშინვე აბუზღუნდებიან, თუნდაც იმ ახალგაზრდა ინჟინერს იმავე შახტში უფრო პატარა თანამდებობაზე უკვე წელიწადი ჰქონ-

დეს მოთეული. უსათუოდ აბუზღუნდებიან. და არც თუ უმიზეზოდ: შახტის მძიმე თანამდებობაა შახტის უფროსობა, ეს ოხერი! იშვიათად, რომ ახალგაზრდა ხელმძღვანელმა შეცდომები არ დაუშვას. იშვიათად, რომ პირველ თვეებში ავარიებიც არ მოუხდეს. მერე კი, — ექვსი, რვა, ათი თვის, ერთი წლის შემდეგ — ყველაფერი ეწყობა, უბანი ისევ საათივით ამუშავდება და ბიჭი ხარ, მაშინ მეშახტეებს გაუბედვ, ეს თქვენი ახალი უფროსი სადმე სხვა თანამდებობაზე უნდა გადავიყვანოთ. მათ ახლა უკვე აღარც კი ახსოვთ, თუ როგორ იღრინებოდნენ ამ ბიჭის უფროსად დანიშვნისას. ახლა ამ ბიჭს რამე რომ გაუბედო, მეშახტეები პირდაპირ კაბინეტში ამოგივარდებიან და სულს ამოგართმევენ, როგორ თუ ასეთი კარგი და გამოცდილი ხელმძღვანელი სადღაც გადაგყავსო.

ასეა.

მაგრამ სულ მთლად ასეც არ არის. აქ გასათვალისწინებელი კიდევ ერთი, და მეტად მნიშვნელოვანი ამბავია. ჩვეულებრივ თანამდებობაზე ახლად დანიშნულ ახალგაზრდა ინჟინრებს საქმის შესწავლასა და უბნის ათვისებაში მათივე წინამორბედები — უდიპლომო პრაქტიკოსები ეხმარებიან ხოლმე, სწორედ ისინი, ვისაც ამ ინჟინერმა თანამდებობა წაართვა. ჩვეულებრივ, აქ ყველაფერი უმტყვიანულოდ და უკონფლიქტოდ გვარდება. ყოველმა პრაქტიკოსმა მუდამ იცის, რომ თუ არ იწყავლა და სამთო დიპლომი არ აიღო, ადრე თუ გვიან თანამდებობას უნდა გამოეთხოვოს. ამას ისინა შერიგებულნი არიან. ასეთ დროს პრაქტიკოსი ჩვეულებრივ მოადგილის თანამდებობაზე გადადის, ახალგაზრდა და გამოუცდილ უფროსს მხარში უდგება, ეხმარება,

ასწავლის, მასთან ერთად განიცდის უბნის ყოველ მარცხსა და ყოველ გამარჯვებას, და მერე კი, როცა ახალგაზრდა ინჟინერი უბნის სადავეებს კარგად მოიმარჯვებს, პრაქტიკოსი თავისუფლდება. უნდა — წავა და ასწავლის, უნდა — რიგით საქმეზე გადავა და იმუშავებს, ყველაფერი მისი ნებაა. მაღლობა დემერტს, საბჭოთა კავშირში გინდა ისწავლი და გინდა იმუშავებ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ეს პრაქტიკოსი როგორი ბუნების ადამიანია, რა სწავლა-განათლება აქვს, უფროსობა უყვარს, თუ უბრალო საქმიანობითაც კმაყოფილდება, თვითონ რას უფრო ესწრაფვის, ცოლი დამ-დამობით რას ჩასჩინებებს, სიდედრი როგორ მოთხოვნილებებს უყენებს....

მაგრამ ახლა, ჯიბრაილისა და არჯვანიძის შემთხვევაში, ეს ჩვეულებრივი ვარიანტი, საუბედუროდ და სავალალოდ, თითქმის სრულიად გამორიცხულია. მართალი იყო ლონგინოზ ფეიქრიშვილი, როცა ბრძანა, ახალგაზრდა ინჟინრის მოადგილედ ჯიბრაილი ზომ არ დამეყენებინაო. სარდიონის ფართული ოცნებაც სწორედ ეს იყო. მართალია, დამიანე აქაც ავარდა და დავარდა, დიპლომი მოადგილესაც უნდა ჰქონდესო, მაგრამ ეს არაფერია. ამ საქმეს მოევლება. დამიანე ჯიბრაილს სამი წელიწადი უბნის უფროსად ითმენდა და ერთი წელიწადი უფროსის მოადგილედაც მოითმენს. ბოლოსდაბოლოს, თუ უნდა, ტრესტში, თბილისში, მოსკოვში იჩივლოს. სანამდე იქუდან პასუხი მოვა, სანამ გამოყოფილი კომისიები თავის ბრძნულ დასკვნებს გამოიტანენ, არჯევანიძე უბანსაც შერასწავლის, ხალხსაც და ყველაფერი თავისთავად მოწყობრივდება. მაგრამ... მაგრამ სწორედ აქაა ძალის თავი დამარ-

ხული და სარდიონმა სწორედ ადარ იცის, ამ უბედურებას რეგულარულად უმართოს.

არა, თანაც აქ ერთი კი არა, ორი უბედურებაც შემოსავლელი. პირველი — ანთიმოზ ჩახუნაშვილია. ამისი ნლობა არაფერში არ შეიძლება. ამ უბედურება და უნიათომ ვის რა უნდა ასწავლოს? მაგან გზა ვის უნდა გაუკვლოს? მაშინ, როცა უბნის უფროსად ანთიმოზას ნიშნავდა, სპირიდონი სწორედ იმას ვარაუდობდა, მაგას მოადგილედ ჯიბრაილს დავუნიშნავ, უბანი სახელით ანთიმოზისა იქნება, საქმით კი ისევ ჯიბრაილისაო. ის საქმე არ გამოვიდა. ძალიანაც კარგი. მაგრამ ახლა? იმ ახალგაზრდა ინჟინერს სარდიონმა გვერდით ანთიმოზი ამოუყენოს? არა, ეს საქმის დაღუბვა იქნება. ამა? ასე, ხელის ერთი წამოსმით ვერც ანთიმოზს მოხსნი. არაფერი დაუშავებია. ასეთია ეს ოხერი სამთო კანონები: ჯიბრაილი საქმის გამკეთებელი იყო და — მაინც მოხსენით, დიპლომი არა აქვსო; ანთიმოზა კი — არაფრის მაქნასია და — ხელის ხლება არ გაუბედოთ, ჯიბეში დიპლომი უღვეს, დამავებით კი არაფერი დაუშავებიაო. მოდი შენ, სარდიონ რა კველიშვილო და — ასეთი უკუღმართი კანონების გადამკიდემ საქმე აკეთე და სამშობლოს გრამი ქვანახშირი არ დააკლო. კარგია, ძალიან კარგია, თქვენ ნუ მომიკვდებით!...

მაგრამ ესეც არაფერი. ვთქვათ, სარდიონმა მოახერხა, ანთიმოზს ან მოერიცა, ან ტუბილი სიტყვით დაითანხმა, სხვა რაიმე თანამედრობა გამოუქებნა და მისი ადგილი ჯიბრაილისათვის გაათავისუფლა. მაშინ? საიდან იცის სარდიონმა, ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი ახლა როგორ ხასიათზეა? და იმდენად თვითონ ჯიბრაილი კი არა, მისი მეუღ-



ლე, ის კუჭუნახი ირინე მოადგილეობას იყაბულეებენ?

— რამე მოიფიქრე, მინავო?

— არაფერი.

— ეე! შე კაცო, რა ღმერთი გიწყურება? ლონგინოზის ერთმა შემობღეურამ ასე წაგახდინა? შე მეგონა, ჩემი პარტკომის მდივანი საცაა ალაპარაკდება და მთელ ჩვენს მომავალს ხელის გულზე გადაშლის-მეთქი. ისეთი რა მოხდა, ადამიანო? ვინმე მოვკალათ, გავძარცვეთ, თუ რა? გაშალე ეგ წარბები!

— ბატონი ბრძანდები.

— აგრე. ახლა მოიხედე: შენი მეზობლის ოჯახიდან რა ისმის?

— ვინ მეზობლის?

— ჯიბრაილის, კაცო! ერთ სახლში არ ცხოვრობთ?

— რა უნდა ისმოდეს?

— რა ვიცი... ირინე გააღმასებულა იქნება ახლა... მაგარი გოგოა. ა?

— სასიხარულო რა აქვს.

— არაფერი. ეგეც მართალია. მარცხი ყოველგვარი საწყენია, დამსახურებელიც და დაუმსახურებელიც. მართლა არაფერი გაგიგია?

— რა უნდა გამეგო?

— კაცო, ქრისტიანო... ეს ლომ-ვით ვაქცავი, საამქვეყნოდ ცნობილი მეთაური და წინამძღოლი თანამდებობიდან მოგხსენით, გაეაბიბრუეთ, და შენ, პარტკომის მდივანი, ერთხელ არ მიხვალ და არ ჰკითხავ, როგორა ხარ და რა გჭირსო? იქნება, ის კაცი თავის მოკვლას აპირებს?

— კარგი ერთი...

— შე სულაც არ გეცხმობენ... თავის მოკვლა მართლაც რა შეუძია, მაგრამ... მოდი, ადამიანო, ინახულე, გამოელაპარაკე. ამ საქმეში, ჩემო კარგო, ცოტ-ცოტათი ყველანი დამნაშავეები ვართ. ჰოდა, საკუთარი დანაშაულის გამოსყიდვა ყველამ უნდა ვცადოთ. იქნება, იმ ადამიანს რაიმე უჭირს. იქნება, რამეში დახმარება სჭირდება. არ უნდა მივაციებოთ?

— მართალი ხარ, ერასტოვიჩ. დღესევე ვინახულე.

— ჰოდა, აგრე ჰქენი.

ესეც ასე... მინავო დღეს ჯიბრაილს ინახულებს და ხვალ სარდიონს ის მაინც ეცოდინება, რისი იმედი უნდა ჰქონდეს. არა თვითონ ჯიბრაილი გულიანი ბიჭია. სარდიონმა ეს თვითონაც კარგად იცის. თუ ამხანაგებს და საერთო საქმეს დაჭირდა, ჯიბრაილი უყოყმანოდ, სამუდამოდ ხელს აიღებს სწავლაზეც, თანამდებობაზეც, კარიერაზეც... უბრალო გამგედ ჩამოდგება... მაგრამ ირინე? ირინე როგორ ხასიათზეა? აი რა არის ახლა სარდიონის მთავარი საფიქრალი.

— სად მიგიყვანო მინავო?

— მე შახტზე მივდივარ.

— წამოდი. მეც იქ მივდივარ. ერთი იმ ბიჭს, ჩვენს ახალგაზრდა ინჟინერს ავიყოლიებ და მესამე უბანს ჩამოვივლი. ასე იქნება თუ ისე, მაგ უბანს ბოლოსდაბოლოს ისევე მაგან უნდა უხელმძღვანელოს.

## თავი VI

სარდიონი და მინავო ერთმანეთს შახტის ეზოში დაშორდნენ. მინავოს მექანიკურ საამქროში რაღაც საქმე ჰქონდა და იქით წავიდა. სარდიონმა კი

„ვოლგა“ საფარქვეშ დააქუნა, კაბინეტში ავიდა, ყურმილი აიღო და მესამე უბანის სამოროიგეოში დაჩქა.

— ვისმენთ!

სარდიონმა ანთიმოზ ჩახუნაშვილის  
ხმა იცნო.

— სარდიონი ვარ.

— გისმენთ, ბატონო სარდიონ!

— თქვენი ახალი უფროსი სად არია?

— ეს წუთია, შახტადან ამოვიდა.  
უბანი ჩამოუვლია. ახლა საშხაპეში უნ-  
და იყოს.

— უბანი მართო ჩამოიარა?

— არა, პირველი ცვლის უფროსი  
გვაყოლე, ჭიჭიკო მელექაძური. თქვენ  
იცნობთ.

— რატომ შენ თვითონ არ გააკუვი?

— საგვეგმო განყოფილებაში სასწრა-  
ფო საქმე გამიჩნდა. სარდიონ ბატონო.  
არადა, ვიფიქრე, უბანს ჭიჭიკოც კარ-  
გად აჩვენებს-მეთქი. თანაც ხვალ, და  
ზეგ, და მერეც სულ აქ არ ვიქნები?  
უჩემოდ, სარდიონ ბატონო, ჭერ-ჭე-  
რობით ფეხს არსად გადავადგმევინებ.

„ვიცი, ანთიმოზ ჩემო, რა მელაცა  
ხარ. — გაიფიქრა სარდიონმა. — ცო-  
ტა გვიან მიხვდი, რომ შენს ადგილზე  
მე ახლა სხვა ვინმე მირჩენია. ახლა  
ტელეფონს აღარ შორდები და რამი  
გაგებას ცდილობ“.

— ბექები როგორ ხასიათზე არიან?

— რა მოგახსენოთ... ისეთი არაფე-  
რი მომხდარა. სამუშაოზე ყველა უკლე-  
ბლად, თავის დროზე გამოდის. ჩვენმა  
ახალმა უფროსმა ისეთი აწყობილი  
უბანი ჩაიბარა, რომ კარგა ხანს ნაძღვი-  
ლად არაფერი გაუჭირდება. ა-ხა-ხა-ხა-  
ხა!..

— ეხმ!.. ისა... იმანო, ანთიმოზ!

— დიახ!

— არჩევანიძეს უთხარი, მანდ დამე-  
ლოდოს. მე მალე ჩამოვალ.

— მესმის! კი, ბატონო! მესმის!

სარდიონმა ყურმილი მიადო, კარა-  
დიდან ჭუჭყიანი, გახვეებული სპეცტა-  
ნისამოსი გამოათრია და აუჩქარებლად

ჩაცმას შეუდგა. გადაწყვეტილი ჰქონ-  
და, უბანი არჩევანიძესთან ერთად მო-  
ველო და ის ბიჭი „ადგილზევე შრესინ-  
ჯა“. რაკი არჩევანიძე დღეს შახტში  
უკვე ყოფილა, მით უკეთესი. ვნახოთ.  
ეს თბილისელი ვაჟაკი როგორ გადა-  
იტანს იმ ამბავს, რომ შახტიდან სულ  
ნახევარი საათის წინ ამოსულმა და უკ-  
ვე ნაბანავებმა ისევ ჭუჭყიანი სპეცტან-  
საცმელი უნდა ჩაიცვას და შახტშივე  
ჩაბრუნდეს.

სამორიგეოში სარდიონს თეიმურა-  
ზისა და ანთიმოზის მეტი არავინ და-  
ხვედრია. თეიმურაზს ზედვე ეტყობო-  
და, რომ საშხაპედან ახალი გამოსული  
იყო — ხშირი წაბლისფერი თმები ხომ  
სველი ჰქონდა და სველი, სახე ვარდის-  
ფერად უღუოდა, წყლის წინწყლები კი  
წარბებზეც შერჩენოდა. დასცხომოდა  
და ცისფერი პერანგის საყელო მო-  
ელელა.

ანთიმოზს ის იყო, სპეცტანისამოსი  
ჩაეცვა და ახლა სასწრაფოდ აეუმულა-  
ტორიან ქამარს იმაგრებდა. ამის დამ-  
ნახავ სარდიონს გუნებაში ჩაეცინა,  
მაგრამ აღრაფერი უთქვამს.

შახტის უფროსის დანახვაზე თეიმუ-  
რაზი ზეწამოიჭრა.

— ვახლავართ უბნის ახალგაზრდა  
უფროსს! — სარდიონმა ინეინერს ხე-  
ლი გაუწოდა, — როგორ გიკითხოთ?

— გმადლობთ! — ისედაც ვარდის-  
ფერი თეიმურაზი სახეზე კიდევ უფრო  
წამოწითლდა. ინეინერმა მზერა რა-  
ტომლაც ანთიმოზს შეავლო და პერან-  
გის მოღვლილი საყელო შეისწორა.

— უბანი მოგივლიათ, მითხრეს.

— არა, მთელი უბანი არა. ქვედა სან-  
გრევში ვიყავით.

— მერე? მოგეწონა?

თეიმურაზმა გულდიად გაიღიმა და  
მხრები აიჩეჩა.

— მოგეწონებოდა. ცლდი სანგრევი არ უნდა იყოს. ძალიან დაიდალე?

— არა სულაც არ დავდლილვარ.

— აბა მოდი, მე და შენ შახტში ერთხელაც ჩავისეირნოთ.

— ახლავე! — თეიმურაზმა კარი გამოაღო და უკანმოუხედავად გაქანდა გარდერობისაკენ.

— რას იტყვი, ბატონო ანთიმოზ? — სარდიონი მაგიდას მიუჭდა და შახტში ჩასვლის წინ ბოლო პაპიროსი მაღიანად გააბოლა.

— რა მოგახსენოთ... — ანთიმოზამ გაიღიმა და ხელები გაშალა, — თქვენ შახტის უფროსი ბრძანდებით, ჩემზე უკეთ ხედავთა და... იციან... ნამეტანი ახალგაზრდაა, რა თქმა უნდა, მაგრამ... დახედული ბიჭი ჩანსა და ეს თავისი საქმე, ესე იგი, ჩვენი საქმე. კიდევ უნდა უყვარდესავით. არადა, ჩვენ ყველანი აქ არა ვართ? მხარში ამოვუდგებით, დავებმარებით...

— უყვარდესავით, პრა?

— ერთი შეხედვით ასე ჰგავსა და... აწი... რა ვიცი...

— შენ ესენი რატომ ჩავიცივია?

— შახტში მეც...

— აჰ! მეც შახტში, შენც შახტში, აქ, ზევით ვინ-ლა დარჩეს? არა, შენ აქ იყავი. სულაც სადისპეტჩეროში აღი, თუ რამე ისეთი მოხდეს, დასავლეთისკენ ვიქნებით და იქ დამირეკე.

— კი, ბატონო!

სარდიონი და თეიმურაზი შახტში ლიფტით ჩავიდნენ და მთავარ შტრეკს გაჰყენენ. განიერი და მაღალი შტრეკი მრგვალი, მსხვილი, ყვათელი, ოდნავ ნესტიანი ბოძებით საიმედოდ იყო გამაგრებული. ყოველ ოც მეტრზე დღის სინათლის ოთხ-ოთხი გრძელი, რძისფერი ნათურა ეკიდა. მაგრამ მათი სანათლე მაინც ვერ ერეოდა შტრეკში გამეფებულ სიბნელეს. რამდენიმე ნაბიჯზე კაცს ვერ იცნობდით, მით უმეტეს, რომ ყველას, ვინც კი გზადაგზა ხედუ-

ბოდათ, ერთნაირი სპეცტანსაცმელი და რეზინის ჩექმები ეცვა და ერთნაირივე ჩაფხუტები ეხურა. ამიტომაც ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ. შტრეკის მარჯვენა მხარეს ვიწრო ლიანდაგიანი რკინაგზა მიემართებოდა.

პირველი ცვლა მოსამზადებელი იყო და ამიტომ მეშახტეები მაინც ნაკლებად ხედებოდათ. შტრეკის მეორე თუ მესამე მოსახვევთან ვაგონეტების გრძელი წყება იდგა. ვაგონეტების თავში, პატარა, კოწიწა ელმავალთან ვიდაც მეშახტე ჩაცუცქულიყო და რაღაც ჩაყანგებულ, ტალახიან რკინებს ერთი ხვნეშით და ვაივავლახით არგებდა ერთმანეთზე. ახალგაზრდა, სუფთა სპეცტანსაცმელიანი შეელმავლე კი არხეინად იჭდა თავის შემალღებულ სკამზე, ჩაფხუტი დარდიმანდულად კეფაზე მოეგდო და ჩაცუცქულ მეშახტეს ღიმილით დასცქეროდა.

— რა ამბავია? — სარდიონი შეჩერდა და ნათურის მრგვალი შუქი ჩაცუცქულ მეშახტეს მიაშვირა.

შეელმავლემ სასწრაფოდ გაისწორა ჩაფხუტი, თვითონაც გასწორდა და სარდიონისთვის სალაშის მისაცემად მოემზადა. მაგრამ სარდიონი ჯერ-ჯერობით მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

ჩაცუცქულმა მეშახტემ რაღაც მოზრდილი რკინა გაგულისებით მიაგდო შტრეკის კუთხეში, წულში გაიმართა. ჩაფხუტი მოიხადა და... წაბლისფერი თმების ზმირი ტევრი ნახშირით შემურული თეთრი ხელით შეისწორა. ნათურის სუსტ, ყვითელ სინათლეზე თეიმურაზმა დაინახა, რომ ის ხელი ნაზი, ქალური იყო. მეშახტეს სახეზე შეხედა და... ის ქალი იცნო. აი, მაშინ, მის ოთახში რომ... არა, მართო მის ოთახში კი არა, ის ოთახი საზიაროა... ერთი სიტყვით, აი, მაშინ რომ...

— გამარჯობა შენი, წილოსანო! — ახლა-ლა მიესალმა სარდიონი შეელმავლეს და ისევ გოგოლა ხომასურამეს მიუბრუნდა, — რა გაგჭირებია?

— არაფერი. — გოგოლამ თეიმურაზ



არჯევანიძეს მოკლე, მტრული მზერა შეაგლო. სახეზე ოდნავ წამოწითლდა და სარდიონს მიუბრუნდა. მაგრამ მინცდამაინც ალერსიანად არც იმას მისჩერებოდა. — რა უნდა გამჭირვებოდა?

— მისაბმელები ზოგი არ ერგება, ზოგი ჩაქანგულია. — წამოეშველა გოგოლას წილოსანი.

— მერე? ამხელა ვაქცაი... ვერ წაეხმარები? ეანგის მოცილებას რა უნდა?

— ახლავე, ბატონო სარდიონ — მე-ელმავლე მარდად ვადმოხატა თავისი შემალღებელი სკამიდან.

სარდიონი ერთ ხანს გულმოსული მისჩერებოდა დაფაცურებულ მეელმავლეს. მერე თეიმურაზს თავით ანიშნა, გამოყვევიო. და ორივენი ისევ მთავარ შტრეკს გაჰყვნენ.

— შახტში ბევრი ქალი მუშაობს? — თეიმურაზმა ივარაუდა, ალბათ, კარგა ვიზამ, თუ შახტის უფროსს გამოველაპარაკებო და ამ პატარა უსიამოვნებას გადავავიწყებო.

— ა?... ჰო, შახტში... არა, არც ისე. წინათ, განსაკუთრებით ომის დროს, ბევრი მუშაობდა. ახლა ცოტანი დარჩნენ. ეს გოგოლა ხომასტორიძეა. მავას თავისი უფროსი ჰყავს, შენ მავასთან არაფერი გესაქმება. წავიდეთ.

მთავარ შტრეკში კიდევ სამასიოდდე ნაბიჯი გაიარეს. ორივენი სდუმდნენ. ცოდვა ვატეხილი სჯობია, თეიმურაზი ახლა ნათიანზე უფრო ფაქრობდა, ვიდრე გვირაბებსა და სანგრეუბებზე. იქნებ ეს გოგოლა ხომასტორიძესთან — ამ ლამაზ, ხშირთმიან, თეთრ და ნაზ ხელებიან ქალთან შეხვედრის ბრალიც იყო. ვინ იცის... თეიმურაზი უკან მიჰყებოდა ხმაამოუღებლივ მიმავალ სარდიონს. ესეც რაღაც თავისაზე ფიქრობდა. და ორივენი შეკრთნენ, როცა მოულოდნელად მარჯვენა მხრიდან, დაბალი და უბნელური გვირაბის სიღრმიდან გააფთრებული დედისგინება შემოესმათ. ორივენი შეჩერდნენ და ერთმანეთს მზერა შეაგლეს. ვინც იგანებოდა, იმას ხმაზე ეტყობოდა, რომ ახალგაზრდა

უნდა ყოფილიყო. მაგრამ ისიც აშკარად ჩანდა, რომ გინებდა და ბილწსიტყვაობაში დიდი გამოცდილებები ჰქონდა.

სარდიონი ხმაგაქმენდილი იყურებოდა იმ ჩაბნელებული გვირაბისაკენ. მაგრამ აქ გონება ისევე მოულოდნელად შეწყდა და მის ნაცვლად მეორე ხმის გულიანი სიცილი მოისმა. ეს მეორეც ახალგაზრდა ბიჭი უნდა ყოფილიყო. ალბათ, გვირაბში ორნი იყვნენ, ან იქნებ, მეტნიც მაგრამ შტრეკიდან არაფერი ჩანდა. სარდიონი და თეიმურაზი გვირაბში შევიდნენ და ორმოცდაათიოდდე ნაბიჯის მანძილზე სუსტი ყვითელი სინათლე დაინახეს. მაგრამ ალბათ იქიდან შახტის უფროსსა და არჯევანიძეს ვერ ჰხედავდნენ. სანამ ესენი ამ მანძილს გაივლიდნენ, მზიარულ ანკარა სიცილს ისევ პირველი ხმის — გააფთრებული გინებისა და ბილწსიტყვაობის მღვრიე ნაკადი ჩაეხლართა.

სარდიონი და თეიმურაზი ყვითელ სინათლესთან მივიდნენ. სანგრეუბს უბესთან სახეშემურული იორამ ნოსელიძე და ვილაც ჩასუქებული, ვარდისფერსახიანი ჰაბუკი იდგნენ. ორივენი სპექტანსაკმელსა, ჩაფხუტსა და რეზინის ჩექმებში იყო გამოწყობილი. იორამს პირდაპირ შეშლილის სახე ჰქონდა. ფიქრებდით, ის ბრაზით გამოტენილი თვალეზი საცაა, ბუდიდან გადმოცვივლებიანო. ალბათ, ეს იყო, რომ იგინებოდა. ამას მაშინვე მიხვდებოდით. მეორე, ჩასუქებული და ვარდისფერსახიანი კი იმ გულიანი, თავდავწყებული სიცილის ავტორი უნდა ყოფილიყო: ვარდისფერი სახის ყოველი ნაკვთი და ცისფერი, გამჭვირვალე თვალეზი მას ახლაც უცინოდნენ. ბიჭი თავს დიდი ძალდატანებით იკავებდა და იორამის ხათრი თუ შიში რომ არა, ალბათ, ახლაც გულიანად იხითხითებდა.

იორამს ფეხებს შორის დიდი ურო ეჭირა. უეცრად იორამმა ერთხელაც შეივინა, ის ურო მოიქნია და, რაც

ძალი და ღონე ჰქონდა, ბიგებს მწკრივს შეახეთქა.

— ჰეი, ჰეი! შესძახა სარდიონმა. — რას შერები, ბიჭო? გადაიჩიე?

შახტის უფროსის გამოჩენას ის ორნი არ ელოდნენ. ცისფერთვალემა ჰუბუკი შეშინდა და სალდათივით გაიჭიმა (იქნებ, ჯარიდან ახალი ჩამოსულიც კი იყო). იორამმა კი სარდიონს ავი, უტები მზერა ესროლა, პირი-იბრუნა და რალაც ჩაიბურტყუნა.

— შენ გეკითხები! — აუწია ხმა სარდიონმა.

ცისფერთვალემა კიდევ უფრო შეტად გაიჭიმა (არა, ჯარი ნამდვილად ახალი მოვლილი ჰქონდა). იორამმა კი, ჯაჭღანა და უტებმა იორამმა ბიგებს ძირას, ჰენწყროში ჩაგარდნილ და ტარშეთითხნილ უროს თვალი შეავლო, სარდიონსაც აგდებით შეხედა და წაიჭაღანა:

— ვმუშაობ. რას უნდა ვშერებოდე!

ცისფერთვალემა შეშისაგან თვალეში გაუფართოვდა და ცხვირის ნესტოები დაებერა. სწრაფი მზერა თეიმურაზს შეავლო და ისევ გაიჭიმა. არა, სარდიონისთვის შეხედვის თავი იმას ახლა ნამდვილად არ ჰქონდა.

— მუშაობა შენს ენაზე, რას ჰქვია?

— აი, რასაც ვაკეთებ, იმას ჰქვია. — იორამი თვითონაც შემცბარი იყო, მაგრამ ასეთი ხასიათი ჰქონდა: შიშისგან, შეიძლება, სულიც გასძვრომოდა, მაგრამ შინც არავის არაფერში შეებუებოდა. თავხედური ლაბარაკი კი ვაჟა-ცობის უეჭველ ნიშნად მიაჩნდა.

— ჰმ!.. — სარდიონი ნოსელიძეს კარგად იცნობდა და ამიტომ არაფერს ვაჰვირგებია. — გასაგებია. ახლა ჰოკლედ და გასაგებად მითხარი, აქ რას აკეთებ?

— რას უნდა ვაკეთებდე? გერას-ვე ცნობილაქემ — ქვედა სანგრევში ზუთი-ეჭვის ბიგა გამოარჩიე და საკონვეიერო გადაამაგრეო. რა? არ გადაამაგრებინა?

— მერე?

— რა, მერე? ავლექი და გადაამაგრებინა?

რე.

— რომელი მეზიგე შენ მკვებარა?

— აბა, მთელი ჩემი სუცოცხლუ ნინაბი ვიქნო? ახალგაზრდა კადრებს თქვენ ასე იმასშობით?

— სუ, სუ!

— მერე?

— რა — მერე?

— აქ რალას აკეთებ?

— რას ვაკეთებ და არ ჩაიბარა, ბატონო!

— რატომ?

— შე რა ვიცი... ორი ბიგა ყანყალბასო.

— იფ!

— იფ... ის ბიგები მოკლე გამოდგა და ჩემი ბრალია?!...

— არა, ეგ სანგრევის ბრალია. შენ რა დამნაშავე ხარ. სანგრევი ბიგებზე მალალი გამომდგარა და შენ რა შუაში ხარ?

— დაცანება ადვილია...

— ნოსელიძე!

იორამმა ხმა ჩაიგდო. სარდიონს მზერა აარიდა.

— აქ რალას აკეთებ? — სარდიონმა ნათურის შუქი სანგრევში მოატარა.

— არაფერს.

— შინც?

— ე იმ ფიცრების გამოძრობა მინდოდა. ამ გვირაბს შინც დღეს თუ ხვალ გადაკეტავენ და...

— იფ!

— აბა, ყველაფერზე ზევით და ქვევით ვიზბინო?

— არა, როგორ გეკადრება! როგორ გეკადრება! როგორც მოგეხასიათოს, როგორც შენს სულსა და გულს გაეხარდება, ისე მოიქეცი — სარდიონმა წარბები შეიკრა და იორამს თითოთ ანიშნა, აღარ შემომეკამათოო. — მერე ცისფერთვალემა მიუბრუნდა: შენ რა გვარი ხარ?

— ნემსიწვერიძე.

— რამდენი ხანია, რაც ჩვენთან მუშაობ?

— მეორე კვირაა. — უსაშველოდ გაჩვიული ნემსიწვერიძე ძლივს სუნთქავდა.

— სული მოითქვი, ადამიანო. ისე, კარგი მასწავლებლისთვის მიუბარებ ხარო. იმის მაგივრად, რომ ფიცრება საწყობიდან ჩამოიტანოს, დადის და სანგრევებში აძრობს. — სარდიონმა იორამი დაცინევით შეათვალიერა და ისევ ნემსიწვერიძეს მიუბრუნდა: ჩვენებური ხარ?

— დიახ.

— სოფელი?

— ბედისეულიდან.

— ამას წელან რა აჯაღანებდა?

— ამას... — ნემსიწვერიძე უეცრად შეჩერდა. მერე, მოულოდნელად, ვარდისფერი სახე აუთამაშდა და კინალამ წელანდელი თავშეუკავებელი სიცილი აუტყდა. ხელი სასწრაფოდ ტუჩებზე მიიღო და პირი იბრუნა.

— რა იყო, ბიჭო? — სარდიონმა დიმილი ვერ შეიკავა.

— ისა... — ნემსიწვერიძემ გულიანად გადაიხარხარა და მერე სწრაფად, მობოდიშებდავით წამოიძახა. — ფიცარი თითო დაუტევეყა. ხი-ხი-ხი!

სარდიონს ისევ ჩაეღიმა და ნათურის შუქი იორამს შიგ თვალებში მიანათა. იორამმა პირი იბრუნა და რაღაც გააუთრებელი კილოთი ჩაიბურტყუნა.

— რაო? — სარდიონს უკვე მრისხანე კილო ჰქონდა, — რა ბრძანე?

— არაფერი. — იორამი ახლა კი აშკარად წახდა.

— ჰო... ასე... აბა, კარგად ბრძანდებოდეთ! ფიცარი კი საწყობში ბევრია, სუფთა ჰაერზეც გაისეირნებ და აღარც ხელი დაგეჭეპყება.

სარდიონმა სანგრევის კედლებზე ერთხელაც მოიტანა ნათურის შუქი და მთავარი შტრეკისაკენ დაეშვა. თეიმურაზი უკან დაედევნა.

მთავარ შტრეკში ერთ ხანს ისევ მღუმარედ მიდიოდნენ. თეიმურაზი ხედავდა, რომ სარდიონი ქოშინებდა და მძიმედ სუნთქავდა. ალბათ, იმ აღმართიან გვირაბში ასვლა-ჩამოსვლამ და სანგრევში ხმის ამოდღებამ გული ამოუუგდო. ან რომელი ახალგაზრდა ეს იყო?

შემდეგ, ასე ორასიოდე ნახიჯი რომ გაიარეს, სარდიონმა თეიმურაზს დიმილით შემოჰხელა: *შეგაღიწიე*

— არა, ხელის დატევეყა მართლაც ძალიან მწარეა, ღმერთმა ნურავის განაცდევინოს, მაგრამ... მაგი ბიჭისგან მეშახტე — მაინც, რა ვიცი... — თავი ფიქრიანად გადააქნია და განაგრძო. — პირველი წელიწადი არაა, რაც შახტში მუშაობს. პატიოსანია, სანდო, არ გიმტყუნებს, თუ რაიმე დაშავა, წლეგანდელი ფიცრების გამოძრობისა არ იყოს, თითონვე გამოტყდება, მაგრამ... მაინც... თქვენ, ბატონო თეიმურაზ, ალბათ მოგეხსენებათ, მწერალი სულხან-საბა ორბელიანი რომ ბრძანებს ხოლმე: ორნი არიან ამისა და ამის მოქმედნიო. აქვს ასეთი გამოთქმა სულხან-საბა ორბელიანს, თუ არა ვცდები, რასაკვირველია. — სარდიონი სახეზე წამოწითლდა. და სულ ტყუილად: მას გადაავიწყდა, რომ თეიმურაზ არგევანიძესაც პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული და სულხან-საბა ორბელიანის შემეკიდრეობაზე ზუსტად ისეთივე წარმოდგენა ჰქონდა, როგორც თვითონ სარდიონს, არც მეტი და არც ნაკლები. — სულხან-საბა რომ ბრძანებს, ორნი არიან... ჰოდა, იმისი არ იყოს, ორნი არიან მეშახტეებიც ერთნი პირდაპირ მეშახტეებად დაბადებულან. ამ შახტებშიც, ამ ჭურღმულებშიც ისევე უბრალოდ მუშაობენ, როგორც სხვები, ვთქვათ, ზევით კამფეტებს ქალაღში ახვევენ. მუშაობენ და არიან. ასეთები შენც ბევრი გეყოლება. მეორენი კი, ამ ბაჭისა არ იყოს, თითქოს იმადლებიან, აი, შემომხედეთ. მე მეშახტე ვარ, უბრალო ვინმე არ გეგონოთ, ყოველ წუთს ზიფათი მომქლის, ყოველ წუთს ბნელეთსა და გასაჭირში ვარ. ასეთები ბოლოსდაბოლოს ვეღარ უძლებენ და ზევით, ისევ კამფეტების ფაბრიკებში გარბიან. ჰოდა, რა ვიცი, ეგ ბიჭიც... არა, მე ისეთს კი არაფერს ვამბობ, მშრომელია, მუყაითია, საცოლევც ჰყავს, დაოჯახებას აპირებს... უნდა დადინჯდეს, ამ ყვირილ-

სა და აჯაღლანებას უნდა მოუტელოს. ან მაგისი ჭაჭლანი ვის შეაშინებს? ჰოდა, ენახოთ. ჭერჭერობით კი მაგის მუშაობას დიდი წუნი არ დაედება.

მხარმარაჯვნივ კიდევ ერთი ბრემსბერგი იწყებოდა. სარდიონი შეჩერდა.

— ავუხვიოთ.

ალმართიან ბრემსბერგზე რკინიგზის შპალეებით ოციოდე ნაბიჯი რომ გაიარეს, სარდიონი ისევ შეჩერდა და ნათურის შუქი ჰერს მიუშვირა. ჰერს სქელი განიერი ფიცრებით საიშედოდ იყო გამაგრებული. ოლონდ ეს იყო, რომ ის ფიცრები ერთიანად წყლით იყო გაქვნილი. ფიცრებს შორის ზშირად წყლის წვეთები ცვივოდნენ. მერე სარდიონმა ნათურა დაუშვა და ერთი ბიგა გამოჩრევით შეათვალიერა. მერე ნათურის შუქი ისევ ჰერზე მოატარა.

— შეხედე! ასე წელიწადი რომ გავიდეს, ეს ჰერი ასე იქნება, ძვრასაც ვერაფერი უზამს. და იცოდე შენ, ჩემო თეიმურაზ, რომ მთავარიც სწორედ ეს არის. შახტში ადამიანს ბევრნაირი ხიფათი ელოდება და ბევრი უკუღმართობა ხდება, მაგრამ თუ ჰერი მაგრად და საიშედოდ არის გამაგრებული, მაშინ მეშახტეც მშვიდაადა. მე შენ გეუბნები. ზევითაც ხომ ასეა: თუ ცა მოწყენილია და გრილა ადამიანიც ჩინებულ ხასიათზეა, და თუ ცაზე შავი ღრუბლები ირევიან, მაშინ ადამიანიც შეშფოთებული და აწრიალებულია. ასე არ არის?

— ღიახ, ასეა.

ჰოდა, ასე. თუ ჰერი საიშედოა, მაშინ უბანზე ყველაფერი საათივით აეწყობა. ამიტომ შენი მთავარი დასაყრდენი მებეგეები უნდა იყვნენ. შენი წინამორბედი, ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი, პროფესიით თვითონაც მებეგე იყო და ეს — შეხედე — ეს მთელს მის უბანს თვალდათვალ ეტყობა.

სარდიონმა ნათურის შუქი ერთხელაც მოატარა ბიგებს, და წინ წავიდა.

— ხომ არ გეწყინა, შენი წინამორ-

ბედი რომ შევაქე? — სარდიონმა თეიმურაზს ალმაცერად გამოჰქვდა.

— როგორ გეკადრებამთქმე! — არც უნდა გეწყინოს. — ეს სიტყვები სარდიონმა მაშინ წარმოთქვა, როცა რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს. — რაშიც ვარგოდა. ვარგოდა. რას იზამ? ხომ არ წაართმევ? ა? რას იტყვი?

თეიმურაზს სათქმელი არაფერი ჰქონდა. სარდიონს გაუღიმა და მხრები აიჩეჩა.

ბრემსბერგი რომ აათავეს, სარდიონს გული უკვე ამოვარდნაზე ჰქონდა. მაგრამ ცდილობდა, არაფერი შეემჩნია. რკინიგზის ბოლოდან ხუთიოდე ნაბიჯის დაშორებით სქელი ყვითელი მორის ნესტიანი გადანაჰერი ეგდო. სარდიონი მასზე ჩამოქდა, ღრმად ამოისუნთქა და თეიმურაზს ხელით ანიშნა, მოდი და გვერდზე მომიჯექითო. ახალგაზრდა ინჟინერი დაჯდა, ჩაფხუტი მოიხადა და შეოფლილი შუბლი იდაყვით მოიწმინდა. თითქოს ინჟინრის საქციელი ჰქუაში დაუქდაო, ჩაფხუტი სარდიონმაც მოიხადა და შუბლი იმანაც მოიწმინდა.

— ახლა შახტის არისტოკრატის გაგაცნობ. — ღიმილით უთხრა სარდიონმა თეიმურაზს.

— ბატონო?

— შახტის არისტოკრატის, — შემონტაყეებს. — და სარდიონმა რატომღაც გულკეთილად, ფიქრიანად გაიღიმა, თითქოს რაღაც გაახსენდა და იმ მოგონებას უღიმიოსო.

გული კი სარდიონს მაინც მძიმედ უცემდა. ბარე ორმა, თუ სამმა წუთმა გაიარა, სანამ შახტის უფროსი დამშვიდდებოდა. მერე ჩაფხუტი ისევ დაიხურა.

— თქვენც დაიხურეთ. ნაოფლარზე გაცივება იცის. — სარდიონი რატომღაც თქვენობით ალაპარაკდა. თეიმურაზმა ეს იმათდამი პატივისცემას მიაწერა, ვიზეც ახლა სარდიონს უნდა ელაპარაკა. — თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ამხანაგო თეიმურაზ, თუ რამდენნაირი ხასიათისა და ჭურის ადამიანს შეიძლება შეხედეს კაცი ჩვენს

შახტებში. აგერ, იმ გვირაბის ბოლოს, ზედა სანგრევში, ახლა მემონტაჟეები და ელექტრიკოსები მუშაობენ. მუშახტებშია მაგ სანგრევში გამოშვებული სივრცე ჩამოანგრის. ეს ხომ იცი, როგორ და რატომ კეთდება? ჰოდა, მაგათ ახლა კონვეიერი გადააქვთ, ესე იგი, მემონტაჟეებს. დიდი არაფერი სპეციალისტები მყვანან. სულ ორი თუ სამი ტიპის მოტორს თუ დაშლიან და ააწყობენ, იციან, ჩემო ბატონო, საშახტო ელექტრომწოყობილობის ავანჩავანი, ისიც ძალიან ზერეღეთ. იცნობენ კონვეიერებს, რეშტაკებს... ერთი, სიტყვით, ბევრი არაფერი. მარტო ის იციან, რაც შახტში ეყოფათ. მაგრამ ახლა ერთი დაუკვირდით თქვენ, მაგათ თავი როგორ უჭირავთ. ჰო-ჰო-ჰო-ჰო!... ვინაა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ან შახტის უფროსი, ან ტრესტის მმართველი, ან ვინც გინდა... გინდაც მინისტრი... პირდაპირ სასაცილოა. აჲ.. ხა-ხა-ხა-ხა!.. ნამდვილად სასაცილოა არაფერში ერევან, თავს არავის უყადრებენ, თუ დაჭირდათ, წასვლით დაგემუქრებიან... იციან რომ ასე ადვილად მინც ვერ შეეღვები. ერთი სიტყვით, თავზე ბუზს არ იჭენენ. ჩვენც მეტი რა ჩარა გვაქვს, რაც შეგვიძლია ვეფერებით. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. შენ მაგათი ბრიგადირი, გრიშა ოდიბაშვიცი უნდა განახვა და ახლავე ნახვე კიდევ. ხა-ხა-ხა!.. ამ ხნის კაცი ვარ და მაგისტანა საინტერესო კაცი ჯერ არ მინახავს სხვების არ ვიცი და მაგისი საქციელის შემხედვარე მე პირდაპირ ვერთობი. არც ცირკი მინდა და არც თეატრი.

დავიწყით იქიდან, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომ კაცმა არ იცის, ეგ გრიშა ოდიბაშვიცი ქართველია, რუსი, ოსი თუ სომეხი... არც თვითონ იცის. სადღაც აქვთ. ქუთაისისკენ კია გაზრდილი. ამ თავის ამბავს ძალიან სასაცილოდ ჰყვება. ჯერ არ მინახავს, კაცს თავისი თავი და თავისი მშობლები ასე გაემასხრებიანოს. ერთხელ სადღაც ვსვამდით, — აღარ მახსოვს, ვის ოჯახში იყო, — და მოჰყვა: პირველად, მახსოვსო, სულ პატარა

რომ ვიყავი, ერთი ქალი და კაცი მზრდიდნენ. ორივე კარგად მეტყუოდან. არასოდეს გაუღლახავარ და მეც ისინი დედ-მამა მეგონათ. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ორივე უკვალოდ გამოქრაო. ბავშვისთვის არც საქმელი დაუტოვე-ბიათ, არც სასმელი და სადღაც გადაკარგულან. ამ შენი პატარა გრიშას ღრიალმა, თურმე, მთლად აიღო იქაურობა, მართლაც როგორი საქმეა? საშადლოდ მეზობლები აკმევედნენ და თან იმ დედ-მამის სულს უგინებდნენ. მე კი ისე მშოიდაო, ამბობს, რომ ოღონდ კი ეკმიათ და რამდენიც უნდოდათ, იმდენი ეგინებინათო.

— კარგი და პატიოსანი. რამდენიმე დღეც რომ გავიდა, მარტო ის კაცი — მამა დაბრუნებულია. თან ვიღაც სხვა ქალი მოიყვანა. რომ ჩავაცვიდი, დედა რა ეჭა, ან ეს ქალი ვინ არისო, გამიშალა და ჩემს სიცოცხლეში პირველად მტკიცა, თან მოაყოლა, — რა ტვინი წაიღე, შე ძალღიშვილო. ესეც ქალია და ისიც ქალი იყო, შენთვის სულერთი არ არის, დედას ვის დაუძახებო?

— რალს იზამდა ეს ჩვენი პატარა გრიშა ოდიბაშვიცი, ბედს შეურიგდა და დედას ძახილი ახლა იმ ქალს დაუწყო. კარგი და პატიოსანი. ერთი ხანი რომ გამოხდა, ახლა ეს მეორე წყვილი არ დაიკარგა? აღარც მამა ჩანს და აღარც ის მეორე დედა. ისევ ღრიალი, ისევ მეზობლებში წანწალი... ისევ ის ძველი ამბები. — საშადლოდ კმევა. მუჭლუგუნები და დედ-მამის სულის გინება... გავიდა რამდენიმე დღე და — ახლა უკან მარტო ის ქალი — მეორე დედა დაბრუნდა. თან ვიღაცა სხვა კაცი მოიყვანა. მამა კი აღარ ჩანს. ამ ჩვენს გრიშას მაშინდელი ალიყური ახსოვდა და რამდენიმე დღე ხმა არ ამოუღია. მერე ველარ მოითმინა და ამ ქალს — მეორე დედას ჰკითხა, მამაჩემი სად არისო. ის ქალი. ალბათ, იმ წუთში ცუდ ხასიათზე იყო. მამაშენს მოგცემ მე შენო — და რომ ცეცხლა. თურმე ყურისძირში, თვალებიდან სულ ნაბერწყლები დააყრევინა. მერე, თურმე, ესენიც გა-

დაიკარგნენ. მერე ეს ბოლო კაცი გამოჩნდა, თან ვიღაც ახალი ქალი მოიყვანა და ასე... თავის ამბავს ასე მოჰყვას ეს წყეული... სანამ წამოვიზრდებოდით, თქვა, იმის კითხვა-კითხვაში, ჩემი დედასად არის და ჩემი მამა სად არის, იმდენი მირტყეს, რომ დედაც შემძულეს. მამაც, მათი სახსენებელიც და, მაგათი გასაგონივით. ამიტომაც, რომ არც კი ვიცო ვინა ვარ, სადაური და საიდან მოვდივარ. ეს კი, რომ საქართველოში გავიზარდე, ქართულის მეტი სიტყვა არ ვიცი და ამიტომ ქართველებს და საქართველოს ვენაცვალეო! აბა! ჰა-ჰა-ჰა!

საყუთარმა ნამშობმა სარდიონი გაამხიარულა. კარგა ხანს გულიანად იცინოდა. მერე, როგორც იქნა, სიცილით გული მოიოხა და განაგრძო:

— ახლა აი, ეგრე გაზრდილი ბავშვი როგორი კაცი დადგა: თავის ბრიგადაში საქმე ისე აქვს დაყენებული, რომ მაგისი სიტყვა კანონია. როგორ ახერხებს ამას, ეს მე არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ მაგისი ხმამალალი სიტყვა ჯერ კაცს არ გაუგონია. ყველას, თოთო ბავშვსაც კი, მუდამ თავაზიანად ელაპარაკება. სიტყვა-პასუხი, მოქცევა, თავის დაჰქერა — უკეთესი ნუ გინდა. და რაც მთავარია — ჩაცმა-დახურვა, თ-ჰო-ჰო-ჰო! ჩაცმა-დახურვა და თავაზიანობა. ეგ კაცი იმისთვის ცოცხლობს, რომ კარგად ეცვას, კარგად ეხუროს და თავაზიანად ექცეოდნენ. და თვითონაც სხვებს თავაზიანად ექცეოდეს. მეტი მაგას არაფერი უნდა. ამდენი ხანია, ერთად ვმუშაობთ და ჯერ ეგ კაცი მე უგალსტუკოდ არ დამინახავს. გჯერა? საერთო გარდერობში საყუთარი კაბინა აქვს. შახტიდან ამოვა თუ არა, გასუფთავდება, გაკრიალდება, — ერთი ელექტროსაპარსი შახტზე აქვს, მეორე სახლში, — ქათქათა პერანგს ჩაიცვამს, გალსტუკს გაიკეთებს და — ისე გამოემცხადება. ქვეყანა რომ იქცეოდეს და ტელეფონები დავამტერიო, გრიშა ოდიბაშვიცი თავის წესს არ გადაუხვევს. ოღონდ როგორც კი კაბინეტში შემოვა, უთუოდ უაღრესი თავაზიანობით

მომესალმება: დიას, ბატონო სარდიონ, გისმენთ, ბატონო სარდიონ, ელაპარაკე კოდ, ბატონო სარდიონ. [აბა! იცი! უხე... თია ეს გრიშა ოდიბაშვიცი. მაგრამ ეს იცოდე თავისი საქმე იცის. ოოო! საქმეში — უკეთესი ნუ გინდა. თვითონ მითხრა: ბატონო სარდიონ, ოღონდ მე თავაზიანად მომექეცი, უხეშ მოქცევას ვერ ვიტან, და ბიჭებს ნუ მიწყენინებ, ფული კარგად გამოუწერეთ, სამაგიეროდ რაც გინდა, მთხოვეო. და ამ სიტყვას მართლაც ანაღდებს. ზოგჯერ სანგრევში კონვეიერი დამის სამ საათზე შეიქნება ხოლმე გასატანი. ეგ ბიჭები საერთო საცხოვრებელში ერთად ცხოვრობენ. უმეტესობა უცოლშვილია. მაქსიმუმ თხუთმეტ წუთში შეიკრიბებიან, ჩავლენ და — იწყება კონვეიერის გადატანა. საერთოდ, მაგათ მტკიცე გრაფიკი არცა აქვთ. შახტზე მამინ მოდიან, როცა საჭიროა. შემთხვევა ყოფილა. რომ მემონტაჟეებს შახტში ზედიზედ ორი დღედაღამე უმუშავიათ და სანამ საქმე არ მიასიკვდილეს, ფეხიც არავინ მოიკვალა. ზევით მარტო ოდიბაშვიცი ამოდიოდა. სამაგიეროდ, თავისუფალ დროს — რა სიმღერები გინდა, რა გიტარა და რა დროსტარება, მაგათ რომ იცოდნენ. ა? რას იტყვი? არ არის საინტერესო ხალხი? რაც გინდა მომთხოვე, ოღონდ ნუ დამიყვირებო. ა? ხა-ხა-ხა-ხა!...

— ნამდვილად საინტერესოა.

— ნამდვილად, ნამდვილად. აბა, წავიდეთ!

მემონტაჟეები ზედა სანგრევში მუშაობდნენ. შესახედავად ისინი არაფრით გამოირჩეოდნენ დანარჩენი მუშახტეებისაგან — ისეთივე ბრუნეტის ჭუჭყიანი სპექტანსაცმელი, ისეთივე რეზინის ჩექმები, მოუხეშავი ჩაფხუტები და აკუმულატორიანი ნათურები. მაგრამ ეს ყველაფერი მათ როგორღაც უფრო მოხდენილად ჰქონდათ მორგებული. თავიანთ სპექტანსაცმელს ისინი გაჰირვებით კი არ ითმენდნენ, როგორც, ვთქვათ, იორამ ნოსელიძე, არამედ ისე უყურებდნენ, როგორც საჭირო და ნო-

რამალურ სამოსელს. ეს ბრეზენტი ქუქ-  
ყიანი და მოუხეშავია? მერე რა? სამუ-  
შაო დღე სულ რვა საათს გრძელდება  
— მერე ეს გაიხადე და რაც გინდა ის  
ჩაიცივო. სახეების გამომეტყველებაც  
მემონტაჟეებს უფრო მშვიდი, ფიქრია-  
ნი და კეთილგანწყობილი ჰქონდათ. შახ-  
ტის უფროსს ისინი ხალისიანი თავა-  
ზიანობით და ამავე დროს საკუთარი  
ღირსების გრძნობით შეხედნენ: ასევე  
თავაზიანად მიესალმნენ თეიმურაზსაც.  
მერე კი, როცა სარდიონი დაშლილ,  
გადასატანად დამზადებულ კონვეიერს  
გაცდა, მემონტაჟეები ისევ თავიანთ  
საქმეს მიუბრუნდნენ. დროგამოშვებით  
ერთმანეთს მოკლედ, მშვიდი კილოთი,  
ხმის აუმაღლებლად ესიტყვებოდნენ და  
საქმე სწრაფად მიიწევედა წინ.

„მიწისქვეშეთის ნამდვილი ბატონ-  
პატრონები, ალბათ, ესენი არიან. —  
გაიფიქრა თეიმურაზმა. — სარდიონი  
ტყუილად კი არ მელაპარაკა ამთხე ასე  
საგანგებოდ, ესენი დაიმეგობრე და აქა-  
ღრობაც შენი იქნება“.

თვითონ გრიშა ოდიბაშევი ზევით,  
სანგრევის ზედა ბოლოში იჯდა. ფეხი  
ფეხზე გადაედო, ჩაფხუტი მუხლზე  
დაედო და... პაპიროსს ეწეოდა.

„მეთანიან შახტში — პაპიროსი?!“ —  
თეიმურაზს ძარღვებში სისხლი გაეყინა.

სარდიონს სახეზე სიწითლემ გადაჰკ-  
რა. შახტის უფროსს კარგად ახსოვდა,  
რომ გრიშა ოდიბაშევს მუდამ, ყოველ-  
გვარ გარემოებაში თავაზიანად უნდა  
მოქცეოდა, მაგრამ... ასეთი თავხედო-  
ბა?! სანგრევეში — გაჩაღებული პაპი-  
როსი?! ასეთი გაუგონარი, წრესგადა-  
სული თავხედობა?! და ოდიბაშევმა ისე  
დაჰკარგა ყოველგვარი სირცხვილ-ნამუ-  
სი, რომ აღარც სარდიონს ერიდებდა? ..

თეიმურაზმა შეამჩნია, რომ ოდიბაშე-  
ვი აშკარად შემცბარი იყო. არა, გრიშა  
ოდიბაშევი ბავშვივით არ დაიბნევა და  
აღარც პაპიროსს გადამაღლავს. რაღა  
დროსია? რაც მოხდა, მოხდა. ამას აღა-  
რაფერი ეშველება. რა თქმა უნდა. სა-  
ძრახისი საქციელია. გამოცდილმა მე-  
შახტემ, თანაც ბრიგადირმა, შახტში

პაპიროსის გაბოლება არ უნდა იკად-  
როს, მაგრამ...

ოდიბაშევმა პაპიროსს აფიქრებელი  
მომართობით მისარისა ნესტიან ბიჯაზე,  
წამოდგა, სარდიონს შებლქვეშიდან, გა-  
მომცდელად გამოჰხედა და სალამის  
მისაცემად მოემზადა.

გრიშა ოდიბაშევი ოცდათხუთმე-  
ტიოდე წლის, მალალი, კარგად მოყვანი-  
ლი, მაგრამ გამბდარი, შავთმიანი და  
შავთვალემა კაცი იყო. ზედა ტუჩს  
წვრილი, შავად წაპიწკინებული უღვა-  
შები უმშვენებდა. და თეიმურაზი სწო-  
რედ იმ გაუგონარად მოვილილმა უღვა-  
შებმა დაარწმუნეს, რომ ამ ქუქყიან  
სპექტანსაცემელსა და ვეება რეზინის  
ჩექმებში ჩაცმულ კაცს თავის მოვლა  
და კობტობა უყვარდა და კიდევ ეხერ-  
ხებოდა.

— გამარჯობა! — სარდიონმა ოდიბა-  
შევს მზერა აარიდა და თავის ნათურას  
მინაზე ხელი გადაუსვა. თეიმურაზმა  
დაინახა, რომ სარდიონს სახეზე სიწით-  
ლე სულ უფრო და უფრო ერეოდა.

„დაუყვირებს? თუ თავს შეიკავებს  
და აპატიებს?“

— სანგრევი ორივე მხრიდან ნიავ-  
დება, ბატონო სარდიონ. — უკიდურე-  
სი თავაზიანობით, თავის მდაბალი დახ-  
რით მოახსენა ოდიბაშევმა. ვერც კი  
გაარჩევდით, სარდიონს მართლა ასე-  
თი მოწიწებით ექცეოდა, თუ დასცინო-  
და. — გაზის აფეთქება ნამდვილად გა-  
მორიცხულია. ჩემი საქციელი კი დასა-  
გმობია მხოლოდ იმ მხრივ, რომ შეიძ-  
ლება ახალგაზრდა, გამოუცდელმა მე-  
შახტეებმა მომბაძონ და პაპიროსი იქ  
გააბოლოონ, სადაც აფეთქების საშიშრო-  
ება ნამდვილად არსებობს.

— მერე?

— არაფერი. ვაეკაცურო სიტყვას გაძ-  
ლევთ, რომ ეს საქციელი აღარ განმე-  
ორდება. გრიშა ოდიბაშევს თქვენ იც-  
ნობთ.

კარგა გრძელი, მძიმე პაუზა ჩამოვარ-  
და.

— კარგი. — წაიბურტყუნა ბოლოს  
სარდიონმა. — პირობა პირობაა, მე

ჩემს დაპირებას ვასრულებ, მაგრამ ასეთ საქციელს შენგან ნამდვილად არ გელოდი.

— ნამდვილად დამნაშავე ვარ.

— კარგი. რაც იყო, იყო... მართლაც ხომ შეიძლება, ახალგაზრდებმა მოგბადონ. შენ თითონვე გცოდნია და მე რაღას მალაპარაკებ? კარგი, კარგი... მორჩა! ისა... გაიცანი — უბნის ახალი უფროსი, ინჟინერი თეიმურაზ არჭევანიძე.

— ოოო! — ოდიბაშევი თვალის დახამამებაში გულდია, ხალისიან, უკიდურესად კეთილგანწყობილ მასპინძლად გადაიქცა. თეიმურაზს ხელი ფართო ექსტით ჩამოართვა და მერე აღარც გაუშვა. — ბატონო ინჟინერო! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ამ სანგრევში და ჩვენი დახვედრა. სიმპატიური ახალგაზრდა ინჟინერების სამსახურად ჩვენ მზად ვახლავართ მარად და ყოველთვის. იმედი მაქვს, რომ ერთმანეთს მართო მიწისქვეშეთში არ შევხვდებით. სხვათა შორის... — ოდიბაშევი წამით ჩაფიქრდა, მაგრამ თეიმურაზის ხელი არ გაუშვია. — ბატონო სარდიონ! სხვათა შორის, დღეს, საღამოს რვა საათისთვის ჩვენ, რამდენიმე უცოლშვილო ახალგაზრდა... არა, მართალია, თქვენ ცოლშვილიანი ბრძანდებით, მაგრამ...

— არა! — მოუჭრა სარდიონმა. — დღეს ჩვენ მაგისტრის არ გვცალია.

— თქვენი ნებაა. — ოდიბაშევი მხრები აიჩეჩა და თეიმურაზს ხელი ახლა-ღა შეუშვა.

— სხვა? საქმეები როგორია? — სარდიონმა თავისი ჩვეულებისამებრ ნათურის შუქით სანგრევის ჭერი და ედლები მოაფათურა.

— საქმეები კარგად.

— კონვეიერის მალე გადაიტანთ?

— ზუსტად სამი საათისათვის. მეორე ცვლას შეუძლია, მოვიდეს და პირდაპირ კონვეიერი ჩართოს.

— კარგი. ასანთი ხომ არ დავიტოვოთ?

— მე მოგახსენეთ...

— კარგი. კარგი! აბა, ყოჩაღად იყავით!

ოდიბაშევი სარდიონის დათმობის ში წელში მოხრითა და თავის მდამალი დაკრით გამოაცილა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ არ იქნა და წელანდელ შეცბუნებას თავი ვერ დააღწია.

— მამაძალიშვილი — წაიბურტყუნა სარდიონმა, როცა სანგრევიდან გამოვიდნენ და ისევ ბრემსბერგს დაჰყვნენ. — არა, ეგ სანგრევი მეთანის მხრივ საშიში მართლა არ არის. ორთვე მხრიდან ძლიერ ნიავდება, მაგრამ... ხომ შეიძლება, დენი უცბად გამოიროთოს, ან სხვა რამე მოხდეს. შახტში რა არ ხდება? მაგრამ არა უშავს, ერთი კარგად მოველაპარაკები. თორემ მართლა ძალიან ვათავხედდა. აბა, ახლა კი, ჩემო თეიმურაზ, მეზიგეებისკენ, მეზიგეები ჰოვინახულოთ და ჩვენი დღევანდელი საქმიანობაც ამით დავამთავროთ.

ბრემსბერგის დანარჩენი ნაწილი უხმოდ ჩაიარეს. შემდეგ მარცხნივ შეუხვიეს. — ისევ რომელიღაც დაბალ, ძალიან ნესტიან და ჩახუთულ გვირაბში გაძვრნენ, — აქ რატომღაც გოგირდის სუნი იდგა, ქვედა სანგრევში შეაღწიეს. ბიგეების გრძელ მწკრივს გაჰყვნენ და სანგრევის ბოლოში გავიდნენ. იქ სუსტ სინათლეზე რამდენიმე მეშახტე ჩალიჩობდა. როცა ახლოს მივიდნენ, თეიმურაზმა მათ შორის ის ცალთვალა, ხანდაზმული მეზიგე, გერასიმე ცნობილად იცნო, კრებაზე მის წინააღმდეგ (უფრო უკეთ, ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის დასაცავად) რომ გამოვიდა. აქვე იყო ლამაზი, ჭალარა კომპანიერი იულო სოფრომაძე, არქიტო ცალუღლიშვილი, აქვე ამოსულიყო იორამ ნოსელიძეც. — ალბათ, თავის საქმე მოათავა და ახლა სანგრევის უბესთან ბიგის გადასაჭერზე იჯდა.

არა, თეიმურაზმა წელან, ალბათ, ცოტათი ნაჩქარევი დასცენა გააკეთა. რა თქმა უნდა, მემონტაჟეები მართლაც საჭირო და ანგარიშგასაწყები ხალხია, მაგრამ ამჟამად, რომ უბნის ხერხემალი



მაინც ეს რამდენიმე კაცია. — აი, სწორედ ეს ბერიკაცები, სანგრევის ზედა უბესთან რომ შეკრებილან და კომბაინის, თუ საყულავი მანქანის გარშემო ფუსფუსებენ. ეს მაშინ, კრებაზეც იგრძნობოდა. მემონტაჟები კი იმ კრებაზე არც გამოჩენილან, ალბათ, აქაოდა, თუ ამ უბანზე საქმეები აირია, ჩვენ სხვაგან გადავალთ, ჩვენ ყველგან ხელგაშლით დავგვხვდებით. კი, ნამდვილად ასე იყო. ისე კი ახლა, დასაწყისში, სარდიონი თეიმურაზს ყოველნაირად დაეხმარება, მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ თეიმურაზმა ამ ჰალაროსნებთან საერთო ენა ვერ გამოძებნოს. ლაპარაკი აღარ უნდა, ეს წლობით ნაშენები და ნარუდუნევი უბანი ჩალის ხუხულასავით დაიშლება და დაინგრევა. ამას თეიმურაზი ახლავე მშვენიერად გრძნობს.

მისალმებაზე სარდიონსა და თეიმურაზს შესატყუებმა, ცოტა არ იყოს, თავშეკავებულად უპასუხეს. ის კი არა, თეიმურაზს ისიც კი მოეჩვენა, თითქოს მას უფრო გულთბილადაც კი მიესალმნენ, ვიდრე შახტის უფროსს. ვინ იცის. პართლა ასე იყო თუ არა. ეს კი ნამდვილად მოხდა, რომ იორამ ნოსელიძეც კი — ის ანხლი, თავშეუკავებელი და ენაშტუმი იორამი ბიგის გადანაჭირიდან წამოდგა და თეიმურაზს თვალით ანიშნა, თუ გინდა, დაჭეკო.

ამან თეიმურაზს რატომღაც აფიქრებინა, ჩვენს აქ მოსვლამდე ეს შესატყუები ჩვენზე ლაპარაკობდნენ და მგონი, ცუდად არ ვუხსენებთ. იორამს ხელით ანიშნა, დაჯდომა არ მინდაო. და სანგრევის უბესთან გაჩერდა.

ქვანახშირის ფენის სისქე ამ სანგრევი (ისევე, როგორც ზედა სანგრევი) თითქმის ორ მეტრს აღწევდა. ზევით ჰერა იყო — მოციხფრო-ნაცრისფერა, გლუვი, ნესტიანი, წყლის წვეთებით შეწინწყლული კანები. თვითონ ქვანახშირის შავად და მოვერცხლისფროდ მზინავ ფენაში კი, მიწიდან დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე, საკმაოდ სქელი, თითქმის ერთი მეტრე-

ლი სისქის ფუტი ქანის ზოლი გასდევდა — ისეთივე მოციხფრო-ნაცრისფერი, გლუვი და ნესტიანი, მოგვარევი ქანები. და სანგრევის უბეში თეიმურაზმა ამ გლუვ ფენაზე მოულოდნელად გვიმრის ფოთლების უნაზესი, მკაფიოდ გამოსახული, შავადმბრწყინავი ანაბეჭდები დაინახა. ანაბეჭდები სამი თუ ოთხი ფოთლისა იყო. მილიონობით წლის წინათ თიხაში შემთხვევით მოხვედრილი გვიმრის ფოთლები ჩანახშირებულ იყვნენ. შავი ბრწყინვალეა შეკინათ და ისე მკაფიოდ, შეურყვენოდ და მომხიბლავად შენახული იყვნენ, რომ ადამიანს ვინმე დიდი, უცნობი შემოქმედის საგანგებო ნახელავი ეგონებოდა.

ამ შავ-ვერცხლისფრად მბრწყინავმა გვიმრის ანაბეჭდებმა თეიმურაზს რატომღაც ნათიას თეთრი, რბილი და თბილი თითები მოაგონა. ეჰ რა ცოტა ხანს, სულ რამდენიმე წამი თუ ეჭირა თეიმურაზს ის თითები თავის ხელებში. რა სწრაფად გაჰქრნენ ის დღეები!...

— რას აცეთებთ აქ, ვაყვაცებო? — სარდიონის ხმამ თეიმურაზი შეაკრთო.

მესატყუებმა გერასიმეს შეხედეს და შახტის უფროსისათვის პასუხის მიცემა იმას დააცალეს. ცალთვალა მეზიგე ახალ, შესაყენებლად გამზადებულ ბიგას მტკავლით ზომავდა. სარდიონის კითხვამ მას მაშინ მიუსწრო, როცა ბიგის ნახევარი თუ ექნებოდა გადამტკავლულა. მაგრამ ბერიკაცმა შახტის უფროსს მაინც პატივი სცა. ბიგის ზომვას მოეშვა, წელში აუჩქარებლად გაიმართა, მაგრამ მზერა რატომღაც თეიმურაზს შეავლო.

— გინდა აქ ერთი აფეთქება ავაფეთქოთ. ე! თუ ეს შვერილი არ გამოვიღეთ, კომბაინი ვერ მობრუნდება.

მესატყუებებს ნახშირის ფენა სწორედ იმ ადგილას უნდა აფეთქებინათ, სადაც გვიმრის ფოთლების ნატიფი ანაბეჭდები იყო თავმოყრილი. ამის გაგონებაზე თეიმურაზს უსიამოდ გააქრესო.

— მერე, რას უყურებთ? — სარდი-

ონა ნახშირის ფენა ყურადღებით შეათვალიერა.

— აღარაფერს. ამფეტქებელი მოვა და... ეგერ, მოდიან კიდევ.

ჭვევიდან ხვნიშით ამოძვრა ვეებერთელა ჩანთამოკიდებული ამფეტქებელი. მას ოციოდე წლის ახალგაზრდა ამოჰყვა, რომელიც ამონალით საცხე კიდევ უფრო დიდ ჩანთას მოათრევდა.

— შენა ხარ, სევერიან? რატომ დაიგვიანე?

— არ დამიგვიანია. ოთხი საათი არ თქვით? მერე?

— ახლა ხუთის ნახევარს აღარაფერი უკლია. მაგრამ არა უშავს. აბა, ჩქარა ქენი. ჩვენ წავიდეთ. — გერასიმე სარდიონსა და თეიმურაზს მიუბრუნდა, — საკონვეიერო შტრეკს შევეფაროთ.

რაქი შახტის უფროსი აქ იყო, მეშახტეები ყველა წესს იცავდნენ. თორემ სხვა დროს ნახშირის ფენის აფეთქებისას შეიძლებოდა სანგრევის მეორე ბოლოში ჩასულიყვნენ, ან სულაც შეაგულში გაჩერებულიყვნენ. აქ აფეთქების ძალა არ უწყევდა. ახლა კი სანგრევი მხოლოდ ამფეტქებელი და მისი თანაშემწე დარჩნენ.

საკონვეიერო შტრეკში ვილაცას ხის უბრალო, დაბალი სკამი ჩაედგა (შეიძლება, სულაც გრიშა ოდიბაშევა დაადგმევინა თავის ბიჭებს, რომ უფრო მოსვენებით ყოფილიყო). როცა ყველანი იქ შეგროვდნენ, გერასიმემ წელან და იორამის არ იყოს, — დაჯდომა თეიმურაზს შესთავაზა.

— როგორ გეკადრებათ... მე სულაც არ დავლლილვარ.

— შენი ნებაა...

— ესენი ძალას არაფერში არასოდეს დაგატანენ, — ღიმილით უთხრა სარდიონმა თეიმურაზს, — ერთხელ გეტყვიან, თუ გინდა, გაუგონე. თუ არ გინდა, ნუ გაუგონებ ეს უკვე შენი ნებაა.

— ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა. — გულგრილად დაუდასტურა სარდიონს გერასიმემ.

თითქოს, ყველაფერი ძველებურად იყო: შახტის უფროსი სანგრევიში მო-

ვიდა, მეშახტეები შეეგებნენ, კითხვებზე უპასუხეს, ისედაც გაესაუბრნენ მაგრამ—არა! აღარ იყო, გჭრა... დეღე... ბური გულითადობა შახტის უფროსსა და მეშახტეებს შორის, რომლითაც სარდიონი ფარულად ამყობდა კიდევ. აშკარად იგრძნობოდა, რომ ყველანი რალაციის მოლოდინში იყვნენ და არავინ იცოდა ის „რალაცა“ როდის და როგორ დაიწყებოდა, ეშმაკმა დალაზვროს! კიდევ კარგი, რომ ყველაზე ნაკლებ იმ „რალაციის“ მოლოდინს ეს ახალგაზრდა ინჟინერი გრძნობს და არხეინადაა. ან ვინ დაამტკიცა, რომ უბანზე ახლა უსათუოდ ვაიუშველებელი დატრიალდება? სარდიონს რატომღაც ამისი არ ეშინია.

— გურასაშვილი არ ყოფილა? — სარდიონი უკვე პირდაპირ გერასიმეს მიმართავდა. დარწმუნდა, რომ, რომელიმე მეშახტისთვის ახლა დაბადების წელი რომ ეკითხა, ეს მეშახტე პასუხის მიცემას მაინც ცალთვალა მეზიგეს დააძლიდა.

— იყო. ერთი საათიც იქნება. ამხანაგი თეიმურაზი იკითხა. მითხრეს, აქეთ წამოვიდაო. დღეს ამხანაგი თეიმურაზი ერთხელ უკვე ბრძანებულა შახტში. — გერასიმე სარდიონს პასუხობდა, სმენა და გულისყური კი სანგრევისკენ ჰქონდა, სადაც წუთი-წუთზე აფეთქება უნდა მომხდარიყო.

— იყო. იყო. ახლა მეორეჯერ ჩამოვიდა. — დაადასტურა სარდიონმა.

— კარგი დაგემართოთ! მეღველდური კარგი მეშახტია, უბანს იცნობს.

მოულოდნელად მთელი მიწისქვეშეთი საშინელმა გრილმა შეაზანზარა. იფიქრებდით, ფეხქვეშ მიწა ხომ გამოშვებულა და გამოშვებულა, მაგრამ ქერიც თავზე მენგრევაო. აქა-იქ, ჰერზე აკრულ ფიცრებს შორის პატარ-პატარა ქვები და ქანების ნატეხები მართლაც ჩამოცვივდა. თეიმურაზმა მთელი ძალდონე მოიკრიფა, რომ მეშახტეებს მისი შეკრთომა არ შეენიშნათ. მაგრამ მეშახტეები მშვიდად იდგნენ და ერთმანეთს ხმადაბლა ესიტყვებოდნენ. ამ ყურისწამლები გრილისა და მთელი მი-

წისქვეშეთის შეზანზარებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. შტრეკში ტრუსის სუნი შემოიჭრა.

— მორჩა? — იკითხა სარდიონმა.

— არა. კიდევ ერთი იქნება.

და ისევ გრიალმა შესძრა მიწისქვეშეთი. ამჯერად თითქოს ჭერზე აკრული ფიცრების კრიალი და მსხვერვის ხმაც კი მოისმა. ქანების ნატეხების უფრო ხშირი წვიმა წამოვიდა ჭერიდან. მეშახტეები კი ისევ მშვიდად იდგნენ და გულგრილად ესიტყვებოდნენ ერთმანეთს.

„იმ ჩემს გვიმრის ანაბეჭდებს ამ ვაიუშველიბელში რა გადაარჩენდა! — სევდიანად გაიფიქრა თეიმურაზმა. — აფეთქებითაც სწორედ ის ადგილი ააფეთქეს“.

ახალგაზრდა ინჟინერს გულში სინანულმა ვაკრა, ის ანაბეჭდებიანი ქანი რატომ ფრთხილად არ ამოვიღე და თან არ წამოვიღეო. მაგრამ როგორ უნდა აეხსნა ეს საქციელი მეშახტეებისთვის? არა, სისულელეა! ამისი დრო და ადგილი დღეს აქ ნამდვილად არ იყო. და საერთოდ დროა თეიმურაზმა ნათიხე ფიქრს ერთხელ და სამუდამოდ თავი დაანებოს. მორჩა! ეს ხალხი აქ, ამ ჭურღმულეებში ჩამომძვრალა და შრომობს, ოფის ღერის, ხალხსა და ქვეყანას ემსახურება... თეიმურაზი ამიერიდან მათი ამხანაგია. ნათია კი... ნათიამ თავისი გზა ეძიოს. მით უმეტეს, რომ... მით უმეტეს, თვითონ ასე ისურვა.

— წამობრძანდებით? — გერასიმემ ამ ერთი სიტყვით სარდიონსაც მიმართა და თეიმურაზსაც.

— უსათუოდ. — სასწრაფოდ თავი დაუქნია სარდიონმა.

სანგრევის ზედა კუთხეს, სადაც ყველანი სულ თხუთმეტიოდე წუთის წინათ იყვნენ, ახლა ვეღარ იცნობდით. არა, სანგრევი წელანაც ისევ ჩაბნელებული და ნესტიანი იყო, როგორც ახლა. ფეხებქვეშ კენჭყოს წელანაც კყაპაკყუბი გაუდიოდა. მაგრამ წელან მაინც ყველაფერი თავის ადგილზე იყო — ქვანახშირის ფენაც, ფუჭი ქანის მტკაე-

ლისნიმსხო ზოლიც, გლუვი ნაცრისფერი ჭერიც, ჩამწყრივებულ ბიგებზე... ნახშირის შავად მბრწყინავი ფენა წელან სწორედ იყო ჩამოთლილი, თითქოს გალესილი დანით მოუპირკეთებიათ... ამიტომაც იყო, რომ თეიმურაზმა გვიმრის ანებეჭდები მაშინვე დაინახა. ახლა კი... აფეთქების უხეშ, განუკითხავ ძალას ყველაფერი იავარყყო, უწყალოდ შეემუსრა. ქვანახშირის წელან სწორედ ჩამოთლილი ფენა მრავალ ადგილას იყო შენგრეული და შემზარავად პირდაფიქნილი. ჭერიდან ფუჭი ქანების ვეებერთელა ლოდები ჩამოშვებულიყვნენ. მიწაზე ერთმანეთში არეულიყო ქვანახშირი, ფუჭი ქანები, ბიგებისა და ფიცრების ნატეხები. არა, სწორედ გიჟი უნდა ყოფილიყავი, რომ ამ უაზროდ და უშნოლ დახვავებულ შავსა და ნაცრისფერ ბელტებში, ნახშირის მტვერსა და ფიცრის ნამტვრევებში ქალის თითებივით ნაზი ანაბეჭდების პოვნაზე გეფიქრა.

ახალგაზრდა ინჟინერი გერასიმესა და სარდიონს შორის იდგა და იავარქმნილ სანგრევს გულნატენი ღიმილით ათვალიერებდა.

— კარგია. — თქვა გერასიმემ.

— კარგია. — დაუდასტურა სარდიონმაც. — ეყოფა.

— აბა! — გერასიმემ დანარჩენ მეშახტეებს თავით ნახშირისა და ფუჭი ქანების შემზარავ გროვებზე ანიშნა. მეშახტეებმა ნიჩბები მოიმარჯვეს და გროვის გადარჩევას შეუდგნენ — ქვანახშირს აქეთ მარცხნივ ჰყრიდნენ. ფუჭ ქანებს კი მარჯვნივ. — გერასიმემ იორამ ნოსელიძე ქვევით, კონვეიერის ჩასართავად გაგზავნა, თვითონ კი ცული აიღო და წელანდელი ბიგა, მტკაელობით რომ ზომავედა, ახლა ცულის ტარით გადაზომა.

ქვევიდან იორამის ყვირილი მოისმა და იმავ წუთს კონვეიერიც არაკრავდა.

— ჯერ ქანი, თუ ჯერ ნახშირი? — მეშახტეებმა გერასიმეს გამოჰხედეს.

— ნახშირი. — მოკლედ მიუგო გერასიმემ.

მეშახტეებმა ხელისგულებზე დაიფურთხეს, ნახშირის გროვას ერთი-მეორის მიყოლებით მიუდგნენ და ერთი წამის შემდეგ მოისმა, თუ როგორი დამაყრუებელი ქუხილით დაეცნენ ნახშირის პირველი ბელტები კონვეიერზე.

— ამ ფუტკმა ქანებმა ჩვენი სიცოცხლე წაიღო, — თავის ქნევით უთხრა (უთხრა კი არა ჩაჰყვირა) სარდიონმა თეიმურაზს. — შენ იცოდე, ყველაფერი — შრომაც, ხარჯიც და ხიფათიც გაგვინახვერდებოდა, ნახშირის ფენაში რომ ფუტკი ქანები არ ერიოს. მაგრამ... ურევია და რას იზამ?

„მაგ ფუტკ ქანებზე წელან ძალიან ლამაზი ანაბექლები მოჩანდა“, — კინალამ წამოცადა თეიმურაზს. მაგრამ ენაზე იკბინა. არა, რა დროს ანაბექლები და ამისთანებია? აქ ვის სცალია ამისთანებისთვის? თანაც ის ნატიფი ანაბექლები ამონალომა გააცამტვერა, მოსპო, განადგურა... იმ ანაბექლებისგან აღარაფერი დარჩენილა. დრო აღარ არის, რომ თეიმურაზიც მოეშვას მათზე ფიქრს?

— ხომ არაფერი გკირდებათ, გერასიმე? — კონვეიერის რაკრაკსა და ნახშირის ბელტების ქუხილ-გრიალში სარდიონის ხმა ძლივს ისმოდა.

— არა არაფერი.

— აბა, ჩვენ წავედით.

— კარგად ბრძანდებოდეთ! ბედნიერად!

— გმადლობთ!

სარდიონი და თეიმურაზი აუჩქარებლად მიამიჯებდნენ რიტმულად მორაკრაკე, ნახშირის მოქანავე ბელტებით დატვირთული კონვეიერის გასწვრივ. კონვეიერი მათ უსწრებდათ. რწევით მისრიალებდნენ შავად და ვერცხლისფრად მბრწყინავი ქვანახშირის ვეებერთელა ბელტები, სარდიონსა და თეიმურაზს უსწრებდნენ და საკონვეიერო შტრეკის ბოლოს ქუხილით ცვიოდნენ ვაგონებში.

— დღეს გვეყოფა. — თქვა სარდიონმა, — რას იტყვი?

— თქვენი ნებაა.

— გვეყოფა, — დაადასტურა სარდიონმა.

სანამ სარდიონი და თეიმურაზი საკონვეიერო შტრეკის ბოლომდე ჩავიდოდნენ, ნახშირის ნაკადი ჩამოთავდა. ზევით, სანგრევის სიბნელეში, კონვეიერი გამოართეს. ახლა ფუტკი ქანი უნდა წამოსულიყო.

— ეპეი! — მოისმა ზევიდან იორამის ყვირილი.

— ჰო-ჰოო! — უპასუხა დაბალმა, ჩოფურა მეშახტემ, საკონვეიერო შტრეკის ბოლოს, მთავარ შტრეკზე რომ იდგა და ვაგონებს ანაწილებდა.

— ჩაერთო? — იორამი, თავისი ჩვეულებისამებრ, ისე ისტერიულად ჩხუბდა, თითქოს ახრჩობენო.

— ჩართე! — დინჯად უპასუხა ჩოფურამ და კონვეიერს ფუტკი ქანებისთვის ახალი ვაგონები შეუყენა.

ისევე არაკრავდა კონვეიერი. ახლა ფუტკი ქანების ვეებერთელა გლუვი, ნესტიანი, ალაგ-ალაგ კიდევ შეცვარული მოციფრო-ნაცრისფერი ბელტები დაიძრნენ და რწევით წაცურდნენ ვაგონებისაკენ. თეიმურაზი შეჩერდა ნაცრისფერი ბელტების ნაკადს თვალი გააყოლა. და უცბათ ახალგაზრდა ინჟინერს გული აუბაგუნდა: მეხუთე თუ მეექვსე ნაცრისფერ ბელტს რწევით მიჰქონდა კონვეიერზე წელანდელი ნატიფი ანაბექლები. აფეთქების განუკითხავ, ყოვლისშემუსვრელ ძალას გვიმრის შავ ვერცხლისფრად ჩანახშირებული ფოთლები ოდნავადაც კი არ დაეზიანებინა და ნაცრისფერი ბელტი მშვიდი რწევით მიცურავდა კონვეიერზე. მან თეიმურაზს თვალწინ ჩაუარა და ერთი წუთის შემდეგ ქუხილით გადაეშვა რკინის ვაგონებში.

## VII



ოც წელიწადზე მეტია, მინავო ჩარკვიანი შახტებში მუშაობს. მიწისქვეშეთში არ ივარგა და ეს დროულად და დაურიღებლად გამოუცხადეს. მაგრამ მერე, ბარე თხუთმეტი წელიწადი მაინც მუდამ ისეთ თანამდებობაზე იმუშავა, რომ საქმე მიწისქვეშეთთანაც ჰქონდა და ნამდვილ მეშახტეებთანაც. და არაფერი, თითქოს ყველაფერი ნორმალურად მოდიოდა. მინავომ შახტზე კარგი ავტორიტეტი მოიხვეჭა. ყველანი პატროსან, მოუსყიდველ, გულისხმიერ ადამიანად თვლიდნენ, დიდიდან პატარამდე ყველანი ენდობოდნენ, ანგარიშს უწევდნენ და თავისიან კაცად მიაჩნდათ.

უკანასკნელი სამი წელიწადი მინავო ზედოზედ პარტკომის მდივანად აირჩიეს. რაც ვინდა, თქვით, და ესეც დიდი პატივია. გულიანად მონდომებით მუშაობდა და ამას ყველანი ჰხედავდნენ და უფასებდნენ. რამდენჯერ ყოფილა, რომ უკიდურესობამდე გამწვავებული დაეა და უთანასწორობა მინავოს ჩარევასა და ერთადერთ სიტყვას გადაუწყვეტია. ძალიან ბევრი მაგალითი და საბუთი არსებობს იმისა, რომ მინავოს მეშახტეებიცა და მათი ოჯახებიც გულთოდ პატივსა სცემენ. და აი, ახლა... ახლა ყველაფერი დაინგრა და წყალში გადაიყარა.

არა, კაცმა რომ თქვას, ამ წლების მანძილზე ზოგჯერ მინავო მარტო რომ დარჩებოდა და ღრმად ჩაფიქრდებოდა ხოლმე, თავისი და მეშახტეების ურთიერთობებით მაინცდამაინც კმაყოფილი ერთხელაც არ დარჩენილა. არა, ის როგორ წამოცდებოდა ვინმეს, მინავო უპატიოსნო კაცია ან რაღაცაში ვენდე და დამალალატა, ან რაღაც ვთხოვე, შეეძლო და არ გაიბეკეთა. ღმერთმა დაიფაროს! ასეთი რამ არ თქმულა და არც გაკონილა. მაგრამ მინავო მაინც მუდამ გრძნობდა, რომ ბევრი მეშახტე, განსაკუთრებით ისინი, თმადათოვლოლები,

მიწისქვეშეთის ბურჯებს რომ ეძახიან, — ისინი ცოტა გულგრილად და, ცოტა არ იყოს, დამცინავი შემწყყნარებლობითაც კი ევიდებოდნენ. ვიცი, ბატონო, — გამოდიოდა მათი საქციელიდან, — ვიცი, რომ პატროსანი და ალალმართალი კაცი ხარ, საერთო საქმეზე გული შეგტკივა, ხალხი გიყვარს, მშრომელ ადამიანს ტყუილ-უბრალოდ არავის დააჩაგვრინებ, მაგრამ... მთლად ნამდვილ, შუაგულ საშახტო და სამიწისქვეშეთო საქმეებში მაინც ნუ ჩაერტყვი, ამისთანების შენ არაფერი გავგეგბა და თავს უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩაიყენებო.

მინავო სულის სიღრმეში ეთანხმებოდა კიდევ იმ ადამიანებს. მას ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა, რომ თავის ცხოვრებას იგი უფრო იოლად და შეუწუხებლად ატარებდა, ვიდრე ისინი. სად მინავოს ტვირთი და სად იმ ადამიანებისა? სამუშაოზე მათ ყოველ წამს სასიკვდილო ხიფათი ელით, დილით სახლიდან გამოსულებმა არ იციან, სადღილად უკანვე მიბრუნდებიან თუ არა... დილით სახლიდან გამოსულნი ცოლ-შვილს ისე ემშვიდობებიან, თითქოს ვაჯხლის პავილიონში კათხა ლუდის დასალევად მიდიოდნენ, და თავის მხრივ ცოლ-შვილიც ისე სასხვათაშორისოდ ემშვიდობებდა, თითქოს არ იცოდნენ, რა ჯოჯოხეთშიც მიდიან. მინავო კი... ან როგორი თანამდებობა აქვს? ზის და ამოწმებს, ყოველ ტონა ქვანახშირში რამდენი კილოგრამი ფუჭი ქანი გამოერევა. მეტი არაფერი. ამ საქმეს მეშვიდეკლასელი მოწაფეც კი აუვა. და ეს ნამდვილად ასეა.

მაგრამ მინავო ხომ ყველაფერ ამას მუდამ ანგარიშს უწევდა. მინავო მუდამ ხაზს უსვამდა, მე ნამდვილი მეშახტე არა ვარ და ნამდვილ საშახტო საქმეებში გადაწყვეტიერ სიტყვა სხვებს გეკუთვნითო და ეს ყველამ, იმ თმაქლარებმაც იცოდნენ და უფასებდნენ. ამიტომაც

იყო, რომ პარტიკომის მდივნად სამჯერვე ერთხმად აირჩიეს, ერთი შავი კენჭიც კი არ მიუღია. ახლა კი... ახლა ოქტომბერში გადაირჩენებია. არა, მეოთხეჯერ პარტიკომის მდივნად მინაგოს მინც აღარ აირჩევენ. მაგრამ ასე, გალანძღულად, შერცხვენილად წასვლა და უკან უკმაყოფილო, აბუზღუნებული ხალხის დატოვება? ნამდვილად ძნელი გადასატანია. ან ლონგინოზმა რა დღე დააწია? მინაგოს ის ერთია, ლონგინოზს ეყვირა, ფეხები ებაკუნებინა, გავლანძღა... ახლა კი... ზოგი ახლა ერთელ კიდევ გაიხსენებს. ეგ ნამდვილი მესახტე არც კი ბრძანდება, კარგად გვახსოვს. მიწისქვეშეთიდან როგორ გამოისტუმრესო.

ისე, კაცმა რომ თქვას, რა შეეძლო ამ საქმეში მინაგო ჩარკვიანს? არაფერი. სრულიად არაფერი. ჯიბრაილის მოხსენა და მის ადგილზე ახალგაზრდა ინჟინრის დანიშვნა ისევე გარდუვალო იყო, როგორც დილით მზის ამოსვლა. ხალხი კი მაინც უკმაყოფილოა. ბევრი მინაგოს ლანძღავს. ლანძღვით სარდიონსაც კი ნაკლებად ლანძღავენ, ვიდრე მინაგოს. ალბათ, ფიქრობენ, სარდიონს ეს საქმე რომ არ გაეკეთებინა, თვითონ მას მოხსნიდნენ, მინაგო კი მოვალე იყო, ჯიბრაილი დაეცვა და ფორმალიზმი არ დაეშვაო. უბნის უფროსად იმ ახალგაზრდა ინჟინრის დანიშვნა მართლაც წმინდა წყლის ფორმალიზმია. მაგრამ მინაგოს ბევრიც რომ ებრძოლა, ვითომ, ამით რამე შეიცვლებოდა? რა თქმა უნდა, არაფერი. აბა, რაღა უნდა იმ ხალხს?

ეჰ! რაც არის, არის. ამ საქმეს აღარაფერი ეშველება. ახლა სარდიონი იმაში კი მართალია, მოვალე ხარ, ჯიბრაილს მიაკითხო, იქნებ, ის კაცი თავის მოკვლას აპირებდო. არა, თავის მოკვლას ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი გულშიაც კი არ გაივლებს, მაგრამ მინაგო კი მართლაც მოვალეა, იმ ბიჭს მიაკითხოს და ორიოდე თბილი სიტყვა მაინც უთხრას.

ისე კი... აი, ეშმაკმა დალახეროსს..

ბოლომდე ვულახდილი ამ საქმეში არც სარდიონ რაჰველიშვილი <sup>ბრძანდება</sup> მინაგომ ძალიან კარგად <sup>ბიჭის</sup> <sup>სადაც</sup> მარხია ძაღლის თავი. იცის და — ახლა? მოკალით ახლა! აქი თვითონ ლონგინოზმაც წაილაპარაკა, იქნებ, ახალგაზრდა ინჟინრის მოადგილედ ჯიბრაილი დაგეყენებინათო. და ლონგინოზს ამ შემთხვევაში ახალი არაფერი უთქვამს. მუდამ ასეა: ახალგაზრდა სპეციალისტებს მოადგილეებად გამოცდილ მესახტეებს, უმეტეს შემთხვევაში ისევ ყოფილ უბნის უფროსებს ურჩევენ. ადვილად გასაგებია რატომაც. ახლა ასეთი კაცი ჯიბრაილია, ანთიმოზ ჩახუნაშვილი ამ საქმეში არ გამოდგება. და ეს მინაგომაც მშვენივრად, საუტხოოდ იცის. ჰოდა, აბა, ასე რატომ მიუკიბ-მოუკიბა სარდიონმა. თავის თავმოყვარეობას გაუფრთხილდა? ვაი, თუ მინაგომ ცივი უარი მტკიცოს და სასაცილო გავხდეთ? ვინ იცის... მაგრამ, თუ ასეა, ეს რაღა შეგობრობა და ამხანაგობაა? თავმოყვარეობა მინაგოს კი არა აქვს? თუ ჯიბრაილი და ირინე ვერ მიხვდებიან. მინაგო ჩარკვიანი რისთვის ეწვივით?

მაგრამ — ესეც ჭანდაბას! საერთო საქმე ნუ წახდება და — მინაგოს თავმოყვარეობა... მინაგოს ბევრი შეხვედრია და გადაუტანია და ამასაც გადაიტანს. ოღონდ კი ხალხი მშრომელი ღამიანი არ დაზარალებოდეს. და აი, იმავე საღამოს...

მინაგო იმავე საღამოს მივიდა ჯიბრაილთან; მაგრამ ის ბიჭი და მისი ცოლი როგორ ხასიათზე იყვნენ და რას აპირებდნენ, ეს ვერასჯნით ვერ გაიგო.

ზარის დილაკს ხელი დააჭირა თუ არა, იმ წუთშივე ბავშვის ფეხების აჩქარებული ტყავა-ტყუპი მოესმა. კარი გოგუტუნამ გაუღო. თავისი ბრიალა შავი თვალები შეანათა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა:

— დედიკო! ის ძია მოვიდა.

ოთახებიდან ბაიბური არ ისმოდა, არადა, არ შეიძლებოდა, გოგუტუნას შეძახილი არ გაეგონათ. ალბათ, ოჯა-

ხის პატრონები სტუმრიანობის ხასიათზე არ იყვნენ და ამიტომ არც ტალანში გამოსვლას ჩქარობდნენ. ბარე ორი თუ სამი წუთი გავიდა სანამ მოპირდაპირე ოთახის კარებში ირინე გამოჩნდებოდა. ირინემ თმები უგუნებოდ, აუჩქარებლად შეისწორა და გოგუტუნასკენ დაიხარა:

— ვინ ძიო, დედიკო? ეს ბატონი მინაგოა. მობრძანდით!

გოგუტუნამ კარის სახელურს ხელი შეუშვა და წელანდელივე ტყაპატყუპით შევარდა სამზარეულოს დერეფანში. ირინემ კი მინაგო გაატარა, კარი ჩაკეტა და მარჯვენა ოთახის ფარდიან კარს მინაზე თითი დაუკაკუნა.

ოთახიდან ბაიბური არ ისმოდა.

ირინემ ერთხელაც, უფრო გამეტებით დააკაკუნა.

— მოვდივარ. — გაისმა ოთახიდან ნამძინარევი ჯიბრაილის ხმა.

ირინემ მინაგო ტალანშივე დატოვა, თვითონ ისევ მოპირდაპირე ოთახში შევიდა და კარი მოხურა.

„ერთმანეთს არ ელაპარაკებიან. — გაიფიქრა მინაგომ, — ერიპა!“

მარჯვენა ოთახიდან ჯიბრაილი გამოვიდა. მარჯვენა ლოყა აწითლებული ჰქონდა, ალბათ უხერხულად ედო ბალიშზე, მინაგოს ვაუღიმა და თავის ოთახში შეიპატიჟა.

შახტის პარტიკომის მდივანი და ყველაზე დიდი საექსპლოატაციო უბნის ყოფილი უფროსი კარგა ხანს ხმაამოუღებლევ ისხდნენ სავარძლებში ერთმანეთის პირდაპირ. ჯიბრაილი ვერ მიმხვდარიყო, მინაგო მასთან რამ მოიყვანა და ეს არც აინტერესებდა. მინაგოს ასე უთხრეს, მიდი და ჯიბრაილი ინახულეო. მოვიდა და ინახულა. მეტი არაფერი დაუვალეებით, და მეტის თავი მას არცა ჰქონდა. არ იქნა და სტუმარ-მასპინძელს შორის გულითადი საუბარი არ გაიბა. არადა, ჯიბრაილი და მინაგო ახლო მეგობრები თუ არა, კარგი ამხანაგები მაინც ყოველთვის იყვნენ.

— ლონგინოზ ფეიქრიშვილმა დღეს შავი დღე გვაყარა. — უთხრა მინაგომ.

— რატომ?

— ჯიბრაილი უჩემოდ რატომ მოხსენითო.

— ჰოო!

— ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ასე... უსაქმოდ ყოფნა... არ ვიქირს? — გაუბედა მინაგომ.

— არა მიშავს... გოგუტუნასთან ვერთობი.

— ჰო! ასეთ დროს ბავშვთან თამაშს არაფერი სჯობია.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

მარტო ღმერთმა თუ იცის, რამდენ ნერვებად დაუჭდა მინაგო ჩარკვიანს ეს მძიმე, უხერხული წუთები. რა ეთქვა იმ აღამიანისთვის? რა გზაზე დაეყენებინა, რითი ენუგეშებინა? ეს მთელი ჭალაქის საამაყო ვაჟკაცი ასე დაუნდობლად და უსამართლოდ მოხსნეს, გააბიაბრუეს, იმ საქმეში მინაგომ თვითონაც მონაწილეობა მიიღო და... ახლა აქ, სახლში მოადგა და ეს, „სანუგეშო მასლაათი“ გაუბა. რომ წამოგიტტეს და სახლიდან გაფრინოს, რას ემართლები?

— ასე... უსაქმოდ ყოფნა მაინც არ გარგებს, ჯიბრაილი.

— რას იზამ... რაიმე საქმე გამოინახება.

— ან ფული რამდენ ხანს გეყოფა? რომელი როკფელერი შენა გვყავხარ?

— ჯერ გვეყოფა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

არა, მინაგო ჩარკვიანს თითონვე უკვირს, აქ რამ მოიყვანა და ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს თვალეებში რა პირით მისჩერებია? ეჯაჭლანა და ეწერა აქტებში იმ დამიანე ჭყონიას, ასეთი საქმისათვის სხვა ვინ მოუხსნიათ? აი, რა უსამართლობა და უაზრობა მოხდა. ახლა კაცმა არ იცის, რა და როგორ იქნება.

— ბიჭები არ მოდიან? არ გაკითხვენ?

— იყვნენ ერთხელ.

— მერე რაო?

— არაფერი. მალე წავიდნენ.

— ჰოო!..

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

არა, ნამდვილად მადლობა ღმერთს,

რომ სარდიონს მინაგოსათვის მეტი არაფერი დაუვალეზია. მიდი და ნახეო, ხომ? ესეც მოვიდა და ნახა. სხვა საქმეებზე კი თვითონ სარდიონი ელაპარაკოს.

- ისა... ხომ არაფერი გინდა, ჯიბრალო? ხომ არაფერი გჭირდება?
- არაფერი. რა უნდა მინდოდეს?!
- ბიჭები როდის იყვენენ?
- იმავე დღეს.
- თუ რამე დაგჭირდეს, ხომ იცი...

რაც არ უნდა იყო, შინაური ხალხი ვართ. მე და შენ, აგერ, მეზობლობა გვაკავშირებს.

- რა სალაპარაკოა.
  - აბა, მაშინ მე წავალ, ძმაო! კარგად და ბედნიერად იყავი.
  - კარგად იყავი, მინაგო!
- ჯიბრაილი წამოდგა და მინაგო შემოსასვლელ კარებამდე გამოაცილა. გოგუტუნა და ირინე აღარ გამოჩენილან.

VIII

თეიმურაზ არჩევანიძეს დასამდურებელი არავისთან არაფერი ჰქონდა. ის მშვენივრად ჰხედავდა მეშახტეების თავიანთ დამოკიდებულებასაც მისდამი და სარდიონის ზრუნვასაც. გრძნობდა, რომ მისდამი კეთილად და გულისხმიერად იყვენენ განწყობილნი. მაგრამ რატომაც არ იქნა და მარტოობის გრძნობას თავი ვერ დააღწია. ასე ეჩვენებოდა, თითქოს ეს კეთილგანწყობილებაც, თავიანთობაც და ზრუნვაც რაღაც ოფიციალური მოსაზრებებით თუ გარემოებებით იყო ნაკარნახევი და შეიძლებოდა, ხანმოკლე გამომდგარიყო. გარშემომყოფთაგან მას ბევრი, თითქმის ყველა მოსწონდა. სარდიონს რომ გაიხსენებდა, გაიფიქრებდა, ხოლმე, რა მეშველებოდა, აქ ეს ადამიანი რომ არ დამხედროდაო. მაგრამ მარტოობის გრძნობას არ იქნა და თავი მაინც ვერ დააღწია. თავის გარშემო თეიმურაზი ვერ ხედავდა ადამიანს. ვისაც კი გულს დაუფიქრებლად გადაუშლიდა და ყველა თავის ეჭვსა თუ საფიქრალს გაუზიარებდა.

აღბათ ამიტომ იყო, რომ თეიმურაზს გული სიხარულით აუძგერდა, როცა საღამოს კარზე დაუაკუნეს, გააღო და ზღურბლთან გაჩერებული, ქალაქური შესახედაობის, მომღიმარე ვაჟაკი დაინახა. თეიმურაზს თითქოს გულმა უგრძნო, ეს ახალგაზრდა კაცი შახტის მთა-

ვარი ინიენერი კახაბერ გურასაშვილი უნდა ყოფილიყო.

თეიმურაზი არ შემცდარა. მის წინ მართლაც კახაბერ გურასაშვილი იდგა. საშუალო ტანის, ხშირწარბებიანმა, მუხსავით ჩაფსკენილმა კახაბერმა თეიმურაზის ოთახი კარებიდანვე მოათვალიერა, შეეტყო, რომ დიდად არ მოსწონებია, მაგრამ არაფერი უთქვამს. შემოვიდა მარცხენა ხელი კარს წაჰკრა და მიხურა, მარჯვენა კი თეიმურაზს გაუწოდა.

— კახაბერი. გურასაშვილი. — მერე ერთხელაც მიმოიხედა. ოთახი მიძვენილი ნაბიჯით გადასურა და ფანჯარასთან მდგარი სკამი დაჯდომისას უსაშველოდ ააჭრიალა.

თეიმურაზი იმ დღეს შახტში ორჯერ ჩასვლამ, იმდენმა სიარულმა და ცხელი შხაპის ორჯერ მიღებამ ძალიან დაჰქანცა. სარდიონს რომ დაემშვიდობა, თეიმურაზი შახტის სასადილოში შევიდა. უბნის მეშახტეებიცა და სხვებიც აქაც ძალიან თავიანთად, ფეხზე წამოდგომით შეხედნენ. ამ დროული, მრავალჭირხაზული ვაჟაკების ასე სულერთპირად ფეხზე წამოდგომამ თეიმურაზი დააბნია. ვულმა რეჩხიც კი უყო. ეს ხალხი რომ მე როგორმე დავადალატო, რაღა კაცი ვიქნებითო. კინაღამ ხმამალლა დაიყვირა, იჯექით, ხალხო, იჯექით, ფეხზე თქვენ კი არა, მე უნდა წამოგიდგეთ ხოლმეო. მაგრამ თავს მოერიდა



და აღრაფერი უთქვამს. მაგიდასთან სასწრაფოდ მოვარდნილ, არც თუ ძალიან სუფთა წინსაფრთან ოფიციალური ქალიშვილის ხორციანი ბორში, კატლები და აღუბლის კომპოტი შეუყვება. ქალიშვილმა ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოართვა. მერე, სანამ თეიმურაზი სადილობდა, ხოლო ქალიშვილი სხვა მაგიდებს ემსახურებოდა, ცალი თვალი მაინც თეიმურაზისკენ ეჭირა, კიდევ ხომ არაფერი უნდაო. მაგრამ თეიმურაზს მეტი აღრაფერი მოუთხოვია. დანახარჯი გაისტუმრა — ქალიშვილმა ხურდა უკანასკნელ კაპიკამდე ჩაუთვალა. — და გარეთ გამოვიდა.

სხვათა შორის, იმ ხურდა ფულმა თეიმურაზი, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩააგდო. იგი გრძნობდა, რომ შესატყვისი ყოველ მის ნაბიჯს, ყოველ საქციელს აკვირდებოდნენ და აფასებდნენ. ჰოდა, რა ექნა: ოფიციალური ქალიშვილისთვის ხურდა გამოერთვა, თუ დაეტოვებინა? კაპიკობით ხურდის გამოართმევა შესატყვისს რომ ხელმოკერილობასა და სიძუნწეში ჩამოერთმიათ? მაშინ? მაგრამ თეიმურაზი იმასაც გრძნობდა, რომ ოფიციალური ქალიშვილი ამ პირველ დღეს მაინც უბნის ახალი უფროსისაგან არაფრის გულისათვის ერთ კაპიკსაც კი არ შეირჩენდა. ამიტომ თეიმურაზი ასე მოიქცა — ხურდა ღიმილით და თავაზიანი თავის დაკვრით გამოართვა და წამოღდა.

შესატყვისმა თეიმურაზი სასადილოდან ისეთივე თავაზიანი ღიმილითა და თავების ქნევით გამოაცილეს. ოღონდ ეს იყო, რომ ფეხზე აღრაფერს წამომდგარა. ახლა ეს ვითომ რატომ? ვითომ, ამით აგრძნობინეს, უკვე საკმაოდ შინაური კაცი ხარ და ეს წილადობილა აღრაფერი საჭიროაო? თუ რაიმე სხვა მიზეზი იყო?... იქნებ, თეიმურაზს ოფიციალური ქალიშვილისთვის ხურდა არ უნდა გამოერთვა? ქვეყანამ იცის, ოფიციალურებს როგორი დაბალი ხელფასები აქვთ. თუ?... ოჰ, ეშმაკმა დალახვროს!.. თეიმურაზმა სასადილოს კარი ფრთხილად გამოიხურა, თან ზურგზე ასამდე

წყვილი თვალის დაკვირვებულ მზერას გრძნობდა და გაიფიქრა, არა, ნამდვილად ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ აქ საბოლოოდ მოეშინაურდები და ყოველ ასეთ წვრილმანზე ამდენს არ ვიდარაბებო. ეზო თავჩაქინდრულმა გადასჭრა და ქუჩაში გავიდა.

თეიმურაზს მაინცდამაინც არც საერთო საცხოვრებელში მისვლა ეხალისებოდა. მისი ოთახის მოხიარეს, ახალგაზრდა, მაგრამ მეტად ცივთვალეზიან და თითქმის მთლად გამელოტებულ გერონტი ჩაფიჩაძეს აშკარად ეტყობოდა, რომ მასთან თეიმურაზის შესახლება დიდად არ გახარებია. ჩაფიჩაძე ან იმ პროვინციულ ახალგაზრდათა რიცხვს ეკუთვნოდა, თავიანთი ქალაქელი თანატოლები სხვადასხვა საბაბით (ან სრულიად უსაბაბოდაც) თვალით დასანახავად რომ სძულთ, ან იმისი დარდი ჰქონდა. აწი ამ ოთახში გოგოლა ხოპასურაძეს ფეხსაც ველარ შემოვადგმევიწებო. ან. იქნებ, სხვა რაღაცეებსაც ფიქრობდა. ვინ იცის... ეს კი იყო, რომ თეიმურაზს ჩაფიჩაძე თითქმის დაუტყარავი სიძულვილით ეპყრობოდა და ახალგაზრდა ინფინერს ხშირად უფიქრია, კარგი იქნება, ის მარგალიტა დანაპირებს შემისრულეზდეს და ან შე გადამიყვანდეს აქედან, ან ამ ჩაფიჩაძეს აქედან მოშორებდესო.

მაგრამ ჭერჭერობით მარგალიტას დანაპირები არ სრულდებოდა. შახტზე, ალბათ, სხვა საქმეებიც ბევრი ჰქონდათ. იმ დღეს დაღლილ-დაქანცულ თეიმურაზს ერთი ლოგინზე მიგდება და თვალის მოტყუება ქვეყანას ერჩია. ამიტომ ისევ თავის ოთახს მიაშურა დაძინებით მაინც ვერ დაიძინა: ალბათ, ნერვები ძალიან ჰქონდა აღვზნებული. გაღიზიანებული ფიქრობდა, საცაა, ჩაფიჩაძე შემოხრაგუნდება თავისებური დაფრიდებლობით და კარებდანვე დამცინავ მზერას შემავლებსო (თეიმურაზს ზოგჯერ ისიც კი უფიქრია, ჩაფიჩაძე ოთახში ყოფნისას ვანგებ ხმაურობს. ფეხებს აბაკუნებს და ახველებს ხოლმეო). და როცა კარებში არხენიანდ მოპლიმარე

ახალგაზრდა კაცი დაინახა, სიხარულის-  
გან ვული აუბაგუნდა. არა, ვინ უნდა  
ყოფილიყო ეს კაცი, თუ არა კახაბერ  
გურასაშვილი?

— ფანჯარასთან გირჩევენიათ? ბრძან-  
დებოდეთ. იცით რა, კახაბერ? ჩავიბრუნ  
და ლუდს, ან ღვინოს ამოვარბენინებ.  
სასადილოში არ დამიღვებია. თქვენ ნა-  
სადილევი ბრძანდებით?

თეიმურაზი ოთახში უაზროდ დაბო-  
რიალობდა და ადგილს ველარ პოუ-  
ლობდა.

— დაცა, ადამიანო... — თბილისში  
დაბადებულსა და გაზრდილ გურასაშ-  
ვილს ძარღვებში მაინც კახელი კაცის  
ღინჯი სისხლი უჩქეფდა. — რა ტყვი-  
ამფრქვევსავეით დამაყარე, რა გქნა? და-  
ჯექი. ლუდი არ ვინდა. შენ თეიმურა-  
ზი არა გქვია? ჰოდა, დაჯექი, ადამი-  
ანო. დაჯექი და მოისვენე.

— რომ მცოდნოდა...

— ოჰ! ახლა... რომ სცოდნოდა! რომ  
მცოდნოდა, სულაც გუშინვე რომ  
მეთქვა, ხვალ მოვალო, რაო, ახლა, რას  
იზამდი? დედლებს თავებს წააგდებო-  
ნებდი, თუ ცხვარს ააბღავლებდი? ისა...  
შენც იმერელი ხარ?

— არა... არა, წარმოშობით მგონი კი,  
ერთი სიტყვით, დედის მხრივ...

— კარგი. დაწყნარდი. დაჯექი. ეგე,  
ემანდ დაჯექი და დამელაპარაკე. ხომ  
არსად გეჩქარება?

— არა, არსად.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. დღეს მი-  
წისქვეშეთში ბარემ თხუთმეტი კილო-  
მეტრი გავიარე და მეტი აღარაფერი შე-  
მიძლია. შენ და სარდიონი სად იყავით?

— მთელი უბანი მოვიარეთ.

— ჰო, ეგრეც მითხრეს. მერმე ისიც  
მითხრეს, ერთად დადიანო და... ჩემს  
საქმეებს მივხედე. ისე კი მინდოდა, მე

და შენ ერთად გვეარა. რა ჰქვია... მთ-  
გეწონა ზენი შახტი?

— რა თქმა უნდა!

— არა, იმიტომ გეკითხები, რომ ინ-  
ჟინერი კაცი ხარ, ახალი თვალი კი მუ-  
დამ რალაცას შეამჩნევს, რასაც სხვები  
ვერა ჰხედავენ. ისა... რაჰქვია... აქ  
ოთახში შენთან ვინ არი?

— ჩაფიჩაძეა ერთი. გერონტი.

— მელოტი, არა? ვიცი. მერმე?

— არაფერი.

— მალე რალაცას მოგიხერხებო. ჰო!  
ახლა კი, ჩემო, რაჰქვია, თეიმურაზ,  
იცი, რა ვითხრა? შახტი და უბანი შენ  
უკვე დაათვალიერე, ხომა? ჩვენ კიდევ  
ორივენი ქართველი ხალხი ვართ. ერთ-  
მანეთის გაცნობა და დაახლოება მე  
სუფრაზე გამიგონია. ჩემს რქაწითელსაც  
წუნი არ დაედება. ა-პა-პა-პა!.. არაფერი  
მითხრა. ჰოდა, ადექი და ჩემთან წავი-  
დეთ. ბარემ ჩემს ცოლ-შვილსაც გავაც-  
ნობ და ეს ორი საქმე ერთად გაკეთ-  
დება.

კახაბერმა თეიმურაზის პასუხს აღ-  
არც კი დაუცადა. წამოდგა, ერთი გემ-  
რიელად გააზმორა, კიდევ დამთქნარა  
და კარებისკენ უკან მოუხედავად წავი-  
და. ცერემონიალის და დიდი თავბატი-  
ვის თავი არც თეიმურაზსა ჰქონდა.  
სასწრაფოდ ტანისამოსი შეისწორა და  
გურასაშვილს უკან დაედევნა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ უკვე შახ-  
ტის მთავარი ინჟინრის სამოთახიან,  
მშვენივრად მოწყობილ ბინაში იყვნენ.  
კახაბერის მეუღლე, ქერათმიანი ნათელა  
სანდომიანი და ბურადი ქალი გამოდგა.  
ჩაიციბულ რქაწითელს წუნი მართლა  
არ დაედებოდა და თეიმურაზი ისე გა-  
მოთვრა, რომ მეორე დღეს აღარც კი  
ახსოვდა, სახლში მარტო მივიდა თუ  
გურასაშვილებმა მიაცილეს.

მუშავე ლაზარია

## ახალი ლექსები

### შეგონება

შეგონება

შემოდგომა ზაფხულის კალებს,  
— ციც! — ეტყვის მწვანეს,  
წითელ-ყვითელს მწვანეში გარეეს,  
იხმარს ღვინისფერს  
ფრთხილად — ცისფერს და სინგურისფერს,  
შეიძლებოდა

დისონანსი აქ — ინგურისპირს,  
მაგრამ ჩემს მცირე

ხეობაში ვზივარ და ჩემთვის  
სექტემბრით ფთვრები —  
ეს ხეორი დიდ რიონს ერთვის.

შემოდგომაა,

იქაც, სადაც რიონი წადის,  
გაივლის რაჭას  
და იმერეთს, და პონტოს ზღვამდის  
გაივლის კოლხეთს

ღვთის წყალობით სახლ-კარ-მატებულს,  
იქ, რიონის პირად,

შემოდგომა ჭაღს ჰგავს ანთებულს,  
იქ ერთი ხეა, —

არ ასხია ღერი ფოთოლი,  
ხილი ჩამოვა

ცეცხლისფერი — მთელი გოდორი!



# ქ ე რ ა ბ ი ნ ა

თვეზით სავსე მდინარეებს,  
 ნადირ-ფრინველით სავსე ტყეებს,  
 სატასტოებს ბრწყინვალეებს  
 და უდაბურ ღრეებს,  
 სემის, ქამის, იაფეტის —  
 ვვა-ადამისგან ძეებს —  
 მიაფრენს და მიახეტებს  
 ღამეებს და დღეებს...

ქქრის ხელობა ერთის, ღმერთის,  
 ცას ჰკიდია ოდნავ მრუდად  
 ეს — აყალოს სველი ბელტი,  
 ეს — ტალახის გუნდა.  
 ღმერთო, საით?! ღმერთო, საით?!  
 ვარსკვლავთ ჯოგებს შენსას ვთელი და  
 მეთასვდ გკითხავ: — რაით?!  
 საით?! ანუ სიდან?!

• • •

ნაწნავეები გაუშლიათ  
 ქარში  
 კარიწყალას ძეწნებს.  
 ქარაწნები დაუწყვიათ  
 ინდოეთისაკენ  
 მერცხლებს.

ღრუბლის გაჩერქვილა ტვინი,  
 სცრის თუ  
 წვიმა გვასხამს კოკით,  
 მორიანს გაწეწილი ზვინი  
 ფერმის  
 ყბაწისქვილა ძროხით.

„რა არ გადახდებათ გზაში  
 საწყლებს!“ —  
 დედა მეუბნება.  
 რალაც გულდაწყვეტის მსგავსი  
 მამღვრევს,  
 სევედა მეუფლება.

ზვრები — ძირზე აჭრილია,  
 რთვლობა —  
 უკაცრავად ნურას!  
 ნიაფ-ქარი ფრთაჭრელია,  
 მინებს  
 ღამეები მურავს...

ზუსტად ზრიხონისის თავზე —  
 გგ ნიშანი  
 გახლავს ზამთრის —  
 მზე ამოდის უკვე ცხრაზე.  
 სუსტია და  
 ხუთზე ჩადის.

კაცი მომცა, — ღონდებოდეს  
 ქვეყნის  
 სატკივარი სჭირდეს,  
 კიქა მიეწოდებოდეს,  
 დალაპარაკება  
 ღირდეს!!

1960

ტლექიან ბავშვებს შუა ქალაქში  
 საავადმყოფო თავისი ჰქონდათ —  
 იწვა ექთანი მთელ დღეს პამაკში,  
 მერცხლის ტყვილი პაერში ჰქროდა,  
 ჰქსოვდა, მწყემსავდა ბიისფერ ბავშვებს,  
 ჩაიბერტყავდა დროდადრო კაბას —  
 დილა-სალამოს ნემსავდა საწყლებს  
 და დღეში სამჯერ ატმევედა ფაფას.  
 ირგვლივ კი, ირგვლივ, ცხოვრების ჩარხი  
 აბზრიალებდა ენგიან ქალაქს:



სამსახურისკენ გარბოდა ხალხი,  
 ეზიდებოდა ბაზრიდან ბალახს.  
 მზე დაქლოდა ქალაქურ მწვეანეს.  
 მხრჩოლავს ქარხნისას ბრძმედებს თუ მილებს,  
 ახროტინებდა სახერხი ფანერს,  
 აქლრიალებდა გარაჟი რკინებს  
 და იქვე... იდგა მწერლების სახლი,  
 მოადგებოდა პოეტი სარკმელს,  
 ზეშთაგონების, სიმზნევის მაღლის  
 შუქი ეფინა ყოველთვის სახეს.  
 ტლექიან ბავშვებს ის ვერ ამჩნევდა —  
 ის აკეთებდა მწერლობის საქმეს —  
 ეძებდა რიტმებს. სივრცეს გასკჳერდა,  
 ეძებდა ხმებს და ეძებდა სათქმელს!

## სოფლის სუბათი

### გაიტენება

ხეობა ნისლით.  
 ეს სექტემბერი  
 უდღელამოა —  
 თანაბრად ბნელა  
 ღამით თუ დღისით —  
 აღარ გგონია  
 თუ მზე გამოვა.  
 და, უცბად, ღრუბლის  
 ლაშქარი შავი  
 გაიძინძება —  
 ცა წითლად ღვივის,  
 — „მზემ ხეობაში  
 შემოყო თავი,  
 აღეჭით!“ — შტოზე  
 ტივჭავი ჭყვივის.  
 მაგრამ ვინ ადგეს —  
 ოთხმოცი ფუთი  
 თითოს ქვა ადევს! —  
 საყდართან ვდგავარ.  
 მხიარულ ფერებს  
 ოციოდ წუთით  
 გვარუქებს მზე და  
 ხელახლა ჩავა.  
 და ისევ — ქორთას  
 ნისლი აშლილა,  
 სტრის და კვაწხიეთს  
 აცომეუბს ტალახს.  
 ლებანურის  
 ჯიში გაცლილა.

### გოშაძეებიც

წასულან ქალაქს.  
 წვიმს! აჭენჭყილა  
 ღრუბლის ტენიები,  
 შორს, მთების შუბლზე  
 ღვივის ზამთარი;  
 ძლივსგათიბული  
 ლებბა ზეინები,  
 არ ჩანს ფერმაში  
 თივის ჩამტანი.  
 მოაჩინდრიკებს  
 ცხენ-კაცი ფოსტას,  
 სანთლით ნაძებნი  
 ქერივს ხურო მოჰყავს,  
 ჯოგი მოუძღვის  
 ფერმისკენ კოსტას —  
 მოწყენით მოსდევს  
 გაბურძგენილ ძროხას.  
 სოფლიდან მესმის  
 ყაყანი მწყრალი  
 (ესეც კარგია,  
 ცხოვრება ფეთქავს!)  
 მარადიორი  
 გამოდის ქალი,  
 ნასახლარებზე  
 სხვის ნიგვზებს ბერტყავს.  
 და მაშინ, ამ ყრუ  
 სინამდვილეში,  
 რომელიც წყვდიადს  
 გაგონებს უღრანს,



კოლთაემჯდომარის  
 ღრინავს „ვილისი“,  
 უგუზობას და  
 შედმართებს უღრენს.  
 წვიმს, და შიგ სულში  
 გახსამს, გაწვეთებს.  
 საცა „ქესი“  
 ჩინათლეს ჩართავს.  
 წვიმს. თავემჯდომარე  
 ლაშქარგაწყვეტილს,  
 უთორ-უაბჯროს  
 ჩამოჰგავს სარდალს...  
 ოპ, ტკბილო რატავ!  
 სორთან — წესია,

წესთან — ფრთათეთრი  
 ბარაკონია,  
 ბოყვა — ჩრდილშია,  
 ქორთა — მზეშია,  
 ჩენი ნახნავი  
 და ნაქონია!  
 წვიმს. ლოგინს გავთხრი,  
 სხვა რა ღონეა!  
 წვიმს. სექტემბერი  
 უღღღამოა...  
 აღარ მგონია,  
 აღარ მგონია,  
 აღარ მგონია  
 თუ მზე გამოვა!

• • •

შორს წვრილ-წვრილი  
 მჭერინავი ვარსკვლავები,  
 აბლოს —  
 ბევრად მსხვილები,  
 და ქრისტესის  
 თავზე, სხვისგან განსხვავებით,  
 ის ვარსკვლავი —  
 წახრილი და ირიბი...

უცარი  
 გაღვიძება ღამით!  
 ვინ გაღვიძებს,  
 შენი მკვლელი ვინ არის?!  
 მოწამლული  
 ყოფნის, სოფლის შხამით  
 სული ზომავს  
 მარადიულ მდინარეს.

ცად ქვრინავენ  
 ვეება ტრიტინები,  
 მელნისფერი  
 ბზუის ღამე მკათათვის —

მოკენჭილი  
 წითელი ღინჭილებით  
 დის მდინარე  
 და ხეობებს გადადის.

შენს პაწია  
 ხეობაში ბნელა,  
 მარტო შენი  
 სიგარეტი ღვივის,  
 ხარ წერტილი  
 და ხარ ტიანჭველა,  
 იტანს გული  
 დამცირების ტკივილს.

ჯვარს ეცვი თუ  
 მღერდი ქარი-ქარალეს,  
 იტანჯე თუ  
 იცხოვრე ნეტარებით,  
 არაფერი,  
 არაფერი არ არის  
 მარადიულ  
 მდინარესთან შედარებით!

• • •

ქალაქში მომცეს მე პურის ფული,  
 რას დაგვიწერო, სახელდობრ, მკითხეს,  
 მოსძებნე ქვეყნის მართალი წყლული,  
 დაგვიწერო სიმართლე, მითხრეს.



თქვენი ოჯახი აშენდა! — ვამბობ, —  
 სიმართლის წერა, იცოცხლე, მიყვარს.  
 ოცნების ფრთებით ლაქვარდებს ვაპობ  
 და ჩემი თვეში ჩემს წყალში მიმყავს.

ყავრის ღრიტოში ცა იხედება, —  
 ვაი, დაწლილხარ, ძველო ქვიტკირო!  
 — მთა იკეტება! მთა იკეტება! —  
 დაგწერ კი არა, მინდა ვიყვირო.

მინდა ვიყვილო: — ვაი, ჩვენი ბრალი!  
 ამ მთებს, ამ ქედებს რომლის გულისთვის  
 მე ვკვდები, — ზომავს დღეს მუშტრის თვალით.  
 ჯგრო ახვევია უცხო ტურისტის!

ყელში ხავილით ამოსდის სული  
 სენურს, რაჭულს და ფშავურ ხეობას.  
 მკლავს ხალხმრავლობის ჯიბრი და შური,  
 ჩემი სიმცირე და უმწეობა...

კი, ქალაქს მომცეს მე პურის ფული,  
 რას, რას დაწერო, სახელდობრ, მკითხეს,  
 მოსძებნე ქვეყნის ნამდვილი წყლული,  
 დაგვიწერეო სიმართლე, მითხრეს.

\* \* \*

ხიმშო, ხიმშო, ხიმშო, რა ხარ!  
 მას არ გეტყვი, რაც არა ხარ:  
 ტკბილით საფხე ტიკტორა ხარ,  
 ქვეშო რაჭას წანწკარა ხარ,  
 პაწაწინა სოფელი ხარ,  
 მთის რაჭისკენ ფანჯარა ხარ,  
 შქმერს, მრავალძალს მოჭფენიხარ,  
 სხვის ქვევრებში კვარჩხალა ხარ;  
 ნაჭურ-ნაჭურ ნაყიდი ხარ,  
 სავენახე მასალა ხარ;  
 უშოლთისთვის კახეთი ხარ,  
 მაგრამ ცოტა პატარა ხარ;  
 მეტისმეტი რომ არ გითხრა,  
 ის არ გითხრა, რაც არა ხარ,  
 კაი რითმამ მომაკითხა:  
 მთის რაჭისთვის — ხვანჭკარა ხარ!



## ბ ე ს ა ლ ბ უ რ ი

ხახაში ასხეს ბეტონი შვიდ წელს,  
ჩემი მდინარე ჰგუბებს და ჰღუპებს;  
ქედზე უღელი დაადგეს ფიცხელი —  
დგას ელსადგური, დუმილი სუფევს.  
ძლივს, ძლივს ირწვევა წყალში ანკესი-  
მოუძღვის გიდი ტურისტულ ჯგუფებს.  
მოწყენილს ვხედავ მუქ-ლურჯ სარკვეში  
მამისონიდან ჩამოვლილ ღრუბელს...  
ჯაჭვით დაბმულო! ვარ შენი მოძმე —  
თიმთიმით სინჯავ ფოლადის სუფებს:  
შუათამაშებ (ოცნებობ!) როსმე  
ას-ას-ტონიან ბეტონის კუბებს.

1943

კაცს დამმარხავი კაცი არ ჰყავდა —  
მივადექ დაბას —  
ქალი და ბავშვი მოხუც მარხავდა —  
ათოვდა მთა-ბარს.

მარხილზე ედო ბიჭუნას მკვდარი,  
სახეს ღუშავდა.  
მე გამოვართვი დედაკაცს ბარი,  
დაედე ზურგჩანთა.

იმატა თოვლის შრიალმა იმწამს,  
დაჰბერა ახლად.  
დავკარი ბარი გასუდრულ მიწას,  
დავკარი მაგრად.

ათოვდა ირგვლივ მთელ სამყაროს,  
ათოვდა მშრალად.  
— „დაჭრილი ყოფილხარ, შე საბრალო!“ —  
თქვა ქალმა წყნარად.

არ დასცდენია სხვა სიტყვა ამაყს.  
ის იდგა მშვიდი.  
ვჭრიდი და ვჭრიდი ჯიუტად სამარხს,  
ვჭრიდი და ვჭრიდი.

რალაც დაეუგეთ, როგორღაც ჩავდეთ.  
რალაც დავბურეთ,  
ბიჭუნამ რალაც დაუდო თავით,  
თავი ჩავლუნეთ...





ლაზარეთიდან მე მიცქერია:  
როდესაც ბარდნის,  
წყალგარეული მელნის ფერია  
სალამო ზამთრის.

— „მწვიდობით!“ — ვთქვი და ზურგანთას დავწვდი.  
პასუხის ნაცვლად:  
— „მარხილზე დაჯექი!.. რაისთვის გაეწინდით! —  
თქვა ქალმა მკაცრად.

სარატოვსკაია ერქვა სტანიცას  
თუ მცირე დაბას;  
თებერვლის მწუსრი ჰყუნდა ხალიჩას,  
ათოვდა მთა-ბარს.

ფეხი რუმბივით დაუუდე მარხილს,  
განზე გაეჩაჩხე.  
— „ნუუუ!“ — შეუძახა მრისხანე სახის  
ბიჭმა ბაჩა ცხენს.

თოვლის უდაბნო ირგვლივ გაშლილი!  
დიაცმა მკაცრმა  
ბიჭს რაღაც ჰკითხა — „ფეხშია დაჭრილი!“  
მიუგო ბავშვმა.

ვზით ზურგშექცევით, მარხილი გვარყევს,  
ყურს ვუგდებთ პურგას;  
გადავიარეთ ჭალაკი არყის,  
შევეყვით შუკას.

არა სიზმრისას და არა ზღაპრულს,  
არამედ მართალს  
ჩვენ მივადექით ქოხს თოვლში ჩაფლულს,  
რუსულად — ხატას.

— „შემოდით!“ — ქოხში აინთო შუქი,  
ღუმელი ღუის;  
ვაის და ვუის გრიალებს ბუქი,  
ტრამალი ყმუის.

წინკარში ისმის ღრჭიალი ხერხის  
და დახერხილი  
ბიჭს შინ შემოაქვს. დიაცმა ქვეყნის  
ჩადგა ღერდილი.

დაგვსხა. ვახშამი გაშალა სწრაფად:  
ბურახი — ტოლჩით.  
ნაჭერი ტარხლის, ღერდილის ფაფა,  
ჯამბში — ბორში...  
..



მე გავეშტერე ჩვენს ვახშამს ზღაპრულს  
 მშვიერი თვალი;  
 კერიის სითბო მახვევდა თავბრუს  
 და ვიკეკე მთვრალი.

— „შირთუით!“ — ქალმა მომმართა სევდით  
 (უკვე თქვენობით!)  
 რატომღაც ხმაში სიღბოთი მეტით  
 და გულწრფელობით.

ჩემი ღუღღუდი გააჭონდა ღუმელს,  
 უხერხულ ხმების —  
 კოვზის ჩქამი თუ არღვევდა დუმილს  
 და ბორშჩის ხერეპის.

გარეთ კი თოვდა და თოვლში იწვა  
 ისლის ქოხები.  
 — „ივლიდი ვითომ?“ — თქვა უცებ ბიჭმა  
 ნიშნისმოგებით.

ჩვენ ვახშამს მოვრჩით. დარაბებს შლევმა  
 დაკბერა ქარმა.  
 — „ტახტზე გადმოკეკე, გაგაძრო ჩექმა!“ —  
 თქვა ახლა ქალმა.

ნელ-თბილი წყალი დამიდგა ტაშტით.  
 ჩამიკდა ფერხთით  
 და ჩვენ პირისპირ პირველად დავრჩით,  
 თვალებით შევხედით.

მან გამირღვია მაკრატლით ტოტი  
 მუხლქვეშით შარვლის.  
 მე ორ-სამ ნამსხვრევს ნალმისას ვგრძნობდი  
 ძვალ-რბილში გავლილს.

დაჭრილი ფეხი ჩამიღბო წყალში —  
 ფეხი თუ ჯირკი!  
 — „გეტყინა?“ — მკითხა ალერსით ხმაში, —  
 მომწმინდა ჩირქი.

შევერთი და სახე მივიღე გვერდზე,  
 ვუძლებ და ვდუმვართ.  
 — „მესამე დღეა, პოსპიტალს ვეძებ!“ —  
 ვთქვი ჩემთვის ჩუმიად.

— „ბერდოკთან ბეწვზე გადავრჩი გუშინ —  
 წავაწყდი ფრიცებს;  
 შორს არის კიდევ გარიანი-კლიური?“ —  
 ვკითხე ქალს ისევ.

— „მაცადე! ვისთვის აქვე კარზეა!  
(თოვდა ყივინით)

მაგ ფეხებისთვის დღის სავალზეა!“ —  
მითხრა სიცილით.

ის იყო დაც და ის იყო დედაც. —  
ის იყო ქალი!

წყლის ობშვიარი ბურანში მხვევდა  
და ვიჯექ მთურალი.

ის დიდხანს, დიდხანს მბანდა ჭრელობას,  
მიხვევდა ფრთხილად;  
იყო გონიზდა და დაღლილობა,  
მივარდნა ძილად.

ღუმელის თავზე ბიჭუნა აძვრა,  
ფლასი დამიგო.  
— „იძინეთ!“ — ბრძანა დიაცმა მკაცრად  
ჭრაქი ჩაგვიქრო.

მე ჩამეძინა უმაღ მკედარივით.  
დარაბებს ჩქარმა  
ზათქით, შხივილით და გადარევით  
დაძებრა ქარმა.

და მთელი ღამე გრგვინავდა ქარი,  
ჰყინავდა ქოხმასს,  
და ჭრიალებდა, გმინავდა კარი,  
ღრინავდა ბოლმას.

ლაზარეთიდან მე მიცქერია:  
როდესაც ბარდნის.  
ლილაში გავლებულ ზეწრის ფერია  
თენება ზამთრის.

მე გამაღვიძა ანაზდად მშვიდმა  
ზამთრის თენებამ,  
ჩადგომამ ქარის, სიჩუმემ დიდმა,  
ბარდნის მშვენებამ.

ჩექმაში ფეხი გაგყავი ფრთხილად. —  
თავს მადგა წახრილს, —  
— „მიდიხარ?“ — მკითხა ლბილად და თბილად  
პატრონმა სახლის.

მან გამოალო კარი განჯინის,  
შიგ მკლავი შეჰყო:  
საგზლად და სახსრად — ლორის ნაჭერი,  
პური და წეკო..



ჩვენ გამოვედით ქოხიდან ერთად.  
 უდაბურ დროთა  
 თოვლის უდაბნო წინ გვედო თეთრად —  
 თოვდა და თოვდა.

„ა, ამ გზით გასწოთ!“ — საურმეს გავცდით,  
 ტრაქტთან შეეჩერდით;  
 — „მშვიდობით!“ — თქვა მან სახეზე განცდით,  
 სვედის ბეჭედით.

— „მშვიდობით!“ — ვთქვი მეც და ცრემლი მომწყდა,  
 ოპ, გრძნობა მღუპავს!  
 ათოვდა მკედარს და ათოვდა ცოცხალს,  
 ათოვდა ყუბანს.

თოვდა ჯიუტად და ნოსებს ჰფენდა  
 ცა დაენებით;  
 გამოდიოდნენ სხვა ქოხებიდან  
 სხვა დაჭრილები;

ბედს, გადაჯეგოს უღვთოდ მტრისაგან,  
 ემდურებოდნენ;  
 ფრონტიდან ზურგში, ქოსპიტლისაკენ,  
 ეშურებოდნენ.

უილაჯობა გკლავს, გეტირება!  
 ყინვით და თოშით  
 გაბაწრულები შავ წერტილებად  
 მიფტობავეთ თოვლში.

„მშვიდობით! მშვიდობით!“ — ეს ერთი სიტყვა,  
 ნათქვამი გრძნობით,  
 საგზლად გაქყვება ჯარისკაცს დიდხანს,  
 გამოჰკვებს წლობით.

გაივლის წლები სამჯერ ათ-ათი,  
 იქნება თოვა,  
 იქნება მზეც და, — თვითონ სალდათი  
 თუ იქნა, — მოვა.

ოდესმე თმაში წყვეული ზამთრით  
 შუბლზე ხაზებით,  
 ის მოვა თვისი წარსულის ხათრით  
 და დაფასებით.

ის მოვა, მოვა სსოვნის ნაცართან  
 და ქუდის მოხდით  
 დადგება იგი, როგორც ტაძართან,  
 პაწია ქოხთან.

## შორს მშობლიური მიწიდან

მთხრობა

არ ვიცი კი რატომ, მაგრამ ძველი დროის გმირებს შორის, ყოველთვის, რაღაც განსაკუთრებულად, მუციოს სცევოლა მიზიდავდა, — კეთილშობილი რომელი პატრიცი, რომელსაც უსამართლოდ დასწამეს ცილი, თითქოს სამშობლოს უღალატა.

თავისი უდანაშაულობა რომ დაემტკიცებინა, გააფთრებულმა სცევოლამ მაყალის გავარჯარებულ ნახშირზე დადო ხელი და ცილისმწამებლებს თვალეზში ზიზლით მიამტერდა. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ამგვარი მამაცობითა და გამძლეობით მოხიბლულმა მოსამართლეებმა სცევოლა უდანაშაულოდ აღიარეს და ყველა პატივ-ღირსება აღუდგინეს.

ჩვენთვის საყვარელ ისტორიულ სახეებში იმ თვისებებს ხომ არ ვეძებთ, რაც ჩვენ თვითონვე გვაკლია? ხომ არ წინათვიგრძობთ საკუთარ ბედს? ანდა იქნებ გმირის მამაცობა ახმინებს ჩვენი სულის მალულ სიმებს, რომელიდაც ჯერ კიდევ უხილავი ფსიქოლოგიური მიზეზის ძალით.

ვინ იღებს თავს და ვინ გასცემს პასუხს ამ კითხვას?

მაგრამ, როცა მე სცევოლაზე ვფიქრობ, ხშირად მაგონდება ერთი

ძველი, შორეულ აღმოსავლეთში მომხდარი ამბავი, რომელიც მამაჩემისაგან გავიგონე და რომელსაც აქვე მოგიყვებით, ისევე როგორც ათეული წლების შემდეგ შემორჩა ჩემს მეხსიერებას და როგორადაც ზოგიერთი მიაღეტალი ჩემმა წარმოსახვამ შეავსო.

საუკუნის დასაწყისში ხარბინი შეიძლება ერთადერთი განუმეორებელი ქალაქი იყო მთელს დედამიწის ზურგზე.

ქალაქი ჩინეთის მიწა-წყალზე რუსებმა ააშენეს, როცა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზა გაჰყავდათ. ქალაქს შერეული აღმინისტრაცია განაგებდა, რომელიც ყველასათვის ამოუხსნელ შეთანხმებებსა და მოლაპარაკებებს იყო დაფუძნებული.

ფაქტიურად ქალაქს ორი ხელი-სუფლება განაგებდა: ჩინელი მთავარგამგებელი, ძველმანჭურიული ტიპის რომელიდაცა გენერლის სახით, რომელიც ნომინალურად ბეკინში იმპერატორის მთავრობას ექვემდებარებოდა; და რუსული, ნაცვალის სახით წარმოდგენილი, რომლის იურისდიქცია ფორმალურად რკინიგზის ხაზით ისაზღვრებოდა, მაგრამ სინამდვილე-

ში მთელ ჩრდილოეთ მანჭურიაზე ვრცელდებოდა.

ხარბინის მოსახლეობა ძალზე პრელი იყო. რუს და ბუნებრივია ამ მხარის მკვიდრ ჩინელებთან ერთად ქალაქში რუსეთის მთელი იმპერიის თითქმის ყველა ერის წარმომადგენლები დაემკვიდრდნენ. უკრაინელები, პოლონელები, ქართველები, ებრაელები, სომხები, თათრები, ძალზე ბევრი ქართველი გაჩნდა ხარბინში განსაკუთრებით 1905-1906 წლებში. ესენი საქართველოდან ან რევოლუციური საქმიანობისათვის გადმოსახლებულნი იყვნენ, ანარადა მეფის ხელისუფლების რეპრესიების ეშინოდნენ და დროებით აქ შეეფარებინათ თავი. უფრო კი მანჭურიაში, ამ ორი უბადრუკ იმპერიის განაპირას ხალხი იმ შორეულ დროებაში დიდი სურვილით მოედინებოდა — მოსახლეობა აქ მაძღრისად და ლაღად ცხოვრობდა. სამუშაოს ძებნა არ უხდებოდათ. სამუშაო თავად ეძებდა მათ.

ქართველებმა, რომელთა ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას მშობლიური მხარისადმი სიყვარული და თავისი ხალხის ტრადიციების ერთგულება, აქაც კი, საშობლოსაგან მოშორებით, ვარკვეულად შეინარჩუნეს ჩვეული ყოფა. ერთგულნი დარჩნენ თავისი ზნე-ჩვეულებებისა და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში ცხოვრობდნენ, მაგრამ არ იფარგლებოდნენ მარტო თავისი ნაციონალური ჩარჩოებით. ეს შეუძლებელიც იყო, უფრო მეტად, შერეულ ქორწინების გამო. ქართველი ქალები მანჭურიაში თითქმის არ იყო.

ქართული კოლონიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი ამ დროს დავით ნიჟარაძე იყო. ასე სამოცი წლის კაცი. ძალზე მხნე, წარმოსადეგი. ლამაზი, ქალაქმეურნეული, დიდი შავი წვერით, ცეცხლოვანი ენერჯით და გულდალი თვალებით, მუქი ყავისფერი ცხვირებით გადაბმული, ხშირი, ჩამოქნძილი. წარბებით, რომელიც მას

არა მარტო მკაცრ, დიდ შესახედობასაც აძლევდა. დავით ნიჟარაძე როგორც ხარბინელი კავკასიელების უმრავლესობა, ჩოხაში, ხანჯლითა და რევოლვერით დადიოდა, რაც იმ მდგომარეობასა და დროებაში სრულებითაც არ, იყო ზედმეტი. ქალაქი უკიდევანო ციმბირს ესაზღვრებოდა და ამიტომ აქ დღენიდაც უამრავი შემთხვევითი და ბნელი ხალხი დაბორილობდა.

ნიჟარაძე „ნავმისადგომად“ წოდებული უბნის ერთ-ერთ წყნარ ქუჩაზე ცხოვრობდა. სახლს უხვწყლიანი, ნელი და დიდებული სუნგარი ჩაუდიოდა. დავითს საკუთარი, ფართო სახლი ქართველ თავადთა სახლის ყაიდაზე აეგო — პალატზე მთელ ფასადს შემინული ვალერეა გასდევდა, სამზარეულოთი, აბანოთი და შრამელებით დაბლა სართულში.

ნიჟარაძეს დიდი ეზო ჰქონდა. თავლაში ექვსი ცხენი ება: ორი სამგზავრო, ერთი საჯდომი და სამივე საფორნე. უზარმაზარ, ნახევრად მიწაში ჩამჯდარ ღვინის საწყობში, — ქართული ჩვეულებისამებრ მარანს ეძახდა — ღვინის მარაგი ინახებოდა. სტუმრებისთვის განკუთვნილ მყუდრო ფლიჯელს მიღმა დიდი ბალი იწყებოდა, უმთავრესად ხილის. ნიჟარაძე ოცნებობდა იქ ვენახი ჩაეყარა, მაგრამ მანჭურიის მკაცრი ჰავა გადაუღალავ წინააღმდეგობად გადაეღობა წინ. ვაზი ან მოიყინა ან ნაყოფს არ ისხამდა.

მიუხედავად ამისა, ნიჟარაძე მაინც ვაჭრობდა. — და ძალზე წარმატებითაც, — ვაჭრობდა ღვინით, რომელსაც იგი საქართველოდან იწერდა და ნაწილს კი შანდუნის ნახევარკუნძულიდან მოზიდული ყურძნისაგან თვითონ ამზადებდა.

ქალაქში ნიჟარაძეს რამდენიმე ადგილას ჰქონდა ღვინის სარდაფი, სადაც უმცროს კომპანიონის უფლებით მისი თანამემამულე ქართველები და აგრეთვე სომხები მუშაობდნენ.

ფიქრობდნენ, რომ ნიჟარაძე მდიდარი და საკმაოდ ხელმოშობილი იყო, მაგრამ ამ უკანასკნელ აზრს მხოლოდ თავქარიანები და დარღმანდები იზიარებდნენ, ისინი, რომლებიც დაჩვეულები არიან ოხრად ნაშოვნი ფული ქაბის გაატანონ, ხოლო როცა გამოელევათ, სხვის ხარჯზე ცხოვრებასაც არ უკადრისობდნენ. უფრო სოლიდურებმა და ჰკვიანებმა იცოდნენ, რომ ნიჟარაძე ბევრს ეხმარებოდა, თუმცა გამორჩევი და ვითომ მეორეჯერ სესხად არასდროს არ მისცემდა კაცს ფულს, კაცს, რომელმაც მისი ნდობა არ გაამართლა, და საერთოდ, არ უყვარდა ისე, სხვათაშორის ფულის გაცემა. როცა მას დახმარებისათვის მიმართავდნენ, — უფრო ხშირად უცხო მხარეში უბადრუკ მდგომარეობაში ჩავარდნილი თანამემამულეები, — იგი ჩვეულებრივ ყურადღებით მოუსმენდა მთხოვნელს და შეეკითხებოდა:

— რის გაცემებას აპირებ?

თუ მთხოვნელს რაღაც იდეა ჰქონდა, ნიჟარაძე მასთან ერთად გულდასმით მოიხილავდა ყველა ვარიანტებს: და პერსპექტივებს, და ამუშავებდა დეტალებს და დარწმუნდებოდა რა გადაწყვეტილების სერიოზულობაში, მხოლოდ ამის შემდეგ გაცემდა ფულს, თანაც არასდროს პროცენტებს და ხელწერილს არ ითხოვდა.

— შენ თუ წესიერი კაცი ხარ — ისედაც დამიბრუნებ, თუ არა და — ვერავითარი ხელწერილი ვერ გიშველის, — ამბობდა დავითი ასეთ შემთხვევებში.

და მართლაც, ნიჟარაძეს, თითქმის, ყოველთვის უბრუნებდნენ ვალს. სამაგიეროდ უპირო კაცი თუნდ მომკვდარიყო შიმშილისაგან მისი სახლის ზღურბლთან, იგი ნიჟარაძისათვის აღარ ერსებოდა და ამ ქვეყნად არავის შეეძლო დაებრუნებინა მისთვის დავითის თვალში დაკარგული ნდობა.

თუ მთხოვნელმა არ იცოდა საიდან დაეწყო, ასეთები კი ბევრნი იყვნენ სამშობლოდან რეპრესიებს გამოქცეუ-

ლები ან სახალისისა და შორეულ აღმოსავლეთის კატორღებში წაბრუნებულ მოხილვები, ნიჟარაძე მათთან უკანასკნელად, რისთვის უნდა მოეკიდა ხელი, ან სამსახურში აწყობდა და პირველ ხანებში მატერიალურადაც ეხმარებოდა.

ჯანმრთელი და ახალგაზრდა კაცის გამწესება სამუშაოდ დავითს არ უჭირდა, რადგან ხარბინში და ჩინეთის აღმოსავლეთის რკინიგზის მთელ გაყოლებზე, მას საკმაო ნაცნობები ჰყავდა — დავითი არა მარტო ღვინით ვაჭრობდა, იჭარებდაც იღებდა და უპატიოსნეს, უწესიერეს მოიჭარედ ითვლებოდა.

უმალეს რუს და ჩინელ ადმინისტრაციულ წრეებში ნიჟარაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, განსაკუთრებით ორი ღირსსახსოვარი ეპიზოდის შემდეგ.

პირველი შემთხვევა ასეთი იყო: ქალაქის აღმოსავლეთით, შემოგარენში სანადიროდ გასულ ნიჟარაძეს თავს დაესხნენ ხუნხუზები და მას მარტოც მოუხდა ორი ათეული ყაჩაღის მოგერიება. თან ორი იქვე მისაჯალავა, სამი დაჭრა. ორდღიანი უთანასწორო ბრძოლის შემდეგ კაზაკების რაზმმა მიაღწია შემთხვევის ადგილს და ხუნხუზები გაიფანტნენ.

მეორე შემთხვევა კი ასეთი იყო: ხარბინში მოქმედება დაიწყო შეიარაღებულ კავკასიელ-ბანდიტთა ბანდამ. ბანდიტები წარმატებით დაესხნენ ბანკს, გაძარცვეს რამდენიმე მდიდარი ვაჭარი და უმალესი ჩინოვნიკი, სროლის დროს დაიჭრა და მოკვდა ათზე მეტი კაზაკი და ჩინელი პოლიციელი. მხარის უმალესმა მთავრობამ პოლიცემისტერს და გარნიზონის უფროსს უბრძანა ბანდიტები ცოცხლად კი არ დაეჭირათ, ამოეხოცათ. ქალაქი სამხედრო წესით ცხოვრობდა. მცხოვრებლები დაბნეულებამდე იყეტებოდნენ სახლებში და ქუჩიდან მოღწეულ ხმებს შიშით იყენენ მიყურადებულო. მოსალოდნელი იყო დიდი სისხლისღვრა.

და აქ, ნიჟარაძე მთავარგამგებელთან

გამოცხადდა და თხოვა ბრძანების გაცემა შეეჩერებინა, თავისი შუამავლობა შესთავაზა. მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილებით დამოძღვრილი ძველი ადმინისტრატორი დათანხმდა და ვადა სამი დღე მისცა. ამის შემდეგ ნიჟარაძე, მხოლოდ მისთვის ცნობილი გზებით, ბანდიტებს დაუკავშირდა და დაარწმუნა ისინი, სამუდამოდ დაეტოვებინათ ქალაქი. ხარბინში კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა.

სწორედ იმ დროს, როცა დაოთხილმა კაზაკების ასეულმა ხუნხუზები გაფანტა და ალყაში მოქცეული ნიჟარაძე გარდაუვალი დაღუპვისაგან იხსნა, ბედმა მისი ცხოვრების ზანტად აგორებულ გორგალს უფრო მნიშვნელოვანი კვანძი შეანასკვა.

დავით ნიჟარაძემ ათი წლის წინ — მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ასეთი მდიდარი, ის კი არაა და რიბულადაც ცხოვრობდა, თავისი მხსნელების პატივსაცემად, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობითა და ხელგაშლილობით, ქეიფი გამართა.

რა თქმა უნდა, სტუმართა შორის ყველაზე პატივსაცემი იყო იასაული სოკოლოვი — ის, ვინც დავითისათვის ღრისასხსოვარ დღეს კაზაკების რაზმს ედგა სათავეში.

სოკოლოვი და ნიჟარაძე თითქმის კბილანი იყვნენ. იარაღში, ცხენსა და ღვინოში ორივენი კარგად ერკვეოდნენ. როგორც ვაჟკაცებს შეშვებით, ზიფათისათვის სახეში შეეძლოთ შეეხედათ ორივე — სიტყვაძუნწი და საქმიანი. მალეც დამეგობრდნენ და რადგან სოკოლოვი დამოჯახებული იყო, დავითი ამ მკვირცხლი დონელი კაზაკის ოჯახის ხშირი სტუმარი გახდა.

ვერაინ შენიშნა, როდის დაიწყო ყველაფერი, მაგრამ მხოლოდ სამი თვის შემდეგ სოკოლოვის ოცი წლის გოგო დარია ნიჟარაძის ცოლი გახდა, დავითი მაშინ უკვე ორმოცდაათ წელს იყო მიტანებული.

როცა დარია გადამწყვეტილად გა-

ნაცხადა, რომ დავითს მიყვება ცოლად, მშობლები შეშფოთდნენ.

— შენ რა, კეკა დავითო, დაშვას იგი ხომ მაშად შეგფერის და არც ახალგაზრდაა! — მხოლოდ ეს თქვა სოკოლოვმა. იგი იმდენად იყო განცვიფრებული, რომ რიგაინად გაბრაზებაც კი ვერ შეძლო.

მაგრამ დაშას მამის ხასიათი დაყვა, თავისაზე ჯიუტად იდგა.

— თუ არ დამლოცავთ — ისე წავალ მასთან! — მტკიცედ განუცხადა მშობლებს.

მშობლებმა იცოდნენ, თუ დარია რაიმე დაიქინა — მას ვერაფრით ვერ გადაათქმევინებდნენ, — ყველაფრით, ასაკის გარდა, დავით ნიჟარაძე, მართლაც რომ, სოკოლოვებისათვის სასურველი სასიძო იყო.

დაქორწინდნენ იქაურ ტაძარში, ქორწილი დიდებული გადაიხადეს. შეზარხოშებულმა სტუმრებმა ისეთი სროლა ატეხეს, რომ ახლო-მახლო კვარტალებში პოლიციელები მიიშალნენ, ეგონათ, ქალაქს ხუნხუზების დიდი რაზმი დაესხა თავს.

გრძელ მაგიდასთან ერთ-ერთ პატივსაცემ ადგილას წამოჭიმული სოკოლოვი თანაპოლკელებს თვითკმაყოფილი უბაჟუნებდა თვალს და გაფანჩულ ულვაშის გრეხით, მრავალგზის იმეორებდა:

— ჩემი დაშვა!.. თავადის ქალი გახდა.

სოკოლოვი აქ ცოტათი აქარბებდა. მისი სიტყვადმოსახლებული და პატივყარი იყო.

შემდეგ რუსეთ-იაპონიის ომმა იფეთქა და იასაული სოკოლოვი გმირთა სიკვდილით დაეცა ლიაოანთან. ცოლიც მალე მას მიჰყვა.

დაშა მარტო დარია დავითთან, ცოლქმარი უშვილონი იყვნენ.

ამ დროს დარია პირმრგვალი ფაშა ქალი იყო, ლამაზი იმ დიდებული, ცოტათი მძიმე სილამაზით. მორონინენელი და ამაყი მოძრაობით, რომელსაც ახლაც შევამჩნევთ როსტოვის და დონის სტანიცების ქალებს. ბრწყინვა-



ლე დიასახლისი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მოსამსახურეების მიმართ, ვულღი და პურმარილიანი მეგობრებთან.

ერთხელ, ზაფხულში, სალამო ხანს, როცა დავით ნიყარაძე, ნასადილევი და კაბინეტში ტახტზე გამოძინებული, ვერანდაზე იჯდა და ჩაის სვამდა (ეს ქორწინების შემდეგ წესად დაიდო) ჩინელი მსახური შემოვიდა და მოახსენა, რომ პატრონს ვიღაც უცნობი კითხულობდა.

— კაბინეტში შეიწვიე, — ბრძანა დავითმა. ერთი-ორჯერ კიდევ მოსვა ჩაი, წამოდგა და სახლში შევიდა.

დავითის გამოჩენისთანავე სავარძლიდან საშუალო სიმაღლის ფერმკრთალი, ინტელიგენტური სახის კაცი წამოდგა. სახის ნაკვეთები უტყუარად ქართველს მიუგავდა. უცნობი ძალზე გამხდარი და ღარიბულად იყო ჩაცმული. მან მოწიწებითა და პატივისცემით დახარა თავი და თქვა:

— ჯუმბერ გედევანიშვილი.

— დაჯექით, ვთხოვთ, — შეეპატივა დავითი, თან საწერ მაგიდას შემოუარა და სავარძელში ჩაჯდა.

ჩამოვარდა სტუმრისთვის უხერხული სიჩუმე, ამიტომ დავითმა აჩქარებით იკითხა:

— დიდი ხანია ჩვენ მხარეში ხართ? — დავითი ქართულზე გადავიდა, რომ საუბარი უფრო გულითადი გამხდარიყო.

— მესამე დღეა.

— საიდან მოხვედით?

ახალგაზრდა კაცი გაჩუმდა. მაგრამ შემდეგ ძლივძლივობით, მაგრამ ისე რომ, ღირსება არ დაუკარგავს, უპასუხა:

— სახალინიდან.

დავითისათვის ეს თავიდანვე ნათელი იყო, მაგრამ მას ის მოეწონა, რომ სტუმარმა ასე პირდაპირ და მოურიდებლად დაასახელა არასასიამოვნო ადგილი და აგრძნობინა, ამის გამ-

ხელა მისთვის მართლაც რომ არა სასიამოვნო იყო.

— დიდხანს იყავით აქ? — ზვიერი წარბებით ჩამოქუფრული თვალებით ნიყარაძე ყურადღებით უყურებდა სტუმარს.

— ხუთი წელი.

— ახლა უკან ბრუნდებით სამშობლოში? — ეს ორმხრივი კითხვა იყო. თუ გედევანიშვილმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, მას სასჯელის მოხდის შემდეგ საქართველოში დაბრუნების ნება ჰქონდა, თუ პოლიტიკური, მაშინ საქართველოსაკენ გზა მისთვის გადაკეტილი იყო.

— მე შვიდი წელი კიდევ აკრძალული მაქვს სამშობლოში დაბრუნება — მშვიდად უპასუხა ახალგაზრდა კაცმა, მაგრამ ხმაში აშკარა წუხილი ერტყობოდა.

დავითი, რომელსაც მაშინვე მოეწონა გედევანიშვილი, გახარებული იყო უცნობი პოლიტიკური დამნაშავე რომ აღმოჩნდა. თუმცა ასედაც რომ არ ყოფილიყო, დახმარებაზე უარს მაინც არ ეტყოდა.

— ესე იგი ხარბიწი გინდათ დამკვიდრება, — ნახევრად კითხვით, ნახევრად გადაწყვეტილად წარმოთქვა დავითმა, მსუბუქი ღიმილით შეამსუბუქა საუბრის აზრი.

— იძულებული ვარ... — ხელები გაშალა და დაბნეულად და გაუბედვად გაიცინა გედევანიშვილმა.

— რატომ, აქ არცთუ ისე ცუდია, — დავითი შეეცადა სტუმარი გაემხნევებინა, — სად გაჩერდით?

— საქართველოს საზოგადოების საერთო საცხოვრებელში, მაგრამ სტუმარი შეეცადა, — თავმჯდომარე ადგილზე არ არის, მდივანიც ავადმყოფობს. მე მირჩიეს თქვენთვის მოემართა. სამუშაოს თაობაზე! — დაუმატა მან აჩქარებით.

ესეც მოეწონა დავითს, — იგი მიხვდა, ახალგაზრდა კაცს რისი ეშინოდა.

— სწორადაც ურჩევიათ, — კიდევ

უფრო გამამხნეველებელი ტონით დაიწყო დავითმა და უცხად მიხვდა, რომ ახალგაზრდა ალბათ მშვიერი იყო. ის აშკარად არ ჰგავდა მათ, ვინც ჯერ ქალაქში არ არის შემოსული და უკვე სათენისტომოში მირბის მატერიალური დახმარებისათვის. ამიტომ დავითმა საუბრის თემა შეცვალა — საქმე არსად გაიქცევა, ახლა კი ურიგო არ იქნებოდა, წაგვეხემსა — მე რაღაც მომშივდა, გთხოვთ, ჩემთან ერთად ისაღილოთ.

დავითი სტუმართან ერთად სასადილო ოთახში გავიდა. აქ, სწორედ სულზე მოსწრებასავით ორი ნაცნობი გამოჩნდა — გაურკვეველი პროფესიის ადამიანები, მაგრამ მხიარულნი და უზრუნველნი, როგორც ჩვეულებრივ არიან ასეთი ყაიღის ადამიანები. მათი წყალობით სუფრასთან უშუალო განწყობილება შეიქმნა. გედევანიშვილი მორიდებულად ქამდა, ცოტას სვამდა, მაგრამ თავისუფლად ლაპარაკობდა. და ორი მეგობრის ხუმრობებს დიდი სიხალისით პასუხობდა.

რა თქმა უნდა, როგორც ყველა ქართულ თავყრილობაში, რაც არ უნდა შორს ყოფილიყვნენ სამშობლოდან, რაიმე ნათესაური კავშირი მაინც გამოიძებნებოდა. გამოირკვა, რომ ჯუმბერის ბიძა ერთ დროს დავითთან ერთად სწავლობდა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, თუმც სხვადასხვა კლასებში. ამის შემდეგ დავითი უფრო მეტი გულთბილობით განიხსენებდა ახალი ნაცნობისადმი.

გვიან ღამით, როცა სტუმრები იშლებოდნენ, ნიქარაძემ გადაწყვიტოვლად უთხრა ჯუმბერს.

— არსადაც არ წახვალ! ჯერჯერობით ჩემთან იცხოვრებ. დაშა ფლიგელში ახლა საწოლს მოგიშვადებს. წადი, დაისვენე. სამუშაოს თაობაზე ხვალ მოვილაპარაკებთ.

მეორე დღით დავითმა ჯუმბერი უპირველესად უნივერსალურ მალაზიაში წაიყვანა, უყიდა ორი კოსტუმი, ნახევარი დუქიანი პერანგი, ორი წყვი-

ლი ფეხსაცმელი და სხვა აუცილებელი წერილობები. ჯუმბერმა უწინააღმდეგებოდა, ეჭუტებოდნენ, მაგრამ დავითის ისეთი მედიდური და ამასთან გულთბილი გულუბრყვილობით, ისეთი ნათესაური სიტბობით და სულგრძელობით ეჭირა თავი, რომ ჯუმბემა უკან დაიხია.

სამუშაოს საქმეც მოგვარდა დაუჯერებლად მარტივად და წარმატებით.

— მე დამეხმარები! — კვლავ იმავე მამური ტონით თქვა დავითმა. მე სატყეო კონცესიას ვიღებ სადგურ იაბლონიანზე. ათი საათის სამგზავროა მატარებლით აქედან, აღმოსავლეთ ხაზზე. მე იქ ჩემი კაცი მჭირდება. ხშირად მოგიხდება მგზავრობა.

მაგრამ ბატონო დავით, მე ხომ არაფერი გამეგება ამ საქმეში? შეეცადა შეწინააღმდეგებას ჯუმბერი.

— იქ საქმეში ჩახედული ხალხი დაგიხვდება — მოუჭრა ნიქარაძემ, — მე სანდო კაცი მჭირდება.

— თქვენ გყავთ ასეთი კაცი, — ჩუმად, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა ჯუმბერმა.

ნიქარაძემ ახალგაზრდა კაცს მძიმედ, გამომცდელად ჩახედა ცისფერ თვალებში.

— ვიცი, — წარმოთქვა მან მეორე დაყოვნების შემდეგ.

2.

ჯუმბერ გედევანიშვილი უკვე რამოდენიმე თვეა ნიქარაძესთან მუშაობდა. ხარბინსა და თვალწარმტაც სადგურ იაბლონიას შორის ატარებდა ჯუმბერი დროს. სადგურიდან ათი ვერსით ჩრდილოეთისაკენ სატყეო კონცესია მდებარეობდა.

ჩრდილოეთ მანქანის მკაცრი ბუნება ცოტათ თუ ჩამოჰგავდა მშობლიური იმერეთის კობტა პეიზაჟებს; მიუხედავად ამისა, ჯუმბერს აქ მოსწონდა. ხშირი ნივგზნართა და ხავსით შეფენილი გორაკები გრძელ, მაგრილებელ ჩრდილებს აფენდა. მიყრუებულ ღრანტეებში რძი კარი ნისლი

იბოლქვებოდა. ტყის ღია მწვანე ველებზე კი საოცრად ბარაქიან, ნაშიან და მუდამ ნესტიან ბალახში აქა-იქ მოულოდნელად, ცეცხლის ენებად თავს წამოყოფდნენ ლეღაქა ადგილობრივი ველის ყვავილები, წვრილი, მერცხალა ფოთლებით და ჭიუტად ჩამოხრილი გრძელი მტვრიანებით.

ჭუმბერი მართლაც კარგად ართმევდა თავს მოვალეობას. გამოუვალ მდგომარეობაში კი, მას მოიჭარე ჩინელი ვან-ფუ-მინი შეელოდა. იგი ნიჟარაძის ძველი კომპანიონი და მეგობარი იყო, შუახნის, კეთილ-სინდისიერი და გამოცდილი კაცი, რომლის განსჯას შეგეძლო სავსებით დაყრდნობოდა.

დაბაში რამდენიმე ასეული მოსახლე ცხოვრობდა — ჩინელები და რუსები. ესენი იყვნენ ხის მჭრელები. მტვირთავეები, მონადირეები, ჩუმი, ნაკლებმეგობრული ხალხი, მაგრამ პატიოსანი, შრომის მოყვარე და რაც პირველ ხანებში ჭუმბერს ძლიერ ანციფრებდა — სმისმოძულენი. მხოლოდ გვიან გაიგო, რომ ჩინელებისათვის ლოთობა, როგორც მოვლენა, არ არსებობს საერთოდ. დაბაში მოსახლე რუსები კი ძირითადად სტაროვერელები იყვნენ, სმას მათ სარწმუნოება უკრძალავდა.

ჭუმბერი აქ ხარბინიდან თვეში ერთხელ ხუთი-ექვსი დღით ჩამოდიოდა. ტყის სახერხთან მას საძინებელი ოთახი ჰქონდა, დღისით კი აქვე, კანტორაში იყო ან ტაიგაში მიდიოდა ხეს სადაც აგროვებდნენ, სახლი კი ხარბინში ჰქონდა, ნიჟარაძის სახლის იმავე ფლიგელში, სადაც იგი ჯერ კიდევ პირველ დღეს ჩასახლდა. იქ მის განკარგულებაში იყო ორი ოთახი და სამზარეულო, რომლითაც არ სარგებლობდა, რადგან ჭუმბერი ნიჟარაძის ნებით მათთან ერთად სადილობდა და მასპინძელს სხვა არაფრის ვაგონება არ სურდა.

— ჩემთან ყოველდღე სამი კაცი სადილობს. იქნებ შენთვის არ მოიძებ-

ნება ადგილი? — უპასუხა მან ჭუმბერს, როცა ეს უკანასკნელი შეეცადა ამ საკითხის წამოჭრას. მაგრამ ჭუმბერი მიხვდა, რომ ამის თაობაზე სიტყვის ვაგრძელება აღარ ღირდა.

დაშაყ კარგად ექცეოდა ჭუმბერს; ნათესაურად, უბრალოდ, გულთბილად და თანასწორად, თუმცა დაშა ყველასადმი გულთბილი იყო; და ჭუმბერი, რომელსაც თავდაპირველად დაშასი უფრო ერცხვინებოდა, ვიდრე დავითისი, ძალზე მადლობელი იყო ამ ქალისა სწორედ იმისათვის, რომ მას განსაკუთრებულად არ გამოარჩევდა სხვებისაგან და იმიტომაც, რომ მისი უბრალოებისა და სიმშვიდის გამო მან სწორი ტონი შეიმუშავა — ნათესაური, გარკვეული დისტანციის შენარჩუნებით, და დაძლია ძნელად დასათრგუნავი გრძნობითი ლტოლვა, რასაც ის პირველად გრძნობდა დაშასადმი. იგი ზომ პირველი ცოვლიზებულის, ლამაზი ქალი იყო გაუთავებელი ხუთი წლის მანძილზე. მას კი მხოლოდ ახლახან შეუსრულდა 24 წელი.

თუმცა ჭუმბერს ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ დაშას თვალეზში რაღაც კითხვა იმალებოდა. ამ დროს ჭუმბერი ძალზე იზნეოდა. იგი ფიქრობდა რომ მისი სახლში ყოფნა დაშას უჭირდა და მხოლოდ თავაზიანობის გამო ან ქმრის ნებას ვერ გადადიოდა და ურიგდებოდა ჭუმბერს. მაშინ ის კონცესიაში მიდიოდა და იქ უფრო დიდხანს რჩებოდა, ვიდრე საქირო იყო. მაგრამ გადიოდა კვირა, ორი და ჭუმბერი ხარბინში ბრუნდებოდა. თუ თვითონ არ დაბრუნდებოდა, დავითი გამოიძახებდა ჭუმბერს ტელეგრაფით და დიდი სახლის სიმყუდროვე, სითბო და ფუფუნება (ასე უწოდებდა თავისთვის ჭუმბერი ნიჟარაძის ბინას) კვლავ გარს შემოეკვროდა მას და მარტობას შეუმსუბუქებდა.

— ძალიან კი მუშაობ იმ კონცესიაზე, — ალერსიანი სიმკაცრით ეუბნებოდა შეხვედრისას დავითი — შეხედე რას ჰვაჯხარ! დაშა, უბრძანე

აბანო გაახურონ! — და კვლავ ჯუმბერს მიუტრიალდებოდა, — მე აქ მჭირდები, შენ კი არ ჩანხარ და არა...

დავითი ცდილობდა, რომ უქანასკნელი სიტყვები მკაცრად აეღერებულებოდა, მაგრამ ცუდად გამოუდიოდა. დავითს ჯუმბერი მოემატრა და მისი გამოძახების ერთერთი მიზეზი ეს იყო.

მამობრივობის დაუქმყოფილებელი ინსტიქტი შესაფერისი ობიექტის მოძებნის შემდეგ უხვად იღვრებოდა ჯუმბერზე, მაგრამ დავითს, რატომღაც რცხვენოდა ამ გრძნობისა. და ჯუმბერი თანდათან დავითისადმი შეიღრუბრა გრძნობით განიმსჯვალა. მან აღრეულ ბავშვობაში დაკარგა და თითქმის არც ახსოვდა მამა. იგი არა მარტო კეთილის მყოფელს ხედავდა დავითში, მისი ცხოვრების უძნელეს წუთებში რომ ამოუდგა მხარში, დავითში მამასაც ხედავდა და მისადმი, არც მტერი, არც ნაკლები, შეიღრუბრა ერთგულებას ავლენდა.

საქმე ისე მიდიოდა, რომ ბოლოს და ბოლოს, მოხუცი ნიქარაძე იშვილებდა ჯუმბერს. მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

ერთხელ — ჯუმბერის ხარბინში ჩამოსვლიდან ერთი წელი მიიწურა — დავითმა იგი თავისთან კაბინეტში გამოიძახა და მოკლე სიტყვის შემდეგ, როგორადაც იგი ყოველთვის იწყებდა სერიოზულ საუბარს, განაცხადა:

— შეილო, — უკვე რამდენიმე ხანია ასე მიმართავდა ჯუმბერს, როცა კარგ ხასიათზე იყო, — მე კარგად დიდი ხნით მივემგზავრები.

დავითმა შეისვენა, თითქოს სურდა გაეგო, როგორ შეხვდებოდა ამ ახალ ცნობას მისი თანამოსაუბრე. ჯუმბერი ჩუმად იყო, იცოდა, დავითს ზედმეტი კითხვები და ცნობისმოყვარეობა არ უყვარდა. ყველაფერს, რაც საჭიროა, თვითონვე იტყოდა. ჯუმბერი მხოლოდ შეეცადა სახეზე ყურადღება გამოეხატა, დაინტერესება და მასზე დაკისრებული დავალებების

შესრულებისათვის მზადყოფნა. დავითმა სწორად აღიქვა, ახალგაზრდა მგობრის სიტყვები და კმაყოფილებით განაგრძო.

— მე აქ ჩემს მაგივრად გტოვებ, — მან საკმაოდ გაურკვეველად, მაგრამ საერთო ჯამში სავსებით გასაგებად მოხაზა ხელით ჰაერში და ამასთან, თვალი შეავლო ვრცელ კაბინეტს, თითქოს მის კედლებს მიღმა თავის სამფლობელოს გადახედა, — დაშა ქალია, — თავს ვერ ვაართმევს. კონცესიას ვანს მიანდობ, თვითონ კი ხარბინში იქნები.

დავითმა საწერი მაგიდის შუა უჭრა გასხნა, გამოსწია და დოკუმენტებით სავსე საქალაქე ამოიღო. დავითი ჯუმბერს თავის საქმეებს აცნობდა. ნახევარი საათი ვაგრძელდა. ჯუმბერი დამძულად უსმენდა, ცდილობდა ყველაფერი ზუსტად დაემახსოვრებინა, მაგრამ დროდადრო სასოწარკვეთილება იპყრობდა: ეჩვენებოდა, რომ უცლობლად აურ-დაურევედა ყველაფერს და ნიქარაძის საქმეებს თავდაყირა და აყენებდა. მაშინ გადაწყვიტა და დავითს მოუჭრა.

— თუ შეიძლება შეიცადეთ. მე ჩავინიშნავ. ვაი თუ ყველაფერი ვერ დავიმახსოვრო.

ნიქარაძე მიხვდა მის განწყობას, გაიცინა, მაგრამ დაამშვიდა.

— არავითარი ჩანინა არ არის საჭირო! ისედაც დაიმახსოვრებ. თუ დაგვირდება, ამ საქალაქე კიდევ ერთხელ გადაავლე თვალი, მთავრია, ყველაფერი ძველებურად იყოს, არაფერი შეცვალო. თუ რაიმეს ვერ გიგებ — ჩამოვალ და გავარკვევ. დაშა საქმეებთან არ მიუშვა. ეს ქალის საქმე არაა. სახლში იფუსფუსოს. მასაც შენ განდობ. ვინმემ არ აწყენინოს!

დავითი წამოდგა, ანიშნა, საუბარს დამთავრებულიაო. მაგიდას შემოუარა და ჯუმბერს მიუახლოვდა და მაგრად მოხვია მხარზე ხელი.

— ნუ გეშინია, შეილო, თავს ვაართმევ! მარტო ღმერთი არ განაჯებს კაცის საქმეს! გახსოვს, როგორ არ გინ-

დოდა კონცესიაზე წასვლა? საქმები კი იქ კარგად მიგყავს.

დავითი მაგიდისაკენ შებრუნდა, ქალღიბელი აიღო და ჭუმბერს გაუწოდა.

— აი მინდობილობა შენს სახელზე, მეორე დაშას აქვს, ამას გარდა, რაც დაგჭირდება — დაშას მიმართე მე უკვე გავაფრთხილე.

ამ სიტყვებით ნიჟარაძე კიდევ ერთხელ მოეხვია ახალგაზრდა კაცს და შუბლზე აკოცა. იგი კი ძველი ჩვეულებასამებრ მხარზე ეამბორა დავითს.

### 3.

დავითის გამგზავრების შემდეგ გარეგნულად თითქმის არაფერი შეცვლილა, მაგრამ შინაგანად ჭუმბერი თავდაპირველად უხერხულობას გრძნობდა.

ძალიან ბევრ ხალხთან უხდებოდა ურთიერთობა. მათზე გარკვეული უფლებები გაუჩნდა, ყველა მათგანი კი ასაკით ჭუმბერზე უფროსი იყო.

ჭუმბერს არ შეეძლო და არც უყვარდა ბრძანებების გაცემა, ისევე როგორც არ უყვარდა ვინმეს დამორჩილებოდა. ის ადამიანთა შორის ურთიერთობაში მხოლოდ სრულ ნდობასა და პატივისცემაზე დამყარებულ თანასწორობას ცნობდა. ის ფაქტიც, რომ ბოლოს, იგი უსიტყვოდ ემორჩილებოდა იმ ადამიანებს, რომლებიც ბევრად მასზე ნაკლები იყვნენ ჭკუითა და მორალური ავტორიტეტით, არავითარ შემთხვევაში არ უქარწყლებდა რწმენას ყველა ადამიანის იმთავითვე თანასწორობაში.

ამიტომ ახალი, ხელმძღვანელი მდგომარეობა ძალზე ენთითრებოდა. განსაკუთრებულად უხერხულად დაშასთან გრძნობდა თავს, ჭუმბერს ხომ დაშას ქმრის საქმეებს მართვით რაღაც უფლება ქალზედაც მოიპოვა. დავითმა მათთვის ცოლის მზრუნველობა და დაცვა მიანდო. ეს კი ჭუმბერს დამატებით ვალდებულებებს აქოსრებდნენ. თუ დაშას რაიმე დაემუქრებოდა ჭუმბერი უყოყმანოდ ჩაერეოდა საქმეში და იცავდა ქალს. რადგან ყველაფერი

ნორმალურად მიედინებოდა და არავითარი განსაკუთრებული რისკები არა, ჭუმბერი არც გაფაცოცებულ ქალადღებას იჩენდა. ახალგაზრდა კაცი თავს მაინც მოვალედ თვლიდა ყოველდღე მუშაობაში და ეკითხა, ხომ არ იყო რაიმე საქმრო, ხომ არაფერს დააქვებდა დაშა?

მას აზრდაც არ მოსულია, რომ მისი უფროსი მეგობრის ცოლისადმი ასეთი ყურადღება არასწორად იქნებოდა გავებული. დავითის გამგზავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მან რაღაც ახალი შეამჩნია დაშას საქციელში.

დაშა ძალზე გულთბილი გახდა, ენაწყლიანი, ვიდრე ქმართან, ყოველთვის სახლში ეპატივებოდა. ჭუმბერი უარობდა, საქმეებს იმიზეზებდა, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებდა, წინააღმდეგ გამოშვებობებებს და წასვლას.

ერთხელ, საღამოთი ჭუმბერი დიდ სახლში, სასადილო ოთახში იჯდა და ჩაის მიირთმევდა ლეზელით. დაშა ლეზელს შესანიშნავად აცხობდა.

ჭუმბერი, დიასახლისის გულთბილობის მიუხედავად, უხერხულად გრძნობდა თავს. მას ნამდვილად ჰქონდა საქმე ქალქის მეორე რაიონში. ახლა მის განკარგულებაში მყოფი ნიჟარაძის ეკიპაჟი კიშკართან ელოდებოდა, მაგრამ ჩაის ვიდრე არ დაამთავრებდა, ისე წამოდგომა, არათავაზიანი იქნებოდა და ჭუმბერი თავს ძრახავდა, რომ მოპატაეებაზე დათანხმდა და დროს კარგავდა. დაშა კი დღეს განსაკუთრებით თავაზიანი, ენაგაყრფილი და მორთულ-მოკაზმული იყო. ქალი ჭუმბერს მისჩერებოდა ისე, თითქოს მისი უხერხულობა სიამოვნებდა. დაშა გაუთავებლად რატრატებდა, რაღაცას ყვებოდა. მაგრამ ჭუმბერი ცუდად უსმენდა და შეუსაბამოდ პასუხობდა.

— აი გიყურებ შენ, — დაშა ჭუმბერს დავითით „შენობით“ მიმართავდა. ჭუმბერი კი დაშას და დავითს თქვენობით, — და ვერ გამიგია რა ადამიანი ხარ...

დაშას ხმა დამცინავად ეღერდა. საუ-

ბრის სერიოზულმა კილომ ჯუმბერი აიძულა ყურადღება დაეძაბა.

დაშა კი განაგრძობდა:

— ერთ წელზე მეტია აქ ცხოვრობ და სულ მარტოდმარტო. არ მოგწყინდა? ჯუმბერი წამოეთნო. შინაგანე წე-რიგიანობის დაკვით, იგი არცთუ მთლად ბერის ცხოვრებით ცხოვრობდა და ამას არა მარტო თავისთვის გარშემომყოფთათვისაც ჩვეულებრივ ამბად თვლიდა, რადგან დაშა ამ თემას ზუაბად ახლა შეეხო, როცა სახლში არავინ იყო, დავითიც წასული იყო, ახალგაზრდა კაცმა ყოველივე ეს გადაკრულ სიტყვად და სითამამედ მიიჩნია. უფრო მეტი მოურიდებლობა დაშას ხმაში იგრძნობოდა, ხოლო როცა ჯუმბერის თვალები მის ღრმად ჩაჰქადაღა ღია-ყუბუღისფერ თვალებს შეხვდა, ქალის თვალების მოყვანილობა შეესატყვისებოდა მის მოკლე, თითქოს ჩაქრილ ნიკაჰს, რაც მის სახეს კატისმავგვარ გამომეტყველებას აძლევდა, კაცმა მათში აშკარა გამოწყვევა ამოიკითხა, მაგრამ იმ წუთებში იგი ჯერ კიდევ არ ფიქრობდა ურიგოდ მამობილის ცოლზე. იგი ქალი კი არა, თავის თავს ადანაშაულებდა ბინძურ აზრებში და სწორედ ამას მიიწერა ის შთაბეჭდილება, რომელიც მასზე მოახდინა დაშას სიტყვებმა, ღიმილი და გამოხედვამ.

ამიტომ, ჯუმბერი უკვე არად დაგიდევდათ თავაზიანობას. წამოდგა, რაღაც ჩაიდუღუნა გადაუდებელ საქმეებზე და სახლიდან გავიდა. საბედნიეროდ გადაუდებელი საქმე მართლაც ჰქონდა და ეს მას სიმტკიცეს ანიჭებდა.

— ბიჭმა დაიმორცხვა, ბიჭი ვარბის. ყური მოკრა ჯუმბერმა აშკარა დაცინვით და დანანებით წარმოთქმულ სიტყვებს, მაგრამ იმ წუთში ძალზე შეცბუნებული იყო, რომ ღირსეულად შეეფასებინა ეს სიტყვები, შემდგომ კი თავადანაც ამოუვარდა.

მთელი ღამე არ უძინია, საკუთარ თავს სიმდაბლესა და უმადურებას აბრალებდა, მაგრამ საღიდაც, გულის სიღრმეში საკუთარი მისამართით ნათქვა-

მი სიტყვების ქეშმარიტობა აუშვებდა, ასეთ დროს მამხილებელ სიტყვებით სხვისთვის უნდა მიემართა. მაგრამ ეს არათუ უმსუბუქებდა მდგომარეობა, კიდევ უფრო თრგუნავდა. თავს როგორმე მოუვლიდა, ამაში დარწმუნებული იყო, მაგრამ რას გახდებოდა ამ ქალთან?

დილას მტკიცე გადაწყვეტილებით წამოდგა, რაც შეიძლება იშვიათად შეხედროდა დაშას, მაგრამ მაშინვე დარწმუნდა, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება გაცილებით ადვილია, ვიდრე მისი განხორციელება — ისინი ხომ ერთ ეზოში ცხოვრობდნენ. ფლიგელიდან გამოსვლისთანავე პირველი ვისაც შეხვდა, ეს დაშა იყო.

მუქ-ლურჯ ქვედა წელსა და მოლიავებულ, იდაყვებთან ვარდისფერ და მზრებთან რძისფერ ფარფატი კოფთაში მსუქანი ხელები მოუჩანდა. მეეტლეს ელაპარაკებოდა, ახოვან და ზვიად მოხუცს — კახაჯს, მისი მამის ყოფილ პოლკელს.

დაშამაც იმწამსვე შენიშნა ჯუმბერი, მაგრამ საუბარი არ შეუწყვეტია და არც მისკენ მიბრუნებულა, მაგრამ დაშას სახეზე რაღაც ახალი გამომეტყველება გამოეხატა, თანამოსაუბრეს მიშტერებული დაშას თვალები მას კი არ ხედავდნენ, არამედ რაღაც საკუთარს, რასაც სხვა ვერ დაინახავდა, მაგრამ რასაც მიხვდებოდა. მისი ტუჩების კუთხეებმა თავისი ჩვეულებრივი მოხაზულობა შეცვალეს, ოდნავ შესამჩნევად ღიმილი გამოხატეს. ეს ღიმილი ერთდროულად დაციწვაც იყო და მოწოდებაც.

და ის რომ დაშას სახის ეს ახალი გამომეტყველება არ შეეძლო შეემჩნია, არც მოხუცს მეეტლეს არც სხვა უცხოს და მხოლოდ ჯუმბერისათვის იყო გასაგები, ეს მას თანამზრახველის მდგომარეობაში აყენებდა, თითქოს იგადა დაშა რაღაც ბინძურ ცოდვიანი საიდუმლოს მფლობელები იყვნენ. ჯუმბერი დავითის წინაშე თავს დამნაშავე გრძნობდა. ამის შეგრძნება კი ძალზე

ძნელი იყო, იმდენად აუტანელი, რომ ჭუმბერია მაშინვე წავიდა ქალაქში, მთელი დღით მოშორდა სახლს, ისადილა ქართულ რესტორანში და საღამოთი კონცესიაზე გაემგზავრა.

იქ მან, სრულიად უსაქმოდ ორი კვირა დაჰყო.

ბუნების წიაღში ცხოვრება, თუმც შორეულად, მაინც აგონებდა დიდუხნით დაკარგულ სამშობლოს, დილა-დან საღამომდე მშრომელ, მკაცრ და პატიოსან ადამიანებს შორის ყოფნა მასზე კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა იგი სულიერად მომაგრდა, თავი მორალურად განწმენდილად იგრძნო და მას ახლა შორეულად და ნაკლებსარწმუნოდ ეჩვენებოდა ის, რაც მან უკანასკნელ დღეებში ხარბინში განიცადა.

როცა თავისი ახალი მდგომარეობა კარგად შეიძინო, ქალაქისაკენ გაუწია გულმა. ქალაქს უკვე აღარ უფრთხობდა, თანაც იქ შეგობრებიც ჰყავდა, ახლობელი, საინტერესო და სასიამოვნო ნაცნობები.

ხარბინში ჭუმბერი ივნისის პირველ რიცხვებში დაბრუნდა, სადგურიდან სახლში გაემგზავრა, გაიპარსა, დაიბანა ტანსაცმელი გამოიცვალა და ყოველგვარი შიშისა და ეჭვის გარეშე მარწყვით საესე დიდ კალათას მოჰკიდა ხელი — სადგური იაბლონია ამ მარწყვით იყო ქებული — და დაშას დიდ სახლში საჩუქრად მიართვა.

მარწყვს აღმური ასდიოდა, მძაფრდა ახალდაკრეფილის სურნელს აფრქვევდა და თვითონ ჭუმბერიც ძლიერად და გაზაფხულის შესადარად ახალგაზრდულად, ჯანსაღად გრძნობდა თავს. საესეებით დამშვიდებული იყო, თავს აუფროსაქებლად და დაწმენდალად გრძნობდა, დამაც უწინდებურად წყნარად, გულთბილად და უბრალოდ შეეგება. ვერც კი დაიჭერებდით, რომ სულ რაღაც ორი კვირის წინ მათ შორის ნათესაური კავშირის ნდობისა და პატივისცემის გარდა როგორღაც სხვაგვარი ურთიერთობა ისახებოდა.

ყველაფერი ეს, ფიქრობდა ახლა

ჭუმბერი, მისი წარმოდგენის, ბინძური ფანტაზიის ნაყოფი იყო, რომლისათვისაც აღარ ღირდა საკუთარი თავის დამჯა, რადგან ყველაფერი უკვე წარსულა ჩაბარდა, — დაძლეულია და კვლავ არ განმეორდება.

ამ დღეს დაშა ნამცხვარს აცხობდა, — მას ჩვეულებად ჰქონდა სამების დღეს აღდგომის ზოგიერთი საჭმელები გაემეორებინა და სახლში მადის გამოღიზიანებული მზიარული მოუთმენლობა და დღესასწაულის მოლოდინი, ტყბილი და თბილი ამოსული ცომის სუნი ტრიალებდა.

მწუხრის ლოცვიდან დაებრუნდება: — ჩაის დალევეთ ნამცხვართ. ხენდროს მერაბა მოგხარშე — დაშა ისაქმიანად, ისეთი ნათესაური სითბოთა ლაპარაკობდა, რომ ჭუმბერი კიდევ ერთხელ დარწმუნდა წარსული მხოლოდ შეცდომა იყო — შენ მარწყვსაც მოგხარშავ, მხოლოდ დღესასწაული ჩათავდეს.

ჩაიზე დაშასთან რამდენიმე კაცმა მოიყარა თავი: დაშას ორი მეგობარი, აქური ქართველების ცოლები და ხანდაზმული ცოლ-ქმარი, მეზობლები.

ნამცხვარი მართლაც რომ ჩინებულად გამოვიდა და მზიარული და წამოწითლებული დაშა სტუმრებს ჩვეულგულლიაობით უმსაპინძღდებოდა. მაგიდაზე ტკბალებულის გარდა ლიჭიორიანი ბროლის სურა იდგა, და ბოთლი სახლში დაყენებული ნაყენით — ძალზე მაგარი და არომატული.

ჭუმბერი, როგორც ამ ოჯახის ახლობელი ყველას უესებდა ჰიქებს და თავლყურს ადევნებდა, სტუმრებას თეფშები არ დაცარიელებულიყო.

თორმეტ საათზე სტუმრები წამოიშლნენ და ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

— მე კარგა მთვრალი ვარ, — მზიარულად ამბობდა ერთი ქალბატონი — ეს ლიჭიორი ისეთი მაგარიია მესამე ჰუქა, არ უნდა დამეღია. სულ თქვენ ბრალია!

ქალბატონი ჭუმბერისაკენ მიბრუნდა. მან მხოლოდ ღიმილით გაშალა ხე-

ლები; „მე წუ მამრალეებთ, თქვენთვის ვეცდილობდი!“ ჭუმბერი თავს დამნაშავედ არ თვლიდა, რადგან მშვენიერად ხედავდა, რომ ქალი სრულებით არ იყო მთვრალი და მხოლოდ იმიტომ ამბობდა ასე, რომ გადაკრულად ხაზ გაესვა მასპინძლის სტუმართმოყვარეობისათვის.

— მე ხუთი ჭიქა დავლიე, — და ვითომც არაფერი! — ანთებულად გაეპასუხა დაშა, — ჩვენც რა ხვალ სამუშაოზე მიგვეჩქარება თუ რა, გამოვიძინოთ!

ჭუმბერმა დაშას შეხედა და შეამჩნია, რომ თუ ვინმე შეზარხოშდა ეს დაშაზე ითქმოდა და გაიფიქრა, სპირა არ იყო დავითის საღვებგარძელო, ბოლო ჭიქა, ყველასათვის დაეძალეობინა. იმ დროს, როცა სტუმრები გასასვლელ კარებთან შეგვფდნენ, დაშა ჭუმბერს მიუბრუნდა და ნელა, ისე რომ მხოლოდ მას გავეცა უთხრა:

— დარჩი, მჭირდება.

— ნუთუ კვლავ? — დანანებით გააფიქრა მან და ისეთი სახე მიიღო თითქოს ვერ გაიგო მისი სიტყვები. ყველასთან ერთად გარეთ გავიდა და მეეტლეს საძებრად გაეშურა, რათა დაშას ამხანაგები სახლებამდე მიეცილებინა. ისინი შორს ცხოვრობდნენ, უკვე გვიან იყო.

ჭუმბერი პირველ საათზე დაბრუნდა. ირგვლივ უკუნი იდგა. ჭაჭვზე დაბმული ნაგავი აყვფდა, მაგრამ იყოსა თავისიანი და ჩქარავე იყუჩა.

აგურის მოკირწყლული ბილიკით ჭუმბერი ფლიგელამდე მივიდა. წინკარში სინათლე არ აანთო, პირდაპირ საწოლ ოთახში შევიდა. დღის მანძილზე ძალზე დაიქანცა და მაშინვე აპარებდა დაწოლას.

გამომრთველი კარისაგან მარჯვენა მხარეს იყო. ნათურა ჩართო, მაგრამ სინათლე არ აინთო: „ნათურა გადაიწვა არაფერია, ასეც გავიხდი, სიბნელეში ახალი ნათურის ძებნის თავი არა მაქვს“ — თავისთვის თქვა და უცბად უსი-

მოვნო განცდამ შეიპყრო, თითქოს ოთახში ვიღაც იყო.

ჭუმბერმა ინანა, რომ თან-სევერალური არ ჰქონდა მაგრამ მალე ჩუმში, თათქმის ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები გაიგონა:

— ეს მე ვარ, ჭუმბერი.

მან დაშა იცნო.

— რა გნებავთ? — მოუჭრა ჭუმბერმა, რადგან მოულოდნელობისაგან მხოლოდ გაკვირვების გამოხატვა მოასწერო, სრულიად დაავიწყდა თავაზიანობა.

ჭუმბერმა თვალები ოდნავ შეაჩვია ოთახის სქელ სიბნელეს. იგი ახლა უკვე ფანჯრიდან მარჯვნივ ქალის სილუეტს არჩევდა. იქ სკამი იდგა, რაზედაც უძვეველად დაშა იჯდა და კაცს უცდიდა. მაგრამ ახლა ქალი წამოდგა და ნელ-ნელა უახლოვდებოდა მას.

— მე მინდა... — დაშამ ეს სიტყვები უფრო ხმამაღლა წარმოთქვა, მის ხმაში ეჩინიანობა იგრძნობოდა. ამას უკვე ქალი ამბობდა და არა ნათესავი, და ჭუმბერმაც იგრძნო, რომ იგი ახლა ქალის ნათესავი კი არა მხოლოდ მამაკაცი იყო. დაშა უახლოვდებოდა ჭუმბერს, თითქმის მის გვერდით იდგა. — მე მინდა... რომ... მაკოცო.

ჭუმბერი ისე დაიხზა, ვერც ვერაფერი უპასუხა და რადგან დაშა სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა, ახლაგაზრდა კაცმა უნებურად უკან დაიხზა და მისდაუნებურად კედელს ზურგით აეკრა.

და მან იგრძნო როგორ შემოეჭდო დაშას ხორცსავეს ხელები ყელზე, ხოლო სახე ქალმა — ისინი თითქმის ერთი სიმაღლისანი იყვნენ, — იმდენად ახლოს მოუტანა, რომ იგი საბის ნაკვეთების გაურჩევლად დაშას ლოყების სითბოს და განშირებულ სუნთქვას გრძნობდა.

— მაკოცე სულელო, იქნებ მამაკაცი არა ხარ? — ვნებიანად, თანაც რალაც გააგებით წაიჭურჩულა დაშამ.

ის ჭუმბერს მთელი სხეულით მიეკრო, — ამკარად და უსირცხვილოდ.



ჯუმბერს სისხლმა თავში აასხა. მამაში ორმა გრძნობამ იფეთქა. მამაკაცურმა და ადამიანურმა, და უკანასკნელად უფრო ძლიერი გამოდგა.

— რას ჩაღიხართ?! — წამოიყვირა მან და ქალს ისეთი ძალით ერა ხელა, რომ ცოტაც და დაეცემოდა, — როგორ არა გრცხვენიათ!

აქ დაშა აფეთქდა.

როგორ ბედავ ხელის ეკრას, რეგენო? — გაცოფდა და გაღიზიანებული თავმოყვარეობა მყისვე ზიზღში გადაიზარდა, ისეთ ძლიერ ზიზღში, რომ სხვა გრძნობა უკვალოდ გაქრა. — მე, აქ დიასახლისი ვარ! თუ მოვინდომებ, დავითს კინწისკვრით ვავაგდებინებ აქედან შენს თავს. შე, მუქთახორავ შენი!

სხვა დროს ეს სიტყვები ჯუმბერს აიძულებდნენ დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ნიჟარაძის სახლი, მაგრამ ახლა მას სხვა გრძნობა დაუფლებოდა, თავს იკავებდა, მხოლოდ ეს თქვა:

— თუ შეიძლება წადით, ახლავე წადით!

ჯუმბერმა ეს სიტყვები ჩემად, მაგრამ ისეთი სიმტკიცით წარმოთქვა, რომ დაშა შიშმა მოიკცა, შიშმა ზიზღიც კი ჩაახშო და ქალი უსიტყვოდ დაემორჩილა.

ჯუმბერი მარტო დარჩა. კვლავ უძილო ღამე გაატარა, კვლავ და კვლავ გადაეღო თვალი დაშასთან მისი ურთიერთობის წვრილმანებს. ცდილობდა გაეხსენებინა როდის, რომელ მომენტში და რით მისცა მან დაშას საბაბა ასეთი საქციელისათვის, მაგრამ ვერაფერში ვერ ადანაშაულებდა თავს. ამ დასკვნამდე ის უცბად არ მისულა, მაგრამ მტკიცედ გადაწყვიტა ძალამოკრეფილი და გარეგნულად მშვიდად შეხვედროდა ახალ დღეს.

გადაწყვიტა, დაშასთან თავს ისე დაიქერდა, თითქოს არც არაფერი მომზადარა, თუმცა დიდ სახლში ფეხს მოიკვებდა, აღარასოდეს მოვიდოდა — თუკი დაშას რაიმე დაქირდება, ეზოში მიიხრას, ჯუმბერი დაშას ყველა და-

ვალეზას შეასრულებს, მაგრამ მასთან პირისპირ აღასოდეს დარჩება.

ჯუმბერს ესმოდა, რომ აშკარად საუკითხი მთლიანად არ წყდებოდა, არამედ მხოლოდ მისი მცირე ნაწილი. სიტყვა „უსაქმური“ სამაგიეროში ზღაპრულად სილასავით წვევდა. დარწმუნებული იყო ასეთ შეურაცხყოფას ქალს არასოდეს არ აპატიებდა და გამოერეოდა წუთები, როცა ჯუმბერს სურვილი უჩნდებოდა დაუყოვნებლივ და სამუდამოდ დაეტოვებინა ეს სახლი, მაგრამ სად წასულიყო, სად დაემალებოდა ხარბინში დავითს, სადაც დიდიან-პატარიანად ყველა ერთმანეთს იცნობდა? რა უნდა ეპასუხა შეხვედრისას თუკი დავითი ჰკითხავდა: „რატომ წამოხვედი ჩვენგან ჯუმბერ? მოუთხროს ის რაც მასა და დაშას შორის მოხდა? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაბეზღებინა ქალი? არა, ვაჟკაცები ასე არ იქცევიან! ჯუმბერი ქალს მარჯვედ დახვდა. თუკი საჭირო იქნება ერთხელაც გაუმკლავდები, მაგრამ არა მგონი თუმცა ნიჟარაძეს ასე თუ ისე მაინც უნდა დაშორდეს. მაგრამ ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ დავითმა ეჭვი არ აღლოს. იქნებ ჯუმბერი ქალს თვალთვან რომ გაქრება — დაშა გონს მოგვოს.

როცა ჯუმბერი ფიქრობდა, რომ დაშა მასთან აღარასოდეს მივიდოდა, ამაში ის მართალი იყო.

დაშამაც თეთრად გაათენა ის ღამე დამცირებულმა და შეურაცხყოფილმა ქალმა ერთი საათი მაინც გაატარა ჩანჩულებულ სააღილო ოთახში. სკამზე ჩამოშდარა, შემდეგ ასე სიბნელეშივე თავის ოთახში გავიდა ტანთგაუხდელი პირქვე დაემხო და ღამე ტირილში გალია. ამაყი და მოუკარებელი დაშა ისეთ ოჯახში გაიზარდა, სადაც მის გარდა ბავშვი არ იყო და ამიტომ მისა ყველა სურვილი უყოყმანოდ სრულდებოდა. ქმრის სახლში — მდიდარი, გველენიანი, პატივცემული კაცის სახლში — იგი სრულუფლებიან ბრძანებლობას შეეჩვია და დიდი ხანია არავისგან არაფერში უარი არ სმენია. ჯუმბერმა

იგი მოულოდნელად დაუოკებლად და ერთი ძალით მიიზიდა, რომ წინააღმდეგობისა და განსჯის უნარიც წაერთვა. თითქოს ბავშვის სათამაშო კუბიკებით დაინგრა მისთვის ასერივად მყარი მორალური პრინციპები, ოჯახური ფუძე, ტრადიციები, მთელი ცხოვრება დაშა უღარდელად ცხოვრობდა, ემოციებს ემორჩილებოდა და არა გონებას და ახლაც არც დაფიქრებულა, არც სურდა ამოეხსნა ჯუმბერის საქციელის მიზეზები, დაშა მთლიანად მოიკცა მეორე გრძნობამ — ზიზღმა, რამაც მისუარყოფილი ვნება შეცვალა.

4.

დავითი იმ საბედისწერო ღამის შემდეგ ორ კვირაში დაბრუნდა.

ამ ხნის განმავლობაში ჯუმბერი ერთი ხუთჯერ მაინც გადაეყარა დაშას. ამ დროს ის უხმოდ უყრავდა დაშას თავს, ისიც უხმოდ ესალმებოდა.

დაშა მასთან შეხვედრას აშკარად გაუტრბოდა და როცა იცოდა, რომ ჯუმბერი ფლიგელში იყო, ცდილობდა სახლიდან არ გამოსულიყო, რადგან ჯუმბერი იშვიათად იყო სახლში, დაშა ხშირად არ უხდებოდა მორიდება.

მაგრამ ისიც კი, რომ დაშა იძულებული იყო საკუთარი ოთახიდან გამოსვლა შეეზღუდა, ესეც ვერ აპატია მან ჯუმბერს. დაშას აცოფებდა ისიც რომ დავით ნიჟარაძის კანონიერი ცოლი სრული ბატონ-პატრონად ვერ გრძნობდა თავს მისსავე სამფლობელოში, ამიტომ ჯუმბერისადმი ზიზღი — ამაში კი ბრალი მხოლოდ მას მიუძღოდა — კიდევ უფრო მატულობდა. ქალმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა. დაჯდომოდა ჯუმბერი გაეძევებინა, თუმცა იცოდა — ეს არც თუ ისე ადვილი იქნებოდა.

დავითი ხანგრძლივი მგზავრობიდან დაღლილი, გამზდარი, მაგრამ მხნე და კარგ გუნებაზე დაბრუნდა. იგი თავსუკავებულად, მაგრამ ნაზად მიესალმა ცოლს, გულიანად გადაეხვია ჯუმბერს და ძლიერ მოასწრო სახლის აბანოში დაბანვა, წახემსება და ცოტა ხნით და-

სვენება, რომ ჯუმბერთან ერთად კაბინეტში ჩაიკეტა, რათა გუმბერის საქმეებზე მოეთხორო.

ხეცლიწილთა

დაშას ეს ძალზე ეწყინა. ქალი მიეჩვია, ხანგრძლივი განშორების შემდეგ პირველ დღეს ქმარი მასთან ატარებდა, გარდა ამისა მას არ ასვენებდა იმ ღამის მოგონებანი. ვაითუ ჯუმბერმა დავითს მოუთხოროს... მაგრამ დაშასთვის ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

მეორე დღეს ჯუმბერი კონცესიაზე გაემგზავრა და სამი დღის შემდეგ დაბრუნდა. ნიჟარაძეებთან დიდი წვეულებისათვის ემზადებოდნენ. ჯუმბერს ეს არც გაჰყვირებია. დავითს რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გარეშედაც უყვარდა სტუმრიანობა, აქ კი მიზეზი საკმაო ჰქონდა — თითქმის ორი თვის განშორების შემდეგ მეგობრებთან შეხვედრა.

ჯუმბერმა დავითი ჩამოსვლისთანავე ვერ ნახა: მატარებელმა დაიგვიანა და სახლში მხოლოდ მაშინღა მოახერხა მისვლა, როცა წვეულებისათვის უკვე გაცხარებული ემზადებოდნენ და პატრონს საქმეებისათვის არ ეცალა.

ჯუმბერმა შეატყო, რომ სადილი საპატივეცემულო იქნებოდა და გადაწყვიტა ჩოხა ჩაეცვა. ჩოხა ახლახან შეიძინა საქართველოში მიმავალი ერთ-ერთი თანამემამულისაგან. თითქმის ყველა ხარბინელ ქართველს ჩოხა-ახალუხუ ჰქონდა და სადღესასწაულოდ ყოველთვის იცვამდნენ.

შუა ივლისის ცხელი და კარგი დარიღა. სუფრა ხეების ჩრდილქვეშ, ბაღში გაშალეს. აყვავებული ცაცხვების კეთილსურნელება საზაფხულო სამზრეულოდან მომავალ ქართული სადილების გამაღიზიანებელ მკვეთრ სუნს შეერია.

ოთხი საათისათვის ხალხმა თავი მოაყარა და ჯუმბერმა ყურადღება მიამჯცია, რომ მათ შორის მოხუცები ქაბობდნენ, ალბათ სპეციალურად მოპატივებულნი. სტუმრები ხუთ საათზე მაგიდას შემოუსხდნენ. სუფრას სათავეში მასპინძელი ეჯდა. მისგან მარჯ-

ნივ და მარცხნივ ძალზე პატივსაცემი და ხნიერი სტუმრები ისხდნენ — ყველა დარბაისელი ქალარათმიანი ჩონახალუხში, ძველებური ქედური ვერცხლითა და სპილოს ძვლით მოსევადებული ხანჭლები. ჭუმბერი მაგიდას შუაში მოკალათდა, რათა დაეითს უფრო ახალგაზრდა სტუმრების გამასპინძლებებაში წახმარებოდა.

როგორც წესი, უპირველესად თამადა აირჩიეს. ტრადიციისამებრ, დასახელებულმა კანდიდატმა ჯერ იუარა და მისი აზრით, სხვა უფრო პატივსაცემა კანდიდატი დაასახელა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მაგიდის წევრებს დაეთანხმა.

თამადამ ყველას მადლობა გადაუხადა და სთხოვა ჭიქები შეეცნოთ. მერე წამოდგა და პირველი სადღეგრძელო სტუმართმოყვარე სახლის მასპინძლის კეთილად დაბრუნებისა შესვა. ყველა ფეხზე წამოდგა და სადღეგრძელო ასე შესვეს.

დავითი შეფიქრიანებული გამოიყურებოდა, ის კი არადა ავადმყოფსაც ჩამოკავდა, მაგრამ იქ მყოფთ თავაზიანად მადლობა გადაუხადა ასეთი კეთილი სურვილებისათვის და პატივისათვის, რომ ამ სახლში მძევლით გააბედნიერეს მასპინძელი.

— „რა დემართა დღეს?!“ — ფიქრობდა ჭუმბერი, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა დავითის ხასიათს. დროდადრო ჭუმბერი დავითს გადახედავდა: ცდილობდა თვალბეჭდში ჩაეხედა, მაგრამ ვერაფრით ვერ ახერხებდა. ჭუმბერს ხანდახან ეჩვენებოდა კიდევ რომ დავითი სპეციალურად გაურბოდა მის მზერას „იჩნებ“ ავადაა? — განაგრძობდა ფიქრს ჭუმბერი — „არა, აქ რაღაცაშია საქმე...“

ჭუმბერს ბუნდოვანი შესთოთება და მოახლოებული უბედურების შეგრძნება ეუფლებოდა.

მაგრამ მასპინძლის შეცვლილი განწყობილებას ჭუმბერის გარდა თითქმის ვერც ვერავინ ამჩნევდა. სუფრა უხვად იყო გაწყობილი და სტუმრებიც მადიანად

ნად ნთქავდნენ ყველაფერს. სპეციალურად მოწვეული სამი ოფიციალური ძლივს ასწრებდა სამზარეულოდან ახალ-ახალი სადილების გამოტანას. სამზარეულოში დაშას ხელმძღვანელობით საქმიანობდა ჩინელი მზარეული. იგი ნიჟარაძესთან უკვე რამდენიმე წელია მსახურობდა და კარგად შეესწავლა ქართული სამზარეული. ჩინელს კავასიური რესტორნიდან მოწვეული კიდევ ორი მზარეული ეხმარებოდა.

თამადა მაგიდას კარგად უძღვებოდა. ტრადიციების ზედმიწევნით ცოდნას, ტაქტს, ენამზეობასა და გონებამახვილობას მოითხოვდა.

თავდაპირველად, ვიდრე სუფრასთან რაღაც სიცოცხე იგრძნობოდა, რაც გარდუვალა ასეთ დიდ და მრავალფეროვან საზოგადოებაში, — თამადა სადღეგრძელოებს შორის მოკლე-მოკლე შესვენებებს აკეთებდა, მაგრამ როცა დაინახა, რომ ღვინომ და საქმელმა თავისი გაიტანა, სტუმრებმა თავისუფლად იგრძნეს თავი და საუბარიც გაცხარდა, მან ტემპი შეანელა.

სადილი უკვე სამი საათი გრძელდებოდა. სუფრაზე მოიტანეს და შეიჭამა შამურზე კანდაბრაწული, ქონით ალაპლაპებული ვოჭები, აღიარებულმა მომღერლებმა სუფრულიც შემოსძახეს, როცა დავით ნიჟარაძე თამადას მიუბრუნდა სიტყვა სთხოვა.

თამადამ ჭიქას დანის პირით დაუქახუნა, ხალხს სიჩუმისაკენ მოუწოდა. ძალიან ბევრი ხალხი უსხდა მაგიდას. ამიტომ თამადამ უცხად ვერ დააჩუმა ხალხი, მაგრამ საწადელს ბოლოს მაინც მიადწია. სიჩუმემ დაისადგურა.

— პატივცემულო მეგობრებო! — თამადამ ხმას აუწია. ცდილობდა სამარისებური სიჩუმე ჩამოგარდნილიყო. — ყურადღებას გთხოვთ. ჩვენი სტუმართმოყვარე მასპინძელს, პატივცემულ ბატონ დავითს რიგგარეშე სადღეგრძელოს წარმოთქმა სურს — მოვესმინოთ! ყველა მასპინძლისაკენ შებრუნდა. ჭუმბერმაც იქით მიიხედა და შეკრთა. იგი დავითის სახემ შეაცხუნა.

შემუხუნული წარბები ერთმანეთს გადაბმოდა თვალებს ზემოდან მკვეთრ ხაზად ევლებოდა. მისი თვალები ნაღვლითა და მრისხანებით ელავდნენ. ბაგეები ისე მაგრად მოკეცა, რომ უღვაშები წვერს შეერწყა და პირი მთლიანად დაფარა. დავითის ასეთი სახე ჯუმბერს არ ახსოვდა და შეშფოთდა.

ნიჟარაძე ცოტა ხანს კიდევ სკამის ზურგს გადაყრდნობილი იჯდა და საღვალც, ხეებს მიღმა, რაღაც მხოლოდ მისთვის ნაცნობ წერტილს მისჩერებოდა, შემდეგ აუჩქარებლად წამოდგა. მკერდი შესამჩნევად აუღ-ჩაუღიოდა და, ლელვის დასაფარავად, ღრმად სუნთქავდა. ყველა ყურადღებით მისჩერებოდა დავითს. ზოგმა მისი უჩვეულო მდგომარეობა ახალა შენიშნა და შეშფოთებით უტყუროდნენ. ბოლოს დავითმა უხილავ საგანს მზერა მოწყვიტა. ნელა და ყურადღებით გადაელო თვალი იქ მყოფთ და გამგმირავი მზერა ჯუმბერზე შეაჩერა. ასე გაგრძელდა რამდენიმე წამი, მაგრამ ჯუმბერი, რომელიც დიდხანს ელოდა ამ მზერას, ახლა შეერთა, მან ვერც კი მოასწრო რაიმეს გაფიქრება, მაგრამ უკვე იცოდა, რომ დადგა გადაწყვეტი, შეიძლება ითქვას, საბედისწერო წამი. დაშას გარეშე საქმეს მაინც არ შემოეცლო.

პაუზა დიდხანს გაგრძელდა და სუფრის წევრებს დამქანცველადაც მოეჩვენათ. იქნებ მარტო ჯუმბერს ეგონა ასე?

ბოლოს დავითი ალაპარაკდა.

— პატივცემულო მეგობრებო! მე თქვენს ყურადღებას ახალი საღვგრძელის მოსამენად არ ვითხოვ, — დავითს ხმა ყრუდ ეღერდა. ახლა ყველამ შენიშნა დავითის ნერვიულობა და იქ მყოფთაც გადაედო ლელვა. — აქ მე თქვენ წინაშე ვდგავარ... მე თქვენ მოგმართავთ ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, ჩემო მეგობრებო, რადგან არ ძალმიძს მისი დაფარვა, რაც ახლა უნდა გაუწყვთ. თვითვე განსაჯეთ... თქვენ დიდი ხანია მიცნობთ. ჩემი ცხოვრება აქ, მანჭურიაში თქვენ თვალწინ

მიედინებოდა, ჩემი სახლის კარები ყველა ქართველისათვის, ყველა ადამიანისათვის ყოველთვის ~~გარყოფილ~~ ყოფილია. თუ რითიმე დახმარება შემეძლო, მთხოვნელს არასდროს უარს არ ვუთხნებოდი.

— სწორია! — ჩუმად, მაგრამ მტკაცედ წარმოთქვა ვილაყამ.

— ვმადლობთ! — მშვიდი ღირსებით მიუბრუნდა დავითი და თავი მდებლად დაუკრა. დავითი უკვე დაწყნარდა. მის ხმა ახლა ჩვეული ავტორიტეტითა და სიმტკიცითაც ეღერდა. ახოვანი აღნაგობა მის სიტყვას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა.

— არაბები ამბობენ, — განაგრძობდა დავითი, — კაცი, რომელიც ჰას ამოთხრის, ხეს დაჩავეს, ანდა გველს მოკლავს — ტყუილუბრალოდ არ უცხოვრიათ. ხე, მე მგონი, დავრგე. ჰა ამოეთხარე, მან ხელებით მოხაზა სახლი და კარმიდამო, აგერ ჰა, თქვენ საიდანაც სვამით...

„ღმერთო ჩემო! ახლა ის გველზე ჩამოაგდებს სიტყვას... ნუთუ?... გაუელვა ჯუმბერს.

დავითმა ერთხელ კიდევ შეისვენა. პაუზა ყველას ხანიერი მოეჩვენა. შემდეგ განაგრძო:

— ერთი წლის წინ ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა ახალგაზრდა თანამემამულე. საიდან მოვიდა, რატომ მოხვდა აქ — ამის თქმა საჭირო არ არის. ხარბინში ყოფნის პირველსავე დღეს ის ჩემთან მოვიდა. იგი გამოუვალ მდგომარეობაში იყო... მე იგი, როგორც სისხლი და ხორცი ისე მივიღე, იგი აქედან არ წასულა, ჩემ სახლში დარჩა არა როგორც სტუმარი, არამედ როგორც ოჯახის წევრი. მე მას მამა-შვილურად ვეპყრობოდი და მეც მეგონა, რომ იგი ჩემში მამას ხედავდა.

დავითმა სიტყვა შეწყვიტა. მას საუბარი უძნელდებოდა — ნერვიულობამ ყელი გაუშრო — ძალა მოიკრიბა და ძლივ-ძლივობით წარმოთქვა კიდევ რამდენიმე სიტყვა.

— და აი ეს კაცი, — დავითი ბოლოა

მიბრუნდა ჯუმბერის მხარეს და ახლა მას თვალმთუცილებლივ, მრისხანებითა და წუხილით მიშტერებოდა, — ამ კაცმა ჩემი არყოფნით ისარგებლა და სახლი წამიბილწა!

გამანადგურებელი სიზღუმე ჩამოწვა — ისეთი, გვეგონებოდათ ადამიანებმაც შეწყვიტეს სუნთქვა, მხოლოდ უხვოდ ფეთქავდა სისხლი საფეთქლებთან.

ჯუმბერი თავდახრილი, მოკუნტულა და დამიკრებული იჯდა. მოულოდნელმა ბრალდებამ, რომლის უსამართლობას მხოლოდ თვითონ გრძნობდა, სკამა მიალტურსმნა.

„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა სირცხვილია! — იმეორებდა თავისთვის. — ეს სულ დამას ნამოქმედარია, როგორ შეეძლო ცილი დაეწამა მისთვის, ასე საზარლად ეცრუა? დავითმა მაინც როგორ დაიჭრა? რა იქნა მისი კეთილშობილება? რატომ არ გამოძახა მე, რატომ პირისპირ არ მომთხოვა პასუხი? უმჯობესი იყო გაერთყა-მოვეკალა... ადვილი იქნებოდა... როგორ ვიცხოვრო ასეთი ბრალდებით სირცხვილნაჯამმა?“

ჯუმბერმა ძლივძლივობით, როგორც იქნა თავი ასწია, მაგრამ იცოდა, რომ ეს აუცილებელი იყო და პირველსავე შემხვედრს თვალი თვალში გაუყარა, შემდეგ მეორეს, მესამეს. ვერცერთის მხერაში ვერ დაიჭირა თანაგრძნობა. კვლავ დახარა თვალები. ერთი წუთით საშინელმა, დაუძლეველმა სისუსტემ დათრგუნა. რა უნდა თქვა? ვინ დაჯაჯერებს შენ ამ მხარეში უცნობს, გუშინ მოსულს? და როგორ მოყვები, რაც სინამდვილეში იყო? როგორ მდგომარეობაში ჩააყენებ დავითს? ოჰ, რატომ არ მიხმობ პირისპირ, რატომ შეკრიბა ეს ხალხი? რატომ არა მაქვს თან რევოლვერი?... საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა... არა, შეუძლებელია, ამით ყველას დააჯერებ, რომ ჯუმბერ გედევანიშვილი ნაძირალა იყო. ასეთი დღით ვერც იცხოვრებ, ვერც მოკვდები... უნდა ვილაპარაკო, რამე უნდა ვთქვა. დაუფიქრებლად... სიტყვებს გუ-

ლი მიკარნახებს, მხოლოდ არ უნდა გავჩუმდე — დამნაშავენი!

— ბატონებო! ჯუმბერის ხმა... მუხამ და სუსტად, მაგრამ უშიშრად ეღრღინებდა მომეცით, ვილაპარაკო. მომისმინეთ, მერე კი... რაც გინდათ, ის მიყავით.

მთელს სხეულში კვლავ სისუსტეს გრძნობდა, იგი დამჯდარი ლაპარაკობდა, დაავიწყდა, რომ ადგომა იყო საჭირო, ახლა მხოლოდ ერთ რამეზე შეეძლო ფიქრი.

— მე აქ ერთი წლის წინ ჩამოვედა. — კატორღიდან ჩამოვედი. როცა მე ხარბინს მოვალწიე, ერთი კაპიცი არ მეგდო ჯიბეში და ორი ღრის უბმელა ვიყავი. მე ამ სახლში უკანასკნელი იმედით შემოვავიჩე, სასოწარკვეთილებაზე ვიყავი მისული, რომლის იქით უკვე ადამიანურ სახეს კარგავ. დავით ნიყარაძემ საშუალება არ მომცა ამ საზღვარს გადავედნოდი. მან თქვენ გაუწყათ, რომ შვილივით მიმიღო. მან გაცილებით მეტი გააკეთა. ყველა მამა ასე არ მიიღებდა შვილს, როგორც მე, სრულიად უცნობი, უცხო ადამიანი მიმიღო დავით ნიყარაძემ. ყველაფერი, რაც ახლა მამადაა, ცხოვრება, ღირსება, აწმყო და მომავალი — მისი წყალობითაა, რომ ვთქვა დავით ნიყარაძე მიყვარს, პატივს ვცემ-მეთქი — ცოტაა. მე მას ვაღმერთებ. არ ვიცი რატომ დამსაჯა ღმერთმა ასე — არ მენდობა ის კაცი, რომელსაც მე ნამდვილად მამად მივიჩნევდი. მაგრამ მე დამნაშავე არავარ. სინდისი სუფთა მაქვს არცერთ წუთს, არასდროს, ფიქრშიც კი არ შემოილახავს ჩემი კეთილმოყოფილის დასახება. მე არ ვიცი გჯერათ თუ არა ჩემი. ჩვენ, ადამიანებს ცუდის უფრო გვჯერა, ვიდრე კარგის, მაგრამ მე, სიმაართლეს ვამბობ. აი ჩემი სისხლი... — და ჯუმბერმა მარცხენა ხელი მაგადაზე დადო, მარჯვენათი კი ქარჭაშიდან ხანჯალი ამოიღო, — დაე სისხლისაგან დაეწირიტო, თუ გტყუივარ!

ამ სიტყვებით მან მთელი ძალით დაარტყა ხანჯლის წვერი საჩვენებელ

თითს. ძირზე მოკვეთილი თითი ისევე იდო მაგიდაზე სხვა თითებთან ერთად.

სისხლმა იფეთქა, პირდაპირ მჭდოსს სახეში შეასხა, ჯუმბერმა შორს მოიხროლა ხანჯალი, თვალეში დახუჭა, სკამის საზურგეს მიეყრდნო და დასაბაზრებული ხელი ძირს დაუშვა. მისი თქფშის გვერდით, მარჯვნივ, რაღაც უცხო სახით ეგდო მისი თბილი თითი სადაფისფრად მოელვარე ოვალურა ფრჩხილით.

გაფითრებული, მკვდარი სახითა და მზერაგამტერებული იჭდა დავით ნაქარაძე. მხოლოდ იგი იჭდა გაუნძრევლად და უხმოდ იმ არეულობაში. მხო-

ლოდ იგი მიხვდა ყველაფერს, სხვები, ჯუმბერს დატრიალებდნენ, **კონსული**  
**გენერალისთვის**

მეორე დღე და ღამე კაბინეტში ჩაკეტილი გაატარა დავით ნიქარაძემ. დილით დამას დაუძახა და მასთან ერთად მდინარის მეორე მხარეს გასწია, საღამოთი კი მარტო დაბრუნდა.

ღამით დადი სახლის ოთხივე კუთხეში ცეცხლმა იფეთქა და ერთ საათში დაიფერფლა.

ხანძრამდე რამოდენიმე წუთით ადრე ნიქარაძე თავისი სახლის ეზოს ჭიშკარში გავიდა ხარბინიდან სამუდამოდ გადაიკარგა.



## აივნისანი ქალაქი

რომანი

### 8. გაქალაქებული ტბისი

ეს შემარა თენისი არის საიანოვას  
ნოქომი, ბევრი არ იქნება ამისი ცალი.  
თემურაზ ბატონიშვილი.

მას თანდათან გადააეიწყა და ვით  
გერმანოზიშვილიც და მისი მღევარიც.  
დროც თავისას აკეთებდა.

გიგას წვერ-ულვაში გაუსქელდა,  
გაუმუქდა, დავაყაყებელი უფრო და-  
მშვენიდა და ქალაქელ დარდიმანდად  
გადაიქცა.

კობტად და სუფთად იცვამდა. მოკ-  
ლეფებნიან ფირუზას გამონაცვალ  
შარვალ-ხალათს თეთრი ღიზა მაკრა-  
ტელს ხან სად უგდებდა და ხან სად,  
რათა ბრგე გიგასთვის როგორმე მოე-  
რგო.

ერთხელ ბაზარში გაქალაქებული  
ტეტია თავის თანასოფელს პირისპირ  
შეეფეთა, მაგრამ ბერთბნელმა გლეხ-  
მა მას არავითარი ყურადღება არ მია-  
ქცია. გახარებული გიგა იმ დღეს იმ-  
დენს ხუმრობდა და იცინოდა, რომ გა-  
კვირვებულმა თეთრმა ღიზამ ქმარს  
ჩუმად სიტყვა გადაუქრა:

— აი ნახავ, თუ ჩვენმა ტურლუნამ  
მალე ცოლი არ შეირთოს!

ფირუზამ ცოლს შეუბღვირა.

— მე მაგას იმიტომ კი არ დავდეგ,  
რომ ჩემს დაუკითხავად ცოლი მოიყვა-  
ნოს. არა, არა! არ გამოვა, არ იქნება!  
მაგის ცოლმა ჩვენ მზითვები და ქონება  
უნდა მოგვიტანოს. მზითვის სიაც მე  
უნდა გამასინჯონ. ესეც იცოდე, თუ  
მეზობლებში ვინმეს ქალი მოსწონს, არ  
აპყვე და არ მოუწონო, თორემ ორთა-  
ვეს სახლიდან გაგყრიტ. კარგად იცი,  
ასეთ რამეებზე ხუმრობა არ მიყვარს.

— ქა, მაშ ცას ხომ არ შეაბერდე-  
ბა? ვერა ხედავ როგორ გაიფურჩქნა?

— ვხედავ და სწორედ ამიტომ გე-  
უბნევი. ფასი უნდა დავსდოთ და ფასი  
უნდა დავიდოთ. გარშემო სულ ღარიბი  
მეზობლები გყავს. მაგის ფანდი აქ  
აღარავინ არის. ვასართობად და გუ-  
ლის ვადასაყოლებლად კი ვინც უნდა,  
ისა ჰყავდეს. ეგ მაგის საქმეა, მე არ  
მეკითხება. კაცმა რომ თქვას, ამისთვის  
შორს წასვლა არ დასჭირდება. არ გი-  
ნახავს როგორი თვალებით უყურებს  
ხაბაზის ცოლი მიკო?

— რას ამბობ, ქა? ეგ ბიჭი ხიფათს  
გინდა გადააყარო?

— რის ხიფათი, რა ხიფათი. ხაბაზი

შენ მარტო დასაძინებლად ბრუნდება. იმას ცოლისთვის სად სცალიან? სამაგიეროდ იმის ცოლია მოკლილი. იმის მაგიერად, რომ ხელში ნემსი და ძაფი ეპიროს, ან რთავდეს და ქსოვდეს, გიგას ავლა-ჩაველას საათობით უცდის. თუ წვიმს, მაშინ ფანჯრიდან იყურება.

— შენ მარტო მაიკო გცოდნია, — უთხრა მას ცოლმა, — მე უფრო ბევრი ვიცი, ღურგლის ქალი ანა, ზეინკლის ძმისწული თამრო, მეთულუხჩის ნაშვილები მარუა, მეკურტნე სოფრომას ქალი ანასტასია. რომელი ერთი მოვთვალო? ყველას თვალი რჩება ჩვენს გიგაზე, მაშ!

ფირუზამ ხელები უკმაყოფილოდ გაშალა:

— მეც მანდა ვარ, დედაკაცო! დარბი-ლატაკების გაუთხოვარ ქალებს რა თავში ვიხლით! დღე და ღამეს განა იმიტომ ვასწორებ, რომ თავი ღურგლებს, ზეინკლებს, მეთულუხჩეებს და მეკურტნეებს გავუყადრო? შენ რას ამბობ? ვის სახლს ეძებ?

— შენ ხომ არ უნდა შეირთო ცოლი, მაგან უნდა შეირთოს! — გაჯავრდა თეთრი ღიზა.

— თერძის ქალო, ყურში შეუშვი, ცხვირზე დაიკრე, უბრალო ხალხში მე აღარ გავერევი, არც მაგას გავრევ.

— ძალიან მალლა ნუ მიდიხარ, ძალიან მალლა ნუ იყურები, თორემ ძირს ზღართანს მოადენ. ეგ რა! ნუმრის ერთი იქნება?! ვითომ ჭერ არ მოგსვლია?!

— რას მიჰქარავ, დედაკაცო? — გაბრაზდა ფირუზა.

— უკადრისას ეგ მოსდევს, — თავი გამოიასურა თეთრმა ღიზამაც, — ნუ გვონია ციხის წინ აივანზე კიდევ ავიდე და შენი გულისთვის ხელში დაირა დავიჭირო. ტყუილია, აღარ გამოვა! შენს ხელში ხმაც ჩამეხლიჩა და სიმღერის ხალისიც დამეკარგა.

ფირუზამ ცოლის დანდობა არ იცოდა, მოუბრუნდა და პირში მიახალა:

— ვიცი, ვიცი. შენ მამა არ დაინდე და მე დამინდობ?

თეთრი ღიზა ისე გახდა, ხმა ვერ ამოიღო, სიტყვა ვერ დასძრა. ფირუზამ ულვაშებში ჩაიცინა, ვარსკვლავი ქუდი თავზე დაიხურა, ოთახის კარი გააღო და ღიზინ-ღიზინით თავის გზას გაუდგა. უკვე კარგა შორს იყო, როცა გონზე მოსულმა თეთრმა ღიზამ ყვირილი მორთო:

— ეგ რა მითხრა? ეგ როგორ გამიბედა? ან მე როგორ შევარჩინე? ვერ უყურებთ, მაგ ფეხებმოღრეცილს! მაგრუმბივით გასიებულ ლოთ-ბაზარას! არა, მე რაღა ღმერთი გამიწყრა? რატო ჩემებურად არ გავათხზე? ქა, ღვიძლი მამა სასამართლოში გამაყიდინა და ახლა აქეთ მედაგება?

გააშრებული თეთრი ღიზა აივანზე გავარდა, მაგრამ მაშინვე გაჩუმდა. ეზოს ღობიდან მეზობლის დედაკაცები იკვირებოდნენ. გიგა ბოსტანში საქმიანობდა. ნაგლეხკაცარს გული ისევ ბოსტნისკენ და ბაღისკენ მიუწევდა. თეთრმა ღიზამ დედაკაცებს შეუბღვირა და გიგას გადასძახა:

— გიგაჯან, შენმა გახარებამ, კოკით მტკვრიდან წყალი ამოიტანე, წყურვილით ღამის პირი გამიშრეს. დასწყევლა, დღეს რანაირად ცხელა! ღვინო წყურვილს ვერ მიკლავს და ისეთნაირად მათრობს, რომ ფირუზა ტყუილ-უბრალოდ გავლანძღე. საწყალი სახლიდან გაიქცა.

დედაკაცებმა ერთმანეთს გადახედეს და ჩაიფრუტუნეს.

ერთ დღეს მეწვრილმანე ფირუზამ ხელოსნები მოიყვანა და თავისი პატარა საწვრილმანო ხუხულასავით დაანგრევიანა. საწვრილმანოს ადგილზე კი დიდი დუქანი წამოჰკიმა. დუქნის ფანჯრებში გაქონილი გამქვირვალე ქალაღის მაგიერ შუშები ჩაასმევიანა, კარები და დარაბები მღებავებს მწვანედ შეაღებინა. დახლის თავზე ვიღაცის ნაცოდვილარი სურათი: თეთრ ცხენებზე შემსხდარი წითელქუდიანი მხედრები ჩამოკიდა. დუქანში მრავალნაირი საქონელი გაჩნდა და მუშტრების რიცხვ-



მაც ერთბაშად მოიმატა.

ფირუზა უკეთესად მოირთო და მოიჯახმა. ცოლიც მორთო და დახლი-დარიც. ჩაცმა-დახურვას სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა, რათა ზანდაროვები ყველგან გამოჩენილიყვნენ და ზანდაროვებზე ყველგან ელაპარაკნათ. მაგრამ სასმელ-საჭმელში ფულს ახლაც არ იმეტებდა. თვითონ ლხინში იჯდა ან მეზობლებს თავზე იმ დროს ადგებოდა, როცა სუფრაზე სხდებოდნენ. თეთრ ლიზას და გიგას ამშაშალებდა. ზანდაროვების სახლში ცხელი კერძი იშვიათად კეთდებოდა. ზაფხულობით ნიორსა და ძმარში მოთუთქული დანდური, ზამთრობით კერკის შეკამადი მათი სადილიც იყო და ვახშამიც. ცარიელ პურს ლოდნიდნენ და ყელში გაჩხირულ ლუემას მტკვრის წყალს აყოლებდნენ. გულკეთილ თეთრ ლიზას ბრგე გიგა ეცოდებოდა. კვერცხებში აღებული ფულით ათასში ერთხელ ხან თევზს უხარშავდა, ხან ცხვრის ხორცს უხრაკავდა. თვითონ იროლად მიდიოდა. მეზობლების ნამცეცებს ახლოს არ ეკარებოდა. ამიტომ კურდღლის დაბეწვილ ქათამში უფრო გამხდარიც ჩანდა და უფრო შავიც. იბტიბარს მაინც არ იტეხდა, ბატონაკურად მიმავალ ფირუზას გასძახებდა ხოლმე:

— ცხვირსაბოცი დაგაიწყადა, ფირუზჩან. დამაცა, ფლავს დამი მოვხადო. ეხლავე მოგარბენინებ!

მეზობლების ჭიბრზე დაირაც გაიხსენა. თეთრი ლიზა დაირაზე უკრავდა, ფირუზა თავის საყვარელ თარზე. ხან ცოლი მღეროდა, ხან ქმარი, ხან ორთავენი ხმაშეწყობილად მღეროდნენ ქალაქურ სიმღერებს. გიგა ფანჯარასთან იჯდა, იმასაც უხაროდა, მაგრამ მხოლოდ თავისთვის ღიღინებდა, რადგან სმენადამშულს სიმღერა არ გამოდიოდა. ერთიორჯერ მოინდომა მომღერალ ცოლ-ქმარს თვითონაც აპყროლოდა, მაგრამ იმათ მაშინვე გააჩერეს და გააჩუქეს.

— ბიჭო! სოფელში ოროველა ან

ურმული მაინც ვერ ისწავლე? — იცი-ნოდა ფირუზა.

დარცხენილი გიგა წითლდებოდა, თეთრი ლიზა ეფაფრებოდა და გულს უკეთებდა:

— ქა, ქალაქში მომღერლების და დამკვრელების მეტი ვინ არის? მაგას სიმღერა რათ უნდა!

კუკიელი მედუქნის სახლის გაღებული ფანჯრებიდან ყოველ საღამოს სიმღერების ხმა გამოდიოდა.

— ზანდაროვებს სტუმრები ჰყავთ! — ამბობდნენ გამველ-გამომველები.

— ბუღბუღი ვარ, ვარდზედ ფარა ალალი, — გატაცებით მღეროდა ფირუზა.

— ბიბინ ჩიქარდ ურიზადა ჯალალი.<sup>1</sup> — განაგრძობდა თავისი კრიალა ხმით თეთრი ლიზა.

— იუთურმიშამ ჯავაპირი ჰალალი.<sup>2</sup> — თარის სიმების ძლიერი ეღარუნით ართმევდა სიტყვას ცოლს ფირუზა.

— მადა ჩუპეს ბადეშხანენ დუსარაფი!<sup>3</sup> — ამთავრებდა თეთრი ლიზა.

მთელს უბანს ეფინებოდა საიათნოვას ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და სპარსული სტრიქონები, რომლებიც ერთმანეთს მოხდენილად ენაცვლებოდნენ.

ცოლ-ქმარი უფრო ხშირად საიათნოვას იმ აზერბაიჯანულ ბეითს მღეროდა, რომელშიაც სიტყვების თამაშის მეტი სხვა არაფერი იყო, მაგრამ შუამარა თეჯნისის ხმაზე ისეთნაირად ამღერებდნენ და ისეთ ცეცხლს უკიდებდნენ, რომ ყველა ლხინისა და ქვიფის გუნებაზე დგებოდა:

ბუ ნაზანი, ბუ სალიდურ  
ბუ დურ დურ,  
ბუ ჰაკიდურ, ბუ გიოჰარი  
ბუ ია ზარ,  
ბუ ინჯიდურ, ბუ მარჯანდურ

<sup>1</sup> ვაპ რა არა, რანაირი ჯალალი (სპარს.).

<sup>2</sup> ვადეულაპე მარჯალიტი ჰალალი (აზერბ.).

<sup>3</sup> ვადეაგლე ბადეშხანი მადანი (სომხ.).

ბუ დურ დურ,  
ბუ ჰაიკედურ ბუ ვიოპარი  
ბუ ია ზარ.<sup>4</sup>

— ზანდაროვებს ქეიფი აქვთ! —  
ამბობდნენ გამვლელ-გამომვლელები.

შელამისას ზანდარაიანთ ციციქნა  
სახლს ძილქუში ეუფლებოდა. სორო-  
ში მშვიერი თავვი ფხაკუნობდა.

#### 4. აღმოსავლური საბირიკონი

აწე, ხელმწიფეო, დიაცნან ამისთანა ეშ-  
მაკობა და ილათი იცის.

თეიმურაზ II, „თიმარიანი“.

ზოგჯერ ზანდაროვების სახლიდან  
ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ანთებული ლამ-  
ფის გარშემო შემომხდარნი უურად-  
ლებად იყვნენ გადაქცეულნი: ვიგას წინ  
„შვიდვეზირიანის“ ხელნაწერი წიგნი  
ჰქონდა გადაშლილი და თავის კანტუ-  
რით ათასნაირ ამბავს, ათასნაირ თავ-  
გადასავალს კითხულობდა. ფირუზა და  
თეთრი ლიზა სულგანაბული უსმენ-  
დნენ. ცოლს ქალების ოინები და მზაკ-  
ვრობა აკვირვებდა, ქმარი ჰკვიანი კა-  
ციების ხერხსა და ღონეს უყვირდებო-  
და. შიგდაშიგ ალტაკებით ჩაურთავდა  
ხოლმე სიტყვას:

— კარგად მოქცეულა, კაციც ეგა  
ყოფილა! ოი, მავის დედა და მამა ვა-  
ცხოვნი! იფ, რა კარგად გააცურა მეფის  
ნაზირ-ვეზირები!

ან:

— მა რა ეგონა? მამ არადა, შე-  
რჩებოდა! მავისთანა ამხანაგად რათ  
უნდოდა? ამხანაგი რომ კარგი ყოფი-  
ლიყო, ღმერთსაც ეყოლებოდა!

თეთრი ლიზა წამდაუწუმ პირჯვარს  
იწერდა, როცა იმ ქვრივი ქალის ამბა-  
ვი აგონდებოდა, რომელიც გარდა-  
ცვლილი ქმრის საფლავზე-ჯერ მწუხა-

რებისაგან თავს იკლავდა, მერმე კი ჩა-  
მოხრჩობილი კაცის ყარაულს ღამე თა-  
ვისთან გაათევინა და სახრჩობელიდან  
მოპარული ბოროტმოქმედის მაგიერ  
სიყვარულს ქმრის საფლავიდან ამო-  
თხრა და იმავე სახრჩობელაზე ჩამოკი-  
დება შესთავაზა, რათა იგი სასჯელისა-  
გან ეხსნა. თეთრი ლიზა ტუჩზე თითს  
იღებდა, გადაფთვრებული ვაიძახოდა:

— იმ ჭანდამწვარიმა ქმარი ეგრე  
როგორ ვაიმეტა?

ფირუზა იცინოდა.

— რასაც ქალი გააკეთებს, იმას კა-  
ცი როგორ შეძლებს? ვერა ნახე, იმ  
ქვრივმა ქალმა რა გააკეთა! მოდი ეხლა  
და ქალს ენდე!

თეთრი ლიზა ხმას ვერ იღებდა,  
რადგან იმას ლაპარაკობდა, რაც იმ  
ხელნაწერ წიგნში ეწერა.

რა თქმა უნდა, არც მას, არც ფი-  
რუზას და არც ვიგას არ შეიძლებოდა  
სცოდნოდით, რომ ეს ერთანტელით მო-  
სმენილი ამბავი რომელ უსატირიკონ-  
შიც“ ისევე იყო აღწერილი, როგორც  
აღმოსავლურ „შვიდვეზირიანში“.

თეთრ ლიზას „შვიდვეზირიანი“  
ეკავრებოდა, სამაგიეროდ „ყარამანი-  
ანი“ უყვარდა. ზანდაროვების წიგნის  
თაროზე „ყარამანიანის“ უზარმაზარი  
ხელნაწერიც იდო. ქალაქელებს მოს-  
წონდათ დევე-გმირების ფათერაკიანი  
თავგადასავალი. ქალს ისე არავინ არ  
ვაათხოვებდა, რომ მზითევეში „ყარამა-  
ნიანი“ არ გაეტარებინა. ფირუზას კი  
ბაზარში ჰქონდა ნაყიდი. გაძუნწებულ  
მედუქნეს ხელიდან გროშს ვერავინ  
გაავდებინებდა, მაგრამ საინტერესო  
წიგნისთვის ფული არ ენანებოდა. აშუ-  
ლური სიმღერების თითო რვეულში  
თითო შაურს აძლევდა. უზალთუნებით  
იყო ნაყიდი „ქოროლიანი“, „ყარა-  
ბოლიანი“, „ქალვათიანი“, „ვარშაყი-  
ანი“, „შუშანიანი“, „მირიანიანი“,  
„ალღუზიანი“, „შარამიანი“, „ბეჟანი-  
ანი“, „დავრიშანი“... ამ წიგნებს ფი-  
რუზა თვალისჩინივით უფრთხილდე-  
ბოდა. ხან თვითონ კითხულობდა ხმა-

<sup>4</sup> ეს ლაშაია, ეს საღია, ეს ბროლი,  
ეს აყიფია, ეს მარგალიტია, ეს კი—ოქრო,  
ეს მარგალიტია, ეს მარჯანი, ეს ბროლი,  
ეს აყიფია, ეს მარგალიტია, ან ოქრო.  
(თარგმანი გ. შაფულაშვილისა).

მალა, ხან გიგას აკითხებდა. ერთად ისხდნენ და „ყარამანიანის“ ფურცლების შრიალში ხან აღტაცება ეხატებოდათ სახეზე, ხან გაოცება, ხან გაფაციცებული ნიაზი და ყურადღება. გიგა აღელვებული კითხულობდა:

„ჰეი, ყარამან, — შესძახა მღევმა, — სიკვდილისათვის რომ აქ არ მოსულიყავი, ნუთუ შენს ქვეყანაში სიკვდილი აღარ იყო? ყარამანმა მარჯვენა ხელი მარცხენას გვერდს შემოავლო, მარცხენა — მარჯვენას და ისეთი საზარელი ხმით შესძახა, რომ მსმენელნი უსულოდ იქმნენ, ცხენი მარტორქანი და სპილონი დაფრთხნენ, დაწყვიტეს საბამნი და მინდორს გარბოდნენ, ლაშქარნი ისე შეშინდნენ და შეიშალნენ, რომ შეორედ მოსვლა ეგონათ...“

თეთრ ღიზას მეტისმეტი მღელვარებისაგან ტუჩზე დორბლი მოსდიოდა. როცა გიგა თავისი ბოზი ხმით ამყად დიძახებდა ხოლმე: „სეილან-ჯადო და ქელან ჯადო ვეშაქტზე შესხდნენ და გველები მათრახებად დაიჭირეს“; განსაკვიფრებელი და მოულოდნელი ამბებით ვაოგნებული დედაკაცი ამ ქვეყნად აღარ იყო.

ფირუზა იცინოდა. თან იქვეუღლად გაიძახოდა:

— ეგ არის რაღა, დავიჭერე! გავინილა? შეიძლება? კარგი ერთი და!

ცოლი ქმარს ახლაც პირში სწვდებოდა, ბრავმოჩრეული ეუბნებოდა:

— ქა, რაც წიგნში წერია, ისიც აღარა გჯერა? არ იცი, რომ ჯადოს ყველაფერი შეუძლიანი! სათლის ცუდით რკინის კუნძის დაჩეხვა, თუ ზედ ქალის თმას დახვევენ, ანდა ალვის ხეზე წყლით ვაგსებული თასის ცვარის დაუქცევლად ატანა, თუ შიგ ბეჭედს ჩააგდებენ.

ეს მაგალითები თეთრ ღიზას „ყარაბოღლიანიდან“ მოჰქონდა. ფირუზას კი „ყარამანიანის“ და „ყარაბოღლიანის“ მაგალითები ჰქუის საზრდოდ არ მიაჩნდა და უფრო ხშირად გიგას „შვიდეუზარიანს“ აკითხებდა. „შვიდე-

ვეზირიანში“ ხორცშესხმული ადამიანები მოქმედებდნენ და ყოველდღიურ ცხოვრებაში იმას აეუთუბდნენ, რაც მისი აზრით, ყველა ადამიანს უნდა ეკეთებინა, რათა სხვას არ დაეჩაგრა და წიხლებს ჰქვეშ არ მოექცია.

ზამთრის გრძელ ღამეებში, როცა გარეთ-ბარდნიდა და მტკვარი იყინებოდა, ზანდაროვები გვიანობამდე ისხდნენ და მანამდე უგდებდნენ ყურს ადამიანთა საოცარი თავგადასავლის თხრობას, სანამ თვალეზზე რული მოეკიდებოდათ და მთქნარება აუტყდებოდათ.

## 5. ბაზარი

პატარა და უწესრიგო, ესაა ეს ადგილი. სადაც შედამ თავმოყრილია მრავალრიცხოვანი და ქრელი ბრბო, სადაც არასოდეს არ წყდება ხმაური, ცრიმული და სადაც რასების ისეთი აღრევაა, რომლის მსგავსის წარმოდგენას არ იძლევა არც ალუბრი, არც კაირო.

თავადი ვაგარინი.

ფირუზა თავის დახლიდართან ერთად დუქანში ტრიალებდა, კვირა დღეს კი ბაზარს არ აცდენდა, არც ქარავასლებს ტოვებდა უნახავად და მოუკითხავად. დუქანს თეთრ ღიზას უტოვებდა და დახლიდართან ერთად მტკვრის გაღმა გარბოდა.

ეგზარხოსის მოედანზე, სალაყბოსთან, ისინი დარბაისელი და ჰქუადამ-ჯდარი მოქალაქეების ბაასს ისმენდნენ. იქვე გებულობდნენ ახალ ამბებს. მთავარი მაინც ვაჭრობის ყურება იყო. თათრის მოედანზე ყაფანს გარშემო უტრიალებდნენ. ხან შეითანბაზარში იყვნენ დარჭობილი, ხან დახურულ ბაზახანაში, ხანაც შუაბაზარში. დიდი და პატარა სირაჩხანის აღმართებზე ქარავნებს უხვდებოდნენ, რათა დროზე გაეგოთ მექარავნეებს საიდან რა საქონელი მოჰქონდათ. მოედანზე, პოლიციის შენობის მახლობლად, იმ ფარანთან ჩერდებოდნენ, რომლის ქვეშ სოვდაგარები იკრიბებოდნენ და სავაჭრო გარიგებებს ახდენდნენ.

ბაზარში გიგა ქორვაჭრების და ჩარჩების ოინებს უყურებდა. ისინი სოფლებს ქალაქის მისასვლელებთან ხვდებოდნენ, მოტანილს ჩალის ფასად სტაცებდნენ, თვითონ კი შუაბაზარში ორმაგად და სამმაგად ჰყიდდნენ, ყველაფერს აძვირებდნენ და ცეცხლს უყიდებდნენ. სოფლებს არც თაღლითები აძლევდნენ გზას. გულუბრყვილო გლეხებს ყველგან ფულის მახეს უგებდნენ, ქალაქის „ოთხი საღდათით“ ლატაკ ქისას უცარიელებდნენ, მერე ყველანი ერთად მოტყუებულ და გამასხარავებულ ტეტის ყურისწამლები ხარხარით დასცინოდნენ და ისეთ ნაირად აფრთხობდნენ, რომ სასაცილოდ ავლებულმა გლეხმა არ იცოდა საით მოეკურცხლა, საით გაქეუულიყო.

გუშინდელ ნაგლეხკაცის გლეხები ებრალებოდა, შველით კი ვერა შველოდა. ჩარჩი და თაღლითი მოტყუებაში მარდი იყო, მაგრამ ბებუთის ხმარება უფრო ემარჯვებოდა. იგი გულისძვრით უყურებდა, თუ როგორ აჭრიდა ჯიბეს ცხვირაწეულ მოხელეს ხელმარდი ჯიბგირი. „ესენი პატარა ქურდები არიან, დიდი ქურდები კი ქარვასლებში სხედან“ — ეუბნებოდა თავის განცვიფრებულ დახლიდარს ცბიერად მომღიმარე ფირუზა, რომელიც მას განგებ სწორედ ამგვარ სცენაზე წააყენებდა ხოლმე. ისინი ბაზარში მამინ გამოდიოდნენ, როცა მოედანზე ბაირაღს მალა სწევდნენ და ვაჭრობა ჩაღებოდა.

ბაზარში ამ დროს სიარული ძნელი იყო, რადგან აუარებელი მყიდველი და გამყიდველი მიდი-მოდოდოდა, ყველგან ადამიანთა თავების მორევი ჩნდებოდა; ყვინებივით გამურული მენახშირეები ერთ ადგილზე თითქოს განგებ აჩერებდნენ ნახშირის ტომრებით დატვირთულ თავიანთ სახედრებს და გზებს ისეთნაირად კრავდნენ, რომ ყველა მათ უყვიროდა, ლანძღავდა და აფინებდა. სახედრებს შორის „გროშა

ბიჭები“ დარბოდნენ, ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ და ყვირილად ერთმანეთს მუშტრებს სტაცებდნენ; ჩათანახის ტომრები თვითონ მოვდოთ მხრებზე და მუშტრის სახლებში მიერბენინებინათ. ბაზრის ქვეთკარის მალა კედლებთან აქლემები იდგნენ და დროგამოშვებით კისრებზე ჩამოკიდებულ ზარებს აწკარუნებდნენ. განუწყვეტლივ გაისმოდა შეაქლემების, მენახშირეების, მეურმეების, მედროგების, მემაწვანების, გროშა ბიჭების და ფეხზე მოვაჭრეების ყვირილი, ღრიანცელი და გნასი. ყურთასმენა აღარ იყო. ფარდულებთან, დახლებთან, დუქნებთან ყურისწამლები ყაყანი და ქრამული იდგა. ტანდაბალი ფირუზა ბრბოში ღობემძვარალასავით დამერებოდა. ხალხის ქუქყვაში ხან იკარგებოდა, ხან ისევ შემოთ ექცეოდა, აქეთ-იქით ეხეთქებოდა, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა და თან ვეება გიგასაც მიათრევდა.

ფინიას სპილო დაჰყავდა  
 სპილო ახლა, არა უშავდა რა, წელგამართული დადიოდა, აღარც გლეხურად დაიზღაზნებოდა, აღარც ტეტიურად უქცევდა. ოღონდ მეტისმეტად გულკეთილი იყო. ფირუზა ჯავრობდა:  
 — გაიგე, ბიჭო! დოყლაპიობა ხელს არ მოგცემს!

ნაიოსებარი პირდაღებული შესცქეროდა. ფირუზა წინ ულაგებდა ადამიანთა ურთიერთობისა და ვნებათაღელვის მაგალითებს. ბაზრის მიღეთის ხალხზე უთითებდა და ეუბნებოდა:

— აქ სარფას ყველა სხვის ხარჯზე ექებს!

მოშიებულნი ჯვარის მამის ლავაშებში ცივად მოხარშულ, ნიორწყალში გავლებულ ხორცს ახვევდნენ და მადიანად ილუქმებოდნენ. ამ დროს უფრო ეშლებოდა ლაპარაკის საღერდელი კუკიელ მედუქნეს. დახლიდარს უმტკიცებდა:

— ნამუსის ქული მოსაჩვენარად სჭირდებათ, თორემ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, კაცი კაცს არ დაინდობს. ასე

არის, ასე ყოფილა და ჩვენ რომ აქედან წავალთ და სხვები მოვლენ, მაშინაც ასე იქნება. ამბობენ, პირიანი და გულმართალი კაცები საიქოს ანგელოზებთან ერთად სხედანო. არ ვიცი, ვერაფერს გეტყვი, ჯერ იქიდან ბარათი არავის მოუტანია.

ნათქვამია და ნალაპარაკებს ყოველთვის ერთი და იმავე სიტყვებით ამთავრებდა:

— ოთხივე კუთხივე თვალი და ყური დაიჭირე, თუ გინდა ფეხქვეშ არ მოგიდგონ და ზედ არ შეგადგნენ.

დახლიდარს ოთხივე კუთხივე თვალიც ეჭირა და ყურიც, ოღონდ გულწრფელად გაკვირვებული თვალებს აფახულებდა. ფირუზა მას იმის საწინააღმდეგოს ეუბნებოდა და უმტკიცებდა, რასაც აღამიანები ყოველდღიურ ურთიერთობაში ამბობდნენ და ამტკიცებდნენ. თვითონ ფირუზასაც სამს ან ოთხს კაცში პირზე ის ეყერა, რაც ყველა პატიოსან მოქალაქეს: ერთმანეთის დანდობა და სიყვარული.

ფირუზა დროს ტყუილად არ კარგავდა და ქორვაკრობდა. ყველაფერზე ხარბი თვალი ეჭირა. მუქთად ნაშოვნი ან იაფად ნაყიდი უზომოდ ახარებდა. თუ სადმე გახვრეტელ, ტალახიან გროშს იპოვნიდა, ისე მოწიწებით დაიხრებოდა და აიღებდა ხოლმე, ისეთი სიამოვნებით დაპყურებდა და ისეთნაირად გახარებული იღებდა ჩიბეში, რომ მის შემყურე თავმოყვარე დახლიდარს სირცხვილით პირი უწითლდებოდა.

## 6. ქარვასლები

დილიდან საღამომდე არის ერთი გნაისი და ვაჭრობა, ვნათა უჩვეულო სიკრულე, სახეთა და სამოსელთა ნაირფეროვნება, რომლის მსგავსს ვერაშინის ქალაქებში დიდი ბაზრობის დროსაც ვერსად ნახეთ.

ფირუზა ბოღენშტედტი, „1001 დღე“.

ფირუზა და მისი დახლიდარი უფრო ხშირად ქარვასლებში ატარებდნენ დროს.

თბილისი იმთავითვე თავისი ქარვასლებით იყო განთქმული. ყველაზე კე-

თილმოწყობილ ქარვასლად არწრუნის ქარვასლა ითვლებოდა, იაჭრის რაიონში, სიონის ტაძრის მახლობლად. ამ ქარვასლას საუცხოო შადრევანი ჰქონდა. სწორედ აქ, 1837 წელს, ჩირაღდნებით და შილინგებით გაჩირაღდებული ქარვასლის აღმოსავლურად მორთულ დარბაზებში, თბილისის სოციალურბაზა ნიკოლოზ I-ს საარაკო ვახშამი გაუმართა. არწრუნის ქარვასლის პირდაპირ ბატონიშვილების ძველის-ძველი ქარვასლა მდებარეობდა, სადაც თავრიზიდან, გილანიდან, არღებილიდან და რეშტიდან ირანული და შუააზიური საქონელი მოჰქონდათ. სარქისოვის ქარვასლაში, რიყეზე, ნუხიდან და ყარაბაღიდან მოტანილი აზიური ტანსაცმელიც ვაჭრობდნენ. ასევე ცნობილი იყო სედინოვების ქარვასლა ბნელ რიგებში, ბებუთოვების და სარაჯევის ქარვასლები სომხის ბაზარში. ყორმახზამ მელიქოვის ქარვასლას ღარიბების ქარვასლას ეძახდნენ, რადგან ის ღარიბულად იყო მოწყობილი და შიგ შხოლოდ ღარიბი შედუქნეები ვაჭრობდნენ. უფრო გვიან გაჩნდნენ შიოვეის ქარვასლა აბანოს, ხიდთან, მარიმანოვის თათრის მოედანზე, შემდეგ იაკობ ზუბალოვის და პარსელ ტერმოსესოვის ქარვასლები და ვანქის ქარვასლა. ვანქის ტაძრის შორიანლო. ამ ქარვასლებში ვაჭრობა დულდა და გადმოდულდა.

ქარვასლების ქვემო და ზემო სათულებების დუქნებთან, გადმოხურულ ბნელ გალერეებში და ურიცხვ კიბეებზე აუარებელი ხალხი ირეოდა. ყველგან აღებმიცემობის ფუსფუსი და გნაისი იდგა. დუქნების წინ პატარა ბიჭები მუშტრებს კალთებს აგლეჯდნენ და თავთავისი საქონლის ქებას გაჰკიოდნენ. ყველგან ნაირ-ნაირად ჩაცმული ხალხი მოჩანდა. ქარვასლებში ყოველ ცისმარე დღეს მოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნების და ხალხების ვაჭრები ცხენებს, ჯორების და აქლემების ქარავნებით. დარიალის გზაზე ცხენიანა ჩაღვადრები იყვნენ გაბმულნი, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ძველ გზებზე აქლემების

ქარაგნები. მოდიოდნენ: ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, რუსები, სომხები, ებრაელები, თურქები, სპარსელები, მთიელ-დაღესტნელები, ბუხარელები, ჩინელები, ავღანელები და ანდოელებიც, რომლებსაც შორეული ინდოეთიდან აქლემებით ინდური საქონელი მოჰქონდათ, ბაქოში საღვთო ცეცხლებს თავყანს ხცემდნენ და მერე ქალაქ აბილისსკენ მოიძვრათოდნენ.

ქალაქში ყოველ განთიადზე ზარების რკით შემოდიოდნენ აქლემების ქარაგნები ახელი ვაჭრებისა, ხოლო ქართული მერუმეები ყოველდღე საქმე ურმებით ეზიდებოდნენ რედუტ-კალეში კონსტანტინეპოლიდან, ლონდონიდან, მარსელიდან და ჰამბურგიდან ხომალდებით მოტანილ ევროპულ საქონელს. დარიალის გზაზეც მილი მიღზე იყო გამბული ჩაღვადრების ცხენებისა და რუსული პოვოსკებისა. მათ უმთავრესად რუსეთის ფაბრიკებში დამზადებული ტილო და ფართლეული მოჰქონდათ. სოვდაგარები ქარვასლებში ვაფაცობით ვაჭრობდნენ. გამდიდრებულნი სოლოლაკის ბაღებს უწყალოდ სჩეხდნენ და იტალიური სტილის მრავალსართულიან სახლებს აშენებდნენ.

ამ ქარვასლებში უნდა გაწვრთნილიყო გერმანოზიშვილების გამოქცეული ყმა.

— ყველაფერს დააკვირდი, ყველაფერი დაიხსომე, ვაჭრობაში ხელი გამართე, თორემ ბოლოს სხვები ქარვასლის კიბიდან გადაგვადებენ და დაგაგორებენ! — მოაგონებდა ხოლმე სმენად და ყურებად გადაქცეულ დახლიდარს ფირუზა.

მართლაც, სოვდაგარის ბაასი დაუწყებელი სავაჭრო წიგნი და ბუღალტერიის ლექცია იყო, ქარვასლა კი ნამდვილი კომერციული სასწავლებელი.

ფირუზა თავის დახლიდარს ხელოსნებს და წვრილი ვაჭრებას დუქნებშიც დაატარებდა. ერთი ხელობის ხელოსანს, რომელიც ერთდროულად წვრილი ვაჭარიც იყო, ცალკე რიგი ეკავა რიგების მიხედვით იყენენ ცალ-

ცალკე ქუჩებში ჩამწყრივებულთ: ოქრომჭედლების, მექოშეების, მკერვალების, თერძების, კონებო, ბაყლებს, მეთევზეების, ხარაზების, ყაზაზების, ბაზაზების, საარაჯების, ყაჭრდუზების, მექუდეების, ყასბების, ხაზაზების, მეჩონგურების, დაბაღების, მღებავების, მხატვრების, მეჭურჭლეებს, მჭედლების, მექვაბეების, ჩილინდრების, მკალავების, მეთოფების და ხმლის მკეთებლების დუქან-სახელოსნოები. ყველა ხელობის ხელოსანს თავისი ამქარი ჰქონდა, საყუთარი უსტაბაშებით, იქითბაშებით და ბაირაღებით. ბაირაღებზე თითოეული ხელობის მფარველი ფირი ანუ წმინდანი იყო გამოხატული.

დუქან-ბაზრებსა და ქარვასლებში სიარული, ფირუზას სიტყვით, თვალს უხელდა „ბერყენა ჭეელს“, რომელიც სოფლელი უკვე აღარ იყო, მაგრამ ჭერ მთლად არც ქალაქელად იყო გამხდარი.

„ბერყენაც“ გაგონილს და დანახულს ისე იხსომებდა, როგორც შეეძლო. ბევრი რამ მაინც არ ესმოდა, არ გაეგებოდა, ბევრი რამეც აკვირებდა და თვალს უნცივიფრებდა, მთავარს კი უკვე მიხვედრილი იყო: თუ წინათ ფულის მნიშვნელობას იგი ბუნდოვნად ხვდებოდა, ახლა ფულის ძალა და ყოვლისშემძლეობა მისთვის საესებით ცხადი იყო. ბაზრისა და ქარვასლების ადამიანები ფულზე ლოცულობდნენ, ფული კერპად გაეხადათ, ფულს ელტვოდნენ, ფულსკენ მიისწრაფოდნენ, ფულის გამო ერთმანეთს მტრობდნენ, ფული თესდა მუღლსა და შურს, მტრობასა და სიძულვილს, ბოროტებასა და დანაშაულს, განსაცდელსა და უბედურებას, მაგრამ არავინ არაფრის წინაშე არ იხევდა, რათა ფული მოეხვეჭა და ხელთ ეგდო. გამოუცდელმა დახლიდარმა ისიც შეამჩნია, რომ სუსტს ყოველთვის ძლიერი სძლევდა, ღარიბს მდიდარი, მოკრძალებულს უსირცხვილო სჯობნიდა, მორიდებულს თავხედი, გულწრფელს მატყუარა, პატიოსანს თაღლითი, პირიანს ფაცის გამტეხი, პირიანს მარჯვე და მოხერხებული, პურადსა და შემბრალებს

ხარბი და ვაუმადარი. ქალაქში ვად-  
მოვარდნილი ნაგლეხარისთვის ეს ისე-  
თი მოულოდნელი აღმოჩენა იყო, რა-  
მაც მთელი მისი ტექტიური სულისკვე-  
თება მძაფრად შეაჩუქა, შეაშფოთა, ვა-  
ნაცვიფრა და ღრმად ჩააფიქრა.

ნაგლეხაკაცარის ცხოვრებაზე წარმო-  
დგენა ვერ ეგუებოდა და ურიგდებოდა  
იმას, რაც ქარვასლების პირქუშ თალებს  
ქვეშ ხდებოდა. სამაგიეროდ, რაღაც  
ნაცნობს და მშობლიურა ღარიბი მე-  
ზობლების ქოხებში პოულობდა. ღარი-  
ბები პატიოსნად შრომობდნენ და ცხო-  
ვრობდნენ. სულ პატარა სიხარულს და  
ბედნიერებას ერთმანეთს უზიარებდნენ,  
წაქეულის ფეხზე წამოყენებას ცდი-  
ლობდნენ და რითაც შეეძლოთ და რო-  
ვორც შეეძლოთ, ხელს უმართავდნენ.  
ბუნებით კეთილსა და გაურყვენელ გიგას  
გული უფრო ღარიბებისკენ მიუწევდა,  
მაგრამ წინ ყოველთვის ფრთხილი და  
ყურებდაცქვეტილი ფირუზა უდგებო-  
და, ღარიბი მეზობლებისაკენ გზას უკ-  
რავდა და მხოლოდ ქარვასლებში და-  
ტარებდა.

ღროსაც თავისი გაქმონდა. მისი და-  
ლიდარი ახლა მორცხვად და გაუბეღ-  
ვად აღარ იღვა სასწოროთან, თუმცა მუშ-  
ტრის წონაში მოტყუებას მაინც ვერ  
ბედავდა, ვერც ფირუზასავით პირზე  
ღიმილით, ქათინაურებით და თავზიანი  
სიტყვა-პასუხით ახერხებდა წონის მო-  
საკლებად სასწოროს თეფშებზე გირე-  
ბის დარახუნებას, არც ჩურგენზე ეჭი-  
რა თვალი. მუშტრებსაც პირმომცინარე  
და ენაწყლიანი ფირუზა მოსწონდათ,  
შუბლშეკრულ დახლიდარს კი „უცხ-  
ვირპიროს“ ეძახდნენ. ყველაზე უკმა-  
ყოფილო მაინც ქალები იყვნენ, რო-  
მელთაც ლამაზ დახლიდარს ვერასვრით  
პირჯვარი ვერ დააწერიან და თავიან-  
თენ ვერ მოახედეს.

ფირუზა ბუზღუნებდა და იღრინებო-  
და. არ მოსწონდა, რომ მისი დახლიდა-  
რი ვულკეთილი და ხათრიანი იყო.

გიგას დაჩაგრული ებრალებოდა, და-  
რიბი და გაჭირვებული ეცოდებოდა, თუ  
საქმე მოითხოვდა, მეზობლისთვის ცეც-

ხლში შევარდებოდა, ამხანაგისთვის  
წყალში გადავარდებოდა, პირასღროს  
მეგობრისათვის მიცემულ სიტყვას არ  
გატეხდა და პირობას არ გადაუხვევდა.  
გლახებს კი ისე არ ვაუშვებდა, რომ  
მოწყალეა არ მიეცა.

— მე რომ აქ არ ვიჯდებ, დახლში ხე-  
რდა ფული არ დამრჩებო! — ბურტყ-  
უნებდა ფირუზა.

მაგრამ კვირბაღალზე ისიც გროშს აგ-  
დებდა იმ თეფშზე, რომლის კიდურეც  
თაფლის სანთლები ლაპლაპებდნენ. ამ  
დღეს გლახებისათვის მოწყალეების მი-  
ცემა შედუქნეების წესად ითვლებოდა.  
ამის გამო ფირუზა ხმას არ იღებდა.  
სამაგიეროდ უფრო ხშირად თვითონ  
იღვა დახლში და ხურდა ფულსაც უფრ-  
თხილდებოდა. დახლიდარი ზოგჯერ  
ღრმად ჩაფიქრდებოდა ხოლმე, თვალს  
ერთ წერტილს უშტერებდა და დიდ-  
ხანს რაღაცაზე თუ ეილაეაზე ფიქრობ-  
და.

არაეინ იცოდა მისი მკმუნვარე ფიქ-  
რების მიზეზი.

ფირუზას კი ბატონკაცურად ეჭირა  
თავი, მასხრული გარეგნობის მიუხედა-  
ვად, დარბაისლური მიხვრა-მოხვრით  
დადიოდა. ნაბიჯებს ნელა ადგამდა,  
თუმცა ჩვეულებრივ მოძრაგსა და სწრა-  
ფად მოსიარულეს, დინჯი ტატიით სი-  
არული უჭირდა. უბნის ლოთები და  
უსაქმურები მასთან ლაზღანდარობას  
ველარ ბედავდნენ, აღარც თვითონ ა-  
ლევდა მათ ამის საბაბს. მიუხედავად  
ამისა, ფირუზას ძველებური მაინც ბეგ-  
რი რამ შერჩა. ქუჩაში მოხდენილ ქალს  
ისე არ გაატარებდა, რომ თვალი არ შე-  
ეცლო, პატარა ბიჭებს მსუნავი თვალე-  
ბით ათვალიერებდა და ამ ღროს ქვედა  
ტუჩი ოდნავ უკანაგებდა. თუ გაჭირ-  
ვებულ კაცს ხელში კოჭის ძაფს ან სხვა  
რამეს დაუნახავდა, გაჩერდებოდა და  
ერთ საათს ევაჭრებოდა, რათა შემდეგ  
თავის ღუქანში ძვირად გაეყიდა.

7. ნათიას ბახსენება

ყველაფერი, რაც იყო, აღარ არის, რაც იქნება, ჯერ არ დამდგარა.  
 აღფრედ დე მიუსხე, „საუჯუნის პარშოს აღხარება“.

დუქნის საქმე წინ მიდიოდა. დაკვირვებული და მუდამ თვალით ფირუზა სწრაფად გებულობდა ვის როდის რა სჭირდებოდა. რაც კი უბანს უნდოდა, მის დუქანში ყველაფერი იყო. დუქნის თაროები ნარჩევი და ნაირ-ნაირი საქონლის ქვეშ იზნიქებოდა. ძალიან ძვირად არაფერს ჰყიდდა, რათა მუშტრები მიეზიდა, წაგებით კი არაფერს ავებდა. ამიტომ მუშტარიც მადლიერო ჰყავდა და თვითონაც სუქდებოდა, ქონს იკიდებდა, მოგებულთ მდიდრდებოდა და ფულთან ერთად სახელსაც იცეთებდა.

ფირუზას დუქანი ახლა დიდ მეტოქობას უწევდა უბნის ყველაზე შეძლებულ მედუქნე შაქროს, რომელიც ლამაზი ცოლის წყალობით თავის ჰქუაზე აღარ იყო და რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ეწეწებოდა ოჯახისა და დუქნის საქმე.

თებერვლის ერთ საღამოს, როცა გარეთ თოვდა და ბარდნიდა, თოვლით თეთრად გადაპენტილი მედუქნე შაქრო გაფითრებული შევიარდა ფირუზას დუქანში და შეცხადებულივით დაემხო დასლზე.

— რა დაგემართა, კაცო? — ყალბი შემფოთებით ჰკითხა ფირუზამ და დიდმნიშვნელოვნად გადახედა თავის დანდიდარს.

შაქრომ მიძიმედ აიღო თავი, ჩახლეჩილი ხმით ძლივს ამოთქვა:

— მევალე თავზე დამდგა და თან პრისტავიც მოიყვანა... დუქნის ასაწერად... სულ ოცდაათი თუმანი მმართებს... ეს ფული დეზად ვერსად ვიშოვნე... ფირუზჩან, იქნებ შენ როგორმე გამიმართო ხელი, შენს იქით ვზა აღარა მაქვს.

ფირუზა ჩაფიქრდა. თავგზადაკარგულმა მედუქნემ მას მოლოდინით და მუ-

დართი აღსავსე თვალები მიაპყრო.  
 — წადი შენს დუქანში, *უთხრობს* მას ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ფირუზამ, — წადი, მეც მალე მოვალ, ფულს იქ ჩავაბარებ.

შაქრომ მადლობის მეგვარი რაღაც წაიბურტყუნა და დუქანიდან ქუდმოგლეჯილი გავარდა. ფირუზამ დამცინაუო თვალებით თან გააყოლა, სიამოვნებით წარმოთქვა:

— ჩემი სიტყვა ახდა. მაგას ლამაზი ცოლი ჰქვით ასავალ-დასავალს ისე დაუბნევს, რომ ვალის ორმოში ამოპყოფს თავს. ველარ ამოვა! — შესძახა ხმამაღლა ფირუზამ და იქედნურად გაიღიმა. — თავზე სულთამსუთავივით დავადგები, საძრაობას არ მიცემ, ყელში თოჭს წავეუჭერ. ველარაფერი ვერ უშველის. გაკოტრდება და მაგის დუქანი ჩვენ დაგვრჩება. გიგა, შენ ესლა ქალაღლი დაამზადე:

„ჩე... წელსა თებერვლის ოცსა დღესა მე მედუქნე შაქრო ელიზბარის ძე ქაღილაშვილმა ვისესხე ოცდაათი თუმანა მედუქნე გიორგა (ფირუზა) იასონის ძე ზანდარაშვილისაგან და მოვალე ვარ გადაუხადო თავნი თავის სარგებლით ამა წლის მარიაშობის ოცსა დღესა“. მოიცა, ერთი სარგებელზე დაფიქრდე, ღარიბებზე ნაკლებს ზომ არ გამოფართმევ? ესლა დაწერე, რასაც ვეტყვი. დაწერე? აქ მომეცი. ჩემი ფულები დღეიდან სხვის დუქნებშიც იმუშავებენ. მაშე ჰქვიანი არა ვარ?

გიგამ მორჩილად გაუღიმა და ფაქიზად დაკეცილი თამასუქის ქალაღლი გაუწოდა.

ფირუზამ დუქნის ორივე კარი ჩაეცტა. დახლიდარს ლამაზარის პატრუქი ჩააწეინა და როცა საკმაოდ დაბნელდა, მისი დახმარებით მარილის მიძიმე ტომარები განზე გადაათრია, ჩაიმუხლა, დანის წვერი ფილაქანის ხახებს გაუგდო, სამი ფილაქანი ამოაძრო, ხელი შიგ ჩაპყო და მიწაში ჩადგმული ქილიდან მუქით ვერცხლის და ოქროს ფულები ჩხრიალით ამოიღო. ფირუზას დახლიდარის არ ეშინოდა, რადგან მან ჯერ



კიდევ კარგად არ იცოდა ვერცხლის და ოქროს ნამდვილი ფასი. სამაგიეროდ თავის მონახვექს და მონაგებს თეთრ ღიზას უმალავდა. მას ხშირად აგონდებოდა სასამართლოში სახტად დარჩენილი თერძი და საქმეს ისე იჭერდა, რათა მუდამ სხვები მოტყუებინა, თვითონ კი არასდროს მოტყუებული არ დარჩენილიყო.

გადათვლილი ფული მან ტყავის ქისაში ჩაალაგა, ფილაქნები თავ-თავის ადგილზე ჩაავდო, ზედ ისევ მარილის ტომარები მიალაგ-მოალაგა, კარი გააღო და დუქნიდან გავიდა. დახლიდარმა თვალი გააყოლა, უსიამოვნოდ შეიშმუნა და თითქმის შიშით წარმოთქვა:

— ეგ კაცი არავის ინდობს და თუ დასჭირდა, არც მე დამინდობს. მაგრამ მაგას სადღა გავეძკევი? ისევ ის სჯობს სულ თვალწარბში ვუყურო და რააც მტყვის, უსიტყვოდ შევესრულო.

ლამპარის პატრუქი აღარ ამოსწია, დახლთან ჩამოკდა, იდაყვებით დაზგას დაეყრდნო, მარცხენა ხელის გული ყბის ქვეშ ამოიღო და, როგორც ეს მარტოდმყოფობის დროს იცოდა, თვალი ერთ წერტილს გაუშტერა. ლამპარის პატრუქი დვრინვით ჭრებოდა, დუქანში სულ უფრო და უფრო ბნელდებოდა. ბნელში დარჩენილ დახლიდარს ფირუზაც დაავიწყდა, თეთრი ღიზაც, დუქანიც, ბაზარიც, ქარვასლაც და ქალაქიც.

ფიქრი ფიქრს აედევნა, განცდილი განცდილს.

მას ჯერ კიდევ შეეძლო მეხსიერებაში ბერთუბნის აღდგენა, სოფლელების გახსენება, მაგრამ იმასაც კარგად გრძნობდა, რომ წარსული თანდათან დავიწყებას ეძლეოდა.

სოსიკოს გიგა ავიწყებინებდა.

თავის სოფლელებს არსად არ ხვდებოდა. არც ქუჩაზე, არც ბაზარზე. თუ ვინმეს სადმე დალანდავდა, კისრისტეხით გარბოდა, სახლის იატაკებს ეფარებოდა, იმალებოდა.

მხოლოდ ერთხელ შუკრიდან პავლე მღვდელს მოჰკრა თვალი. ავღობარში, ყაზარმებთან, ტუსალებს შორის იდგა, ხელებზე და ფეხებზე ბორკილები ედო, თავზე ტუსადის მრგვალი ქუდი ეხურა, ტანთ ტუსადისავე გრძელი რუხი ფარჯა ეცვა. მაღალი და მხარბეკიანი, მაღლა აწეული თავით ამაყად მიიბიჯებდა. ტუსალებს უმთავრესად თავადნი და აზნაურნი აცილებდნენ. „თბილი ციბირიდან“ ისინი „ცივ ცამბირში“ იატუმრებდნენ თავიანთ ნათესავებს, მამებს, შვილებს, ძმებს, ქმრებს, საქმროებს. ბორკილების ჩხარა-ჩხურს და თოფიანი ჯარისკაცების გადაძახება-გადმოძახებას შიგადაშიგ ქალების ყრუ ქვეთინი ერთვოდა. გიგა თვალებს არ ამორებდა პავლე მღვდელს. ტუსაღთა ეტაპს იქამდე სდია, სანამ ისინი ტრიალ მინდორზე არ გავიდნენ და გზის მტვერში არ გაეხვივნენ.

ამის გახსენებამ ერთხელ კიდევ ააფორიაქა. თვალწინ ნათლად დაუდგა თავისი სოფელი.

ქორწინების ღამე.

ნათია.

დახლზე დაემხო, თავი მკლავებში ჩარგო და ქეთინი აუეარდა.

— რა გატირებს, ბიჭო? — დაუყვირა დუქანში დაბრუნებულმა ფირუზამ.

— ნათია მომაგონდა.

— ვინა?!

დახლიდარმა ხმა არ გასცა, განზე გაახედა.

მედუქნეს ნაგლეხკაცარას თავგადასავალი მოაგონდა და შუბლი უქმყოფილოდ შეკუმუნა. დუქნიდან სახლის ივანზე გავიდა და სამოვართან მოფუსფუსე თეთრ ღიზას რაღაცაზე ჩხუბი დაუწყო.

ნაიოსებარმა თვალებიდან ცრემლები მოიწმინდა.

პირი მხსუთი



I. გაზინაურებული უთვისტომო

ამან თავის მზიარულს გულთ და უბედობით  
მტარედ შემიმსუბუქა ნაღველი.

გრაგულ რჩეულთაგანი,  
„თამარ ბატონიშვილი“.

ფანდურაანთ იოსები თანდათან გაუ-  
მინაურდა ფირუხას და თეთრ ლიზას.  
ალარ უყვირდა დახლში ჯდომა, ალარც  
ახლად შერქმული სახელი „გიგა“ ეხა-  
მუშებოდა. ვინმეს მისთვის იოსები რომ  
დაეძახა, თავს მიიმედ მოაბრუნებდა და  
გაკვირვებით მოიხედავდა. გიგას დაძა-  
ხებაზე კი პირზე ღიმილი: ეკერა და  
სალამს არავის უგვიანებდა.

ახალ სახელს იგი ისევე მიეჩვია, რო-  
გორც თავის ქალაქურ ქედს, ტანსაც-  
მელს, თვითონ ქალაქელებს, ქალაქური  
ცხოვრების წესებს და ზნეჩვეულებებს.  
გასაოცარი აქ არაფერი იყო. უთვის-  
ტომოს ალარც საკუთარი წარსული გა-  
აჩნდა, ალარც სახელი, ალარც გვარი,  
ალარც ძველი სოფლური ცხოვრება. ხე-  
ლოსნებსა და ვაჭრებში მოხვედრილი  
სულერთიანად გამოცვლილიყო და გარ-  
დაქმნილიყო. ძველი თანდათან დავიწყე-  
ბას ეძლეოდა, ახალი გარემო და ცხოვ-  
რება კი მისთვის სულ უფრო და უფრო  
ჩვეულებრივი და მახლობელი ხდებოდა.

გიგა რატომღაც თეთრ ლიზას უფრო  
მიეჩვია, ვიდრე ფირუხას. ფირუხას  
მას არა მარტო ერიდებოდა, არამედ  
ეშინოდა კიდევ.

გულკეთილ დახლიდარს თავისებურად  
უყვარდა მუდამ მოფუსფუსე და მშრ-  
იმელი თეთრი ლიზა. დაუზარებელ ღე-  
დაკაცს დუქანი ყოველთვის დავეილ-  
დასუფთავებული ჰქონდა, ჯამ-ჭურჭე-  
ლი დარეცხილი, დარბაზი, სახლის აივან-  
ი და პატარა ეზო მოკრიპლებული,  
ბოსტანი და ბაღი, სადაც რამდენიმე  
ხე იდგა, კარგად მოვლილი. უსაქმოდ  
არასდროს არ იყო. რეცხავდა, ხეხავდა,  
აყრავდა, აყვრებდა, ქსოვდა. მთელი

დღის განმავლობაში ცოცხსა და აქან-  
დახს ხელიდან არ უშვებდა.

ფირუხა კი ბოლოს ცემით ყბედობ-  
და, ხელები ზურგზე ეწყყო და ბატონ-  
კაცურად იყურებოდა. ხან ქალაქურ  
სიმღერას ღიღინებდა, ხან ილანძღებო-  
და, იღრინებოდა და ყველაფერს იწე-  
ნებდა. ზოგჯერ გაჩუმებული დადიოდა,  
ამტქნარებდა და როცა სხვები მუშაობ-  
დნენ, თვითონ ტაბტზე ეგდო და ეძინა.  
თუ კარგ გუნებაზე იყო, უღვაწებში  
ღიმიებოდა, ჩიბუხს აბოლებდა და გაუ-  
თავებლად ლაპარაკობდა. გაკეთებით  
თვითონ არაფერს აკეთებდა, სამაგიე-  
როდ მზრძანებლობა უყვარდა და სახ-  
ლის პატარა აივანზე მოურავივით იყო  
გადმომდგარი.

დუქანში და ეზოში მხოლოდ თეთრი  
ლიზა და გიგა საქმობდნენ, მაგრამ გა-  
კეთებულს ფირუხა ორთავეს უწუნებ-  
და. განსაკუთრებით თეთრ ლიზას არ  
ინდობდა, სიტყვას არ შეარჩენდა ხოლ-  
მე. ყოველთვის იმას ამტყუნებდა, ლან-  
რღავდა, აყვედრიდა და ეკლესიაში და-  
სანთები სანთლისათვის გროშს რის ვა-  
ვაგლახით იმეტებდა.

არც თეთრი ლიზა რჩებოდა ვალში.  
ისეთი წყველა და ლანძღვა იცოდა, თა-  
ვის გარშემო სულ ბურიანგელს აყენე-  
ბდა.

ცოლ-ქმარი ან ჩხუბობდა ან ერთად  
მღეროდნენ. მათი ყურება გიგას პირ-  
ველად ანცვიფრებდა, მერე კი ამასაც  
მიეჩვია. წაჩხუბებულ ცოლ-ქმარს შო-  
რიახლო ალარ უტრიალებდა, თავისი  
საქმის კეთებას თავაუღებლივ განაგრ-  
ძობდა, გულში კი ყოველთვის თეთრ  
ლიზას უჭერდა მხარს.

როცა საღამოობით ცოლ-ქმარი თავი-  
ანთ სიმღერებს მღეროდნენ, გიგასაც  
უხაროდა, რადგან ჩხუბი და უსიამოვ-  
ნება არ უყვარდა.

ერთხელ გიგას ეზოდან თეთრი ლიზას  
ყვირილი მოესმა; დუქნიდან აივანზე  
გავარდა და გაკვირვებისაგან ერთ ად-

გილზე გაშტერდა. გაანჩხლებული თეთრი ლიზა ცოცხით ეზოში პატარა ბიჭს დასდევდა. ბიჭს ცალი ფეხი შარვლის ტოტში ჰქონდა გაყრილი, ცალ ტოტს კი მიწაზე მიათრევდა, ორივე ხელით მუცელთან შარვლის ხონჯრები ეჭირა და ქუდმოვლენილი გარბოდა. თეთრი ლიზა მას სწორედ იმ დროს დაეწია, როცა ის ღობეზე გადახტომას აბირებდა. ბიჭს შიშველ უკანალზე ცოცხი გამეტებით დაჰკრა, ბიჭი ღობის იქით გადავარდა, შარვალი კი ღობეზე დარჩა. ღობესთან გაკაპასებული თეთრი ლიზა იდგა, ცოცხს ჰაერში მუქარით ატრიალებდა, იღანძლებოდა და იწყევლებოდა.

— ქა, ეს რა ცოდვის კითხვაა! ვინა სთქვა? სად გაგონილა? თათრობაა ხალხო? ფირუზას ქალებს ესდით თუ ბიჭებს? აი, შე არდასარჩენო, აი, შე დასამიწებელო, შენა! პატრონი არავინა გაყავს, რომ გარყვნილ და გაოხრებულ ფირუზასთან მოეთრევი? აი, მიწამ გაყოს პირი და თან ჩაგიტანოს, აჰანდე! შენ არ გაგზარდოს ღმერთმა, შენა! აქ აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, თორემ წელს აღარ აგათრევიანებ! მერე თუნდ სუდში წამიყვანონ, თუნდ პოლიციაში!

ფირუზა ბოსლის კართან სამფეხა სკამზე იჯდა და ბილწი ღიმილით იღიმებოდა. ვივა მიხვდა, შერცხვა, გაწითლდა, საჩქაროდ ლუქანში შევიდა, სასწორთან ჩამოჭდა და თავი ჩაქინდრა.

## 2. კუკიელი ფატმანი

მუხთაღს ამ სოფელს ესურს ვისაცა.  
იყო ბედნიერ,  
სიყვარულითა და ღვინით ჩემებრ დაითვირ,  
გრიგოლ ორბელიანი  
მირზაჯანას ეპიტაფია.

ღრმადმორწმუნე თეთრი ლიზა ყოველ დღით ეკლესიაში წირვა-ლოცვის არ აკლდებოდა. სწორედ ამ დროს ფირუზა ყოველთვის შინ იყო. ბოსელში, სადაც წინათ ვირი ჰყავდა დაბმული, მას

ხან ეშხიანი დედაკაცი შეჰყავდა, ხან სრულიად ნორჩი, ახლად ტანაყრილი გოგო. ბოსლიდან გიგას ნშირად ესმარდა ხოლმე დედაკაცების ვენებაანი ხითხითა, გოგოების თავაწყვეტილი კისკისი, თვითონ კი სირცხვილით იწოდა და დახლის ყველაზე ბნელ კუთხეში ჯდებოდა, რათა ეზოში გამოჩენილი დედაკაცი ან გოგო არ დაენახა.

ერთხელ იმ ბოსლიდან თვალტანადი ქალი გამოვიდა. ვივამ ის დუქნის პატარა ფანჯრიდან შეამჩნია და თვალი ვეღარ მოაშორა: როცა ფირუზა ბოსლის კართან თავის სამფეხა სკამზე ჩამოჭდა და ქალი ეზოს ჰიშკარისაკენ გაემართა, ვივამ დუქანი მიატოვა და სახლის აივანზე გამოვიდა.

— მაკა! — მიამახა მიმავალ ქალს ფირუზამ, — ფრთხილად იყავი. ფეხი ტლაპოში არ ჩაგივარდეს, თორემ ბაზაზი რევაზა ფაქიზი კაცია, ტურტლიანს არ მივიღებს.

ქალმა მისკენ სახე მოაბრუნა, გაუცინა და შემოსძახა:

— არა, ფირუზ! მე ეხლა ბაზაზთან არ მივდივარ, ავთ არის და იმ თვალდამდგარს წამოდგომის თავი აღარა აქვს. ჩემი თილისმები იმასთან აღარა ჰკრის. მე ეხლა შენაზშირე იაგორასთან მივდივარ. აი, იმასთან, ავადმყოფი ცოლი და ბევრი ვირები რომა ჰყავს.

— ერიპა! — გულიანად გადაიხარხარა ფირუზამ, — იმ გამურულ ვირგლასთან? ის ხომ შევიდა კამეჩის ოღენა! ბარაქალა ქალო, ბარაქალა! მაგრამ ქალაქში ვიღა დაგჩა?

— მთავარმართებელი, ფირუზჯან, მთავარმართებელი — სიცილით წამოიძახა მაკამ.

— ეგ კი შენგან ძალიან შორსაა! — შეაგება გაღნიშნული სიცილი ფირუზამ.

— ვითომ რატომია? მთავარმართებელი ჩემგან არც ისე შორსაა, როგორც შენა ვგონია. ამასწინათ მირზაჯანამ დამიბარა კნიაზების ქეიფში (შაქრო კახეთში იყო ნათესავებთან). მთელი ღამე იმათთან ვაგატარე. მთავარ-

მართებლის ადიუტანტი გვერდიდან არ მიშორებდა. მეც ქორთა უღვაშები სულ დავუწიწენე. ისე გავხადე, ხან ტიროდა, ხან იცინოდა. მირზაჯანას კოცნით სულ ლოყები დააგლიჯა, ეს მზეთუნახავი სად იპოვნე, საიდან მოიყვანეო.

— ეგ არის, დაგიჯერე!

— თუ არა გჯერა, მირზაჯანას ჰკითხე.

მირზაჯანას ფირუზა ერიდებოდა, მასი ეშინოდა. არც ის ევაშნიკებოდა, რომ „ლზინის პაპას“ მტკვრის გაღმა მადათაშვილს ეძახდნენ, მტკვრის გამოღმა ზანდარაშვილს.

— დათაც იქ იყო. — სცადა ფირუზას დაინტერესება მაკამ.

— დათა?

— ყორღანაშვილი.

ფირუზას თვალები გაუბრწყინდა. შედარების საბაზი მიეცა.

— აი, ლაზთიანი მოქეფე, დარდიმანდი ვინ არის. კაცსაც რა უშავს!

— რას ამბობ, ფირუზ?! — გაუკვირდა მაკას, — ქეიფსა და ეშუში მირზაჯანას ტოლს ვინ დაუდებს?

ფირუზამ ისევ წარბი შეკრა.

— მირზაჯანა შედიდურია, ამპარტავანი. ყველამ იცის, რომ მთავარმართებლის კაცია. კნიაზებში ტყუილებრად არა ტრიალებს. შენისთანა ქალები სწორედ იმითთვისა სჭირდება. რას იზამ? საცა დაგისტვენს, იქ უნდა დაერქო. მაგრამ არ დაგავიწყდეს შენი მასწავლებელი ვინ იყო.

— მახსოვს, ფირუზ, მახსოვს. მაგას როგორ დავივიწყებ? ლარბი დედამისი შვილი, ტუტუციანი და ტალახიანი, შენ შაქარ-ყინულით მომატყუე. როგორ არ მახსოვს? თეთრმა ლიზამ ზურგი ბევრჯერ ჩოხით ამიჭრელა, მაგრამ მაინც შენთან მოვრბივარ.

ფირუზას მაკას ნათქვამი იამა, ვაიბადრა. მერე ისევ სერიოზული სახე მიიღო და სერიოზულად უთხრა ქალს:

— მაშინ ცამეტი წლისა იყავი. თოთხმეტისას უკვე ქმარი გყავდა. ეხლა კი

ოცდაათი წლის ქალი ხარ. დრო არის ნელ-ნელა იალქნები დაუშვა.

— მეც იმიტომ ვჩქარობ თორემ ვინ იცის ხვალ რა დღე დამიდგება? შენ კაცი ხარ, არც ხანი გიშლის ხელს და არც მოღრეცილი ფეხების გრცხვენინან. მე კი პატარა ნაოქზეც ვკანკალებ. ქალები მალე ვებერდებით. სიბერის მეტა ქვეყანაზე არაფრის არ მეშინიან.

— ეგ ეგრეა, მაგრამ ძალიან თამამობ, ძალიან დარდიმანდობ. თუ ფრთხილად არ მოიქცევი, ან ქმრის წერა გაბდები ან საყვარლის.

— ჩემი ქმარი შაქრუა ხასიათით ოქრუა! — ლექსივით დამაღწრა მაკამ და უდარდელად გაიცინა, — მეცმს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ იმისთანათ არავის ვუყვარვარ. სასოკდილოდ არ გამიძეტებს. ორი ქმარი გამექცა, ბებერიც და ჩველიც, ეგ კი არა შშორდება, უჩემოდ გაძლება არ შეუძლიან, — მაკამაც სერიოზული სახე მიიღო და სერიოზულად განაგრძო, — საყვარლის ხელით სიკვდილს კი ჩემისთანა ქალისთვის სხვა არაფერი სჯობს. ბებუთებით ტრიალშიც ბევრჯერ მოვხვედრილარ, მაგრამ შიში რა არის, ჯერაც არ ვიცი.

— შენი შვილი სად არის? — ჰკითხა უცებ ფირუზამ მაკას.

— არ ვიცი სად არის, ვისთან არის, რას აკეთებს, როგორ არის. ამას წინათ ორთაქვალის ბაღში მოვკარი თვალი, თავის ტოლებში ქეიფობდა. მომეწონა. თვალტანადია, კობტა, ლამაზი, ეგ ჩველი ქმრისაგანა მყავს, მამასავით თამამია, იმისი მიხვრა-მოხვრა აქვს, თვალწარბი კი ჩემი გამოჰყავა. შორიდან გუყურებდი, რადგან იმის ამხანაგებში ბევრი ჩემი ამოღლანიც იყო.

— ჰო, კარგი ბიჭია. — თქვა ფირუზამ — აფსუსია მაგის გაფუჭება. ჯიბვრებში და ქურდებში ყოფნა ხეირს არ მისცემს.

— რა ვქნა, ფირუზ, ეჭვარები და ჩემი დანახვა არ უნდა. ქა — წამოიძახა სიცილით მაკამ, — ამ ლაპარაკში მენახშირე იავორასთან წასვლა არ გადამაგიწყდა?

ფირუზას თავი დაუკრა, თეთრი ქალაქის კალთა მკლავზე გადაიგდო გატრიალდა და წავიდა.

### 8. ხაბაზის ცოლი

იგი არასოდეს არ იცნობდა (მას კარგი კბილები არა ჰქონდა), მაგრამ უსაზღვრო სინაზისა და სიტკბობის ღიმილი დასთამაშებდა მშვენიერ ბავშვებზე, ლოყების ნასვრეტებსა და სანდომიან ნიჟარზე.

უ. თვეერი, „პენდენისის ისტორია“.

გიგა აივანზე ველარ გაჩერდა, პატარა კიბე ჩაირბინა და ეზოდან ქუჩაში სახლების გასწვრივ მიმავალ ქალს თვალთ გააყოლა — დიდხანს უყურებდა ხან მას, ხან მზით განათებულ კედლებზე სწრაფად მოძრავ მის აჩრდილს. ქუჩაბანდის ბოლოში ქალი თვალს მიეფარა, მაგრამ გიგა ისევ იქითკენ იყურებოდა, გარინდებული და სახელეწილი იდგა. ფირუზამ ცალი ყბით ახედ-დახედა, კარგახანს უყურა, გაეცინა და ბოლოს ჰკითხა:

— შენ სპარსული იცი?

გიგამ ვაკვირვებით მოიხედა მისკენ.

— მე სპარსულიც ვიცი, სომხურიც და თათრულიც. რუსულსაც, არა უშავს, ლაზათიანად ვამტკრევ. ჰოდა, სპარსულად ნათქვამია: როცა ახალგაზრდა კაცს-მარტოკა სძინავს, დედამიწა ცას შესტირისო. ბიჭო! რას უყურებ? მიიხედ-მოიხედე, თვალი გაახილე, ვერა ხედავ, რაც შენ დახლოდნ და სასწოროთან დაგაყენე. ჯერ ჩემი ძველი საწვრიმალა, მერე ჩემი დუქანი ქალებით გაივსო. ზოგს ვითომ წიწკაეა სჭირდება, ზოგს დარიჩინი, ზოგსაც მარილი. ისიც მართალია, რომ ქალები გლანძღავენ, გთათხავენ, დაგცინიან და ყველაფერს გიწუნებენ, მაგრამ ფიქრი ნუ გაქვს, ეგ ქალების ალერსია აბა, შენ უარს ვინ გეტყვის?!  
გიგას შერცხვა, გაწითლდა

— არ მიყვარს, როცა კაცი ყაყაჩოსავით წითლდება, — გაჩაგრდა ფირუზა და თავი უკმაყოფილოდ გაიქნ-გამოიქ-

ნია, — ეგ ქალებს უხდებათ. პო, რას ვამბობდი? უბანში ბევრ ქალს მოსწონხარ. მაგ ქალს კი ნუ უყურებ, შენი ფანდი არ არის, მაგას თავისი ამქარი ჰყავს. შენ პირლია ქმრების ცოლებს მიხედე. ჩვენს უბანში ცოტა ვინმე გამოიდრდა, ცოტას ცოლი გაკოტრდა? ესეც იცოდე, როცა ქალს ყელში ქონი აწვება, თვალი ყოველთვის გარეთკენ უჭირავს.

ფირუზა გაჩუმდა.

სახლის აივანზე ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა და გიგას შორიდან დაუძახა:

— ქა, გიგაჯან! დუქნის კარი ღია რომ დაგრჩენია, რასა ფიქრობ? რამდენი ხანია დუქანში ვტრიალებ, შენ კი არსადა ჩანხარ.

ფირუზას ჩაეცინა, გიგას ხმადაბლა უთხრა:

— ეგ ხაბაზის ცოლი მაიკოა ვერ უყურებ, გარეთ ფოსტლების ამარად გამოსულა იფ, რა ფაშვაშა დედაკაცი! არა, ეგ ტყუილ-უბრალოდ არ არის მოსული.

აივნიდან ისევ მოისმა ხაბაზის ცოლის ძახილი:

— გიგაჯან, როდემდის უნდა მალოდინო, მეჩქარება და მოცდის თავი არა მაქვს.

ფირუზამ ისევ გაეცინა, მაგრამ გიგას ყასიდად დაუყვირა:

— ბიჭო, მუშტარს მიხედე, აქ რას დარკობილხარ ლობიოს სარივითა!

გიგამ დუქნისკენ გააღაჯა. ქალი მას აივანზე უცდიდა ცუდლუტი ღიმილით. დახლიდარმა გვერდზე ჩაუარა, ზედ არ შეხედა და დუქანში შევიდა, ქალიც თან შეჰყვა.

— გიგაჯან, — უთხრა მას ალერსით ხაბაზის ცოლმა, — მაგ ასხმულიდან ერთი წითელი წიწკაეა მომიგლიჯე. უჰ, რა ცხელა დღესა, მთელი ქალაქი სიცხისაგან იწვის.

გიგამ ჰერში ჩამოკიდებულ ასხმულას წიწკაეა მოაგლიჯა, სასწოროს თეფშზე დადო და თავი ჩაღუნა. ქალი სულ ახლოს მივიდა სასწოროთან. ბავშვზე ისევ წელანდელი ცუდლუტი ღიმილი დასთამაშებდა, ფერადი ჩითის კაბა ოფლის



ლაქებით დასველებოდა, მკერდი განგებ გადაეღელა და თეთრი, დიდრონი ძუძუების ჩაღრმავებული ნაკეცი მოუჩანდა. ქალის ცხელი სუნთქვა, ოფლისა და ნივრის სუნი გიგას შიგ ცხვირში სცემდა, მაგრამ თავს მალა არ იღებდა, სასწორის თეფშს დასცქეროდა და მოთმინებით უცდიდა, თუ როდის აიღებდა ქალი თეფშიდან წიწკას. ქალმა მარცხენა მკლავი სასწორის თეფშისკენ წაიღო, თეთრი, ფაფუკი ხელი ზედ დადო, დიდხანს გააჩერა. ტუჩები გაეპოდა კბილების თეთრ მწკრივში ორი, ძლივს შესამჩნევი ღრჯოლი გამოუჩნდა. მისი პატარა მოძრავი ცხვირის გარშემო იშვიათი ქორფლები მოუსვენრად ამოძრავდნენ, ფართოდ გაღებული თავლისფერი თვალები დაებინდა და მოლოდინად გადაეკცა. ასე დიდხანს, დიდხანს გაგრძელდა ბოლოს ქალს ბაგედან ღიმილი გაუქრა, წარბი შეიკრა, გულმოსულმა წიწკას ხელი დასტაცა, წვრილი კაპიკიანი სასწორის თეფშზე რახუნით დაავდო, საკინძე გაჭავრებით შეიკრა, კარებისკენ გატრიალდა და დაცინვით შემოსძახა:

— აი, არა ქენ დაღლარ! შენც ვითომ ფირუზას ნათესავი ხარ რაღა! — გადაიკისკისა და დუქნიდან გაიქცა.

დუქანში ფირუზამ შემოპყო ცხვირი, ტუჩებზე ლარფი ღიმილი უთამაშებდა, გაღებული კარიდან ქუჩაში გაჩქარებით მიმავალ ხაბაზის ცოლს უყურებდა. ტანის ახოვნობას უქებდა და აღტაცებით ამბობდა:

— იფ, იფ, რა კარგია ამოლტილი, რა ფუნჩულა, რა ფაშფაშაა. მთელი ქუჩა უჭირავს, მაგრამ ხედავ რა კოხტად და მარდად მიგოგმანობს. ეტყობა ვაბრაზებულია, მიზეზიცა აქვს. არა უშავს, დაბრუნდება. აუცილებლად დაბრუნდება.

ფირუზამ დუქნის ზღურბლთან დაგდებული წიწკა აიღო, სათუთად ხელი გადაუსვა, მტკერი მოაშორა, დახლზე დადო და ისევ დახლიდარს მიუბრუნდა:

— ბეც აქ დაუტოვებია. მეტი რაღა გინდა?

არქონული

მაიკო თეთრ ღიზას დამტყვევებელ ხან ზედადგარზე ქვაბს უღვამდა, წყალს უცხელებდა და სარეცხს წურავდა, ხან მატყლის რეცხვაში, გაშლაში, გაშრობაში, დაპენტვასა და გაჩეჩვაში შველოდა, ხანაც საბნებს ულიანდაგებდა. თან მუდამ თბილი პერები და ნაზუქები მოჰქონდა. თეთრი ღიზა და ფირუზა ერთმანეთს თვალს უკრავდნენ და ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ. გიგა ხაბაზის ცოლის ოინებს და ხრიკებს ამჩნევდა. მაგრამ მისგან თავი შორს ეჭირა, თვალში არ მოსდიოდა, ერიდებოდა და გაურბოდა. სამაგიეროდ მაკას დანახვაზე ფითრდებოდა და წითლდებოდა. მაიკომ ეს მალე შეამჩნია და იმ დღიდან ფირუზას დუქნიდან და სახლიდან ფეხი აღარ მოიკვალა. როცა მედუქნის ცოლი ეკლესიაში წირვის მოსასმენად მიდიოდა, ხაბაზის ცოლი სახლის აივანზე იჯდა და თეთრ ღიზას ზაფხულში ზამთრის წინდებს უქსოვდა. ფირუზა ჭავრობდა, ბუზლუნებდა, რადგან ხაბაზის ცოლის გამო ქალები ერიდებოდნენ. ფირუზას ბუზლუნი და ბურტყუნი მაიკოს აინუნში არ მოსდიოდა. მას სულ სხვა სადარდებელი ჰქონდა. გიგა ზედ არ უყურებდა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, როგორ მოეწონებინა მისთვის თავი.

ხან სიცხის მომიზეზებით ფოსტლებს იხდიდა და ფეხშიშველი დადიოდა დუქნის გრილ ფილაქანზე, ხან კაბის ბოლოებს მუხლის თავამდე იწევდა და ჩამოშვება ავიწყდებოდა, ხან მსუქან თეთრ მკლავებს აჩენდა, ხან საკინძე შეუკრავი რჩებოდა და მკერდგადაღდეღი იჯდა. ქალს არაფრისა რცხვენოდა. მაგრამ ფირუზას დიხლიდას მაინც ვერაფერს უხერხებდა. დახლთან თავისთვის მჭდარი გიგა ან თვლემდა ან ქერს შესცქეროდა და ბუზების გადაფრენა-გადმოფრენის ყურებით ერთობოდა. გულმოსულმა ფირუზამ ხაბაზის ცოლს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ დუქანი თეთრ ღიზას ჩააბარა, თვითონ კი

დახლიდართან ერთად ბაზრებსა და ქარვასლებში სიარულს მოუხშირა.

ასე მისდევდა დღე დღეს, კვირა კვირას.

მაიკოს „ლოდინით გული უღონდებოდა. გიგა კი არსად ჩანდა. და როცა ხელთ თეთრი ღიზა შერჩა და გიგას დაწახვაც კი სანატრელი გაუხდა, მოთმინების ფილა აევსო, ველარ მოითმინა, სრულიად უმიზეზოდ ჯაგრი თეთრ ღიზაზე ამოიყარა, გამოლანძღა, ცოლქმარს მუქთახორები და მატყუარები უწოდა, გიგა ცვედანად მონათლა, დუქნის კარი გაიჭახუნა და იმ დღიდან ზანდაროვების სახლში ფეხი ამოიკვეთა.

ზანდაროვებმა გვიან გაიგეს, რომ ხაბაზის ლამაზი ცოლი ახლა მტკვრის ნაპირზე წისქვილის ნავის ცხვირზე იჯდა და ბრგე მეწისქვილეს დახეულ პერანგს უკერებდა.

— მაიკო დასაწუნი ქალი არ არის, არ დაიკარგება, — ამბობდა ფირუზა, — რა ვუყოთ, რომ იმის მეწისქვილე ფქვილშია ამოვანგლული, სამაგიეროდ ჩვენს დახლიდარს ზეთი ჩამოსდის სახეზე.

— ქა! — წამოეჭობა გიგას თეთრი ღიზა, — მაშ ყველა შენსავით მასხარა უნდა იყოს? ვერ უყურებ, ჩვენმა გიგა მაც გამოიღარა. ბოლო დროს სულ აიღმება და პირი უცივის.

მართლაც გიგა ოცნებაში ვილაცას უღიმოდა, ვილაცას უცივოდა, ღიღინებდა და მხიარულ გუნებაზე იყო.

მაკა ისევ გამოჩნდა ზანდაროვების ეზოში.

#### 4. ნირხაცვლილი ფირუზა

მაიკოს ენა მას ახარებს, მას ასულდგმულს, ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიყვარებს!

ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ჩემო მეგობართ“.

გიგამ თავს ძალა დაატანა, გაბედა და მაკას ქუჩაბანდის ბოლოში გზა ვადაუქრა. ქალმა ნიაზით მოხედა, ურცხვად გაუღიმა, მხარი გამომწევეად შეათამაშა გზა კეკლუცი რხევით განაგრძო, უკან აღარ მოიხედა, მაგრამ შეყვარებული ყმაწვილი შორიახლო აიღვენა და თავის

სახლის კარამდე მიიყვანა. ისევ მოიხედა, ისევ ურცხვად გაუღიმა, სახლში შევიდა, ცოტა ხნის შემდეგ ფანჯარას მოადგა, თავი გადმოჰყო, გიგას სიცილით დაუქნია ხელი და გადმოსძახა:

— როცა ამ ფანჯარაში თეთრი, წითელწინწკლებიანი ხელსახოცი ეკიდება, კარებზე დააკაუნე და მაშინვე გაგიღებენ.

გიგამ არ იცოდა ფეხით მივიდა დუქანში თუ მიფრინდა.

შინ ლაპარაკს არავის აცდიდა, ენად გაიკრიფა, თან ეილაცას უღიმოდა, ფირუზას ყურს აღარ უგდებდა და სულ თვითონ ლაპარაკობდა. ფირუზამ თვალი ცნობისმოყვარეობით შეაგლო:

— გიყვარს ვინმე ბიჭო?

— როგორ მიხვდი, ფირუზაჩან?

— რა მიხვედრა უნდა? ეგრე გაბტუტუცებული წინათ როდის იყავი?

გიგამ გაიცინა.

— ვინ არის?

— მაკა!

ფირუზამ წარბი შეიკრა, არ ესიაშოვნა. ფათერაკის შეეშინდა და დახლიდარი გაათრთხილა:

— ერთხელაც გითხარი, ეგ ქალი შენი ფანდი არ არის. მაგის აშოლლანებთან შენ ვერ მოხვალ. თავი გაანებე.

— არ შემოძლიან. — შეუპოვრად დაუბრუნა სიტყვა მაკას ახალმა საყვარელმა

ფირუზამ კეფა მოიფხანა. დახლიდარი პირველად უბრუნებდა მას სიტყვას. არ მოელოდა, არც ექაშნიკა. ცხვირი ჩამოუშვა, და ჩაფიქრდა. ჩხუბის გუნებაზე დადგა, მაგრამ თავი შეიკავა არ იცოდა როგორ მოქცეულიყო: სიტყვის უბრუნების გამო გამოდევებოდა თავის დახლიდარს, თუ მაკას გამო დაეტუქსა.

ფიქრობდა და ანგარიშობდა.

ფირუზა კარვად იცნობდა მაკას, მის ქმარს, მის საყვარლებს და აშოლლანებს. მაკა არა მარტო თავისი ანგორცობით იყო განთქმული, არამედ მზაკვრობით და დაუნდობლობითაც იყო ცნობილი. თუ ვინმე მობეზრდებოდა

ან ვინმეს ჩამოშორებას მოინდომებდა, არაფრად უღირდა მისი გაწირვა. ყველას თვალს უხვევდა, ყველას ატყუებდა, საყვარლების ქიშპით ერთობოდა და ამით ამყოფდა კიდევ. ასეთ დროს ყველაზე საშიშარი მოტყუებული ქმარი ან მიტოვებული საყვარელი იყო.

დახლიდარს კი ადვილად ვერ გაბმეტებდა.

მას ფირუზა არც ჯამაგირს უხდიდა, არც მოგებაში უდებდა წილს. ოქროს ქისაზე არც თვითონ ძრავდა კრინტს, არც დახლიდარი იღებდა ხმას. არც მისი ჩაცმა-დახურვა უჯდებოდა ძალიან ძვირად, რადგან ის გამონაცვალი ტანისამოსითაც იოლად მიდიოდა. ამას გარდა, გიგა გაცილებით იმაზე მეტს აკეთებდა, ვიდრე მასზე ფირუზა ხარჯავდა. ასეთ დახლიდარს ადვილად ვერ იშოვნიდა. ამიტომ უნდა მოევლო მისთვის და გაფრთხილებოდა. მის დახლიდარსაც ის არ უნდა დამართნოდა, რაც მაკას ბევრ საყვარელს უკვე გადახდენოდა.

მთელი ღამე ფირუზა გივას მაკაზე ელაპარაკებოდა, მაგალითი უღვეველი ჰქონდა და გატრუნულ დახლიდარს წინ ულაგებდა, ხან მტკვარში გადაგდებული და დამხრჩვალნი ქორია ყასაბი გაიხსენა, ხან უჯზოუკვლოდ დაკარგული მოკრივე მუშტია, ხან წისკვილებთან მოკლული და დილით ნაპოვნი ბაყალი ელი ზბარა, ხან წმ. ნიკოლოზის მღვდლის უმცროსი ბიჭი, კორფლიანი ქუცნი, რომელიც მედუქნე შაქროს დანით მძიმედ დაეჭრა, ხან ვინა და ხან ვინ.

გიგა გასუსული უსმენდა. მაკას საყვარლების ხსენებაზე შუბლი ეკუმუხნებოდა, უსიამოვნოდ იშმუშნებოდა, სწყინდა და ბუნებით გაურყვნიელი სატრფოს ბიწიერებას ვერ ურიგდებოდა; ბოლოს უხმოდ წამოდგა და თავის ლოგინზე უფრო მიეგდო, ვიდრე დაწვა.

ფირუზამ ხელები მოიფშენიჭა, უღვაშებში კმაყოფილებით ჩაიცივნა:

— მაკას გულიდან ამოირეცხავს. თავმოშონია, თავმოყვარე. ნაყარ-ნუყარს ეგ არ მიეტანება. სანახევროდ სოფლელია. ქალაქური ამბების ჯერ არაფერი

გაეგება-კაცმა რომ თქვას, მეც ვერ იცის როდის დამეწევა, ჯერ შურისღებულს გასაღული.

რამდენიმე დღის შემდეგ ბოსელში მაკამ ფირუზას ცხვირწინ თეთრი, წითელწინწკლებიანი ხელსახოცი აუფრიალა და სიცილით უთხრა:

— ეს შენი დახლიდარის ნიშანია, ფირუზ. არ მეგონა, თუ შენისთანა ქალიდენიას ამისთანა გამოუცდელი ნათესავი ეყოლებოდა. არა, ეგ ზანდარავი არ არის! — ყურში რაღაც ჩასჩურჩულა და ხნამალა გადაიხიზითა იმის მოლოდინში, რომ ფირუზაც აყვებოდა. მაგრამ ფირუზა დაბლვერილი იჭდა. მაკამ გაკვირვებით ახედ-დახედა. ფირუზას მაკასთან შორიდან მოვლა არ უყვარდა და უფრო უბრძანა, ვიდრე უთხრა:

— სახლიდან გამოაგდე. პირტიტველა ლაწირაკთან საქმის დაჭერა არ ვიხდებია. მაკამ მყისვე დაუბრუნა:

— არც შენ ვიხდებია შაქარ-ყინულით და აღჯანაბლით პირმოთუბნულ გომბიობებთან კოტრიალი. მერე საყვედური როდის ვითხარი? მე რა, შენზე ნაკლები ვარ?

ფირუზამ სიტყვა ბანზე აუგდო და მოკლედ მოუჭრა:

— თუ შენსას არ დაიშლი, შაქროს თავზე დაგაყენებ.

— ეგ არის, შემაშინე! სანამ მინდა, ხელიდან არ გაეშვება,

— კარგად იცი, მაკა, რომ ამისთანებში ხუმრობა არ მიყვარს.

— არც მე ვხუმრობ, ფირუზ. თუ წინ დამიდგები, არ დაგინდობ.

ფირუზამ წარბი არ შეიხარა, მაკას დამცინავად გადახედა, ირონიულად ჰკითხა:

— მაინც რას მიზამ?

— არ დაგავიწყდეს, ფირუზ, რომ მე მირზაჯანა მფარველობს. ქალაქში შარს ვინ ეძებს, რომ მე დამჭირდეს იმის ძეგნა? ვაჭარ ხალხში განა ცოტა საბაბია და მიზეზი კაცის გასაფუჭებლად? — ეუბნებოდა მაკა ფირუზას, თან გრძელი ყელსაბამის თეთრ მძივებს ეთამაშებო-



და და პირი უცინოდა. — თუ მოვიწინდომე, ყველას დაგაპერიწებთ, შენცა, თეთრ ლიზასაც და თქვენს პირტიტველა გიგასაც. ჭა! — წამოიძახა აღტაცებით მაკამ, — ეს რა კარგი სახელი მოვიგონე. დღეიდან ამ თეთრ, წითელწინწკლებიან ხელსახოცს პირტიტველა გიგას დავეძახებ!

ფირუზა ისე გახდა, რომ ცხრანაირად ფერმა გადაჰკრა და კანკალი აუვარდამთავარმართებელთან დაახლოებული მორხაჯანასი არა მარტო თავადებს და აზნაურებს, არამედ ვაჰრებსა და ხელოსნებსაც ეწინოდათ. ნირწამხდარი ფირუზა თავის სამფეხა სკამზე ისე იჯდა, თითქოს ზედ ვინმემ ლურსმნით დააჯრაო. მაკამ გაუცინა:

— აბა, ფირუზ, ეხლა ჩემი ფეხსაცემლები ჩამაცვი! წამოდგომა მეზარება.

ხმელ თივაზე გადაწოლილმა მაკამ ფირუზას ორივე ფეხი გაუშვია. ფირუზა ზღაზღნით ადგა, ცოტა ხანს იყოყმანა, მერე სწრაფად დაიხოჭა მაკას წინ ჯერ ერთი ფეხსაცემელი ჩააცვა ფეხზე, მერე მეორე და ისე კოხტად და ლამაზად შეუქრა ყაითნები, რომ მაკას სიცილი წასკდა:

— ყაითნების შეკვრაზე გეტყობა, ფირუზ, რომ ეგ ხელობა დიდი ხნის წინათ გაქვს ნასწავლი.

ფირუზამ მორჩილად გაუღიმა, მიეღაქუცა, გათამამდა, მუხლის თავებზე ხელები გადაუსვა, მაგრამ მაკამ უკმაყოფილო მოძრაობით მოიშორა, გაჯავრებული წამოდგა ფეხზე და თავის ძველ საყვარელს შეუტია:

— გვეყოფა, რაც ვიქმასხრეთ, ეხლა შენთვის აღარ მცალიან!

ფირუზა მოიკუნტა. მაკას ზიზღი გამოეხატა სახეზე. ამ მეტისმეტად გარყვნილ ქალს ერთი ღირსება ჰქონდა: — მხლადი და მშიშარა მამაკაცები არ უყვარდა. ფირუზამ ძლივს გაუბედა:

— კიდევ როდის მოხვალ, მაკა?

მაკამ დამკინავად შეაეღო თვალი, აგდებულად გადმოუვდო ზიზღნარევი სიტყვა:

— რაჟი სახეზე მური ჩამოგისვი, აქ

აღარ მომესვლება. — გატრიალდა და წავიდა.

ფირუზა მიხედა, რომ ველარც ხეყნა უშველიდა, ველარც დაღვენება.

## 5. ბრფიალი

ვინცა ვნახოს, კალაუცა ვნახოს, არ იკმაროს, კიდევ ვნახოს.

გრიგოლ ორბელიანი.

როცა თეთრი ღიზა ეკლესიიდან დაბრუნდა, ხოლო გიგა ქარვასლიდან, მათ ფირუზა ველარც იცნეს. მედუქნე ერთბაშად დაბერებულიყო, ჩიბუხიანი ხელი უკანკალეზდა, გრძელი თეთრი უღვაშების ბოლოები უცაცხახებდა, სახეზე ფერი არ ედო და დამფრთხალი შემლიღვივით იყურებოდა. შეშფოთებული თეთრი ღიზა ქმარს მივარდა, შეაჩქარია, ვიწვივით დაეკითხა:

— ჭა, ფირუზჯან, ეგ რა მოგსვლია? ეგ რანაირად გამხდარხარ?

ფირუზამ თავი დაისაწყლა, ხელები უმწეოდ გაშალა და ძლივს ამოიღულულა:

— დალაქს დაუძახეთ... წურბელები დამაყაროს;... გაზაფხული დადგა და ეს დროზე უნდა მომგონებოდა...

გიგა კუსპარა დალაქთან გაიქცა. თეთრი ღიზა წალოს ეცა და ლოგინი გადმოიღო. გასაჯათებულ ფირუზას კისერზე წურბელები დააყარეს და მოაბრუნეს. მაგრამ ვერც ფეხზე წამოაყენეს, ვერც გუნება გამოუეეთეს, ლოგინს ლესავდა და ადგომა აღარ ახსენდებოდა.

კვირის ბოლოს ფეხზე დადგა, მაგრამ ცხვირს მაინც მიწაზე დაათრევდა, რალაცნაირად გულნადელიანს და დაზაფრულს თეთრი ღიზა უკან დასდევდა და წამდაუწუმ კატისწამალას წვეთებს უსხამდა სათითის ოღენა ჭიქაში.

ფირუზას მაკას დაკარგვა ენანებოდა. ცამეტი წლის ჭუჭყიანი და პირმოთხუნული გოგოს გახსენებაზე თავის ახალგაზრდობაც აგონდებოდა. მაგრამ უფრო მეტად თავისი დახლიდარის ბედი აწუხებდა.

თუ გაბოროტებული მაკა მოინდომებ-

და, ნაყმევ-ნაგლეხარ გიგას მირზაჯანას დააპყრობდა, პოლიცია გამოძიებას შეუდგებოდა და მასაც, როგორც გამოქცეული გლეხის მფარველს, ზედ მიაყოლებდა წარამარა აგონდებოდა მაკას მიერ იქვენულად ნათქვამი: „არა, ეგ ზანდაროვი არ არის“ და ძილს უფრთხობდა.

ფირუზამ ჩათრევას ჩაყოლა ამგობინა, რათა მაკა არ გაეღიზიანებინა. მაკას ახალ გატაცებას წინ აღარ დაუდგა, თუმცა საშიშროება გიგას ამ მხრივაც ემუქრებოდა.

ფირუზა მაინც ფრთხილობდა და იმის თაღარიგს იჭერდა, რათა გამოუცდელი დახლიდარი ხიფათს არ გადაპყროდა. გიგას ფებდაფეხ ისე დასდევდა, რომ იმას არაფერი შეემჩნია. როცა თავზე ქუდწაყვილი, ყელზე მერდინგა დაგდებული გიგა მაკასთან მიდიოდა, ფირუზა დუქანს ცოლს აბარებდა, თვითონ კი შაქროს დუქანისკენ გარბოდა. რათა ის ლამპარაკით გაერთო და შინ წასვლა არ მოჰგონებოდა.

მაკა ერთგულ მოახლეს ყარაულად აყენებდა. საყვარელს ყელზე ეხვეოდა, უსურვაზივით ეტმასნებოდა, გულისთქმას ცხელი კოცნით უღვიძებდა. ათასი კაცის ხელში გამოვლილმა და ათასნაირად ნაცადმა და გამოცდილმა ქალმა კარგად იცოდა, როგორ მოეხიბლა და მოეჯადოებინა თავისი ახალგაზრდა და სრულიად გამოუცდელი საყვარელი. არშიყს ტახტზე სხდებოდნენ სალაღობოდ და საალერსოდ. მაკა ისე მარდად და ისეთი ვნებიანი მიმზიდველობით იხსნიდა საკინძის დუგმებს და კაბის დილებს, რომ მის საყვარელს ზედ ანთებული თვალი რჩებოდა. და როცა თეთრგვრემანი, მაყვლისფერთვალემა, თმაგომერა, ტანნაკეთიანი და გრძელფეხა მაკა მის წინ შიშვლდებოდა, თავბრულახვეულ გიგას ამ ქვეყნად ყველანი და ყველაფერი ავიწყდებოდა. შემდეგ შმაგური ალერსით და მტლამა-მტლუშით მოქანცულნი ერთმანეთს მცხრალი და დაღლილი ღიმილით შესცქეროდნენ. ვაჟი სატრფოს გრძელ ნაწნავს ეთამა-

შებოდა, ხელზე იხვევდა და ზილფებზე დასხმული ვარდის წყალი ოდნავ თავს უბრუნებდა. ქალი მოქანცებით მკითხებოდა:

— მართლა დადიოდი მაშრიყის ქვეყნებში? მაშ, ეგეთი ფერმიხდილი სახე რათა გაქვს? შენი გარეგნობაც სოვდაგრისა არ არის. მაგნაირი სუფთა პირი-სახე მალრიბულად ჩაცმულ კნიაზებსა აქვთ.

მაკას მირზაჯანას ქეიფების სტუმრები აგონდებოდა და უნებლიედ უღარებდა მათ მედუქნის საოცრად ლამაზ დახლიდარს. თავდავიწყებული გიგა თავის თავგადასავალს მაკას ისე უყვებოდა, როგორც ეს მას თავის დროზე ფირუზამ დაასწავლა. მაკა მაინც ეპვიანად აქნევდა თავს:

— ესეც არ იყოს, სად შენა და სად ფირუზა?! აბა, ორთავენი ზანდაროვები როგორ იქნებით?

მაკას ჩამოკრულებით ნათქვამი გიგას უკვირდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. არც დაფიქრების დრო ჰქონდა.

მაკა ისეთი ცხარე კოცნით ისტუმრებდა თავის ახალგაზრდა საყვარელს, რომ მისი გემო მას ფირუზას დუქანამდე მიჰყვებოდა. სულსწრაფი მოუთმენლად თვლიდა საათებს, რათა სატრფოს სახლთან ხელახლა მისულიყო. მის ფანჯარაში თეთრი, წითელწინწყლებიანი ხელსახოცი დაენახა და მასთან საალერსოდ ასულიყო.

ერთხელ მაკამ თავის საყვარელს მოულოდნელად ჰკითხა:

— რას იზამ, ჩემმა ქმარმა რომ მოგვასწროს?

— რა უნდა გქნა? — მიამიტად უპასუხა საყვარელმა.

— მალალი მყევხარ და სხვებსავით თახჩაში ვერ დავმალავ.

გიგამ იუჯადრისა და ჩექმის ყელში ჩადებულ ბებუთს გადახედა. მაკამ გულგრილად უთხრა:

— მაგისთანებით ვერ გამაკვირვებ. შენ ეს მითხარი, ჩემთვის რატომ არაფერი მოგაქვს? რატომ არაფერს ყიდულობ?

გიგა დაიბნა, სატრფოს თხოვნის დაკმაყოფილება არ შეეძლო, რადგან გიბეში არასდროს გახვრეტული გროშიც არ ედო.

## 6. ჩხუბი

ოპ, სიმდიდრევე, სიმდიდრევე! შენ დაგდევს უკან ყოველი ქვეყნიერი ბედნიერება! შენ გიპირავს ხელში სიუყვარულიცა და სიმძულარიცა გარიგოლ ჩნეულიშვილი, „შეშლილი“.

შენ უგუნებოდ დაბრუნდა დიდხანს უტრიალებდა აივანზე მჭდარ ფირუზას, რომელსაც იდაყვები დასტანდა დახე დაეყრდნო, ჩიბუხს აბოლებდა და ბოსტანში მომუშავე თეთრ ღიზას უყურებდა.

გიგა გვერდით ამოუდგა, თავი მოიქექა, ცხვირზე ხელი წაივლო, დაახველა, ხმაში ზრინწი გაუჩნდა და როგორც იქნა ამოთქვა:

— ფირუზჯან, თუ ძალიან არ გეწყინება, იმ ოქროს ქისიდან ერთი ოქრო მომიცე.

ფირუზა სკამზე ისეთნაირად შეტოკდა, თითქოს მოულოდნელად ვინმემ თავზე კეტი დაჰკრაო. პირი დაალო, გაუკვირდა, მაგრამ მალე მიხვდა, თუ საიდან უტევედა მას მაკა. გაბრაზდა და დახლიდარს დაუყვირა:

— რის ქისა, რა ქისა? დალოცვილო, ის ოქროს ქისა განა რამდენხანს უნდა გვეყოფნოდ? აბა, ერთი კარგად იანგარიშე რამდენი ხანია გასული, რაც ჩვენთანა ცხოვრობ? აბა, ერთი კარგად დაფიქრდი და გასინჯე! ან ჩაცმას არ უნდა ფული, ან დახურვას, ან ჭამას, ან სმას, ან აბანოს, ან დალაქს, ან ფოსტას. ან მოხელეს, ან მაღსა და მახტას! რომელი ერთი მოეთვალო! დაუღუველი რა არის, რომ შენი ქისა არ დაცარიელებულიყო? განა რამდენი ფული იყო იმ ოქროს ქისაში?

გიგამ ეს ახლაც არ იცოდა, ამიტომ ფირუზას ვერც ვერაფერს ეტყოდა.

ქმრის ყვირილზე თეთრმა ღიზამ ყურები ცქვიტა, ბარი ხელიდან გაავდო,

აივანთან ახლოს მივიდა და ფირუზას დახლიდართან ჩხუბით დაეპირაყუ-რი დაუგდო.

ფირუზამ სწრაფად შეწყვიტა ოქროს ქისაზე ლაპარაკი, დარცხვენით დახლიდარს გამომცდელი თვალებით დააკვირდა და ჩაეკითხა:

— მაინც რათ გინდა ოქროს ფული?

— ქალაღია მინდა ვიყიდო... — სვენებ-სვენებით წარმოთქვა ყაყაოსავით გაწითლებულმა დახლიდარმა

ფირუზა შეხტა და შემოტრიალდა.

— ქალაღია?! მერე დედაკაცი ხომ არა ხარ, რომ ქალაღია მხრებზე მოისხა ან მკლავზე გადაიგდო? ღიზავ, გესმის რას ლაპარაკობს ჩვენი პატიოსანი შეილობილი? — იღრინებოდა და იკბინებოდა ფირუზა, — შენ პირდაპირ მითხარი გუნებაში რაცა გაქვს, რა შორიდან უცლი? მაშ, შენ შენსას აღარ იშლი რალა! ბოზყურობაში გინდა ფული ხარჯო და მედუქნე შაქროსავით გამაკოტრო?

— მაშ, მაშ! — კვერს უკრავდა ქმარს თეთრი ღიზა, რომელსაც უკვე გაგებულნი ჰქონდა გიგას მაკასთან ურთიერთობის ამბავი და ქმარზე უარესად იყო შეწუხებული. — ჩვენს უბანში შაქროზე შეძლებული მედუქნე სხვა ვინ იყო? მაგრამ, დაიხსოვით ჩემი სიტყვა, რომ შუბლზე მიიკრას,

— შენ ეგა თქვი და! — თავს უქნევდა ფირუზა ცოლს, — მაგრამ რათ გინდა? ამას ეგ, ეტყობა, მაგალითად არ გამოადგება, მერე რის იმედი აქვს? ჩემი დუქნის? არა, არა! ჭერ ისე არ ვავგიუებულვარ, რომ ქალაღიას სასყიდლად ხელი ჩემს დახლში ჩაგაყოფინო, როცა საკუთარი დუქანი გექნება, მაშინ ვინ დაგიშლის, ბაზაზეები ჩამოიარე და რომელი ქალაღიაც არ მოგეწონება, შენც ის იყიდე,

— მაშ, მაშ! მაშინ დამშლელი ვინ ეყოლება? — თუთიყუშოვით იმეორებდა ფირუზას სიტყვებს თეთრი ღიზა,

— ჰოდა, ჩემი უკანასკნელი სიტყვა ეს არის, — განაგრძო ცოტათი დაწყნარებულია მედღეებზე, — მე და ლიზას ამ საქმეზე ხელი დაგვიბანია, შენ კი როგორც ვინდა, ისე მოიქეცი.

ფირუზამ ქუჩაბანდისკენ გაიხედა, ორივე ხელი ფართოდ გაშალა, შუბლი კინაღამ დასტანდა დაკრა და ასეთნაირად თავის დაკვრას დამცინავად ზედ დააყოლა:

— საიდანაც არ მოსულხარ გზაც იქით დამილოცია!

დახლიდარმა არც ქუჩაბანდისკენ გაიხედა, არც გულდა-ნაბადი აიკრა, სიტყვა აღარ დასძრა, ოთახში შევიდა, ფანჯარასთან ჩამოჯდა და შორიდან თვალი იმ აღმართს გაუსწორა, საიდანაც მედღეებზე შაქროს სახლისაკენ მიმავალი ქუჩა იწყებოდა.

## 7. შეხვედრა დავით გერმანოზი-შვილთან

მარჯნეც საბილიარდო სახლია, იქ რუსი ოფიცერები თამაშობენ და ზმურობენ.

ფრიდრიხ ბოლენშტედტი, 1001 დღე.

დადონებული და უფრო მეტად გაპირყვითლებული გიგა გაოგნებული დადიოდა, მაკას დავიწყება არ შეეძლო, ხელცარიელი კი საყვარელთან მისვლას ვერ ბედავდა, ტყუილად ეკიდა მედღეებზე შაქროს სახლის ფანჯარაზე თეთრი, წითელწინწკლებიანი ხელსახოცი.

გულის გადაყოლებას გიგა თავის ახალგაზრდა მეგობრებში ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, მაკა განუწყვეტლივ თვალწინ ედგა, თავისთან ეძახდა, ამას ზედ ისეთი რამ დაერთო, რამაც ისედაც აფორიაქებული ყმაწვილი კაცი კიდევ უფრო ააფორიაქა,

რაცეში ერთ გადმოკარგულ გერმანელს ყავახანა და საბილიარდო ჰქონდა გამართული, იქ მისვლა-მოსვლა არასდროს არ წყდებოდა, ყავახანა მუდამ ოფიცერებით იყო სავსე. მათი ცხენები ყავახანის წინ ჯარისკაცებს აღვირბათ ეჭირათ და საათობით უცდიდნენ თავიანთ უფროსებს. როკლნიც ფულს კი-

რეულ კარტს და ბილიარდის ბურთის სწირავდნენ,

აივნიანი

იმ დღეს გიგა თავისი ამხანაგებთან ერთად აბანოში დროს გასატარებლად მიდიოდა, შუა ქუჩაში ხელიხელგადახვეულნი სიმღერით მოდიოდნენ და თან, რა თქმა უნდა, თვალი აივნიებზე რჩებოდათ, მზიან ამინდში აივნიებსა და სახლის ბანებზე გამოფენილ რძალ-გოგოს შეპხაროდნენ და მტრედებს უფრენდნენ, გერმანელების ყავახანას რომ მიუახლოვდნენ, გიგა მებდაკრულივით ერთ ადგილზე გახევედა და ფერი ეცვალა, ყავახანიდან გაბოროტებული სახით დავით გერმანოზიშვილი გამოვიდა, ნაბატონარი და ნაყმევი ერთი წამით ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ.

ფანდურაანთ იოსებს თუ ზანდარაანთ გიგას, მან უკვე აღარ იცოდა ვინ იყო და რა იყო, ძველი შიში ახალი ძალით შემოენთო და ამხანაგების მხრებიდან მკლავები ცივად ჩამოიღო, სხვებიც გაჩერდნენ, დავით გერმანოზიშვილს ფეხდაფეხ მოჰყვებოდა გადაფთოებული რუსი ოფიცერი, რომელსაც მარცხენა ლოყაზე ვარტყმული სილის კვალი ემჩნეოდა. მათ თან კიდევ ორი ოფიცერი მოსდევდა, ყველანი საჩქაროდ ცხენებზე შესხდნენ, ქუჩაში გააქენეს და მალე თვალს მიეფარნენ.

ყველაფერი ერთ წამში მოხდა.

— რა მოხდა? — დამტვრეული რუსულით ჰკითხა ვილაკამ რუს ჯარისკაცს,

— დიდი არაფერი — თქვა ჯარისკაცმა, — კარტის თამაშის დროს ოფიცერებში შელაპარაკდნენ და ჩხუბი მოუვიდათ. იმან, ვისაც სილა გაართყეს, დუელში უნდა ჩამოიბანოს თავისი სირცხვილი,

— მაშ ისინი ერთმანეთის დასახოცად წავიდნენ?

— ჰო, იქიდან მარტო ერთი დაბრუნდება. — გულგრილად უპასუხა ცნობისმოყვარე მოქალაქეს ჯარისკაცმა,

გიგა დაფიქრებული იჭდა ანთებული მამხლის ქვეშ. უგუნებოდ იყო, დაღვრემილი და მოწყენილი არც ქეიფში ერეოდა, არც სიცილ-ხარხარში, არც მეზურნეთა დასტის სიმღერებს უგდებდა

ყურს. სუფრის შეინახეებმა მისი გამზიარულება სცადეს, მაგრამ სედის მიზეზი რომ ვერ გაუგეს, ყიფინა დასცეს: „შეყვარებული ხარო. გვითხარი ვინ არის, სადა ცხოვრობს, ვისი ქალია რომ მივეცივდე და შენი დამდაგველი მოვიტაცოთ“. შებლდარდილული გიგა გონების თვლით ხედავდა ორ ოფიცერს, რომლებიც ერთმანეთს დამბაჩებს უმიზნებდნენ. ამ ორი სასიკვდილოდ განწირული მხოლოდ დავით გერმანოზიშვილი ეცემოდა. გიგამ აბანოში ვერ გაძლო. დიდხანს დაეხეტებოდა გერმანელის ყავახანის წინ, მან მხოლოდ მეორედღეს გაიგო, რომ თავად გერმანოზიშვილს მოწინააღმდეგე მძიმედ დაექრა, თვითონ კი უვნებლად გადარჩენილიყო, გიგას საშინლად ეწყინა. ისევ ფრთხილად უნდა მოქცეულიყო, საეჭვო ადგილებისათვის შორიდან მოველო და იქ გამოჩენილიყო, სადაც თავადები და ოფიცერები იყრიდნენ თავს. უკვე დიდი ხანი იყო, რაც თბილისში ცხოვრობდა, მაგრამ მარმარილოს წყაროზე ჯერ წყალი არ დაეღია.

ფირუზას მალე თვალში მოხვდა მისი დაფეთებული, მოუსვენრად მაკერალი სახე, რომელზეც სასოწარკვეთილი შიში და ძრწოლა აღბეჭდილიყო. მედუქნემ ეს თავისებურად ახსნა, იქედნურად გაეღმა და დახლიდარს ნიშნისმოგებით ჰკითხა:

— რაო, დახლიდარო; შაქრო დაგაყენეს თავზე?

დახლიდარმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— მამ რა მოხდა? რა დაგემართა? რამ დაგაფრთხო?

გიგამ სივრცეს უფრო უთხრა, ვიდრე ფირუზას:

— დავით გერმანოზიშვილს შევხვდი.

ფირუზას პირკატა ეცა. არ მოელოდა, თვითონაც დაფრთხა, დახლიდარს ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა, საქმის ვითარება ყოველმხრივ ასწონდა და გამოსავალს ძებნა დაუწყო, რათა დახლიდარიც გადაერჩინა და თვითონაც გადარჩენილიყო.

ლაპარაკი არ უნდოდა: თუ დავით გერმანოზიშვილი გიგას მივხვებოდა, არც მას ჩაუვლიდა უბრალოდ გამოსქცეული ყმის სოფდაგრის ნაშეგირდალად გასაღება. ყველაფერი ოხრად დარჩებოდა, ნაშოენიც და ნაქურდალიც, სახლიცა და დუქანიც.

სწორედ ამიტომ ფირუზა მთაწმინდის ქუჩებში ხეტიალს შეუდგა. მან კარგად იცოდა სად იყო გერმანოზიშვილის სახლი, რადგან როდესაც თავზე დაბახადდგმული ხილითა და ხრამულით ვაჭრობდა, ამ სახლშიც ჰყავდა მუშტურები.

ნახაი ჰყავდა დავით გერმანოზიშვილიც, მისი და მანანაც და მათი ხნაერი გამდელოც. ფირუზას სწორედ ამ დედაცოცონ შეხვედრა და გამოლაპარაკება უნდოდა, ოღონდ იმას ფიქრობდა ჯერ ისევ ცოცხალი იყო თუ არა მუდამ შავებში ჩაცმული და ფეხშიშველი დედაბერი.

ბედმა მალე გაუღმა, ერთ საღამოხანზე გერმანოზიშვილების სახლის აივნიდან ნაცნობმა დედაცოცმა გადმოსძახა:

— გამარჯობა, ფირუზა.

— გაგიმარჯოს, ვაიანე. — თავაზიანი საღმით ახედა აივანზე გადმომდგარ დედაბერს ფირუზამ, ქული მოუხადა და თავი მდაბლად დაუკრა.

— კაცო, სად დაიქარგე, რა ინა დაიდე ფეხზე და ჩვენს უბანში აღარ გამოჩნდი? ან შენი თაბახი სად არის ან შენი ვირი?

— აღარც თაბახი მაქვს, აღარც ვირი მყავს. ჯერ ვემეწვრილმანეობდი, ეხლა მედუქნეობით ვირჩენ თავს.

— ყოჩაღ! დაგტყობია კიდევ. მთვარესავით გაბადრულხარ, გეტყობა არც ზუთხი ვაქლია, არც ხიზილალა, — დედაბერმა უბილო პირი გამოაჩინა და ფირუზას გაუცინა.

ნასიამოვნებმა ფირუზამ თავი ისევ მდაბლად დაუკრა,

— ისე კი ყველას გვაგონდები, — ნაგვრძო გერმანოზიშვილების გამდელომა,

— განსაკუთრებით კნიაზ დავითს! ეხ-

ლაც იგონებს ხოლმე შენი ქორფა ბოლოკების კონებს და გემრიელ ხრამულს, ფირუზამ დრო უხელთა, დედაბერს ასძახა:

— კნიაზი დაეთი როგორ ბრძანდება? დედაბერს ჩრდილმა გადაურბინა სახეზე, დაღონდა, ფირუზას თავის კანტურით და წუწუნით ჩამოსძახა:

— რალა როგორ ბრძანდება! კინალამ ჩხუბში რუსის აფიცერი შემოაკვდა, არ აპატიეს და ისევ დალისტანში გაგზავნეს იჭურ ჭარებში საომრად.

ფირუზას ისე გაეხარდა, რომ უნდოდა თავდაღმართში კისრისტეხით დაშვებულიყო, კუქიაზე გავარდნილიყო და ეს ამბავი თავის დახლიდარისათვის ეზარებინა, მაგრამ თავი შეიკავა, და დედაბერს ყსიხად ჰკითხა:

— შენ როგორღა ხარ, გაიანე? რასა იქ, როგორა ცხოვრობ?

— როგორ უნდა ვიყო? ფეხები მტკივა და ბაზარში ვერ ჩავდივარ. მსახურად კი ისეთი ზარმაცი და ცუდლუტი იმერლის ბიჭი გვყავს, დილით წასული ბაზრიდან საღამოს ძლივს ბრუნდება. მე და ჩემი პატარა ქალბატონი სანახევროდ მშვირები ვართ. მალე სოფელში წაგალთ, იქ დავრჩებით, სანამ კნიაზი დაეთი დაბრუნდება. მოგვხედავს და გვიპატრონებს,

ფირუზამ გასაგები გაიგო, დედაბერს ისევ თავი დაუქრა, თავდაღმართს ჭერტაბით დაადგა, მერე თანდათან ნაბიჯს მოუჩქარა, ბოლოს მოკურცხლდა და ეს ხანდაზმული მამაკაცი თითქმის სიბილ-სირბილით მივიდა კუქიამდე. დუქანში შევარდა და გიგას ახარა:

— სამახარობლო და მალარიჩი შენზე! საქმე სწორედ ისეა, როგორც შენ გაგეხარდება! — დახლს მოუჭდა და გიგას ყველაფერი უამბო. გახარებული გიგა ფირუზას გადაეხვია და „შენი ჭირიმეს, შენ შემოგველეს და შენ გენაცვალეს“ ძახილით უკოცნიდა ლოყებს, კისერს, დიდი თავის მოტვლებილ ადგილებს, ყურებს, გადღრენილ ცხვირს, თვალებს და არ იცოდა კიდევ რა ექნა როგორ და რანაირად გადაეხადა

მისთვის მადლობა. გულანუყებულმა ფირუზამ ხელი აუქნია:

— მოიცა, მოიცა-მეთქი, შენ მე მაკა ხომ არა გგონივარ?!

გაიციანა და დახლიდარიც გააციანა.

### 8. გაფრთხილება

დაინახე, რომ უფსკრულის ზღა კინწირაზე ვიდექი და ერთ წამს კიდევ რა დავარჩენილვარ ამ კინწირაზედ, ნივთი გირყვნილებსა გადამაგდება უფსკრულში.

ღაერნტი არღაზიანი, „სოლომონ ისაკინ მეჯღანუაშვილი“.

თითქმის ერთდროულად გიგამ სხვა სიხარულიც განიცადა. ქუჩაბანდის ბოლოში მაკა მას წინ დახვდა და თავისთან წაიყვანა. ფირუზას ეს არ გამოეპარა. დახლიდარს გადაქრით მოთხოვა:

— მაკას თავი გაიანებე, რამდენჯერ უნდა გითხრა? შენი ფანდი არ არის.

გიგამ ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა:

— მიყვარს, ფირუზჯან!

— დაივიწყე. ერთიც ვნახოთ იმის ქმარს ვინმემ ყურში სიტყვა ჩაუგდო, მაშინ რასა შვრები?

— მაგისტანების არცა მშინებია, არც მეშინიან! — ამაყად უპასუხა გიგამ. ფირუზამ გაკვირვებით ახედა:

— მაშ დავით გერმანოზიშვილის რათ გეშინიან?

— გერმანოზიშვილის... გერმანოზიშვილის... — აიბნა გიგა და პირი გაუყვიოლდა, — ის ჩემი ბატონია, მე იმისი ყმა ვარ, რასაც უნდა იმას მიზამს. ძალა და სამართალი იმის ხელშია. მარტო რომ შემხვდეს წარბს არ შევეუხრი, მაგრამ რომ დამიჭიროს გაჩენის დღეს მაწყველინებს. მაქროსთანა ვერ შემამინებს, ჩემი ფანდია.

ფირუზა ჩაფიქრდა. მან მაკასაგან იცოდა, რომ გიგასთვის ის პირველი დედაკაცი იყო. ამიტომ გიგა არაფრის წინაშე არ დაიხვედა, რათა საყვარელი ქალი შეენარჩუნებინა და მეტოქეები ჩამოეცილებინა. სამაგიეროდ მაკა არ დათმოხდა თავის საყვარლებს და არც

ისინი დათმობდნენ მაკას. ხიფათიც ამის გამო იხლართებოდა. გიგასთვის ქმარზე უფრო საშიშარი მაკას საყვარლები იყვნენ. ფირუზას სწორედ ეს აწუხებდა და აფიქრებდა. დახლიდარს ჰკუთხას არიგებდა, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა. გიგა ერთსა და იმავეს გაიძახოდა: — მიყვარს, ვერ დავთმობ!

ფირუზა თეთრ ღიზასაც იშველიებდა ხოლმე, როცა გიგას მაკას ამბებს უყვებოდა.

— თუ ჩემი არა გჯერა, ღიზას ჰკითხე რამდენი კაცი დაღუპულა მაკას წყალობით, რამდენი გაფუჭებულა, რამდენი გაღარიბებულა და ცოლ-შვილი უღუქმპაურად დაუგდია. არ მითქვია? ეგ კაცს გვერდში ისე არ დაიყენებს, თუ ხელში არაფერი დაუნახა. ბრწყვი-ალა რამისთვის სადაც გინდა იქ გაგორდება, ბაჯალო ოქროსთვის კი ნულარ იკითხავი! უბნის ქალებს შელოცვილი ავგაროზები თათრის მოღებთან დააქეთ, რომ იმათ ქმრებს მაკამ თვალი არა ჰკრას რატომ არ მაფასებ, დედაკაცო? ხატს, მე და ჩემმა ღმერთმა, ცხრა სანთელი უნდა დაუნთო, რომ თათრის უბანში არ დაგარბენინებ!

თეთრმა ღიზამ პირიდან აღჯანაბადის კურკა გამოიღო, რათა მისი სიტყვები ქმარს კარგად გაეგონა:

— ჭა, მოიმწვანილე და ესლა მაგას შეუბნევი? ავგაროზები მე სხვებისთვის მჭირდება!

ფირუზას გაცივნება უნდოდა, მაგრამ არ გაიცინა, პირიჭით, ცოლს შეუტია:

— ჩემს გათათხვას ისევ ის გირჩევიანა შეილობილს უშველო! ის დროა მაგის გულისთვის თათრის უბანში გარბოდე!

— მაშ, მაშ — ვიშვივით წარმოთქვა თეთრმა ღიზამ, რომელიც ხელის გულზე აღჯანაბადს ილაგებდა, ორი თითით ენკავდა და პირს იტკბარუნებდა — მაგისმა სიცოცხლემ, ღამე დარღით არა მძინავს.

თეთრ ღიზას ერთი ავგაროზი თათრის მოლასთან ქმრის სახელზე ჰქონდა წაღებული, მეორე გიგას სახელზე.

ამიტომ დამშვიდებული იყო და აღჯანაბადის კამით იყო გართული. ქმრის ლაპარაკს მხოლოდ ცალი ყურით უგდებდა.

მაგრამ გიგას სიყვარული და მაკას გატაცება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ფირუზას დარიგებანი და თეთრი ღიზას თათრის უბანში მოლასთან სირბილი.

ერთხელ ხიდის ყურეში მეტივე ასლამაზამ ფირუზა გააჩერა, ხელი მოკიდა, განზე გაიყვანა და უთხრა:

— შენი დახლიდარი კარგი ყმაწვილი ჩანს, ცუდს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მაკასთან რა უნდა? საცოლე ბიჭია, მაკას ფანდი არ არის. ან შენ რათ გინდა ან იმას რათ უნდა უბრალოდ გაფუქდეს? მაკას ჩემისთანა თავზე ხელალებულები ეტანებიან ან ფულიანი ბაზაზები და ბაყლები, რომელთაც დობერებელი ან ავადმყოფი ცოლები ჰყავთ, ესენი საშიშნი არ არიან. არც მე ვახლებ ხელს კინტოებს და პაეარნი დარღმანდებს კი მოერიდოს და თავი შორს დაიჭიროს.

ფირუზამ გაიოცა, გაიკვირვა:

— რას ამბობ, კაცო, ჩემს დახლიდარს მაკასთან რა უნდა?

ასლამაზას გული მოუვიდა:

— კარგი ერთი, პაპაჯან, ყველა შენ გინდა ვააცურო? როგორ გგონია, სხვებს ჰკუთხა არა გვაქვს? სწორედ გუშინ მითხრა მაკამ, რომ ეგ ამბავი შენც კარგად იცი. ჰო, ამასაც გეტყვი, შენი ლამაზი დახლიდარი გუშინ მაკამ სახლიდან გამოაგდო. მაგისთანა უფულო ჩასპანდები მაკას ერთიორჯერ სჭირდება, მალე ბეზრდება და ხიფათიც სწორედ ამ დროს იწყება.

ფირუზამ ეს ყველაზე კარგად იცოდა, წუწუნს მოჰყვა:

— ბევრჯერ დავუშალე, მაგრამ არ დამიჯერა. ეგ ისეთ მალალ ჯორხეა შემჯდარი რომ ადვილად დაბლა ფეხს ვერ დაადგმევინებ.

მეტივე ასლამაზამ გაიცინა:

— აკი წელან ამბობდო არაფერი ვიცო?

— დალოცვილო, მაშ ბაირალს ხომ

არ გამოვყარე და ხალხს არ შევეყრი? ეგ მართო ჩემი დახლიდარი კი არ არის, ნათესავიც არის.

— ჰო, მართლა, მოაგონდა ასლამაზას, — გუშინ მაკა იმასაც ამბობდა, ერთი მირზაჯანას უნდა გამოვაკითხოინო ეგ აყლაყულა დახლიდარი ფირუზას საწერიმლოში როგორ მოხვდაო? პაპაჯან, მაკა შენ რაღათ გემტერება?

ქკვიანი კაცი ხარ და არ უნდა შეკითხებოდე. განა ჩემი დახლიდარისათვის რომ არ დამეშალა მაკა გადამეკიდებოდა?

— ჰო, ეგეც მართალია. — თქვა მეტიფე ასლამაზამ, ფირუზას თავი დაუკრა და მტკვრისაკენ გაუხვია.

ფირუზა კი ისევ დიდხანს იდგა ხიდის ყურესთან დაფიქრებული და დამარებული. საქმე სახუმარო აღარ იყო, მირზაჯანას ჩარევა ზანდაროვების ოჯახურ საქმეებში დავით გერმანოზიშვილსაც გამოაჩენდა. მაგრამ დახლიდარზე ვაჯერებულმა და გულმოსულმა ფირუზამ ერთი შეცდომა დაუშვა. მან მეტიფე ასლამაზას ნაამბობიდან სწორედ საამისოდ ნათქვამი გამოტოვა. სამაგიეროდ გიგას მაკას სახლიდან გამოგდების ამბავი დაიხვია ხელზე, რათა ამასი და თავმოყვარე დახლიდარისათვის გული მოეკლა და თავზე ცივი წყალი გადაესხა. გიგა ისეთიარად გაბრაზდა და ქალაქურად ისე უწმამურად შეივინა, რომ თეთრი ღიზა სახტად დარჩა და წამოწითლდა კიდევ. ფირუზა კი სიხარულისაგან კინალამ ფეხზე წამოხტა. მის წინ სწორედ ისეთი დახლიდარი იდგა, როგორიც მას დიდხანსა უნდოდა ყოფილიყო. სადღა იყო დარცხვენილი, დამფრთხალი და შეშინებული ტეტია? ამ კაცს, ეს ფირუზამ ახლა კარგად იცოდა, საითაც სურდა, იქით წაიყვანდა. მისი ხელიდან გამვება აღარ შეიძლებოდა, მას პატრონობა და გაფრთხილება სჭირდებოდა. მით უფრო მეტი მონდომებით შეუტია ვაჭიუტებელ გიგას, არ ერიდებოდა და წამდაუწუმ ეუბნებოდა:

— გაყოფა, ხელი აიღე. ნუთუ არ

გეყოფა რაც ზანდაროვებს სირცხვილი გვაქამე? დავიჯეროქქვეჩნეს დალდალანი არ მოგებზრდა? *გალორეთიანა*

— აკი გითხარი, ვერ დავთმობმეთქი — ჯიუტად იმეორებდა შეყვარებული დახლიდარი.

— თავი გაანებე, თორემ სახელი გაგიტყდება, — უმტკიცებდა მოთმინებიდან გამოსული ფირუზა, — სოვდაგრები დავიწუნებენ პატროსანი ოჯახიდან ქალს ცოლად არავინ მოგცემს.

გიგა თავისას არ იშლიდა. მასზე არც ფირუზას სიტყვა ჰქრია, არც მუქარა მოქმედებდა.

რათა ძუნწი და ფულს დახარბებული მედღუქნე როგორმე ესაიამოვნებინა, გიგამ ერთ დღეს ყომარში მოგებული ფული მოუტანა. ფირუზა ისეთიარად აენთო, ისეთიარად აყვირდა და ისეთიარად გაუწითლდა სახე, რომ თეთრ ღიზას შეეშინდა მის ქმარს წვეთი არ დასცემოდა. ფირუზამ გიგას ფული თავზე გადააყარა, ზედაც არ დახვია, ყვიროდა და ილანძღებოდა:

— არა, ამ გლეხუქას ვერ უყურებთ! ხედავთ, რანიარად დაატრიალა საქმე ამ ტეტიაში! მაშ, სოვდაგრობას ყომარბაზობა გირჩენია? კინტო გინდა გახდე, თაბახი გინდა დაიდგა თავზე? ავარების ამქარში გინდა მოხვდე? მე და ჩემი საწყალი ცოლი იმისთვის ვიდგამთ წელეებზე ფეხს, რომ ჩვენს მონაგარზე ლოთები და გარყვნალები აპარპაშო? აი, რა იცის კახებში თრევამ. დაიკარგე აქედან, თვალთ აღარ დამენახო, კინტოებთან და ავარებთან საქმე არა მაქვს. ეგ ფულები მაკას წაუღე, ზიზილპიპილებისთვის დასჭირდება. რაღას უდგებარ? გატრიალდი და ჩემი სახლიდან გაეთრიე. ბევრი ვითმინე, მაგრამ მეტს აღარ მოვითმენ.

ყვირილმა ფირუზა კინალამ დაახრჩო. შეშინებულმა თეთრმა ღიზამ ქმარს ცივი წყალი მოუბრუნინა.

ორი კვირის განმავლობაში მედღუქნე და დახლიდარი ერთმანეთს ხმას არა სცემდნენ, ცხვირს უწევდნენ.



თეთრი ღიზა მუხლებს ითქვეფავდა და ვიშვიშებდა:

— ქა, მაშ თილისმები არა აქვს იმ კახების უსტაბაშს? ხედავ, რანაირად გამოიბა კახის ბოლოზე ჩვენი გიგა! რამე ხომ არ აქვია იმ ქანდაკმწვარმა.

ამ დროს ფირუზა გაბრაზებული ხმით ერთსა და იმავეს ამბობდა:

— მაკას დავიწყება ადვილი არ არის! — ამბობდა და თვალწინ უდგებოდა შუშპარა და დაუღეგარი, მაგრამ თან თავნება და ბოროტი მაკა.

### 9. განაცხადი დედა

ქვე მღვდელი მოვა, მერმე ქალათი.  
ვიქტორ ჰოვგო, „უკანასკნელი დღე  
სიკვდილისაჲთა“.

იმ დღეს მახათას მთაზე ახალგაზრდა ქურდი უნდა ჩამოეხრჩოთ. მთელ ქალაქს იქ მოეყარა თავი. ახლონახლო სოფლებიდანაც ბევრი იყო მოსული სეირის საყურებლად. ტევა აღარსად იყო. ყველა სახრჩობელისაკენ მიიწევიდა, ყველას უნდოდა ახლოდან დაენახა ქურდების განთქმული მეთაური და კაცისმკვლელი.

ფირუზა და გიგა დილაადრიან ასულიყვნენ მახათას მთაზე და სახრჩობელის წინ დამდგარიყვნენ. მეღუქნეც და დახლიდარიც თანაგრძნობით და სიბრალულით ათვალიერებდა თექვსმეტი წლის ყმაწვილს, ქურდს და ნკველეს, რომლის შავი ხუჭუჭი თმა და დახატული პირისახე ერთი წამით ყველას ავიწყებინებდა, რომ მათ წინ სიკვდილით დასასჯელი იდგა. ტანადაც მშვენიერს წაბლისფერი მოკლე ჩოხა დარდიმანდულად ეცვა და ისედაც კოხტას კიდევ უფრო აკოხტაებდა. დომულდიანი ატლასის ახალუხის ღილები გაეხსნა, ქალსავით თერთი ყელა გამოეჩინა და ისე ამაყად და გაბედულად იდგა, გეგონებოდათ ქეიფში შეინახებებს შორის იყოფებო. მის გვერდით წითელხალათიანი ბრგე ქალათი თოკს სანთლავდა და თავის საქმით იყო გართული. სიკვდილით დასასჯელი ხან თავის ქალათს

უყურებდა, ხან მოგუგუნე ბრბოს. დედაკაცებს ყრმა ებრალებოდათ და ტიროდნენ: „ვაი, შენს დედასი!“ როცა განაჩენი წაიკითხეს, შემოსილმა მღვდელმა წესის ასრულება მოათავა, ჯარისკაცებმა დოღები ააბრაზუნეს და ჯალათმა ხელი წაატანა, სიკვდილით დასასჯელი წაბარბაცდა და გადაფითრებულმა ძლივს ამოთქვა:

— დედაჩემი მაჩვენეთ, მინდა დედაჩემი ენახო.

უკანასკნელი თხოვნა შეუსრულეს. როდესაც გზის პირზე ის დროშა გამოჩნდა, რომლითაც სიკვდილით დასასჯელის დედა მოყავდათ, ხალხი ერთ არსებასავით შეინძრა, ამოძრავდა და გრილით დაიძახა:

— მოჰყავთ... მოჰყავთ.

დროშეიდან ნირშეცვლილი მაკა გადმოვიდა.

— დედიჩან! — შორიდანვე შენიშნავლა ჩამოსახრჩობმა შეილმა.

— დედი!

ერთი გრძნობით შეკრულ ბრბოს ელდასავით დაურბინა ამ განწირულმა ძახილმა, სული შეურყია და აუფორიაქა.

— დედი! — უთხრა სახრჩობელასთან მისულ მაკას უბედურმა შეილმა, — ძუძუ ამოიღე, მინდა უკანასკნელად ვაკოცო.

მაკამ პირველად თავის სიციცხლეში ძლივს მოახერხა საკინძის ღილების გახსნა. ხელები უკანკალბდა, თითები ებლანდებოდა, წვალბდა. ბოლოს მთრთოლვარე ხელით ათასი კაცის ხელში ნასრესი ძუძუ ამოიღო, ძუძუს თავი შეილს პირში ჩაუღო და მის ხუჭუჭებს უცრემლო თვალებით დააცქერდა. შეილმა კოცნის მაგიერ დედის ძუძუს თავს ისე მაგრად მოუჭირა კბილები, რომ ტკივილისაგან გამწარებულმა დედაკაცმა შეშხარავი კვილი მორთო. იგი ღონიერმა ქალათმა. ძლივს გამოგლიჯა ხელიდან დამნაშავეს, რომლისთვისაც მტანჯველ აზრს თუ ფიქრს სახე დანადარტყმულივით დაეგრიბა. მაკა გულ-

წასული დაეცა სიკვდილმისჯილი შვილის ფერხთით.

— ეს რა ჩაიდინე? — ჰკითხა ბოროტმოქმედს პროკურორმა.

— ეს დედაკაცი დედა კი არა, გველი იყო! — უპასუხა ქურდების მეთაურმა, — მაგის ძუძუებმა ჩრის მაგივრად შხამი მაწოვინეს! აი, ვინ გამხადა ქურდი! ჯალათმა კიბუ და მარყუქი მოამზადა. როცა გულწასული მკაც მობრუნდა, მისი შვილი უკვე სახრჩობელის თოკზე ეკიდა.

ყველა ბოროტ დედას წყევლიდა. გაჩინდებული ბრბო ჯერ მხოლოდ მღუმარე სიძულვილით უყურებდა ლამაზსა და აშოლტილ დედაკაცს, რომელიც საკუთარი შვილის უბედურების მიზეზი გამხდარიყო. მისი შვილი სახრჩობელის ტომარაში წვალეებით იხრჩობოდა, ის კი ქირმაშალში გახვეული იდგა. გამტყნარებული, პირმოკუმული. თვალბდაბურული. ცრემლდამშრალი. ირგვლივ იგი მხოლოდ ზიზღსა და სიძულვილს ანიხნევდა. სურდა იქაურობას საჩქაროდ გასცლოდა. მოუსვენარი თვალეებით ბრბოში გამცილებელს დაეძებდა. უცებ მან თავის საყვარელს მოჰკრა თვალი, გაეხარდა, თავის ოდნავი დაქნევით ანიშნა „ჩემთან მოდიო“, მაგრამ შეძრწუნებულმა. გიგამ მყისვე პირი მოარიდა, საზე განზე ზიზღით ნიაბრუნა. მკაცმ შუბლი შექმუხნა და ტუჩი მოიკვნინტა.

ბრბოში ჯერ ყრუ დუღენი გაისმა.

მერე აღელდა, ახმაურდა, აზეკვდა, აღშფოთებულ ბრბოს რისხვდა და წყურთმა შურისძიების აზრს უნერგავდა. ჰაერში პირველმა ქვემ გაიზუზუნა. ქვე შიგ სახეში მოხვდა მკაცს, გაამწარა და თავი დააღუნინა. პირველ ქვეს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, მესამეს მეოთხე. მკაცმ სახეზე ხელები აიფარა, ტყვილი აღარ ახსოვდა და შიშით ფიქრობდა: „არ დავმახინჯდლო“. ხალხი გრიალით დასწვდა ქვეებს, მკაცს ჩასაქოლად მიესია, მაგრამ ოფიცრებმა დროზე გასცეს ბრძანება, ზარდაცემულ დედაკაცს ჯარსკაცები შემოერთყენენ და თოფების ჩახმახები ააჩხაკუნეს.

ბრბომ უკან დაიხია; მაგრამ ქვე ხელიდან არავის გაუგდია.

მკაც ჯარისკაცებმა სახლამდის მიაცილეს. ქმარმა ის ხმისამოუღებლად მიიღო, რადგან ცოლი გაგიჟებით უყვარდა.

ამ ამბის შემდეგ ფირუზას დახლიდარი დაფიქრებული დადიოდა. თავისი სიყვარულის რცხვენოდა. ამხანაგები ცივ სალამს აძლევდნენ, თითქოს მის მეგობრობას თავილობენო. ფირუზა არაფერს ამბობდა. დუმდა. გულში კი უხაროდა: „რა სათქმელია! მკაცსთან როგორა მივა? ქუდს მოხდიან. ვირზე შესვამენ!“

გიგამ სატრფოს სახლში ფეხი სამუდამოდ ამოიკვეთა, მაგრამ მას მაინც დიდხანს აწვალებდა და ტანჯავდა სიყვარულის და სიძულვილის ამადგლეველი გრძნობა.

პირი მთიანის

1. სოვდაგარ ფერშანგოვის ასული

ვკაცარაულობ ერთის ვისმეს კარებსა,  
ერთს მოაჯირს, თრ პატარა ფანჯარას;  
ვეებ ჩემი მზე იქიდან აღმოჩნდეს!  
გრიგოლ ორბელიანი, „დღიშტრი ონიკა-  
შვილის დარდები“.

გიგა ზანდაროვი სოვდაგარ ფერშანგოვის დედისერთა ასულს პირველად ვანქის ტაძრის მახლობლად შეხვდა.

ცუგრუმელა და ეშხიანმა გოგომ რატომღაც ნათია მოაგონა. გული გაუნათდა, რალაცნაირად აუძგერდა და იმას, ვინც მას თავის პირველ სიყვარულს აგონებდა, თვალი აღარ მოაშორა. გოგოს ფეხდაფეხ მიჰყვა, უკან აღეღვნა.

სოვდაგარის ქალი მშობლებთან ერთად ვანქიდან ბრუნდებოდა. კვირა

დღეს წირვის მოსასმენად გამოსული ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს ხარბი მწერით ათვალეირებდა. მზიანი ამინდი და სადღესასწაულოდ ჩაცმული მლოცველები ამხიარულებდა. კვირიდან კვირამდე სახლში ჩაკეტულს გალიიდან გამოშვებული ჩიტძვით უხაროდა. თეთრი ჩადრით შნოიანად მოჩრდილული კოხტად მიგოგმანობდა. უკან დარბაისელი დედ-მამა მოჰყვებოდა: ღიბიანი მელქო და ფაშფაშა ანუშა.

ახალგაზრდა ზანდაროვი ფერშანგოვის ქალს პირისპირ შეეფთა. მათი თვალები ერთი წამით შეხედნენ ერთმანეთს. გოგოს ჯერ ანცი ღიმილი მოადგა აწეულ ბაგეზე, მერე წარბი შეიკრა და მოხიბლულ გიგას გვერდში ჩადრის შარაშუროთ ჩაუარა. გაბღენძილმა და პირმოღუშულმა ფერშანგოვმა თავი ოდნავ დაუკრა მელქოზე ფირუზა ზანდაროვის ახალგაზრდა ნათესავს. ამან კი მოკრძალებული სალამი მისცა სოვდაგარს და მის მეუღლეს.

იმავე სალამოს იმ გოგოზე შეყვარებული გიგა ანჩისხატის ქუჩაზე, ფერშანგოვის სახლის პირდაპირ ბნელი ბეების ქვეშ დადგა და თვალი სახლის გაღებულ ფანჯრებს მიაპყრო: „იქნებ იმ კვლელკმა ფანჯრიდან გადმოიხედოს და ერთბეღ კიდევ დავინახო“. სახლის ერთ-ერთ ოთახში ვიღაც ჭიანჭრის უკრავდა და მხიარულ სიმღერას მღეროდა: „ის გოგო მღერის... ის გოგო მღერის...“ — არწმუნებდა თავის თავს გიგა და მისი ხმაც ისევე მომხიბვლელი ეჩვენებოდა, როგორც მთელი მისი ცქრიალა აღნაგობა.

ის პატარა გოგო უყვარდა და ღამეებს იმის სახლის ფანჯრებთან ათენებდა. თავისი გულის საიდუმლო ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მან ფირუზას გაუშვილა.

— ვინ არის, ვისი ქალია? — ნიაზით ჰკითხა ფირუზამ და დახლიდარს სახეში მიაცქერდა.

— ფერშანგოვის გოგოა.

— შუშანიკა?! — წამოიძახა ფირუზამ.

— იმ ქალს შუშანიკა ჰქვია? — ფირუზან?

იმ დღიდან ეს სახელი გიგამ საგულეზე დაიკერა და ალერსი და მუსაიფი გაუბა.

— მეღქუა ფერშანგოვს დედისერთა ქალი ჰყავს. იმის ცოლმა ჩემი ცოლივით ბევრი ბალახ-ბულახი დალია, მაგრამ ერთი ქალი ძლივს გაუჩნდა. ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ! — ეუბნებოდა გახარებული ფირუზა დახლიდარს და თან სოვდაგარის ქალს აქებდა. — ასლი საშენოა! მერე რა გოგოა კოხტა, ლამაზი, ახატულ-დახატული. იმის მზითვებს ასი ბიჭი უნდა. ქრთამს ნულარ იკითხავ!

— იმისი მზითვი იმისი ლამაზი პირისახეა. მე სხვა არაფერი მინდა. — მყისვე დაუბრუნა დახლიდარს.

— ტუტუცო! — გაბრაზდა ფირუზა, — მიაშიტი რათა ხარ? ევრე გულდანდობილი და გაუხედნავი როდემდის უნდა იყო? ფიე! ესეც მეორე მაგალითი გაგონილა მეორედაც კაცი ყურებაშიდე იყოს შეყვარებული? კაცად როდის უნდა იქცე? — თავის ნათქვამის თვითონვე შეეშინდა, მოლბა და დახლიდარს დაყვავებით უთხრა — ყური დამიგდე და რასაც არ გეტყვი, გულისფიცარზე დაიწერე. ის ქალი რომ ცოლად შეირთო, ფერშანგოვის მთელი ქონება, დუქნები და მალაზიები ჩვენ დაგვრჩება. მაშინ ზანდაროვებს წინ ვინ დაუდგება? შენ შენი გულის მურაზე იფიქრე, მე კი იმის მზითვების საქმე მომანდე. არხენად იყავი. ზვალვე ისეთი გაქეჟილი მაჰანკალი ვაფრინო ფერშანგოვებთან, რომ თავისი ენითა და მატრახაზობით სოვდაგარის ქალი კვირის თავზე გვერდით დაგიყენოს. მაშ! სამშაბათს ღიზა აბანოში ვაგვზავნოთ და ის გოგო ვაგვინჯოთ. მზითვიანი ქალი კარგია, მაგრამ ჩვენს სახლში ნამუსიანი და საღსალამათი რძალი უნდა შემოვიდეს.

გიგას ზანდაროვებმა ძველ-ძველები გახადეს და საუკეთესო თერძთან ახალი ტანისამოსი შეაკერვინეს.

ფარეზად გამოაწყვეს, განიერი ბურ-

მუთისფერი შარვალი ჩააცვას თავისი ხონჯრითა და ჩურჩუბალებით, გრძელი, მხრებში ოდნავ დავიწროებული შავი ჩოხა ვერცხლის ქაშარში ჩაეცილი ცალი კალთით და საგულდაგულოდ შეეკრიბი წაღები ყელზე მიკრული სოსნისფერი ტყავით. კარტუზიანი ქუდის ნაგიერ ბოზოხი დაახურეს, წვერი მოაშვებინეს და ზედ წვეტზე კუსპარა დალაქს მაკრატელი ოსტატურად დაარტყმევინეს, რათა მას მეტი სიდარბაისლე დასტყობოდა.

გიგას გამოსაჩენად გაძუნწებულ შედუქნეს ახლა ფული არ ენანებოდა და საჭიროზე მეტს იმეტებდა დახლიდარის „თავისმოსაწონებლად და ხალხის ყბაში ჩასაგარდნელად“. თერძის ქალიც ისეთნაირად გამოიპრანჭა, რომ მის და-

ნახვაზე ფერშანგოვებს ტუჩებზე ვერცხვებზეებიანათ.

სიხშირის მართვა

მორთულ-მოკაზმული გიგა მწუხრის დადგომისთანავე ფერშანგოვის სახლისკენ გარბოდა და უსაზღვროდ ბედნიერი იყო, როცა ფანჯარაში შუშანიკას ნახულობდა. თან ცდილობდა გოგოს არ შეემჩნია, ხეებს ეფარებოდა და გამვლელებსაც ერიდებოდა. შეყვარებულ ყმაწვილს ასე ეგონა არასოდეს არც ერთი ქალი ასე მძაფრად არ მყვარებიაო.

ფირუზამ დიდხანს ითათბირა თეთრ ღიზასთან და ცოლს აბანოში ხშირ-ხშირად სიარული დაავალა, რათა სანამ ფერშანგოვებს მაკანკალს მიუგზავნიდნენ, შუშანიკა მუშტრის თვალით დაეთვალიერებინა.



# მოსამართლე და მისი ჯალათი

რომანი

ვერადრით მივხვდარავარ, ამბობდა განცვიფრებული ბერლახი, ლამბუტუნის, დისენოსა დ. ლანერის პოლიციამ გასტმანზე ექვი რატომ არ მიიტანა, მისი სახლი ხომ გაშლილ მინდორში დგას, ლამბუტუნთანაც ადვილად დაინახავ, საზოგადოება აქ ვერასგზით მალულად ვერ მოვა. პირაქით, თვალშიც კი გეცემა, განსაკუთრებით, ასეთ პატარა სოფელში. ტშანცმა უკახუბა, ჭერჭერობით ამის ახსნა არ შემიძლია.

შემდეგ მათ გადაწვევით სახლისათვის ირგვლავ შემოვფლოთ. ბერლახი და ტშანცო ერთმანეთს დაციდდნენ. ერთი ერთ მხარეს წავიდა, მეორე — მეორე მხარეს.

ტშანცი ღამის სიბნელეში გაუჩინარდა და ბერლახი მართლ დარჩა. ბერლახი მარჯვნივ წავიდა. პალატოს საუფლო აიწია, რადგან ციოდა. კვლავ კუბის მწვევი ტყვილი იგრძნო, უფრო ძლიერად ჩხვლიტდა და შუბლზე ცივმა ოფლმა დასხა. იგი კედელ-კედელ მიდიოდა და როცა კედელმა მარჯვნივ შეუხვია, ისიც კედელს გასუვა. სახლი კვლავ სრულ სიბნელეს მოეცა.

ბერლახი შეტერდა და კედელს მიუყრდნო. ტყის პირას ლამბუტუნის სინათლეები შენიშნა, შემდეგ ვა გაანგრძო. კედელმა კვლავ შეცვალა მამართლება, ახლა კი დასავლეთისაკენ გაუხვია. სახლის უკანა მხარე განათებული იყო, პირველი სართულის ფანჯრებიდან კაშკაშა სინათლე გამოდიოდა. ბერლახმა როიალის ზმა გააგონა, ყურის მიუვადო და მიხვდა, ვიღაცა ხაბს უტრავდა.

ბერლახმა სვლა განაგრძო. მისი ვარაუდით, სადაცა ტშანცს უნდა შეხვედროდა და დაძა-

ბული უფურცბდა განათებულ მინდორს, მაგრამ მაინც გვიან შენიშნა, რომ მისგან რამდენიმე ნაბიჯის მოცილებით რაღაც მხეცი იდგა.

ბერლახი ცხოველებს კარგად აცნობდა, მაგრამ ასეთი უზარმაზარი არსება ჭერ არასოდეს ენახა. თუმცა იგი ცხოველს ზუსტად ვერ არჩევდა, მხოლოდ საღიუტეს ხედავდა, რომელიც განათებულ მიწაზე მოჩანდა, მაგრამ მხეცი ისეთი საშინელი შესახედობისა იყო, რომ ბერლახი ადგილიდან ვეღარ ამტროდა. ბერლახმა შენიშნა, მხეცმა ნელა, თითქოსდა შემთხვევით როგორ მოაბრუნა თავი და მას შიშატერდა. ორი მარგვალი თვალი ისე იშინებოდა, როგორც ორი ნათელი, მაგრამ ცარიელი ღრუ.

მოულოდნელმა შეხვედრამ, მხეცის უსაშველო სიდიდემ და აშვიათმა გამოხედვამ ბერლახს დამბლა დასცა. მართალია, მას გონება არ დაუარკავს, მაგრამ აუცილებლად რომ რაღაც უნდა ეღონა, ეს კი დაავიწყდა. ბერლახი მხეცს უშისრად უფურცბდა, მაგრამ ისე იქცეოდა, თითქოს ზელ-ფეხი შეკრული ჰქონდა, ხობრანე უოველთვის ასე ზორკავდა მას, ეს იყო დიდი გამოცანა, რომლის ამოხსნასაც იგი თავდავიწყებით ცდილობდა.

და როცა ძაღლმა უცებ ისკუმა, და უზარმაზარი ჩრდილი, აწყვეტილი, ძლიერი და სისხლს მოწყურებული ურჩხული ბერლახს მიანუდა, როცა გამძვინვარებული მხეცის სამშომემ კომისარი მიწაზე დასცა, მან მარცხენა ხელით მხოლოდ უელი დაითარა, მოხუცს კრანტ არ დაუჭრავს და არც შიშისაგან უყვირია, უოველივე ეს იმდენად ბუნებრივი და ამ ქვეყნად კანონდაქცეული ეჩვენა.

მაგრამ, ვიდრე ნადირი ხახამი ჩადებულ მელის დაღრღნას მოასწრებდა, ბერლახმა უკვე სროლის ზმა გაიგონა; მასზე დაწოლილი სხეუ-

ლი შეიხბა და კომისარმა ხელზე თბილი სისხლი იგრძნო, ძაღლი მკვდარი იყო.

ბერლახს მხეცი შიშველ აწვა და მან ხელი გადაუხვია ძაღლის გადაგლეხილ, ოფლიან ბაღას. აჯანყებული ბერლახი ძლიერად ებრძოდა და მერხერ ბალახზე ხელი გაიწმინდა. ტშანციც გამოჩნდა, აგი ბერლახს უახლოვდებოდა და თან პალტოს ქიბეში რევოლვერს იღებდა.

„ხომ არაფერი დაგიშვავათ, კომისარო“, ჰქვია მან და დაგლევილ მარცხენა სახელს ნაღვლიანად დახედა.

„სრულად არაფერი, მხეცმა კბილებით ვერ გაატანა“.

ტშანცი დაიხარა და მხეცის თავი სინათლისაყენ ისე შემოიბარუნა, რომ მკვდარ თვალბუნი ნინათლე აირეკლა. „კბილები წამდელი მტაცებელი მხეცისა აქვს“, თქვა მან და ტშანცი გასცრა, „ნადირი დაგლევიდათ, კომისარო“.

„თქვენ მიხედავთ ზეკვდილისგან, ტშანცი“.

ტშანცი სურდა სკოდასეო: „იარაღს არასოდეს არ ატარებთ თან?“

ბერლახი ფხვნილ შეუხო უშიშროს მასას. „იწვიათაჲ ტშანცი“, უპასუხა მან და ისინი გაიშინდნენ.

მკვდარი ძაღლი მიშველ, მუჭუციან მიწაზე იწვა, ხოლო ბერლახი და ტშანცი წვივიდან დაქუჩრებდნენ. მათ ფხვნილან დიდი, შავი გუბე დაუჯა: ეს იყო სისხლი, რომელიც ნადირის ხახიდან შავ ნაყადად, ლავასავით მოედინებოდა.

როცა ბერლახმა და ტშანცმა კვლავ სახლისაკენ გაიხედეს, სურათი შეცვლილიყო. მუსიკა დადუმებულიყო, განათებული ფანქრები გაეღო და საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები გადმოშვებულყვნენ. ბერლახი და ტშანცი ერთმანეთს შესცქეროდნენ, უხერხულად გრძობდნენ თავს, თითქმის სამსჯავროს წინაშე იდგნენ, მერტვად სად, ღმერთისგან მივწევებულ იურას შუაგულში, იმ ადგილას, სადაც კურდღელი და მელა ერთმანეთს დამე ნებისა უხერხებენ, ფიქრობდა გაბარებული კომისარი.

ხუთი ფანქრიდან, შუა ფანქარში, სხვებისგან განცალკევებით იდგა ერთადერთი კაცი, რომელიც უცნაური და სუფთა ხმით დაიყვირა, თქვენ მანდ რას აკეთებთო.

„პოლიცია“, წყნარად უპასუხა ბერლახმა და იქვე დაუმატა, ჩვენ აუცილებლად გესურს ბატონ გასტმანს ველამარკოთო.

კაცი შეუხალხა, გაკვირებული ვარ, ბატონ გასტმანს რომ დალამარკებოდით, აუცილებლად ძაღლი უნდა მოგველათ; მერტვად გასტმანი ახლა ბაბის მოსმენის ხასიათზე და თქვენთვის არ სცალიაო, ამ სიტყვებზე კაცმა მტკიცე მოძრაობითა და აუჭარბებლად ფანქარა და-

კეტა, ეტუბოდა, არც დედაცა, პირიქით, ძალიან გულყვავდაც ლამარკომან, **მეცხე**

ფანქრებიდან არეულ-დარღვეულ, **მეცხე** მოდა, რას არ ვაძიხობდნენ, „გუფონარია“, „რას იტყვიო, თქვენ, ბატონო დირექტორო“, „სამარცხენიაო“, „დაუჭრებელია, ბატონო მარტველო, პოლიცია“, შეშვეც ადამიანები ფანქრებს მოსცილდნენ, ფანქრები ერთი-მეორის მიყოლებით დაიკეტა და სიჩუმე დაისაფურა.

პოლიციელებს უკან დაბრუნების გარდა სხვა გზა აღარ დარჩენოდათ. ბაღის კედლის წინა მხრიდან, შესასვლელთან, მათ ვიღაცა უცდოდა. ეს ერთადერთი გამოსახულება, ადრევებული იქნა და უკან დააბრუნებდა.

„სინათლე, სწრაფად“, წასწორულა ბერლახმა ტშანცს და ქიბის ნათურის შუქზე გამოჩნდა მსუქანი, შემუშავებულიებთან კაცი, თუმცა სანდომიანი შესახედავი იყო, მაგრამ გამოთავანებული სახე ჰქონდა, ელექტრონი საგარეო კოსტუმში ეცვა, ერთ ხელზე ძვირფასი ბეჭედი უბრწყინავდა. ბერლახს წყნარ დაძაბუხე სინათლე კვლავ ჩაქრა.

„ესშაქმა დაწვევლოს, ვინ ხართ?“ ბრაზიანად დაიქუხა მსუქანმა.

„კომისარი ბერლახი. — თქვენ ბრძანდებით ბატონი გასტმანი?“

„ნაციონალური მარცველი ფონ შეენდი, პოლიციეი ფონ შეენდი, რა ღმერთი გავწერათ, რამ მოგაფიქრათ აქ სრალის ატეხვა?“

„ძიებას ვაწარმოებთ და გესურდა ბატონ გასტმანთან გველაპარაკა, ბატონო ნაციონალური მარცველო“, გულგრილად უპასუხა ბერლახმა.

ნაციონალური მარცველი არ ცხრებოდა, იგი გრკვენიდა: „თქვენ სემარტისტი ხომ არ ხართ?“

ბერლახმა გადაწვიტა ნაციონალური მარცველისათვის მეორე ტიტულით მიემართა და ფრთხილად შეაპარა, რომ ბატონი პოლიციეი სცდება, იურას დამოუკიდებლობის საკითხთან მას არაფერი ესაქმება.

ბერლახი ლამარკეს განაგრძობდა, პოლიციეი კი უფრო გატეხილდა, ვიდრე ნაციონალური მარცველის მიმართხას ე. ი. კომუნისტი უოფილხართ, მტკიცედ თქვა მან, ჩანდაბის გზაც ჰქონიათ, მე, როგორც პოლიციეი, ნებას არ გაძლევთ სრლთა ატეხთ მაშინ, როცა მუსიკას უკრავენ. დასავლეთის ცივილიზაციის წინააღმდეგ უწყველგვარი დემონსტრაციის გამო პროტესტს ვაყენებ. სხვა შემთხვევაში შევიტარებინ არმას მოუხდება წესრიგის დამყარება!

რადგან ნაციონალური მარცველი წამდელი დემონსტრირებული იყო, ბერლახი ეცადა სწორ გზაზე დაეყვებინა.

„ტშანცი, რასაც ბატონი ნაციონალური მარც-

ველი ამბობს, ოქმში ნუ შეიტანე", საქმიანად ბრძანა ბერლახმა.

ნაციონალური მრჩეველი ერთი დარტყმით მოეგო გონს.

„რა ოქმი, რის ოქმი, ადამიანო?“

როგორც ბერნის სისხლის სამართლის პოლიციის კომისარი, აუხსნა ბერლახმა, პოლიციის ლიტენანტის, შმიდის მკვლელობის ამბავს ვიფიხე. ჩვეულებრივ კი, მე ვალდებული ვარ, ყველაფერი, რასაც განსაზღვრულ საკითხზე სხვადასხვა პარონებები პასუხობენ, ოქმში შევიტანო, მაგრამ რაღაც ბატონმა... — ბერლახი წამით შეეცვინა, არ იცოდა რა ტიტულით მიემართა, — პოლიციევმა, როგორც ჩანს, მდგომარეობა მცდარად შეაფასა, ამიტომ ნაციონალური მრჩეველის პასუხს ოქმში არ შევიტანო.

პოლიციევი შეცბუნებული იყო.

„აუთი თქვენ პოლიციიდან ხართ“, წარმოთქვა მან, „შაშინ სულ სხვა“.

თქვენ უნდა მანატიოთო, განაგრძო პოლიციევმა, ღელს თურქეთის საელჩოში ვისადილეთ, ნახადილეთ კი შევიცარიის უმადლესი გამოთიანების თავმჯდომარედ ამირიეს და შაშინვე მკვლელების ამფიონთა მაგიდასთან „მატივაცევი პურმარილი“ გაიშართა; შემდეგ ჩვენი პარტიის ფრაქციის სპეციალურ სხდომას დავესწარი, ხოლო საღამოს ვასტმანთან საქვეყნოდ გათქმული მანისტიის კონცერტი გაიმართა. ხაშინდად დავიღალეთ.

ხომ არ შეიტლება ვასტმანს ველამარაკოთო, კიდევ ერთხელ იკითხა ბერლახმა.

„კაცმა რომ თქვას, რა ვინდათ ვასტმანისაგან? უპასუხა ფონ შვეინდი, „რა საქმე აქვს ვასტმანს პოლიციის მოკლულ ლიტენანტთან?“

„შმიდი უკანასკნელ ოთხშაბათს ვასტმანთან იყო სტუმარი, ბოლო უკან რომ ბრუნდებოდა, ტვანის მახლობლად მოკლეს“.

„მას ჰქვია ლაფში ანოსერა“, წარმოთქვა ნაციონალურმა მრჩეველმა. „ვასტმანი ყველას პატივებს და ესეც შენი უბედური შემთხვევა“.

შემდეგ იგი გაჩუმდა, ჩანდა, რაღაცას ფიქრობდა.

„შე ვასტმანის ადვოკატი ვარ“, ბოლოს როგორც ენა ხმა გაიღო პოლიციევმა. „მერე და მანადამიანიც ამ ღამით მოსვდა რამ მოგაფიქრათ? სხვა რო არაფერი, შეგებლათ დაგერყვათ“.

ბერლახმა აუხსნა, რომ ეს-ეს არის მიუკვლეოთ ამ ამბავთან ვასტმანის კავშირსო.

პოლიციევიც არ დარჩა პასუხით კმაყოფილი.

„მერედა ძაღლს რაღას ერჩოდით?“

„თავს დამებსა და ტშანცი იძულებული ვახდა ესრილა“.

„ახეთია წესი“, წარმოთქვა ფონ შვეინდიმ გულთიდად. „ვასტმანს ახლა საღამარაკოდ

ნამდვილად არ სცალია, ზოგჯერ პოლიციამაც უნდა მიიღოს მხედველობაზე, მაგრამ ვადუბრიაო ტრადიციებო. ხვალ დღით მე თვეთვედ ვგებულებით თქვენს კაბინეტში, ხოლო ღელს სასწრაფოდ ვასტმანს მოველაპარაკები. აქნებ შმიდის სურათი თან გავტოვო“

ბერლახმა საფუფიდან ფოტოსურათი ამოიღო და ფონ შვეინდის გადასცა.

„მადლობო“, თქვა ნაციონალურმა მრჩეველმა.

შემდეგ მან მდებლად თავი დაუყრა და სახლში შევიდა.

ბერლახი და ტშანცი კვლავ მარტონი დარჩნენ ზღის კარის დაუანგულ ბოძებთან.

„ნაციონალურ მრჩეველთან ვერაფერს ვახდებოთ“, თქვა ბერლახმა, „მით უმეტეს, თუ პოლიციევიცია და ადვოკატიც, მაშინ ეშმაკიც ვერაფერს მოუხერხებს. გვქონდეს ხელთ ჩვენი მშვენიერი მკვლელობა და ვყოთ ახე“.

ტშანცი დუმდა, ჩანდა, ფიქრობდა. ბოლოს მან თქვა: „ახლა ცხრა საათია, კომისარო, ყველაზე უკეთესი იქნება, თუ ლამზუნის პოლიციელები გავემგზავრებთ და ვასტმანზე რამეს გამოვიკითხავთ“.

„მართალია“, უპასუხა ბერლახმა. „ამის გაეთება შეგიძლიათ. ეცადეთ შეიტყოთ, ლამზუნში რატომ არ იცოდნენ, შმიდი ვასტმანთან სტუმრად რომ დაიარებოდა. მე თვითონ ბეობის დასაწყისში რომ პატარა რეტორანია, აქ წავალ. კუხს რაღაცა უნდა მოვუხერხო. მე აქ დავაჩლოვო“.

ბერლახი და ტშანცი შარავჯით მანქანასთან დაბრუნდნენ. ტშანცი საქებს მოუჭდა და რამდენიმე წუთში ლამზუნში მივიდა.

ტშანცმა პოლიციევი ხახტუმროში იპოვა. იგი ტვანიდან დაბრუნებულ კლიენთან ერთად მისჯდომოდა მაგიდას ვლუბენისაგან მოზორებით და ჩანდა, ძინის რაღაცაზე თათბირობდნენ. ლამზუნელი პოლიციევიც ეან პიერ შარნელი პატარა, მსუქანი და მწითლური კაცი იყო.

ტშანცი მათთან დაქა და უნდობლობა, რომლითაც ძინი ბერნელ კოლეგას შეხედნენ, მალე გაქრა. მხოლოდ შარნელს არ მისწონდა ის, რომ ფრანგულს მაგივრად გერმანულად უნდა ელაპარაკა, იმ ენაზე, რომელიც მან არცთუ მალედა კარგად იცოდა. ძინი თერთს ხვამდნენ, ტშანცი პურსა და ყველს აყოლებდა; ძინს შეხაბებ, რომ ეს-ეს არის ვასტმანის სახლიდან მოდოლო, საბტვა არ დაცდენია, უფრო მეტაც, ტშანცმა სკითხა მათ, რამით კვლავ ზომს არ წასწყდომიზართო.

„Non“, უპასუხა შარნელმა, „Assassin“-ის კვალს ვერ მთავგენით, ვერაფერი ვერ ვიპოვეთ“.

1 არა (ფრანგ.).  
2 მკვლელი (ფრანგ.).

შარნელმა განაცხადა, რომ ამ შემოგარენში ეჭვის შტანა მხოლოდ ერთ ადამიანზე, ბატონ ვასტმანზე შეიძლება, რომელმაც როდერის სახლი იყიდა და რომელთანაც ურველთვითა უპირავე სტუმარი დადის, ამ ოსმანბათსაც დიდო წვეულება ჰქონდათო. მაგრამ შმიდი იქ არ უფილა, ვასტმანმა ამის შესახებ არაფერი არ იცის, ვერასაც ვერ სცნობს. „Schmied, N'était pas chez Gastmann. impossible! სრულიად შეუძლებელია“.

ტშანცი უსწინდა ჩიქორთულ საუბარს და შეეპასუხა, საჭირო იყო სხვებისთვისაც გეიოხათ, რომლებიც იმ დღეს ვასტმანთან სტუმრად იყვნენ.

ასეუ მოვლევით, ჩაურთო კლენენმა, შერნელში, ლიგერციის ზეით ერთი მწერალი ცხოვრობს, რომელიც ვასტმანს კარგად იცნობს და მასთან ხშირად არის, ოსმანბათსაც იქ იყო შმიდის შესახებ მან არაფერი იცის, სახელიც არ გაუგონია და ფიქრობს, არავითარი პოლიციელი ვასტმანთან არ უფილაო.

„მაშ ასე, მწერალი?“ წარმოთქვა ტშანცი და შუბლი შექმუხა. „მაგ ეგზემლარს თავითონვე ხაზოვნებით მოვუფილა. მწერლები ურველთვის საეჭვონი არიან, მაგრამ მოვიცილი როგორმე შავ ფრიალ ვანათლებულებისთვისაც“.

„ცინ არის ეს ვასტმანი, შარნელ? განაცხადო გამოკითხვა ტშანცმა.“

„Un monsieur très riche“<sup>1</sup>, აღფრთოვანებით უპასუხა ლამბუენელმა პოლიციელმა. „ფული ჩიქორთო აქვს და très noble! ჩემს fainéant გასამრჯელოს აძლევს და შარნელმა ამჟამად ოსტიაანტ ქალზე მიუთითა comme un roi<sup>2</sup>, მაგრამ იმიტომ კი არ აძლევს ფულს ჩემს საცოლეს, რომ მასთან რაიმე ურთიერთობა აქვს j'aimais“<sup>3</sup>.

„რა პროფესიისა?“

„ფილოზოფოსია“.

„რას გულისხმობს ამ სიტყვაში, შარნელ?“

„კაცი, რომელიც ბევრს ფიქრობს და არაფერს არ აკეთებს“.

„მაგრამ ფული ზომ უნდა იშოვოს?“

შარნელმა თავი გაქნია. „ოგი ფილოსოფოს არ შეშალოს. ფული აქვს, სოფელ ლამბუენის მთელ ბუვარას ეგ იხდის. ჩვენთვის ესეც საკმარისია, რომ ვასტმანი მთელ კანტონში უძვლავზე სიმპათიურ ადამიანად მივიჩნიოთ.“

„მოუხედავად ამისა, საჭიროა“, გადაწყვეტი-

ლად თქვა ტშანცმა, „რომ ეს ვასტმანი ისევ და ისევ საფუძვლიანად შევისწავლოთ. შესაძლებელია მასთან გვემოკვდებოდეს“.

„მანან მის ძაღლს უფრთხილდით“, გააფრთხილა შარნელმა. „Un chien très dangereux“<sup>4</sup>.

ტშანცი წამოდგა და ლამბუენელ პოლიციელს მხარზე ხელი დაარტყა. „ოო, ძაღლს როგორმე მოვუფილა“.

ათი საათი იყო, როცა ტშანცმა კლენენი და შარნელი მიატოვა, რათა ზეობასთან მდებარე რესტორანში შეეფილა, სადაც მას ბერლანს ელოდებოდა. მაგრამ იქ, სადაც შარანცა ვასტმანის სახლსაკენ შექვედა, ტშანცი ერთხელ კიდევ წერხდა. მუქიანად ვაღმოვიდა, ბაღის კარს ნერვა მიუახლოვდა და შემდეგ კედელს გაუყვა. სახლი ასევე ისეთი იყო, ჩაბნელებული და განმარტოებული, უზარმაზარი აღვის ზეობით ვარშემორტყმული; აღვის ხეები ქარის შემობერვავე წელიწადს იღუნებოდნენ. ღიმუზინებუ კვლავ უწოში იდგნენ. ტშანცმა სახლს ირვლედა კი არ შემოურა, არამედ იმ კუთხეებზე მივიდა, საიდანაც განათებული უკანა კედლის დანახვა შეიძლებოდა. ხანჯახან ფანჯრის უერთელ შუშაზე ადამიანების გამოსახულება გამოჩნდებოდა, ტშანცა კედელს ეყვროდა, რათა არავის არ დაეხმა. მან მინდორს გახედა. მოტკვლებულ მიწაზე მოკლული ძაღლი აღარსად ჩანდა, ეტუობოდა, ელადას გადაერთია, მხოლოდ ფანჯრიდან გამოშავალ სინათლეზე სისხლის გუბე შავად ბრწყინებდა. ტშანცი მანქანასთან დაბრუნდა.

ბერლის დასაწოში მდებარე რესტორანში მან ზეობას ევლარ ნახა. სახლის შემატონე ქალმა უთხრა, ბერლანმა ოთახი ნახევარი საათის უკან დატოვა, რათა ტშანცი წახულოყო, ერთი არაუი დაღლია; ზუთი წუთიც არ გაჩერებულა სახტუმროშო.

ტშანცი დაფიქრდა, მოხუც ბერლანს რა უნდა ჰქონოდა ვანარახული, მაგრამ დიდხანს ფიქრის თავი აღარ ჰქონდა; ქუჩა არცთუ მინცადამანც ფართო იყო და ტშანცის მთელ უსრადღებას ითხოვდა. მან ხიფს გვერდით ჩაუარა, სადაც ისინი რამდენიმე საათის წინ იდგოდნენ და შემდეგ ტყუილ გავლით ქვეით დაეშვა.

იქ ტშანცს განსაცვიფრებელი და შეშარავა ამხავა ელოდა. ამ ამხავმა ტშანცი ჩააფიქრა. მას მანქანა ჩქარა მიჰყავდა, უცებ ქვეით მოვლევარე ტბა დაინახა, რომელიც თორ კლდეებს შორის დამისულ შავ ხარკეს მიაგავდა. ტშანცი მკვლელობის ადგილს უახლოვდებოდა. უცებ კლდეს შავი გამოსახულება გამოეყო და ვარკვეით ანიშნა, მანქანა გაჩერებინა.

ტშანცმა მანქანა მისდა უნებურად გაჩერა

1 საშინელი ძაღლია. (ფრანგ.)

1 შმიდი არ უფილა ვასტმანთან, ეს შეუძლებელია (ფრანგ.)  
 2 ძალიან მდიდარი კაცი (ფრანგ.)  
 3 ძალიან კეთილშობილია (ფრანგ.)  
 4 საცოლე (ფრანგ.)  
 5 შეფურად (ფრანგ.)  
 6 არასოდეს (ფრანგ.)



და მარტენა კარი გააღო, თუმცა იმავე წუთში იწინა, გონებას უხერხულად იმაზე ფიქრი, რომ ის, რაც ხელა მას დაეშარა, ასევე დაეშარა შვიდაც, ვიდრე მან უკანასკნელ ამოსუნთქვას სულიც არ ამოყოლა. ტშანცმა პალტოს ჭიხეში ხელი ჩაიყო და რევოლვერი ჩაბღუჯა: იარაღის სიცივეში იგი დაამშვიდა. გამოსახულება მიუახლოვდა. ტშანცმა უცებ იცნო, რომ ეს ბერტოლტი იყო, მაგრამ დამახუდობას არ გაუვლია, პირიქით, იდუმალი საწინელებისაგან გაფითრდა, თუმცა შიშის საფუძველი თვითონვე არ იყო. და რა იყო. ბერტოლტი დიხარა და მათ ხაზეში შეხედვს ერთმანეთს, რამდენიმე წამს საათად იქცა, რაც შეეხება ერთი მთვანი კარინტს არ ძრავდა და თვალბივი გასტერებოდათ. შემდეგ ბერტოლტი ტშანცს გვერდით მიუჭდა, ტშანცმა დამალულ იარაღს ხელი უჭვა.

„გზა განაგრძე, ტშანც“, მიმართა ბერტოლტი, მისი ხმა გულცივად გლერდა. ტშანცს შეკრთა, რადგან გაიგონა, რომ მოხლოა შენობით მიმართავდა, თუმცა ამის შემდეგ კომისარს სხვაგვარად არც მიუშარათას.

როცა ხელი გაიარეს, მხოლოდ მაშინ დაარღვია ბერტოლტი სიჩუმე და იცოთხა, რა შეიტყო ლაბეტუნში ტშანცმა, ადღეის ამას იქნათ ამ ბუდეა ხაზელი საზოლოოდ ფრანგულად უნდა და უწოდებოთ“.

შარნელისა და კლენენის ცნობაზე, რომ მოკლული შვიდის სტუმრობას ვახტანგთან შეუძლებლად თვლიდნენ, ტშანცს არაფერი არ უთქვამს: რაც შეეხება კლენენის მიერ ნახსენებ შერჩეულ მწერაბს, მე თვითონ მოკვლამარაკები, განაცხადა მან.

ტშანცი ადრინდელთან შედარებით უფრო ცოცხლად ჰყვებოდა შეტყობილ ამბავს, სული მოითქვა და განაგრძო, კარგია ხალხარს თავი რომ მოვახი და უჩვეულო აღუღება დავაძლიერ, მაგრამ ვიდრე შეუბუნენი შევიდოდნენ, ორივენი ვაჩუქდნენ.

თურთმეტის შესრულებას აღარაფერი აჯღდა როცა, ტშანცმა მანქანა ალტენბერგზე, ბერტოლტის სახლთან გაიჩერა და კომისარი მანქანიდან ვადმოვიდა.

„ერთბელ კიდევ მადლობას გიხდის, ტშანც“, მიმართა ბერტოლტი და ხელი ჩამოართვა. „მართალია, იმაზე ლაბარაკიც არ ღირს, მაგრამ შენ სიცოცხლე შემიწარჩენე“.

ბერტოლტი ერთხანს შეჩერდა, თვალი გაყოლა სწრაფად მიმავალი მანქანის უკანა ფარებს, „ახლა როგორც უნდა ისეთი სიჩქარით იაროს“. ბერტოლტი თავის დაუტყვევ სახლში შეიბოქა, წიგნებით სავსე დარბაზში, რომ შევიდა პალტოს ჭიხეში ხელი ჩაიყო, იარაღი ამოიღო და მხარუწელობით საწერ მაგიდაზე გველის გვერდით დადო. ეს იყო დიდი, მძიმე რევოლვერი.

შემდეგ ბერტოლტი წამოიწია პალტო ნელა გაიხადა. მარტენა ხელი სქელი მალის ნაჭრებით მჭონდა შეხვეული ისტ, როგორც ეს წესაა, როცა სკუთარი ძაღლებს პირის ჩაღლებასი ავარჯიშებენ.

შეორე დილით მოხუცი კომისარი ძველი გამოცდილებით ზოგერთ უსიამოვნებებს ელოდა: ბერტოლტი ლუტციან შეხლა-შემოხლას ასე უწოდებდა. „ცნობილია შაბათი დღე“ ფიქრობდა; იგი, როცა ალტენბერგის ხიდზე გადადიოდა, „ამ დღეს თანამშრომლები ჭუჭყიანი ხინდისის გამო ერთმანეთს ჭამენ, რადგან მთელი კვირის მანძილზე სასიკეთო არაფერი გაუკეთებიათ“. ბერტოლტი საზეიმოდ შევებში იყო გამოწყობილი, რადგან ათ საათზე შვიდის დასაწყვეტება იყო დაინშნული, თავის არიდება არ შეეძლო, ან ახადა ჩვეულებრივ ასეთი რამ ნერვიებს უშლიდა.

რვა საათს ოდნავ იყო გადაყოლებული, ფონ შენდი რომ გამოცხადდა, მაგრამ ბერტოლტს კი არ ელაპარაკა, არამედ ლუტცს, რომელსაც ტშანცმა უკანასკნელ დამით მომხდარი ამბუბაის-ის იყო მოუწვა.

ფონ შენდი იმავე პარტიას ეკუთვნოდა, რომელსაც ლუტცი, დამოუკიდებელ კონსერვატიულ ლიბერალურ სოციალისტური გაერთიანების პარტიას, ბეჭითად ხელს უწუბოდა ლუტცის დაწინაურებას, ხოლო ერთბელ გამაგების სხდომის დასრულების შემდეგ ვიწრო წრეში ერთად რომ ისადაიფენ, ფონ შენდი ლუტცს უკვე შენობით მიმართავდა, მიუხედავად იმისა, ლუტცი დიდ საბჭოში არჩეული არ ვახლდათ, რადგან ბერტოლტი, განმარტავდა ფონ შენდი, ახალღურად შეუძლებელია ხალხის წარმო. მადგეღელი ივოს ის ადამიანი, რომელსაც სახელად ლუციუსი ჰქვიაო.

„განა შეიძლება ყველაფერი მოიმოქმედო“, დაიწყო შენდი, როგორც კი დია კარბში მისი მსუქანი გამოახულება გამოჩნდა, „როგორც ამის შენი ხალხი, ბერტოლტი პოლიციელები სწადიან, ღრმად პატივეუშული ლუტცი ჩენს კლენტს, ვახტანგს ძაღლი მოუტყეს, სამხრეთ-ამერიკული იშვიათი ჭიშის ძაღლი, თანაც შეურაცხყოფენ კულტურას, ანატოლ კრაუსშარკადელი მხოლოდოში სახელგანთქმული პიანისტია. შევიცარიფებს აღწერა არა აქვს, მორიზონტი აუღია, ევროპული აზროვნების ნატამალი არ გაჩნია: ერთადერთი საშუალება ამია წინააღმდეგ — სამი წლით რეკრუტთა სკოლაში გამსწესება“.

ლუტცმა, რომელსაც თავისი პარტიული მეგობრის გამოჩენა უსიამოვნებებს ჰქვრიდა და მისი გაუთვრებელი ტრადიტი აწინებდა, ფონ შენდის დაქლომა შესთავაზა.

„ჩვენ უაღრესად ძნელ ძიებას ვაწარმოებთ“, წარმოთქვა შეშინებულმა ლუტცმა. „შენ თვი-

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ეს ქართლის თავკაცები იყვნენ; ურთიერთ შორის მათ გაუთავებელი ქიშკი და ომი რომ ჰქონდათ, ეს კარგად არის ცნობილი. მათივე წრის კაცი, მამუკა მუხრანბატონი იმ ხანებში წერდა: „...არავი ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახვარი — ესენი ერთმანეთის მტერნი და ქიშკნი იყვნენ, არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანას; და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ მათ ერთი პირი კონებოდათ, ვერცერას უწამდნენ, ვერცარას სხვა მტერი წაართმევდათ რასმე. ამითი საქმე ნიადვ ასე ერთმანეთის მისისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიათ. ქრისტე-ღმერთი ამას იქით რას გვიწმედა, ეს კი აღარ ვიცოდით“.

დავით გურამიშვილიც ზომ ასე ახასიათებს ძმათა ომს — ერთნი აღმა ხნავენ და მეორენი — დაღმა ფარცხავენო. მარტო გურამიშვილი

კი არა, ასეთ შეფასებას აძლევს იმ ეპოქის ვითარებას ყველა შემატანე — ქართველიც და უცხოელიც. მაგრამ მამუა მუხრანბატონის ნათქვამს და საერთოდ მთელ ამ თვალსაზრისს ენათგავრი, ასე ვთქვამ, დაუსტებდა სწორდება. საქმე ისაა, რომ ასე ხელაღების, ასე განუყოფხვად განსჯა და შეჩვენება გვიც ამილახვრის, შაშვე ქსნის ერისთავის, ოთარ არაგვის ერისთავისა და ხვეების — მეტისმეტად მკაცრი და უღმობელი განაჩენი იქნებოდა, და დღევანდელ ისტორიკოსს კი ამისი უფლება არა აქვს. სასწრაფს ერთ პირზე ცოდეას რომ დახდებს, მეორეზე მადლი უნდა შეუწონოს, თუ კი კაცს ასეთი რამ მისუძღვის ქვეყნის წინაშე, ხომ აშკარა უსამართლობა იქნება გვიც ამილახვარი დავუყენოთ ვაერწრების — იესუ-მისტაცფხვა და ერასტი ვაფლანგიშვილის გვერდით; ამიტომ წყმობსუნებულ შეთქმულების მეთაურთა ცხოვრებასა და ბრძოლის შეფასების დროს ბნელთან ნათელიც უნდა შეამჩნიოს კაცმა, თუ კი ასეთი იყო; და იყო კი ნამდვილად. საქართველო ფეოდალიზმის დროს როგორ ასტყდება მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელ შინაურ ბრძოლასა და ქიშპობას, მაგრამ არც ის უნდა დაგვრჩებს შეუძწინეველი, რომ იმ საზარულ წარღმისა და ქვეყნის დაქცევის დროს ამილახვარმა და ქსნის ერისთავმა, დიდ ზიანთან ერთად, ხიეთოდ მოიტანეს. მათ ბრძოლამ შემოსეული მტრის შესაშუსადა, როგორცდაც გადარჩინა საქართველო, მაინც გადარჩინა, გააძლებინა დიდ ბნელ ღამეში, გააძლებინა მანამდე, სანამ იქედის შორეული შუქი მაინც გამოჩნდებოდა, არის მომენტები, როცა, მავალითად, გვიც ამილახვარი საქართველოს ერთგულად ვმირი ხდება. ჩვენ ვგულისხმობთ ამილახვრის მიერ გორის ციხის აღებასა და ოსმალთა გარის განადგურებას ატენის ომიდან ზუსტად ათი წლის შემდეგ. ეს იყო ბრწყინებულ რევანში. რა თქმა უნდა, ურველგვარი ბრძოლა საქართველოს მეფის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ რეაქციული იყო და მსხველი ფეოდალებიც ამ რეაქციის მესვეურნი იყვნენ. ასე იყო მთელ მსოფლიოში, ასე იყო საქართველოშიც. შეფერომ არის, ებრძვიან, მაგრამ როცა მეფე აღარ არის, ან ტყვედ არის, ან ვახიწულია, მისტირთან. შაშვე ქსნის ერისთავი ვინ იცის სამდექერ. აუჭანუდა ვახტანგს, მაგრამ როცა ვახტანგი აღარ არის ქართლში, უკვე რუსეთშია წასული, წერაღს წერაღზე უგზავნის და ვეუბრება — შენი შვილი მაინც გამოგზავნე საქართველოში.

როგორც ვახუშტი მოვითხრობს, შეთქმულებმა მიმართეს კახ ბატონს კონსტანტინეს — უჭრახნვე ქართველნი (ქართლელი) მამადეული-ხანს, სათა მივიდეს სითა ცაბთისათა, განაძონ ოსმალნი და იყოს შეფედ მათდა. ამი-

ერადან აჩანეების მეთაურობა, ეტყობა, გვათამილახვრის ხელიდან კახი ბატონის კონსტანტინეს ხელში გადადის; ეს ბუნებრივი და განსაგებია არის. კონსტანტინე წამოვიდა, წამოვიდა ვახტანგს და თუშები, ჩამოვიდა მუხრანში, აქ მას ანაწურიდან ჩამოეგება მისივე ძმა თეიმურაზი მთიულების, ფშავლებისა და ხევსურთა რაზმებით, აქვე შეუერთდნენ კონსტანტინეს არაგვისა და ქსნის ერისთავები და ქართული გარი აქედან წავიდა გორისაკენ. თედომილადში (კარაღეთის პირდაპირ) რომ ჩავადნენ, კონსტანტინეს საამილახვროსა და საციციანოს ჭარბიც შეუერთდნენ... როგორც ვხედავთ, საჭიოდ დიდძალმა გარმა მოიყარა თავი; აქვე არიან უადრესად გამოცდილი სარდლები — თეიმონ კახი ბატონი კონსტანტინე, მისი ძმა თეიმურაზი, გვიც ამილახვარი, შუქსნის ერისთავი, ოთარ არაგვის ერისთავი, ციციშვილი და თუშ-ფშავ-ხევსურთა მეთაურნი, რომელთა სახელებს თუშყა მატანე არ იხსენიებს, მაგრამ ბაღის მესხიურებაში მაინც დარჩა მათვე რაღაც ცნობები (ამაზე ცალკე წერილში ვილაპარაკებ).

ქართველთა ლაშქარი თედომილიდან გორისაკენ წამოვიდა. რა მოხდა აქ, თეიმონ ქალაქში, ჩვენი მატანე ამაზე არაფერს თუქვება. რაღაც ბუნდოვანი ცნობები მოუპოვება ავსტრიელ ისტორიკოსს შამერს (მისთვის ეს ცნობები მიუწოდებდა თურქი ჩელები-ზადეს); შამერის მიხედვით, კონსტანტინეს თითქოს 10.000-ზე მეტი ქართველი მეომარი ჰყავდა, მასვე შეუერთდნენ განჯის, შამშადილისა და ლევის ჭარბი. შამერისავე ცნობით, კონსტანტინემ გორის არაქართველ მოსახლეობას მძევლები გამოართვა და პირთა დაადებინა, რომ რაღაც-ღა მის მხარე ბრძოლა არ ისურვეს („შვიდობიანი ცხოვრება სურდათ“), არც ოსმალთს მხარეზე უნდა გამოხულიყვენ, ზოლო გორის ქართველ მოსახლეობას, ცხადია, ასეთი გაფრთხილება არ დასჭირდებოდა.

იმავე შამერის ცნობით, კონსტანტინემ გორში ქართველი მღვდელი მოიხშო და ქართველ მოთავეებს — ერისთავებს, თავადებს, აწაურებს ერთგულების ფიცად დააღებინა.

ლოგჯის მიხედვით, საქართველოს გარს, ამის შემდეგ, გორის ციხის შტურში უნდა დაეწყოს. მაგრამ ხდება სრულიად მოულოდნელი რამ: თედომილიდან გორში ჩამოსული ქართული გარი (როგორც უკვე ვთქვით, წამოსული მუხრანელი და არაგვის ხანაპიროებიდან ქსნის ხეობისა და საამილახვროზე გადმოვლილი) გვერდს უქცევს გორის ციხეს, მტრის მთავარ ციხე-სიმაგრეს, გადადის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და ატენის ხეობის ბოლოს იწყებს ბრძოლას.

საიდან გაჩნდა ასე მოულოდნელად ოსმალთს გარი ატენის ხეობაში? რატომ გაიშარა,

ეს ბრძოლა ზედაველაზე? ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში ეს ახსნილი არ არის და ჩვენ შევეცდებით ამ ამბავს ერთგვარი ნათელი მოკვინოთ.

2. რა მოხდა ზედაველაზე, აბაშის ბოლოს

მოხდენენ ერთმანეთს, დაიკცა რაც მამინ სისხლის ღვარები, აღაბრუნებდა ბეგრ წისქვილს, თეძო სდებოდა ღარები. დაეთო გურამივილი.

გზას ატენის ხეობაზე, რომელიც შიდა ქართლის თრიალეთ-მანგლისთან აერთებდა, ვახტანგ VI თავის დასტურლამაღში ბათლოსის გზას უწოდებს. ზედაველა ამ გზის დასაბრუნელია. ვიღერ უშუალოდ 1724 წლის ომის ამბებზე გადავიდეთ, აქ მოვიყვანო მატაიანთან ორიოდე ცნობას, რომლებიც ატენის ხეობას და აქ აღერ გადახდელ ბრძოლებს შეეხებიან. ჩვენი საკითხის გაშუქებისა და საერთოდ ზემოხსენებული ომის ახარების უფრო ნათლად წარმოდგინებისთვის და ადგილზე ორიენტაციისთვის ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

მანამდე კი ერთი შენიშვნა: დავით დონდუა თავის წერტილში „დავითიანის“ ტექსტის დაწესებისათვის“ წერდა, რომ „ზედაველა ისტორიის ფურცლებზე გამოჩინა ოსმალთაგან გორის განათვისუფლებისათვის წარმოებულმა ბრძოლამ“ (აქ ნაგულისხმევია 1724 წლის ომი).

ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსის ეს ცნობა ზუსტი არ არის. ზედაველა უფრო ადრე გამოჩნდა ისტორიის ფურცლებზე.

მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისი, უფრო ზუსტად, 1554 წელი... შამთაშის მეთოსე გამოლაშქრის საქართველოზე... საბარათიანოდან შიდა ქართლისაკერ წამოსულმა ირანელთა ქარებმა ხანგრძლივი აღუცხ, ღერიშებისა და დიდი ზარალის შემდეგ ატენის ციხე რომ აიღეს, დატყვევებული დედოფალი ნესტან-დარეჯანი წამოიყვანეს და „ქუთუთი წარახსენ ციხისგან ზედა ველაშის“ (ე. ი. ფეხთი ატარეს). მერე შეაქმლევებს გადახსენს. ნესტან-დარეჯანმა საწამლაღი დალია და ისე მოკლეს თავი, „არა შეიძინავა თავსა თვისსა საქმე უფროს“.

ახუთი შემწარავ ამავთან არის დავითიანებული ზედაველას მიხედვრის პირველი ხსენება საქართველოს მატაიანში, ახსენებს მას „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტის უცნობი ავტორი.

ზედაველას მინდვრის სახელი არ უხსენებოთ არც ბერი ევანტაშვილს, რომელიც ხელმძღვანელობდა „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტის შედგენას და არც ფარსადან

გორგჯანიძეს, მიუხედავად იმისა, რომ შამთაშის მიერ ატენის ციხის აღება ორივემ ხაყმაოდ დაწვრილებით აღწერა. მით უფრო არ არის მოსალოდნელი ეს სახელი. ეხსენებინათ სპარსელ მემატიანეებს — მახან რუმლუს და ისქანდერ მუნშის, რომელთაც, მართალია, აღწერეს ატენის ციხის აღება, მაგრამ მათთვის შორეული ქართლის ეს მდებარეობი არც ისე ნაცნობი იქნებოდა, რომ ადგილები ზუსტად დაუხატებინათ. სამაგიეროდ, როგორც ამაყობენ იხინი ამ ციხის აღებით! მახან რუმლუს წერს: „ეს იყო მეტად მტკიცე და მაგარი ციხე, რომლის კოშკებზე ფრინველსაც არ გადაუფრენია და რომლის პატრეზის კალთებს ეპათა მოკლენების ზედა არ მიწვდომია“.

მეტისმეტად გასძნელებოთ და გასჭირვებოთ სპარსელებს ამ ციხის აღება. მახან რუმლუს ამბობს: „იმ ღვთის მტერმა წარმართებმა (ლასარაკია ქართველ მეომრებზე) ბრძოლა გააჩაღეს ისეთი, რომ ცის მჭერტემლი თვლი გარცეული დარჩა. კოშკებიდან და გალანგლიდან ისე ცვიოდა თაგები... როგორც შემოვლომის ქაიბულისაგან ცვივა ხეებიდან ნაყოფი...“ ექნებ ვერც აიღებდნენ ამ ციხეს, მოვალატი რომ არ გამოჩენილიყო და მისი დახმარებით სპარსელებს ციხისათვის წყალი არ გადაეჭრათ.

მაგრამ ეს ომი — ჩვენი თემა არ არის. აქ ჩვენ მხოლოდ მატაიანში ზედაველას პირველი ხსენება გვინტერესებდა და კიდევ იმის აღნიშვნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში არა მარტო ატენის ციხე, არამედ საერთოდ ტანას მიეღობა ხეობა. ეს იყო ჭიშკარი, რომელზეც გადაოდა გზა შიდა ქართლიდან მარჭნევი „წენისოფელსა“ და მარჭნევი — „ქვენი სოფელი“, ე. ი. ეს ხეობა ზემო და ქვემო ქართლს, კერძოდ, საბარათიანოს (თრიალეთი, შურტაკეტო, ქვილაღეთი — ახლანდელი წალკისა და თეთრი წყაროს რაიონები, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის ნაწილები და თბილისის ნანახები) ქვევრის შუაგულთან — შიდა ქართლთან აერთიანებდა. ამიტომ ატენი მუდამ უდიდეს პოლიტიკურ და სამხედრო მნიშვნელობას ინარჩუნებდა. საქართველოს მტერიცა და მოკეთეც მის ზეღში ჩაიღებებს ესწრაფოდა. ქერ ისევ მათთვის საუკუნეში კლდეკარის ერთსთავი რატი ატენის ციხესა და მთელ ამ ხეობას სჭერს, რომ ზელთ ეპყრას — „ქართლისაგან მტყუარსა ხამხრით კერძო უკვლივ“ — თრიალეთიც, მანგლის-ზევიც და სკვირეთიც, ე. ი. ერთი მხრით იბატონოს ვეება ტერიტორიაზე ფარვანის ტბიდან მამავერას წულამდე და, მეორე მხრით, შიდა ქართლისაკენაც ზელთ მიუწვდებოდა და გზა ვახსნილი მქონდეს. ამიტომაც მანამდე აღარ მოხსენება მეფე ბაგრატ მესამემ, ვიდრე გადგომილ ფეოდალს ეს მდებარეობა არ წაართვა.

ატენის გზა, ცხადია, არ იყო ისეთი დიდი მავებრალი, როგორც მტკვრის ხეობას გახედვს ზემო ქართლისაკენ, მაგრამ ხანდახან იქმნებოდა ვითარება, როცა პირველი უფრო ხანგრძლივად ხელსაყრელი იყო, ვიდრე მეორე. ხელსაყრელი როგორც ერთი მხრიდან, ისე მეორე მხრიდან, როგორც შემოსეულისათვის, ისე დამხედრებისათვის. ამ გზით მოდის XI საუკუნის შუა წლებში ბიზანტიის ქარი და „სხვანიცა ენმე დიდებული ანაურნი“, რომელთაც მოკლეს „ზემო ქვეყანა“, „ჩამოვიდეს ქართლს“, „მოადგეს ატენს“, მაგრამ ციხე ვერ აიღეს („ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთა უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულებასა ზედა ბავრატისსა“); ბიზანტიელებიცა და ვანდალიებიც ფეოდალებიც ხელდაიხადნენ გაბრუნდნენ — პარველნი სამშობლოში („საბერძნეთად“), ხოლო მეორენი „გავიდეს ქავახეთს და იწყეს ახალქალაქისა ზედდეთა შენებად, რამეთუ შას ემასა უზღუდო იყო“.

ატენის ხეობის გზა დიდად ხელსაყრელი იყო დროის მოვებისა და მოულოდნელობის თავალსაზრისით, რასაც ომებში ესოდენ გამოიყენებოდა მნიშვნელობა აქვს. დავით აღმაშენებლის ზავსულის ერთი მოკლე დამე დასტურდა, რათა ნაქარბაგეოდან თრიალეთში გადასულიყო... შეზინდებისას გააგო, თურქების ქარი სახარათიანოს შემოესიაო, და ცესქრის ტაძარს ბრძოლაში იყო ჩამოშლი, აქ შას ატენის ხეობამ დიდი სამსახური გაუწია...

ბევრი რამ უნახავს ამ ხეობას — ბევრი ლაშქარი, ელჩი თუ ვაჭრის ქარავანი ვაუტარებია. ნ. ბერძენიშვილს თავის წიგნში „გზებმარშრუთაგების ეპოქის საქართველოში“ ამის დანადატურებლად მრავალი ცნობა მოჰყავს. მე-15 საუკუნეში ამ გზით წაიყვანეს გორიდან ლორში ვენეციის ელჩები, 1605 წელს აქედანვე წაიდა (ალი — ატენი — თრიალეთი — აბოცა — ერევანი) ქართლის მეფე გიორგი XI (ვახტანგ VI-ის ბიძა) ირანში.

ეს წინასწარი, ფრაგმენტული ცნობები ატენის ხეობასა და შის ისტორიაზე ერთგვარად გაუადვილებენ მკითხველს, გაერკვეს იმ ამბებში, რაც ამ მოხდა 1724 წლის ომის დროს, და რასაც უწყლო კავშირი აქვს როგორც დავით გურამიშვილის ბედთან, ისე მთელ საქართველოს ისტორიასთან.



ეს იყო დიდად სახედისწერო ომი, მართლაც შავბნელი დღე, ეს იყო საქართველოს ქარების გამირული და ტრაგიკული გაბრძოლება მრისხანე მტერთან, რომელიც ცდილობდა მაგრად მოეკიდებინა ფეხი და საშუალოდ დამკვიდრებულყო ამერკავკასიაში. ეს ომი — უფრო დიდ ომის ერთი უბანი იყო, ოსმალეთის ქარება

უფრო ფართო ფრონტის უტევდნენ, რომელიც მოიცავდა გორსა და თბილისს გარდა, ერევანს, ნახჭევანს, ორდუბადს, ყარაბაღს, ვანდას, თურქმენჩაი.

ამ ომზე წერდნენ პოეტები და მეშატაინეები — დავით გურამიშვილი, იესე ტლაშაძე, ვახუშტი ბატონიშვილი, ფრანგი კლერაკი, ავსტრიელი ჰაიერი, შას არაერთგვის შეხებთან თანამედროვე ქართველი მკვლევარები... და მაინც, ზოგი რამ ამ ომის თაობაზე ჯერ კიდევ ბოლომდე ნათელი არ არის.

დავიწყეთ ამ ომის სახელწოდებით. ამას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ტომონიციის დაწესების, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც, ძალითა განლაგებისა და ამ დროის საქართველოს ვითარების თავალსაზრისით.

ისტორიაში, ჩვეულებრივ, ომს სახელი ერთქმედა იმ გეოგრაფიული ადგილის მიხედვით, სადაც ის მოხდა. ოსმალეთისა და საქართველოს ქარების ეს სახედისწერო შეტაკება ჩვენს ისტორიოგრაფიაში და ლიტერატურის ისტორიაში მრავალნაირი სახელით იხსენიება. ვახუშტი წერს: „ქართველნი მიეგებეს გუფთას, მკეთუნენ“; მეორე ადგილას: „ზედაველზე ოსმალთ... შეიბნენ“. იესე ტლაშაძე ომის ადგილად ასახელებს ატენის ბოლოს, საარწივე ქედს; ამას ვარდა, მიხი პოემის ტექსტში ვხვდებოა ზედაველაც, გუფთაც და ზიღისთიეც. დავით გურამიშვილი კი ასე იხსენებს ამ ბრძოლას: „არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე დატევით“. ასლა ჩვენი თანამედროვენი ვნახოთ: „ომი მოხდა გუფთას“, წერს ნ. ბერძენიშვილი; დ. ვერიბიშვილიც შას გუფთას (გუბთის) ბრძოლას ეძახის; „ომი მოხდა ატენის ბოლოს, საარწივეზე“, აღნიშნავს კ. კეკელიძე; ალ. ბარამიძის სიტყვით, ეს იყო ბრძოლა „გორისცხესთან“, „ზედაველში (გორში)“; გ. დურონიძე კი შას „ატენის ომს“ უწოდებს.

ჩვენი აზრით, ეს ყველაზე უფრო ზუსტი სახელწოდებაა.

აქ საჭიროა ორიოდ ცნობა ისტორიული გეოგრაფიიდან.

ატენის სახით არ უნდა ვიგულისხმოთ მართო დღევანდელი სოფელი ატენი; ამ ცნობას აღრე უფრო ფართო მნიშვნელობა მქონდა. თანადაღწერელი ხმარობს ცნებას „ქვეყანა ატენისა“. აქ შას დაახლოებით ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორც იმავე მეშატაინის ფრაზას — „ერთი ქართლისა წარვიდა სამცხეს, ქუფუნად ბექასა“, მთხუბდავად იმისა, რომ სამცხე დიდი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ერთეული იყო, ხოლო ატენი — ერთი ხეობა; თანადაღწერლისათვის ქვეყანა მქვია ხარისხაც („ინება უაქმისა ამხედრება ქვეყანასა ზედა შამისისა“), საქართველოს ერთ კუთხეცაც — სამცხეს და ერთ ზეობასაც, ატენის ანუ ტანას ხეობასაც, რათა ამ ბოლო შემთხვევაში მივიანოშნოს, რომ

ლაპარაკია არა ერთ სოფელზე, არამედ მთელ ხეობაზე.

ყოველივე წემოთქმული უფრო ნათელი ხდება, თუ ვახუშტის გეოგრაფიას გადავხედავთ. აქ, თავში „აღწერა აწინდელისა ქართლისა“ შედარებებს „თემისათვის“, „ხოვლეხათვის“, მოსდევს ქვეთავი „ატენისათვის“, სადაც აღწერილია ტანას (ატენის წყლის) მთელი ხეობა ქაშაძისა და ხაცხენისის მიიდან მტკვართან შერთავამდე ვერის ხევისა და წიღისის ხევს ჩათვლით, თვითნა ატენი — „მცირე ქალაქი“. ხევი ღრისა, „ღრის ხევი“, ბობნავს ზევით, ხოლო ამ თავში, რომელსაც ეწოდება „სახელნი ადგილთა და ქვეყანათა“, „ხოვლის ხევს“ (გრავალი, ღოვსი, აგარა, აბანო, ზესი, ზოვლე, აკეთი, ისციბე, ხუაგრე) მოსდევს ტანის ხეობა (ქვახვრელი, ხიდისთვი, გორისა, ჭოხისი, ტანისპირა, წიღისი, ბნავისი, ოღოსი, ღვარებო, ცაშნათუბანი, ზაგრანტი, ვერე, ატენი, სიონი, ღრე, ღვედრეთი, ხანდისი, იყუნეთ, სიქალეთი, ეწევი, წეროსი, ბობნავი, ღუისხევი, თხილნარი, ორმოთი, ბიეთი).

მთელი ეს მიდამოები — მტკვრის მარჯვენა მხარეა, სერისა და ხვედრეთის ე. ა. ხაციაზანოს ქვემოთ, ვადრე ზოვლემდე. ამ ფარგლებშია მოქცეული ზედაველას მინდორიც, რომელსაც როგორც ბრძოლას ველს ასხეუნებს გურამისშვილი („არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე დატევით“) და გუფთაც, რომელზეც ვახუშტი ლაპარაკობს, როგორც უტკუბის ადგილზე („ქართველნი მიეგებიან გუფთას, მკვეთენ“, მეორე ადგილას: „ზედაველაზე ოსმალთ შეებნენ“).

ყველაზე დაწვრილებით, გეოგრაფიული და ტოპონომიური დასახელებების სიზუსტის თვალსაზრისით, ეს ომი აღწერილი აქვს იესე ტლაშაძეს თავის პოემაში „ბაქარაინი“. აქ მას მოითხოვს აქვს ქართული ქარის მთელი მარშრუტი — არაგვის ხეობა, მუხრანი, ქსანი, თედორწმინდა, გორი, აქედან ჭოხისის ფონით მტკვრის მარჯვენა მხარეს გადავლა, ზედაველა, საარწივე ქედი ატენის ბოლოს, გუფთა და ხიდისთავი.

აი ეს არის ბრძოლის ველა.

ყველა ეს ტოპონომიური ცნება, რომლებიც წემოთ ამოწვრეთ, არსებითად ერთ ადგილს დასტრიალებს თავს, მის ცალკეულ უბნებსა თუ გასაღვერებს. ჩვენ გადავწყვეტიტთ მატიაშეთა მონაცემები ადგილზე შეგვაშოქმეზინა. დავათვალდებურეთ ეს მიდამოები და გამოკვითხეთ იქაურ მსოვრებლებს. გამოირკვა, რომ ზედაველა ყველამ იცის, ხოლო რომელ ადგილებს ერქვა გუფთა და საარწივე ქედი — ვერავინ გვითხრა. არც ის იციან, სად იყო ჭოხისის ფონი (ეს ფონი ბრძოლის ბოლოს თურქებმა ჩაუტრია, რათა ქართველებსათვის უკანდასახევი გზა მოეკრათ).

ჩერ გუფთას თაობაზე. ამჟამად გუფთა მქეა პატარა სოფელს, ცხინვალის ზემოთ, მდ. ფაწას ხეობაში. ასე ერქვა მას მე-18 საუკუნეშიც, მაგრამ მაშინ თურქე იყო მეორე ვუფთა, ასე ერქვა მინდორს მტკვრის მარჯვენა მხარეს, გორის გადასვრიც. პაპუა ორბელიანი, სრულიად სხვა შემთხვევის გამო, აღნიშნავს: „ზანი ქართლისა წავიდა, მივიდა ატენის ბოლოს, გუფთას მინდორში გააკეთებინა ხანგარი“. ხოლო იესე ტლაშაძე ლაპარაკობს ხიდისთავის ვენახებზე, რომლებიც გუფთაში მდებარეობენ. მაშასადამე, გუფთა იწყება ამ ადგილიდან, სადაც ახლა ხიდისთავი და მასზე გადახშული სოფელი ობერა თავდება და გრძელდება ზედავედე, საიდანაც იწყება ზედაველა. ხევის ვადმა ატენის მინდვრებში, გამოდმა ხიდისთავისა და ობერას, ადგილი დასერილია და უსწორ-მასწორო, დრატალული, სადაც წემოთ ჩანს მერხერად მდგარი ბუჩქები, ქვემოთ, საუანე მიწები და შვეანე ხერგული, ხანამ ვენახები დაიწყებოდა. მთელი ეს მიდამოები, როგორც ხელის ვულზე, ისე ჩანს გორის ცხილან. იესე ტლაშაძე წერს, თურქები პირდაპირ უშვრეტდნენ ოსს გორის ცხილანს. უშვრეტდნენ ალბათ ქოვრით, თორემ, მართალია, ველი კარგად ჩანს, მაგრამ ბრძოლის შემთხვევაში, უბრალო თვლით ძნელი გასარჩევი იქნებოდა, თუ რა ხდებოდა იქ. პირდაპირი მანძილი გორის ციხესა და ზედაველას შორის ოთხი კილომეტრი მაინც იქნება.

ახლა საარწივე ქედის შესახებ. როგორც ჩანს, ეს სახელი ერქვა იმ თხემს, რომლითაც ზედაველას ფერდობი თავდება. ხოლო სად იყო ჭოხისის ფონი? ესეც შეიძლება მივინიშნოთ ტანას ხეობის ვახუშტისეული აღწერის მიხედვით. როგორც წემოთ უკვე ვნახეთ, ვახუშტი ახეთი თამბილდევრობით ჩამოსთვლის ხოვლებს: ქვახვრელი, ხიდისთავი, გორისა, ჭოხისი, ტანისპირა, წიღისი, ბნავისი... სოფელი ჭოხისი ღდებს აღარ არსებობს, მაგრამ ამ ჩამოთვლის მიხედვით ჩანს, რომ იგი მდებარეობდა მტკვრის პირას, ხიდისთავსა და წიღისის შორის.

რატომ აღარავინ იცის ღდებს ეს სახელები — საარწივე ქედი, გუფთა, ჭოხისი? იმიტომ, რომ ღდევანდელი ატენის მსოვრებნი, მეტწილად ძველ ატენელთა შთამომავალნი არ არიან, იქ მე-18 საუკუნეში მტკვრის მთლიანად დაარბია ხალხი, აი დავით გურამისშვილაც აღასტურებს, ოსმალებმა გამარჯვების შემდეგ ყველას ერთობრად გაუფლტა დაიწყესო. ამ უკაცრელ მიდამოებში მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისში დასახლდნენ შიდა ქართლიდან, კერძოდ, ქსნის ხეობიდან გადმოსული ქართველი ვლუხაელები. ცხადია, დაბრუნდა ბევრი ატენელიც — ადრე გაბიწვული და გადახტეწული მერხობელ საერისთავოებში, მათ

ზელაზა გაჩაღეს ძველი კერა. ცხადია, ახლადმოწოდებმა აქაური სოფლები და მთების თუ მინდვრების უმრავლესობას შეუწარმოეს ძველი სახელი, მაგრამ ზოგი რამ აღარ შემორჩა ხსოვნას.

კიდევ ერთი ცნობის მიხედვით უნდა დავაზუსტოთ, თუ სად იყო ზედაველა.

მთელი ამ ბრძოლის, მთელი ეთარების კონკრეტული წარმოდგენა, როგორც ისტორიული გეოგრაფიის, ისე პოლიტიკურ და სამხედრო ძალთა განლაგების თვალსაზრისით პირველად ვარაუდო დონდუამ სცადა თავის მწველიერ გამოკვლევაში. «დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია»; ეს ცდა უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა. მკვლევარმა ბევრი რამ ნათელჰყო. რად ღირს თუნდაც ის, რომ ვახუშტის ერთი შეცდომა მან სწორედ გურამის მიხედვით პოეზიის მიხედვით გაასწორა. მაგრამ ის კი არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ზევან ისტორიკოსს ბრძოლის ადგილი სწორად არა აქვს ნახევრები. შემოსხმებულ წიგნში ვ. დონდუა აღნიშნავს, რომ ზედაველა „გაშლილია მტკვრის მარჯვენა, ხიდისთავსა, ქვახვრელსა და დღეს შორის“. მეორე ადგილას, წერილში „დავითიანის“ ტექსტის დაზუსტებისათვის“ ავტორი ცდილობდა რა „ზედაველას ადგილმდებარეობის“ უფრო მეტად დაზუსტებას, წერდა: „ზედაველა მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ამ სამკუთხედის ფარგალში, რომელსაც ჰქვინას სოფლები ხიდისთავი, ქვახვრელი და დღესი. ამ მინდვრის უმეტესი ნაწილს სამეურნეოდ იყენებს ქვახვრელი ნაწილობრივ დღესი და უფრო მცირე ზომით — ხიდისთავიც“.

ბრძოლის ველი აქ სწორად არ არის ნაჩვენებია, ვინაიდან ეწინააღმდეგება იესე ტლამაძის უაღრესად კონკრეტულ და ზუსტ მონაცემებს. ტლამაძეს კი ამ შემთხვევაში, ყველაზე მეტად დაეჭირება, ვინაიდან ის თვითონ აქაური იყო (ამ მიზეზობებს ატენსა და ხიდისთავს შორის აქაური მკვიდრნი დღესაც ტლამაძიანს ეძახიან, ე. ა. ომი მის მიწაზე ხდებოდა). დონდუის კთაბედიც კი ამ მიწებზე წყალობის სიკვლეს ტლამაძეს ვეიან, უკვე ტამბოლში ყოფნის დროს აძღვეს, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს — ის აქაური მკვიდრია და ამ მიწის უოველ მტკველს იცნობს; მან ისეთი დებულები იცის, სხვაგან ვერსად წააწყდებიო. პირდაპირ შეიძლება ითქვას: ტლამაძეზე უტყუარი მოწივე აქ შეუძლებელია მოიხაზოს. ვ. დონდუას ამ ომის აღწერის დროს მისი მონაცემებისათვის რომ მიეცემა უფრადლება, მაშინ ატენის ზედაველას არ შეცდელია დოეს-გრაჯლის ზედაველათი. საქმე ისაა, რომ აქ, მტკვრის მარჯვენა მხარეს, ქართლში, დღესაც, აქაურნი მკვიდრნი ზედაველას ეძახიან თრიალეთის ჩამოსწვრივ მდებარე მთისწინებს, რომლებიც მტკვარს მარჯვენა მხრიდან მოჰყუებიან. ისე

რომ, თავიანთ ზედაველას ახლაც ვინევენენ დოესშიც, გრაჯალიც, სასიერეთშიც. მაგრამ ბრძოლა მოხდა არა აქ, არამედ ტმ ზედაველზე. რომელიც ატენსა და ხიდისთავს შუა მდებარეობს. სხვა ზედაველას თურქები გორის ცხილან ვერ დაინახავენენ.

ბრძოლის ველის ასეთ ანარსკის მინიშნებას კიდევ ერთი უზუსტობა მოჰყვა. ვ. დონდუა წერს:

„როდესაც საომრად, „შეკრებენ ქართველნი“... „დასდგენ თედოწმინდას“. თედოწმინდა, როგორც ნახევრებია ვახუშტის გეოგრაფიაში, მდებარეობს „გორის ზეით, კარაღეთის პირისპირა, დიავის დაავლით, რუხის მთის ძირს“... ბუნებრივია, რომ თუშ-ფშავ-ხევსურნი და კახნი, რუსთველის სიტყვით თუ ვიტყვიო, გორს მოეჭარნეს ამ მხრიდან, ჩრდილო-აღმოსავლელიდან. მაგრამ ლაშქარს სხვა ნაწილები, ჩანს, ქლაქს მსხდგომიან სამხრეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, სხედლობარ ზედაველას მხრიდან“.

ზევან ისტორიკოსის ამ ცნობას არ ადასტურებს არც ვახუშტისა და არც იესე ტლამაძის მონაცემები. ქართველთა ლაშქარი გორს არც სამხრეთიდან და არც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან არ მოსდგომია. ქარი კახი-ბატონმა კონსტანტინემ და სხვა სარდლებმა თედოწმინდაში ჩამოიყვანეს, ჩამოიარეს გორზე, გადაჭრეს მტკვარი და ატენის ზედაველაზე შეხვდნენ გორის თურქული ვარსიზონის საშველად წამოსულ მტკვრის ქარს.

მაგრამ საიდან მოდიოდნენ ოსმალები და როგორ განდნენ ზედაველაზე? ყველაფერი ადვილად გასაგები გახდება, თუ ვაითვალისწინებთ, რომ ისინი ბათუმის გზით მოდიოდნენ.

\*\*\*

კახეთიდან ჩამოყვანა ქარებისა, რომელითაც მთელი ქართლი სივრცეზე უნდა გადაეკრათ, რათა გორში ჩასულიყვნენ, თუშ-ფშავ-ხევსურთა რაზმების ჩამოსვლა ბარში, შიდა ქართლის საერისთავოებშია მდომარეა წასვლა გორისაკენ, საერთოდ ქართული ქარების ეროდენ აქტიური მოძრაობა გზებზე და სოფელ-ქოქაქებში შეუძლებელი იყო შეუძნეველი დარჩენილად ოსმალებს, რომლებსაც მთელი ქართლი ხელში ეჭირათ და თბილისიც მათ ხელში იყო. ბუნებრივია, რომ რაჭა-ფშავა უმად შეშფოთდა და ომისათვის მზადება დაიწყო.

რა ძალები გამოგზავნა რაჭა-ფშავამ კონსტანტინეს წინააღმდეგ საბრძოლველად?

ფრანგი ისტორიკოსი კლერკი, ეყრდნობა რა ოსებს ქართველის (ახესალაშაშვილის რეალციას, აღნიშნავს, რომ თბილისის ფაშამ 6.000 ოსმალოს ქარისკაცი გასწია გორისაკენ, ამ რიცხვს, ამავე კლერკის თქმით, ემა-



მთა ჩვენთან ქარმა აქომა  
 პირველ მსვლელზე შეტყუებით  
 მავრამ ბოლოს კი მტრის სტრუქტურა  
 შინათვე ნალაღატევა.

ტებოდნენ „განდგომილი ქართველები, რომლებიც მიიზბოო პორტამ“, აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მოღალატე იესე-მუსტაფა. მთავარ როლში სწორედ ის გამოდის და ამას გურამიშვილიც ადასტურებს. „იესეს მეფეს მოხსენდა, გორს ადგას ქართველთ ქარები, მან შეიურა ოსმალთ, იქმნა თიფლისით მარტო“. შემდეგ უნდა აღინიშნოს ერასტი ოსმელიანი-უაფლანიშვილი; რომელიც სათავეში უდგას საბარათიანოს სპას. სწორედ ისინი წამოუძღვენ ოსმალებს, რათა გორის ციხეში გაშავებულ უხუფ-ფაშას დროზე მიშველებოდნენ.

ამრიგად, მტერს დადგამდა ქარი მოქაყვს. მავრამ კლერაკს ერთი აშვარა უზუსტობა აქვს — თვითონ რაჭაბ-ფაშა არ წამოსულა საბარათლველად. ის თბილისში უცდიდა, თუ რით დაბრავრდებოდა ომა.

რა გზით წამოვიდა ოსმალის ქარი გორისაკენ? ცხადია, მთა მუსრან-ნაქარაშვილის გზით წამოსვლაზე უფროც არ შეუძლოთ. ეს გზა უკვე ქართველთა კონტროლის ქვეშ იყო, მუხრან-ბატონის, ქსნის ერისთავის, საამალახვროს ტერიტორიაზე აქანუბის ცეცხლი ერთი და ოსმალეები ამ გამოჩინანს მთავრიდნენ. მათ აირჩიეს უფრო მოკლე და ზღლსურელი მარშრუტი — გზა ატენის ხეობაზე. თუ ვაიხსენებთ, რომ იესეს თან საბარათიანოს სპა მოქაყვს, მაშინ უფრო ცხადი ხდება \* ეს არჩევანი — მტრის ქარი შიდა ქართლისაკენ, გორისაკენ მანგლის-ატენის გზით მოდის.

აქ შეიძლება მეორე ვარაუდიც დავუშვათ. იქნებ იესე-მუსტაფასა და ერასტი უაფლანიშვილის ქარების გზა — თემის ხეობაა, ან მანგლის-ციხრეთი, მავრამ ამ ვარაუდს საექვოდ ხდის და უარყოფს ომის ასპარეზის მეტისმეტი სახელოვან ატენის ხეობასთან, კერძოდ, საბეღეთი — ზედაველა, საარწიე კედლი, გუფთა, ხიდისთავი; თან ისიც უნდა ვაიხსენებოთ, რომ სულ ექვსიოდე თვით ადრე საბარათიანოლან გადმოსული ბაქარი ატენის ხეობაში იყო გამოავრებული და, მათხადაამე, მაშინ ეს გზა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცოცხალი და მოქმედი იყო.

ამრიგად, ისევ ფაშას და იესეს ატენის ხეობით მოქაყვთ ოსმალის ქარი. ქართველთა მხრით, ყველაზე უფრო ჰეკონორი იქნებოდა არ გადმოეშვათ ეს ქარი მტკვარზე, ატენის ხეობაში დახვედროდნენ მას, მაშინმე, ვიდრე მიშველნი და გორის ციხეში მყოფი ოსმალეები შეერთდებოდნენ. სწორედ ასე მოიქცენ კონსტანტინეც და გვი აშილახვარიც, და ამ კონტექსტში სავსებით გასაგებია ხდება ვახუშტის ფრაზა: „ქართველნი მიეგებნენ გუფთას, ეკვეთინენ და ივლტოდნენ ურუმში“.

მავრამ დავუბრუნდეთ ისევ ომის მსვლელობას. ქარების გააფორებულ შეტყუებას დავით გურამიშვილი ასე აღწერს:

პირველ იერიშზე რომ ქართველებს გაუმარტენიათ, ამას ვახუშტიც აღნიშნავს („ქართველნი... ეკვეთინენ და ივლტოდნენ ურუმში“), მავრამ როგორ ვაიყოფთ გურამიშვილის სიტყვები — „შინათვე ნალაღატევი“, შეგნოიდან დაღალატ, რასაც ქართველთა დამარცხება გამოუწყევიდა. აქ აშკარად დაბარაგია იესე-მუსტაფაზე, რომელმაც ოსმალური ავანგარდის დამარცხებისა და გაქცევის შემდეგ კვლავ შეშობაბრუნოს ოსმალეები და შეუტია ქართულ ქარს. ის ხომ მტრის ქარის სარდალია, ოსმალეებს მოუძღვს წინ. ამას ადასტურებს ვახუშტიც: „მოუხდა იესე, მოაქცია ოსმალნი კვალად, მოსრნა და ივლტოდა გვი ამილახორი და წარმოიყვანა ამათ მამად ყული-ხან“.

აქ უნდა პირდაპირ აბის ნათქვამი, რომ ბრძოლის ველიდან პირველი გაქცეულია გვი აშილახვარი და თან წაუყვანია კახი-ბატონი კონსტანტინეც. ასე იყო? ასე უპატრონოდ მიუვდეს ქართული ქარი სარდლებმა მტერს? ჩანს ასე იყო. ამას ადასტურებს კიდევ ერთი ცნობა იმდროინდელი ხალხური ლექსიდან, რომელსაც შემდეგ წერიალში ვაიყენებოთ. აქ კი, სათანადო ახსნა-განმარტების გარეშე, ის გაუგებარი იქნება.

დავუბრუნდეთ ისევ ომის მსვლელობას. სარდლებს გაქცევის შემდეგ იწყება საშინელი ანარქია, როცა ბრძოლის აღარაინ ვანაგებს, იწყება საშინელი ზოკვა-უღლბა. გურამიშვილის სიტყვით; რაც მაშინ სიხლლი დაიდგარა, ღარი რომ დახდებოდა, ბევრ წრქვილს ააბრუნებდაო. აქ ყველაფერი ანათქვამი, ბრძოლის ფინალს პოეტო ასე ხატავს:

ვაი იმ დღეს! ოსმალონი  
 ბევრს უბრალოს სისხლსა ღერიდნენ,  
 სადაც შეხედისთ მუშა-კაცი,  
 გლახა, შწირსა თავსა სჭრიდნენ;  
 ვოდორს თავი აკლიათ,  
 ცხრა ურმისა ზარში ჰყრიდნენ,  
 ტანთ მარბველი არა ჰყვანდა,  
 მელა-ტურა გამოხვრიდნენ!

როგორც ჩანს, ოსმალონი შესდგომიან არა მარტო მხედრების, მთელი ხალხის ერთპირად უღლბას — ყველას ამოწყვეტას, იქნებოდა ის მეომარი, მუშა-კაცი, გლახა თუ შწირი. ზემოთმოყვანილ სტრატეგებში კიდევ ერთ თავ-ზარდამცემ ამბავს იხსენებს პოეტო — იესემ და ერასტი უაფლანიშვილმა ენით აუწერეს ბარბაროსობა ჩაიდინეს: ბრძოლის ველზე დახოცილ ქართველ მხედრებს თავები დასჭრეს,

ურმების ძარაზე მოთავსებულ გოდრებში ჩა-  
 უარეს და თბილისში რაჭაბ-ფაშას წაუდგეს. ამას  
 ვახუშტიც წერს: „მოსწყვტინეს ესოდენ, რამე-  
 იუ თავნი ურმებითა წარაიღო ერანტი ყაფლად-  
 ნიშვილმან ტფილისს რაჭაბ-ფაშას-თანა, რა-  
 მელმან მისცა ოცდაათი დრაჰმანი ჯილდოდ და  
 აღიპურეს ყოველი ქართლი, არამედ იგებს  
 თუშთა არა უწოდდნენ მესატრონედ, ვარნა მის-  
 ვე ჰყოფიდნენ და იქმოდენ საქმესა ქართლი-  
 სისა მის მიერ. ვარნა იგი ზვექდა და ეღებდა  
 ქვეყანათა ნარდად და ამით მოიარქმოცა  
 ფრიად, ხოლო ვინათგან არდა-რა ვინ ჰყუფი  
 წინააღმდეგონი ოსმალთა, აღწერეს ქართლი  
 სრულიად და დასდევს, ხარკი კაცს სულ-ზედ  
 დრაჰმანი, ცხვარ-ზედ ორი შური, ზრობა-ზედ  
 ახალი, კამბერსა და ცხენ-ზედ ექვსი შური, მო-  
 ხავალსა ზედა ხუთთთავი ხილითურთ, და ამის  
 გამო იქნა ქირი დიდი და მიეცათ სიკრუვე  
 ოსტისავე“...

ეს იყო დასწყისი იმ ძნელი ათწლეული-  
 ს, რომელიც ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში  
 ცნობილია, როგორც „ოსმალბობა“.

**8. იბრაჰიმ ფაშა, დე ბონაპო  
 და საპარტიველოს საკითხი**

წუგით უკვე ვხახეთ როგორც იყო ხანისაო  
 ვითარება, რომელიშიც დაიწყო და მარცხით  
 დამთავრდა ატენის ომი; მაგრამ თურქე ამოღ  
 ცდილობდნენ შეომრები ზღლით გადაეწყვიტათ  
 ქართლის ბედი. დიპლომატებს უკვე გადაწყვე-  
 ტილი ჰქონდათ იგი, და მარტო ოსმალეთის  
 დიპლომატებს კი არა, როგორც ვაყვით უკვე  
 ვიქვით, ამ საქმეში ძალზე აქტიურად იყვნენ  
 ჩარეულნი საფრანგეთისა და ინგლისის ელჩე-  
 ბიც.

საპარტიველოში კი, ხანგრძლივი დროის მან-  
 ძილზე, დიდი იმედი ჰქონდათ დასავლეთისა  
 და როდეს იცოდნენ, თუ როგორი ამოთა, ამა-  
 ობა იყო ეს ლტოლვა, ეს სწრაფა, ეს იმედ-  
 — დასავლეთ ევროპის ქვეყნები ხელს გამო-  
 გვიწყვიდნანო.

1714 წლის აპრილში ვახტანგ VI-ის ელჩი,  
 სულხან-საბა ორბელიანი ვერსალში წარუდგა  
 საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-ს, აუწერა რა-  
 დენ საშინელ სატანგელში იყო საქართველო,  
 უამბო მეფე ვახტანგის ტყვეობაზე ირანში და  
 ხოხოვა დახმარებოდა ქრისტიანული საქართვე-  
 ლის მეფეს, გამოეხსნა იგი ამ ტყვეობისაგან.  
 ამისათვის საჭირო იყო 300.000 ეკიუ, რათა  
 შაჰი ჰუნეანი და უიზილბაშთა თავაყები დაე-  
 საბურქებოდათ და მოესყიდათ. სულხან-საბა და  
 მეფე ვახტანგე პოლიტიკაში გამოუტყდნენ ად-  
 მანები-როდეს იყვნენ, რომ იმედი ჰქონდათ,  
 თოქოზს საფრანგეთის მთავრობა უანგაროდ  
 ხელს გაანძრევდა და ამდენ თანხას გაიღებდა  
 უცხო და სადღაც კავასიშია გადაკარგული,

თუნდაც ქრისტიანული ქვეყნისა და მისი და-  
 ტყვეებული მეფის გამოსახსნელად. „არტეშქსე-  
 ნი, ეტყობა, მარტო ქრისტეს ომდელი ქრ  
 ნენ. ამ დახმარების ასანაზღაურებლად ქართ-  
 ლის მეფის ელჩი ბეგრ რამეს პირდებოდა ხა-  
 ფრანგეთს, და-ეგრძოდ იმას, რომ ამიერკად-  
 ფრანგ ვაჭრებს ფართოდ გაუხსნებოდათ გზა  
 საქართველოშიც და აქედან მთელ აზიაში. ეს  
 კი დიდი შედეგათი იყო, დიდი ეკონომიური და  
 პოლიტიკური ზედმეწეობა იმ დროისათვის,  
 როცა სავაჭრო კაპიტალის ექსპანსია თავაწყე-  
 ტით მიიწვედა აზიისაკენ, როცა ეს ვეღარ ეტე-  
 ოდა შინაგან ბაზრებზე, როცა ევროპის ქვეყ-  
 ნების თავაყები ხანგრძლივ ომებს იწყებდნენ  
 სწორედ ამ სავაჭრო გზების დასაფუძვლებლად,  
 ამ გზებზე ვასაბატონებლად.

ამ გზებზე წუდებოდა საერთო, თუ ვის ჩაუ-  
 ვარდებოდა ხელში მდიდარი აღმოსავლეთი.  
 ამით იხსენება საფრანგეთის დიპლომატიის  
 ასეთი შეურენებელი ინტერესი და დაუცხრო-  
 მელი საქმიანობა აღმოსავლეთის საქობის გა-  
 დაწყებტის დროს. იმ ხანებში, XVIII საუკუ-  
 ნის ოციან წლებში საფრანგეთის ვაჭრობის აღ-  
 მოსავლეთთან ემსახურება 400 დიდი და მრ-  
 ვალი შვიტარ ხომალდი, რომელთაც მოჰქონდა  
 ვეღლეორად 15 მილიონი ლივრის საქონელი.  
 ცალკე დარგები საფრანგეთის მრწველობისა  
 მუშაობს მარტო აღმოსავლეთისათვის. ამიტომ  
 განსაკუთრებ, თუ რაოდენ აქტიურნი და დიდი  
 ძალის მქონენი არიან ფრანგი დიპლომატები  
 სტამბოლში — აქედან განსაკუთრებ იხინი ვაჭრო-  
 ბის საქმეს წინა აზიაში, ირანსა და ამიერკავ-  
 კასიაში.

ქართველები უოველივე ამას ადრევე ითვა-  
 ლისწინებდნენ. და ამიტომაც სულხან-საბა იმა-  
 ხაც პირდებოდა კათოლიკური სამყაროს პო-  
 ლიტეურ მოთავეს — საფრანგეთის მეფეს —  
 საქართველოსაც და მთელ ამიერკავკასიას რა-  
 მის ეკლესიის რჭულზე მოვაქცევო. ეტყუ, სა-  
 ბოლოო ანგარიშით, დიდი სტიმული იყო ისევე  
 სავაჭრო კაპიტალის ექსპანსიისათვის, ვინაიდან  
 ფრანგი და იტალიელი მისიონერები ქარსიკაც-  
 ზე უაყო უკვედდნენ გზას ვაჭარს ახალი ბაზ-  
 რებისაკენ.

ქართლის სამეფოს მეთაურებს, როგორც  
 ვიქვით, უკვლავდერი ეს კარგად გაოჯალისწინე-  
 ბული და აწონილ-დაწონილი ჰქონდათ. ამი-  
 ტომ იმედინად გაეშვავრა საბა ევროპაში.  
 ასევე იყო განწყობილი ვახტანგაც. „ვრუგეშობ  
 თქვენს მშვიდობით მისვლას საფრანგეთს, —  
 სწორდა ქართლის მეფე საბას მისი გამგზავრე-  
 ბის წინ, — ...ვიდრე ვიყოცხლები, ეს იმედიც  
 შექნებოა“.

მაგრამ ამ იმედებს განზოკიელება არ ეწე-  
 რა. ეს დიპლომატიური ნაბაქები წინასწარ  
 განწირული იყო. საფრანგეთს, შორესულ ამიერ-  
 კავკასიაში თავისი გავლენის გაფართოების

თვალსაწიხით, ინგლის-პოლანდიასთან სავაჭრო-კოლონიური შეტოქეობისას, ერჩივნა პარველ რიგში შეგობრობა ჰქონოდა როგორც ირანთან, ისე ოსმალეთთან; საფრანგეთს სატრანზიტო გზას აღმოსავლეთისაკენ, სწორედ საქართველოზე "ვალით, ერთი- გაუზნინდა მეორეც. მას საქართველო რაღაც სჭირდებოდა!

ამიტომ ხდება, რომ საბას ელჩობიდან ზუსტად ათი წლის თავზე, 1724 წელს, საფრანგეთის ელჩი სტამბოლში ეან ლუი ბონაჟი უვლადურს აუეთებს იმისათვის, რათა საქართველო ოსმალეთის ბელში დარჩეს (ამ დროისათვის სეფიანთა ირანი ზომ იხეა დაშლილი, რომ ხელაღან ეცლება უვლადური) და რუსეთს არ მიეცეს შესაძლებლობა გადმოვიდეს კავკასიის ქედს გადმოღმა.

საფრანგეთის ელჩი ამას ახერხებს კიდეც. უოველივე ეს იმ იმედებისა და ილუზიების ფონზე, რომლითაც საბას ევროპაში გამგზავრების დროს გამსჭვალული იყენენ საქართველოს მეთაურნი — ბედის მწარე დაცინვა იყო.

\* \* \*

1724 წელი. იანვარი... თბილისი ოსმალეთის ბელშია. ბაქარი ბელსაურელ მომენტს ეძებს, რომ ხანადიროდ წახვლას საბაბით ოსმალეთს ხელიდან დაუსხდეს, დედაქალაქიდან "გაიქცეს და ლაშქარი შეაგროვოს მტერთან საბრძოლველად... ათასი განსაცდელი, მარცხის, ზღაპრის გამოვლის მიუხედავად, ქართლის მეგობრენს იმედი არ დაუყარავთ, იარაღი არ დაუყრიათ... სწორედ იანვრის ამ დღეებში, სტამბოლში გაცხადებული დიპლომატიური ომი მომდინარეობს — იყოფენ თითქმისა უპატრონოდ დარჩენილ ტერიტორიებს, რომლებსაც ადრე სეფიანთა ირანი ფლობდა. იყოფენ ისე, რომ სამდევილ პატრონებს არაფერს ეცითებისან, ვერცა ჰკობავენ, მათ ახლა ბრძოლის ველზე თუ შეხვდებიან, სადაც ელჩის სიტყვა აღარა სჭრის, ამ ტერიტორიათა შორის არის საქართველოც.

ოსმალეთს, პარველ რიგში, საქართველო აინტერესებს. თბილისში ზომ მისი ჯარი დგას და ქართლსაც ისაუფრავს განსაცებს. თურქები ეშვადებიან უფრო სამხრეთით, ირანის მიწა-წყალზე გააგრძელონ თავიანთი ექსპანსია, ოღონდ უვლად საბოლოოდ მოსტყვონ ქართლი, ჩააქრონ აქანების კერები, რომ ქართველურსუნველი ჰქონდეთ... ეს ეი ჯერ არ ხერხდება. ჩქარობენ, დედავენ, ნერვაულობენ, ვინაიდან ძლიერი ჩრდილოეთელი მეზობელი, თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მოიწეს კახისპირებისაკენ. ქართველებსაც ზომ მისი იმედი აქვთ. კაცს კაცზე მგზავნიან პეტროზურგში — ვიწმედეოთ.

დიპლომატიურ შეხლა-შემოხლაში, რომე-

ლიც სტამბოლში საქართველოს გამო მომდინარეობს ოსმალეთის ვეზირებქვე და რუსეთის ახალგაზრდა რეზიდენტს ვეზირ ნაზიმოვს შორის, ძალზე აშკარად და აქტიურად არის ჩართული საფრანგეთის ელჩი ეან ლუი ბონაჟი, ხოლო ინგლისის ელჩი აბრაჰამ სტენინგი ამგზავნებს ფარულად იმოქმედოს და წააქელოს ოსმალეთი, რათა მან საერთოდ არ გადმოეშვას რუსეთის ჯარი ამიერკავკასიაში.

1723 წლის ბოლოს სტამბოლში ეწყობა შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან რიეს-ეფენდი (პორტას საგარეო საქმეთა მინისტრი), დე ბონაჟი და ნავალევი. რუსეთის რეზიდენტი თავისი მთავრობის დავალებით წინადადებას აუტენებს შეაერონ სამშარი მოქმედება ორივე მხრიდან, ოსმალეთს ეს ბელს არ აძლევათ, ამას რიეს-ეფენდი არც მაღავს, ის პასუხობს, რომ ჩვენ თბილისი უკვე დაპურობილი გვაქვს და ჯარს მხოლოდ მაშინ შეაერებთ, როცა ერევანსა და განჯასაც ავიღებთო. ბევრი ფიქრისა და დავის შემდეგ მაინც შეთანხმდნენ ორივე მხრიდან ჯარების სარდლებისათვის გაეჯავნათ ბრძანება, თვის არ დასხმოდნენ ერთ-მეორეს, ვიდრე საქმე არ გადაწყდებოდა სტამბოლში მომდევნო შეხვედრებზე და ამის შესაბამისად ახალ ბრძანებას არ მოიღებდნენ. გასაგებია, რომ იმ დროს ერთი-მეორის ამბებს დაჯვანებით იგებდნენ, და სტამბოლშიც მხოლოდ დეკემბრის შუა რიცხვებში შეიტყეს, რომ თორმეტ სექტემბერს პეტროზურგში ირანმა და რუსეთმა დადეს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რუსეთის ბელში გადადიოდა კახიის ზღვის სამხრეთ და დასავლეთი ხანაპიროები, დარუბანი, ბაქო, ვოლანი, მიწანდარანი და ასტრახანი. ამის სანაცვლოდ, რუსეთს ჰპირდებოდა ირანს სამხრეთ დასმარებას ბრძოლაში ავიღებთან და თურქებთან, რომლებაც აქეთ-იქიდან გლეჯდნენ და ფლელდნენ სეფიანთა მიწა-წყალს. პეტროზურგის ხელშეკრულება გზას უღობავდა ოსმალეთის ექსპანსიას და ამჟამადება ნაოდავს კახიისპირეთის ხალხებს რუსეთთან დიპლომატიური დახლოებისათვის.

ხალხების განწყოხილებისა და მთელი იმდროინდელი ვითარების უფრო ნათლად გათვალისწინებისათვის ხაინტურისოა ჩანაწერები მოლანდელი მხატვრის კორნელიუს დე ბრუნსისა, რომელიც დაახლოებით იმ ხანებში შემახაში მოხვედრილა. მას შეუშინევია, რომ ხმარსელები ამ ქალაქში, იეზუიტ მისიონერთა დევნის ვარდა, ცუდად ეუბრობიან რუს ვაჭრებსაც, ხოლო როცა ამ ვაჭრებს უთქვამთ, რომ რუსეთის მეფეს შეუძლია შური იძიოს ამ უხამართლობისათვის, ხმარსელებს ასე უპასუხნათ:

„ახეთი რევოლუცია არ იქნებოდა ცუდი ჩვენთვის, ვინაიდან ჩვენ უფრო ბედნიერნი ვიქნებოდით რუსეთის მეფის (დედაწიხი სწერია —

ცარ) მმართველობის ქვეშ, ვიდრე ჩვენი ახლანდელი ხელმწიფისაა.

დუ ბრუნის განავრცობის თხრობას სპარსელებზე:

„ისინი ამასაც კი არ ერიდებიან, რომ თქვან: „არც კი შევეცდებით თავის დაცვას, მხოლოდ შევეცდებით მამადას, რომ ასე მოხდეს. და აშკარაა, რომ რუსეთის მეფეს არ გადგეობდება არავითარი სიმძნელე განსაზღვრების ეს“ — დასკვნის დე ბრუნის.

ამხვე ადასტურებს დური-ეფენდი, ოსმალეთის ელჩი ირანში:

„დაბოლოს, უბედურება და განსაცდელი თან სდევით მათ ყველაგან (ლაპარაკია სპარსელებზე), მათ სახელზე მუდამ მწუხარებაა აღსებული, ისინი ერთხმად და აშკარად, დაუფარავად ამბობენ: შეიხ-ოღლუს (ე. ი. შაჰის) საქმე გათავებულია, მისი სახელმწიფო დაღუპულია, ახლოვდება სახედისწერო აღსასრული“.

თურქებმა კარგად იცოდნენ, რომ საქართველო რუსეთისაგან ისწრაფვოდა, ამას ემატებოდა კასპიისპირეთის ხალხთა ასეთივე განწყობილებანი, ამას შეეძლებოდა ოსმალეთის ამიერკავკასიაში გაბატონების პერსპექტივა ჩაეშალა. ამიტომაც გამოიწვია აქ, სტამბოლში, ესოდენ მწვავე რეაქცია პეტერბურგიდან მოსულთა ცნობამ. 28 დეკემბერს რეის-ეფენდი შეხვდა ნებლუევს და გამოთქვა თავისი ვაცირებება: ირანს პატრონი აღარა ჰყავს, ამიტომ, ბუნებრივია, იგი ოსმალეთის ხელში უნდა გადავიდეს. და აი, ასეთ ვითარებაში რუსეთის ხელმწიფე აქვეყნებს რაღაც ხელშეკრულებას, დადებულს იქ კაცთან, რომელსაც ოსმალეთი არ იცნობს.

ნებლუევმა უპასუხა ოსმალეთის ვეზირს, რომ ირანს ჰყავს თავისი პატრონი, ეს არის შა-თამაზი, რომელმაც კანონიერად ვხით მიიღო ტახტი თავისი მამის — ჰუსეინისაგან. ამ ურველმხრე უფლებამოსილ შა-თამაზთან დადო რუსეთმა ხელშეკრულება იმ დამატებით, რომ დაეხმარება აქანუბულ ავღანებთან ბრძოლაში. ამ დახმარების სანაცვლოდ შაჰი რუსეთს უთმობს განსაზღვრულ ტერიტორიას. ამრთავად, ოსმალეთმა ახლა იცის, რასაც რუსეთი ფლობს, რუსეთის ამპერატორმა იცის, რაც კომტამ მისთვისა ირანის მიერ ადრე დაპყრობილი მიწა-წყლიდან; ამიტომ რუსეთის იმპერატორი წინადადებას იძლევა ორივე სახელმწიფომ შეწვევით სავაჭრო მოქმედება და მეტად ადარ ვაჭრელებს თავანთი საშფლობელობა ირანის ზარზე. დაკმაყოფილდნენ ამით, რასაც ამჟამად ფლობენ.

ამრთავად, რუსეთი ესწრაფოდა საქართველოს ვადასარჩენად, მაგრამ არსებითად რომ დახმარებოდა მას, ამისათვის პეტრე პირველს ქერ კიდევ არ მიუწვდებოდა ხელი.

და მაინც, რეის-ეფენდი აღშფოთებული

იყო იგი თავისი იმეორებდა, რომ ირანი (აქ იგი გულისხმობდა შოელ ამიერკავკასიისაზე) მთლიანად ეუთვნის ოსმალეთის მსუღბისა და რომ შა-თამაზი არ შეიძლება იყოს კანონიერი მფლობელი ირანის ტახტისა, ვინაიდან შა-თამაზის ცოცხალია, თუმცა ავღანელებს ჰყავთ ტყვედ. ან რა სარგებელს მოუტანს რუსეთის მეფეს ხელშეკრულება შა-თამაზთან, რომელიც განდევნილია თავისი დედაქალაქიდან, ვაქცა-ურთა სადღაც მიყრუებულ მთებში და იქ ველურად ცხოვრობს. მალე მთელი ირანი დაუმორჩილება ოსმალეთს და იქაური ხალხები წინ აღდგებიან რუსეთს, ვინაიდან დასაბამიდან იქ ქრისტიანის ფეხი არ დადგებულა. ამიტომაც სულთნის გადაწყვეტილება ასეთია: რუსეთის ჯარი შეჩერდეს იქ, სადაც ამჟამად მისი ვარნიზონები დგას (ე. ი. თერგზე), ხოლო უფრო სამხრეთით მას არავფრო ეხმარება.

ნებლუევს, ცხადია, არ შეეძლო ამაზე დათანხმებულიყო და იმ დღეს მათი შეხვედრა ამით დასრულდა.

და აი, დიპლომატიური 1724 წელი. ოსმალეთის სულთანმა სცადა ახლა მუქარაზე გადასულიყო. 2 იანვარს პორტას თარჯიმანი მივიდა ნებლუევთან და ჰკითხა: „იღებს თუ არა იგი პორტას მიერ წამოყენებულ პარობებს?“ ნებლუევმა უპასუხა, რომ თავისი ხელმწიფის თანხმობის გარეშე ის ამ პარობებს ვერ მიიღებს. „რავილა ასეა, — თქვა თარჯიმანი, — ჩვენ ვიწყებთ იმს და შენ ახლა შენს თავს მიხედ — ან უნდა დაბრუნდე სამშობლოში, ან თან უნდა გაჰყვე ვეზირს ბრძოლის ველზე, ან უნდა იცხოვროს სტამბოლში, როგორც უზრალო მოქალაქე, ვინაიდან ამ წუთიდან სულთანს შენ მიწისებრად აღარ მიანჩნისარ. ასეთ შემთხვევაში, ომის გამოცხადების დროს, მინისტრებს ჩვენ ვაპატონირებთ ხოლმე, მაგრამ შენთვის გამოაკლდის დაუფლებო, ვინაიდან კარგად იქცეოდი“.

ნებლუევმა, რა თქმა უნდა, ირანია რუსეთში დაბრუნებულიყო მან დაუყოვნებლივ გააზარდა კაცო პასპორტისათვის, ჩველბრამ პასპორტი არ მისცეს. ამასთან, მგულობრებზე უფრო მეტად დაეცურა და მე პონაი, მან ვაფრთხილა თურქები — ნუ დაიწყებთ ომს, ირანში ბრძოლა ძალიან მძიმე იქნება, ვინაიდან იქაური ხალხები თქვენ მტრულად თვლით ვიციკრიან, ხოლო მირ-შაჰმუდ, როგორც ველობრა და მარბაროს, უნდა მოერიდოთო, რუსეთი თავს მოუყრის და ვაერთიანებს თქვენს მტრებს, ხოლო რუსებთან მეგობრობა, დროთა ვითარებაში, სარგებლობას მოგიტანთო. მართალია, რუსეთის ხელმწიფე წინ მოიწევს, მაგრამ ოსმალეთის ხელმწიფეს არ უახლოვდება, ხოლო სავაჭროდის ელჩი პეტერბურგში — კამპრედონი მატყობინებს, რომ რუსეთი არ დაიწყებს ომს, თუ ოსმალეთი პირველი არ დაარღვევს მშვიდობასო.

საფრანგეთის ელჩის ჩარევამ გასჭრა. მისი შეგონებების წყალობით სულთანმა გადაწყვიტა: რუსეთს ომი არ გამოუცხადოს, მაგრამ ომისათვის მოემზადოს.

ამის შემდეგ ნებლუცეს, კვლავ დე ბონაჟის თანდასწრებით, პრიატული შეხვედრა ჰქონდა ოსმალეთის დიდ ვეზირ იბრაჰიმ-ფაშა ნევეშე-პირლისთან, რომელიც ფაქტიურად განაგებდა სახელმწიფოს, ვინაიდან სულთანმა აშედე III, თავისი თანამედროვეების — ირანის შაჰების — ჰუსეინისა და თამაზის მსგავსად, სრული არარაობა იყო და მარტო ფულას მოხვეჭსა და თავის გართობაზე ფიქრობდა. იბრაჰიმ-ფაშა კი, რომელსაც დამადას (სულთანის სიძე) ტიტული ჰქონდა, ჰეივანი კაცი იყო. მასთან შეხვედრისას, ახლანდელა ნებლუცეს, რომელიც პეტრე პარკველია ფლორატის ოფიცრებიდან აარჩია და ოსმალეთში დიპლომატიურ პოსტზე დაწავინა, მძიმე გამოცდა მოელოდა. და აი, მან საუბრის დაწყებისთანავე უთხრა იბრაჰიმ-ფაშას — „ჩვენს შორის მთელი გაუგებრობა წარმოიშვა მტებად ზოგადი და განუხსნებელი საბოლოო წარმოადგენლა წინადადებებმა. ჩვენ რომ ერთმანეთისათვის ვუღლიდა გვეთქვა, თუ ვის რა გვინდოდა, საქმე ასე არ გართულდებოდა და დიდი ხნის დამთავრებული იქნებოდაო“.

იბრაჰიმ-ფაშა ერთხანს დაიჭირდა და მერე დიწქად დაიწყო: „რწმუნდები მართალს ამ. ბოზს, და პარტაც პირდაპირ იტყვის, რაც მას სურს“. დიდვეზირი წუთით ისევ შეჩერდა და ახლა რაღაც აგვის ყაბლაზე განაგრძო: „წარმოადგინეთ, რომ ირანის მმართველებს შამ ჰუსეინს პეუდა სამი შვილი: ფურათი — ოსმალეთის სულთანი, საშუალო — რუსეთის ხელმწიფე და მესამე, უმცროსი — შამ-თამაზი. ჰუსეინის სიყვარულის შემდეგ მისი მამული ამ სამმა ობოლმა უნდა გაიყოს. რუსეთის ხელმწიფემ უკვე წაიღო თავისი წილი, ახლა პარტამ უნდა წაიღოს თავისი, და დაე. საფრანგეთის ელჩმა, როგორც შუამავალმა, გამოიყოს ყველას თავისი ხვედარი ისე, რომ არც ერთს არ აწყენინოს“.

„ძალიან მაღლობელი ვარ ასეთი პატივსახთვის, — უპასუხა დე ბონაჟმა, — მხოლოდ რაჟი-და მე მტკობებით, ისე გავყოფ, რაჟი ყველაზე დიდი წილი ყველაზე უმცროსს შევხვებ. ვინაიდან ის ყველაზე უმწეოა“.

ახე აღადგინს ამ საუბრის სურათს გამოჩენილი რუსის ისტორიკოსი ხ. შ. სოლოვიევი, რომელიც უმოთაგრესად ნებლუცეის ჩანაწერებს ეურდნობა. ხაგულისხმობა, რომ ამ სათხრობის სურათს ძირითადად ასევე ვადმოგვეცემს ინგლისელი ისტორიკოსი ლორენს ლოკარტი, რომელიც ეურდნობა დე ბონაჟის წერილს, რომელიც მას იმავე თვეში, იანვარში პარიზში ვაუწყავია ვრავ დე მორვილისათვის. მაგრამ აქ არის ახალი ძალზე საინტერესო დეტალი-

ნიც. დე ბონაჟის მოწათხრობის მიხედვით, „იბრაჰიმ-ფაშამ დახატა შამი, როგორც რუსეთისა და ოსმალეთის მეგობარი. აშეგარდ, იგი მათს მამად შეიძლება ჩავთვალოთ. მას დარჩა სამი შვილი — სულთან, ცარი (ახლა ტიქტისი) და შამ-თამაზი, ახლა საქმე ისაა, თუ როგორ ვაფუძვლოთ მისი ქონება სამ შემკვიდრეს. მოდიოთ, ეს საქმე დავაჯლოთ საფრანგეთის ელჩს, დაე, იგი იუოს ყანეში (მოპარაგებელი მონაპაროდე, რომელიც პუოფს ქონებას ობლებს შორის), მაგრამ, — სცილით დამატა დიდვეზირმა, — მას არ უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს ყანებისათვის დაწესებული ვახამრქელი (ვახაყოფი ქონების ათი პროცენტი)“.

არა, საფრანგეთის ელჩს შუამავლის ათი პროცენტი არ უნდოდა, ის სრულიად სხვა რამეს უჩინებდა. „ლუი XV-ის მინისტრების პოლიტიკა, — წერს ლოკარტი, — მიზნად ისახავდა, რაც შეიძლება დიდი წევადუნა მოეხდინათ ორივე მხარეზე და საქმე ისე წარმართათ, რომ რუსეთისა და ოსმალეთს შორის ომი არ დაწყებულიყო. ფრანგების ეს პოლიტიკა არ იყო დამყარებული მშვიდობისადმი აღტრუსებულ მთადრებულზე, არამედ თავისი ხახიათით წმინდა მავაველური იყო: საფრანგეთს სჭირდებოდა ძლიერი ოსმალეთი, რომ მას, ოსმალეთს, შესაძლებლობა ჰქონოდა დაპირისპირებოდა. საფრანგეთს მტერს — ავსტრიას. და როდესაც დიდად ნიჭიერი დიპლომატი მარკაიზ დე ბონაჟი 1716 წელს ტამბოლში ელჩად დაწინეს, მას მისცეს ინსტრუქტივი ყველაფერი გაეცოტებინა იმისათვის, რომ ავსტრიას ოსმალეთის მიშე ჰქონოდა“.

აი, ახე ვაწიროს საქართველომ ჰქონდათ რაინე ცნობა ქართველებს ამ საოცარი და ჩახლართული დიპლომატიური ფანჯების თაობაზე? ამის შესახებ ჩვენ უბრალო მინიშნებასაც ვერ წააწყდით დავით გურამიშვილის პოემის იმ თავებში, სადაც პოეტმა იმ დროის საერთაშორისო ვითარების მიმოხილვას აძლევდა. ნამდვილად კი სწორედ აქ წუდებოდა ბედი საქართველს: საფრანგეთი ჰეგემონისათვის იბრატის, მისთვის საქირი და აუცილებელია ავსტრიას ემინოდეს თურქეთისა. ამიტომ თურქეთი ძლიერი უნდა იყოს. იმ დროისათვის ავსტრიას თურქეთის წინააღმდეგობა ყველაზე მწვავე იყო და სწორედ ვინის კატასტროფამ დაადანტურა თურქეთის რღვევის კარგა ხნით ადრე დაწყებული პროცესი. კარლ მარქსი ამ ამბების გამო წერდა:

„არ არის ანსოლუტურად არავითარი საფუძველი ვითაროთ, თითქმის თურქეთის დაცემა დაიწყო იმ მომენტიდან, როცა სოხესკიმ დახმარება აღმოუჩინა ავსტრიის დედაქალაქს. მამერის გამოკვლევამ ურყეველ დაამტკიცა რომ თურქეთის ხაიმპერიო წყობილება უკვე მანამდე იმარწებოდა და უკვე რამდენიმე ხნით

ადრე ოტომანთა ძლევამოსილება და ხიდადუ სწრაფად უახლოვდებოდა თავის აღსასრულს.

ამას კარგად ზედადგინენ ფრანგებიც. მათ ზუსტად იანვარიშეს, რომ თუ ახლა, ავსტრიის მერე, თურქეთი ჩრდილოეთის ბუშბურახთან იშვიდ ვახლარობოდა, მაშინ ავსტრია-მთლიანად ხელგახსნილი დარჩება ევროპის შუა-გულში. ოღონდ ეს არ მოხდეს, ოღონდ ავსტრიას ეშინოდეს თურქეთისა და დანარჩენი ყველაფერი მიწვერსაც წაუღია, საქართველო რქვევია მას, თუ სომხეთი, აზერბაიჯანი თუ დაღესტანი, — აი ასე იშინებდა ის დამპყობატორი თამაში, რომელსაც მარჯვ მე ბონაპი სტამბოლში აწარმოებს.

დაუბრუნდეთ ისევ სტამბოლის კონფერენციას, უფრო ზუსტად, დიდი ვენისის, მარჯვ მე ბონაპიას და ნებლუვის შეხვედრას (მეოთხეულს შევახსენებთ, რომ ყველაფერი ეს მდებარე 1724 წლის იანვარში); აბრაჰიმ ფაშა ოსლების იგავი რომ მოათავა, თითონვე დაიწყო ტერიტორიების გაყოფა, რუსეთს დაუთმო კასპის ზღვის სანაპიროები მტკვარსა და არქიზის შესართავამდე. მისი აზრით, ეს უნდა უოფილიყო მიჯნა, საიდანაც დაიწყებოდა პორტის სამფლობელოები, ე. ი. საქართველოცა და სომხეთიც თურქეთის იმპერიის ფარგლებში ხვდებოდნენ. მაგრამ ნებლუევმა და მე ბონაპიას განაცხადეს, ვიდრე რუსეთიდან ახალ მიითიბებს არ მივიღებთ, საქმეს ვერ გადავწყვეტთ. საფრანგეთს ელჩმა წამოაყენა წინადადება ამ მითითებათა ჩამოსატანად, პეტერბურგში გაეგზავნათ მისი ძმისწული (თუ დისწული) დალიონი, იბრაჰიმ-ფაშა დაეთანხმა და დაუშავა, რომ მას ზურს დადებულ იქნას თავდაცვითი და შეტევიითი კავშირი რუსეთის, საფრანგეთისა და თურქეთის შორის, ხოლო ინგლისელებზე პირდაპირ თქვა — მათი გულის მოსაგებად რუსეთს ომს ვერ დაუწყებთ. „ამ ახლო წარსულში ინგლისელთა პირადებოდნენ შედეგს რუსეთთან ომში დაგვხმარებითო, მეტი, როგორც დატყობანარს?“ — თქვა იბრაჰიმ-ფაშამ.

მაგრამ ინგლისელები მაინც ცდილობდნენ თავისი გატანათ. აბრაჰიმ სტენიენ ჩაგონებდა თურქეთის თავკაცებს, რომ რუსეთის მეფეს სურს ხელთ იგდოს არა მარტო ხპარეთის, არამედ მთელი აღმოსავლეთის ვაჭრობა, რის შედეგადაც საქონელი, რომელიც ახლა თურქეთში უკარგვლოდ მოდის, რუსეთის მიწებზე გამოიღოს, და მაშინ ინგლისელები და სხვა ევროპელები თურქეთიდან წავლენ, რის გამოც ვეი ძლიერ დიდ ზარალში წავარდებო. ამიტომ პორტამ აარადილთ უნდა შეაჩეროს რუსეთის წინსვლა აღმოსავლეთში; და თუ პორტა ომს გამოუცხადებს რუსეთს, მთილეს ფულად დახმარებას არა მარტო ინგლისის მეფისაგან, არამედ მთელი ინგლისელი ხალხისაგან.

მაისის დასაწყისში, დალიონი, რუს შეტყობათან ერთად, დახმარება პეტერბურგიდან მე ნებლუევმა განაახლა კონფერენციები თურქ მინისტრებთან. მაგრამ რეზიდეტის გაოცებულიყო, ის აშკარად გრძობდა, რომ თურქებმა ტონი შეცვალეს. მათ ახლა სიტყვის გაგონებაც აღარ უნდოდათ რაიმე შეზღუდვებზე ირანში თავიანთი მომავალი დაპყრობების დროს, იბრაჰიმ-ფაშა დამადაცავ იხე ეცირა თავი, თითქოს არ ახსოვდა ის წინადადებანი, რომლებსაც თითონ აუცნებდა, ის შიქნები, რომლებსაც თითონ ვარაუდობდა. უფრო მეტად გააოცა ნებლუევი იმან, რომ საფრანგეთის ელჩიც აშკარად თურქების მხარეს იჭერდა, „უწყვე სულ იმ ახლო ხანებში მან რუსეთის რეზიდეტისაგან 2,000 ოქრო, ხოლო წინა წელს წავის ორი ტყავი 1,800 ოქრო მიაღო. მარჯვი მე ბონაპი ახლა ასე ელაპარაკებოდა ნებლუევს:

„წუთო თქვენ არ ემორჩილებთ თქვენივე ზელმწიფის ბრძანებულებას, ჩემს რჩევას რომ უარყოფთ? ან იქნებ ეპვი გაქვო, რომ მე რუსეთისადმი მტრულად ვარ განწყობილი? მაგრამ თქვენი ზელმწიფე სხვაგვარად ფიქრობს — მან იწება თავისი ხელით მოეწერა ჩემთვის, რომ ეს მოლაპარაკებანი რაც შეიძლება სწრაფად დავამთავროთ და რომ მთლიანად შევდგობა მე. თუ თქვენ არ უარყოფთ თქვენს მოთხოვნებს, მე ხელს ვიღებ შუამდგომლობაზე თქვენსა და თურქებს შორის.“

მეორეჯერ, ამ საკითხებზე საუბარი რომ დაიწყო, მე ბონაპი უთხრა რეზიდეტს, რომ აღარ სურს მასთან ლაპარაკი, და დაითხოვა თავისი სახლიდან.

აი, რა პარობებში მწადდებოდა ხელშეკრულება, რომელსაც საქართველოს პედი უნდა გადაეწყვიტა. მოახსენებდა რა პეტერბურგს ამ სიძნელეებზე, რაც ხელშეკრულების დადების დროს შეხვდა, ნებლუევი წერდა:

გამოუვად მდგომარებობაში ჩავარდნილა ვა-რო თოვლიში პოულობს საუყუნო სიმშვიდეს. ციცოსაც უშიშვებს დარტყმებს აგებებს ცხოვრე-ბა, მაგრამ ეს უმკლავდება ყოველგვარ ვაბა-პირის მომავალი დედობის იმედით ფრთაშეს-ხმული. აქ მწერალმა თითქონ გამოასწორა თა-ვისი შეცდომა, რომელიც დაუშვა ქეთინო ზუ-რახაბიშვილის მიმართ. თუ ქეთინოს მისი ორი შვილი ვერ უმსუბუქებს მწარე განსაცდელს, სიღონის სწორედ ეს ბედნიერება ასულ-დგმულებს.

ვაროსა და ციცოს დაპარისპირებით მწე-რალმა დაგმო თავისი წოდების წარმომადგენე-ლთა ამპარტავნობა, მანკიერი აღზრდა.

მწერალმა ნათლად დანახა თავისი გზარის — ვაროს მსგავს ნებიერად აღზრდილ, ქედ-მადლ, შრომის უჩვევ თავადის ქალებს, რომ საკმარისია იხინი რაიმე წინააღმდეგობის პირის-პირ აღმონდუნენ, ისევე დააღუბებინ, რო-გორც ვარო.

სიღონის დემოკრატიული, მუმანური ბუ-ნება ყველაზე ცხადად თავს იჩენს ბაზიანების ოჯახში. იგი გრძნობს, რომ თავადებსა და გლებებს შუა აქ უფსკრულია, გლებები შო-თვალს არიდებენ, ვაურბიან. მას ახსენდება თავისი მშობლიური სოფელი, სადაც მუდამ გარს ეხვევოდნენ გლებები და ხშირად საქმის

უსაზღაუროდ უკეთებდნენ. აქ კი რაღაც შიში, კრალფა და ველურობა იხატებოდა ყველას სახეზე.

„როგორ? სიღონია სოფელში იყვენ და გლუებთან ხართოთ არა მქონდეს რა მაინ, როდესაც თავს იმით შეილდაა გრძნობს და დღეს მათის წყალობით არის გაზდენიერებუ-ლ? არა! ამისთანა ველურობას ბოლო უნდა მოედოს აქაურობა უნდა გამოგზიზილდეს, თო-რემ უამისოდ აქ ცხოვრება წამება იქნება! — უიქრობდა სიღონია და ეძებდა დროს და შემ-თხვევას, რომ თავისი განზრახვა შეესრულებ-ნა.“

აქ იწყება სიღონიას კონფლიქტი ქმართან. თუ მხედველობაში მივიღებთ რომანის ერთ-ერთ თემს — ცოლს და ქმარს შორის წამო-პირილ უთანხმოებას, სოციალურ და პოლიტი-კურ ძვრებთან დაკავშირებულს, შეგვიძლია პარალელი გავავლოთ ლალიონის მოთხოვნას-თან „თინა“. მოთხოვნის გმირა ქალის — თი-ნას ქმარი ილა ფუნცხადაძე საზოგადოებაში დაწინაურებულ კაცად ითვლებოდა. იგი არა-ფერის აქლებდა ოჯახს და ცვლადობდა თანას უსრუნველი ცხოვრება მქონოდა. მიუხედავად ამისა, თინა ვერ შეეცაუა ქმრის რეაქციულ შეხედულებებს და მოწინავე ადაშიანო წრეში ჩაება. ახლადშობილმა ბავშვმაც კი ვერ იშაქ-მედა თინაზე, რათა ოჯახის მუდღერება არ და-ერადება და ქმარს არ ვასცლდობა.

სიღონიას ტრაგედია უკიდურესობაზე მი-ვადა, როცა მისთვის ცხადი ვახდა ქმრის გარ-ყენილი, ზენწახდარი ბუნება. მწერალი დრმა შინაგანი ექსპრესიით ვადმოგვეცმს ახლავარს-და ქალის მწვავე ბულოერ დრამას. სი-ღონიამ შემთხვევით წაასწროს ქმრის რო-მანულ სტენან მთადელსთან და იმც შე-იტყო, რომ ამგვარი შეხედვრები საქმა-ოდ ხშირი უნდა ყოფილიყო. მის თვალწინ გა-იეღვა ქმრის ყველა უღირსმა ქცევამ და წარ-მოუდგა პირტყვი, რომლის არსებში ერთი ნათელი გრძნობა არ ბუდობდა. „ნად არის ის სანატრელი, ძვარფახი არსება, რომლთაც სულდგმულობდა, რომელსაც თავი მსხვერპ-ლად მოუტანა. წუთო ყველა ეს მარტო ოცნება იყო, სანის ბუშტი, რომელიც ათაჟურ ზო-ლებამ ვაფანტა შიის სიხეიში და დარჩა სა-წინიელი სანამდედოღვი?“

სიღონიას არსებში ვაყუნებული ტრავმა-ბა აწლილიყვნენ. იგი მძეივარებდა, ოხრავდა, კვნებოდა, უსაზღვრო ეყო მისი სინანული და აღშოთებდა. წუთით მან თავის მოწამლვაც კი ვადასწყებოდა, მაგრამ მის სხეულში ჩასახულმა არსებამ თითქონ ვააფრთხილა, რომ სიღონიას არ მქონდა უფლება შეილის მოსპობისა.

„არა! შორს სისუსტეცი ბრძოლა! ბრძოლა სიმართლისა და ზენიობისათვის, მისწრალება თავისუფლებისაკენ! სიღონია იცოცხლებს და

დღეიდან მთელ თავის ძალღონეს, აწრებს გრძნობებს, სურვილს შეაღწევს პაწია არსების აღწრდას.

სიღონია დღეიდანვე ხელს მიხურავს მეცადინეობას, რომ თვითონაც მოეწადოს ახალ დანიშნულებასათვის“.

300-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში ანასტასია ერისთავ-ხოსტარიახ ძომანი „ბეღის ტრიალი“ გვევლინება როგორც ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი, საცაბლონი პათოსით აღბეჭდილი ნაწარმოებია. სიღონიას სახით კი — მწერალმა ძლიერა, მებრძოლი, ბედის უკუღმართობისაგან გაუტეხელი ქალის დაუფიქსარი სახე შექმნა.

ანასტასია ერისთავ-ხოსტარიახ გმირი ქალები თავიანთი თავისუფლებისმოყვარე, მემბოხე ბუნებით ეხიანებათ დიდ ნორვეგიელი მწერლის ბენრიკ იბსენის გმირ ქალებს. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათია მწერალი, რომელსაც იმდენი თანაგრძნობა და თაყვანისცემა გამოეხატოს ქალის მიმართ, როგორც ეს გამოხატა ბენრიკ იბსენმა.

ანასტასია ერისთავ-ხოსტარიახ სამწერლო მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავ სა-

იუბილეო დღეებში ვახტანგ კოტეტიშვილმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ვსცდეთ მიმოიხილა მწერლის შემოქმედება კრისტაქოსი შენიშნავს: „ქ-ნ ანასტასია ერისთავის შემოქმედებაზე აუცილებლად ექნებოდა გავლენა ბენრიკ იბსენს, მით უმეტეს, რომ სწორედ იმ დროს უჩვეულოდ ბატონობდა ეს ქალთა ფიქრების მპყრობელი“.

შესაძლებელია, ანასტასია ერისთავ-ხოსტარიახ გმირებს მათ პიროვნულ თვისებებთან, ფსიქიკურ წყობასთან ყოველთვის არ ჰქონდეთ უშუალო სიახლოვე, მაგრამ ხაერთო. განწყო-ბილებებით, თავისუფლებისმოყვარეობით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმის სურვილით ისინა უთუოდ ენათესავენთან ერთმანეთს.

ანასტასია ერისთავ-ხოსტარიახ მხატვრული მემკვიდრეობა აღბეჭდილია დრმა ჰუმანიზმით. იგი აქტიურად ეხმარება თავისი დროის ყველაზე მტკივნეულ პრობლემებს. ქალის ადგილი საზოგადოებაში, მისი დამოუკიდებელი, სრულფასოვანი არსებობა — ეს არის პრობლემა, რომელიც მძაფრად გამოხატვის მწერლის შემოქმედებაში.

1 ვ. კოტეტიშვილი, „ანასტასია-ერისთავის-გან. „ქართული სიტყვა“ — 1924 წ. № 30. სამწუხაროდ, ეს სტატია მგელეჯარის არც ერთ გამოცემაში არ შესულა.

# სონღალული

თბილისის ვიკროტოკონიმიკიდან

თბილისს, შტეტრის მარჯვენა ნაპირზე სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება სოფ. სონღალული.

სოფ. სონღალულის სახელი მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების სიველ-გუჭრებში და ისტორიულ ლიტერატურაში სხვადასხვა ფორმით გვხვდება — ყურყუთა, სონღალუბი, სოღალუბი, სონღალუდი, სოღანლუდი. ბოლო დროს მას საკუთარ სახელად სოღანლუდი დაემკვიდრა.

სახელი სოღანლუდი უცხოა, თურქულია და ქართულად სახაზევს თუ სახაზევოს ნიშნავს.

ამ ჩვენ ერთი შეხედვით თითქოსდა უცნაურ მოვლენასთან არ უნდა გვეკონფლიქტავს. მითუმეტეს რომ მსგავსი სახელები ჩვენი მრავლადაა, ვასარკვევია როგორ მოხდა, რომ ყურყუთას, შემდეგადროინდელ სონღალულს, სახაზვეთი ანუ სოღანლუდი როდის შეერქვა?

ამ კურონის თუ დაფსუსს ჭერ კადვე ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი ვაუწყებია: *Выезжая из Тифлиса, первым местом древнего населения является село Соганлуги, постоянно страдавшее от нападения врагов и защищавшее узкий проход по правому берегу р. Кура, Тифлис в 10 верстах от него. Не могу объяснить, когда и от чего дано название Соганлуги, означющее на татарском языке место лука*<sup>1</sup>.

ასე წერდა თბილისიდან სომხეთის ახტალაში მიმავალი შკელეგარი, მოტიანილი მონაცემიდან ჩანს, რომ პლ. იოსელიანი გაკვირვებას გამოხატავს სოფლის სახელის ვაშო.

უემოთ ითქვა: სოღანლუდი მც. ისტორიულ წყაროებში გვხვდება სონღალულის ფორმით. ეს ტოპონიმი ფრინველის სონღალულის<sup>2</sup> სახელიდან უნდა იყოს ნაწარმოები.

სონღული (სონღური) — ფრინველი (ხაზა); სონღური (tatar) название птицы (დავით ჩუბინოვი, ქართულ-რუსულ-ფრანცუზული ლექსიკონი, 1940).

სუნღურ, ხანუარ, სანღარ, ხანღურ, სუნღარ, სინღარ... кречеть, ловчий соколя. (Лазарь Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, 1869).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ტ. № VI) სონღულს ასეთი ახსნა აქვს: „სონღული (სონღულია) (Falco gyrfalco), ზოოდ. საშუალო ზომის ფრინველი, შავარდნი-სებრთა ოჯახისა“.

აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილი მეოთხრამეტე საუკ. ხალხთა აღწერის დაფორტებზე, კერძოდ 1761 წლის აღწერის დაფორტზე საუბრისას ჩამოთვლის თბილისის შემოვარტენში მღებარე სოფელთა სახელებს. უურადღება მიიპყრო ჩვენი საკვლევი სოფლის ახალმა ფორმამ: „...და სონღულის მცხოვრებთა აღწერა“<sup>3</sup>. სონღალულის სანაცვლოდ სონღულის ხმარება იმის უტყუარი დადასტურებაა, რომ ივ. ჯავახიშვილი სოფ. სონღალულის სახელის ფუძედ და ადგილის საკუთარ სახელის მაწარმოებლად სონღულს ე. ი. ფრინველს მიიჩნევდა.

უემოთ ვნახეთ, რომ არცერთ შემთხვევაში ფრინველის სახელში ასო-ა ადგილს არ იცვლის, იგი რიგით მესამეა.

ახლა რაც შეეხება სიტყვა სოღანს. სხვადასხვა საძიებლები და ლექსიკონები შექცევის შედეგად გამოირკვა, რომ სოღან-სოხან არცერთ შემთხვევაში ასო ნ-ს არ კარგავდა, იგი ყოველთვის რიგით მესუთეა. სოღან, სოხენ, სოღონო-ხაზვა, ხაზვის ბოლქვა — თავი და სხვ.



სონდალულის ადრეული სახელი ურრუთაა. ვახუშტი მოგვითხრობს: „მტკვრის კიდევ იდე არის ქალა ურრუთა, და აწ სონდალული წოდელი, ნაყოფიერის ურრუთავე. ამ ქალიდან ააღლუქამდე და კუმისის ტბამდე, და მტკვრამდე არის მიწდარი დიდი, აწ წოდებული სარვანისა, მეფეთა აქლემთა დგომისათვის, უწყლობით, უნაყოფო“.

სახელი ურრუთა ცოტა არ იყოს უცნაური ედერადობისაა და ადგილის სახელიად წარმოადგენა და მისი ახსნა სიმწიფეებთან არის დაკავშირებული. როგორც ვნახეთ ურრუთას გვიანი სახელი სონდალული ნაწარმოებია არის ფრინველის სახელიად — სონდალული, ამავე გვაუქრებინა, რომ ადგილის ადრეული სახელიც გენტიკურ კავშირში უნდა ურრუთის ფრინველის სახელთან.

საქართველოში და კერძოდ თბილისის სანახევში ბინადრობდა და ბინადრობს მოპოროზომის ფრინველი კარკითა.

დღევანდელი ქართული სიტყვა ურრუთა ახსნა ქირს. ერთი შეხედვით, სიტყვა ურრუთა თავისა ედერადობით ქართულ ურრუთსა ვაგს. მაგრამ მწიფა დავიჭროთ ამ ორი სიტყვის იდენტურობა. როგორც წინ ტერმინი ურრუთას სონდალულიად ვარდაქმნის სიტყვის სემანტიკა არ შეუცვლია.

სონდალულის სონდალულიად ვარდაქმნისას კი საქმე გვაქვს დეტალიზაციისათვის. სიტყვაში ახლ ოს- შეიდეგ ახლ-ნ წავარდა და გაღაინცდა ახლ ა-თან. ახლ წარმოიქმნა ახალი შენარსის მქონე სიტყვა.

სოფ. სონდალული თბილისის სამხრეთით. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. სონდალულს თბილისიდან თელეთის მთებია ურრუდენი. თელეთის მთის აღმოსავლეთი კალთა მტკვრისაკენ ეშვებოდა და მდინარესთან ქმნიდა პატარა გამავალ უღელს — კორაჯორს და აი, სწორედ ამ უწერო უღელი უკავშირდებოდა სოფ. სონდალული ქალაქს, უფრო უღელზე გამავალი სატრანსიტო. საქარავნო გზით, ე. წ. განჯის გზით. ისე გამოდიოდა, რომ სონდალული თბილისის სამხრეთის მისაღვრებთან სწორედ ამ გზის ერთადერთი ჩამკეტი ბუნქტი იყო.

პლ. იოსელიანი გადმოგვცემს, რომ ძველად სონდალულს „გზის კარს“ უწოდებდნენ. „В древности оно (სონდალული თ. ბ.) именовалось Кзис нари (გზის — კარი) или вратами дороги, ведущей к Тифлису. У других называются Куркути (ურრუთა)“. სონდალულის საზღვრებს ვადგენთ 1848 წლის შედგენილ საქ. რუკით აღნიშნულ რუკაზე ორი სონდალულია — პატარა და

დიდი, რომლებსაც ერთმანეთისაგან შულაჯრის გზა ყოფს.

**შულაჯრის გზა**

პატარა სონდალულიზე შულაჯრის გზა ვადგით, რომელსაც უახახის-განჯის გზა უერთდებოდა (თბილისი-სონდალული-უახახი-შამქორა-განჯა), შულაჯრის გზა, რომელიც კუმისის ტბის სამხრეთის მხრიდან ჩაუვლდა (აღსანიშნავია, რომ დღეს ეს გზა კუმისის ტბას ჩრდილოეთის მხრიდან ჩაუღის) ნაწილი იყო დმანისზე გამავალი ცნობილი დიდი საქარავნო გზის — ნახიდური — დმანისი — ლორე. დღესაც ამ გზით თბილისი უკავშირდება სომხეთს. შულაჯრის გზის განტოტება უერთდებოდა მეორე დიდ საქარავნო გზას — დებედისას; როგორც ვხედავთ სონდალული სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან თბილისში მომავალი სატრანსიტო-საქარავნო გზების მნიშვნელოვანი კვანძი იყო. ხანტერესთა ვაგებნეთი ისიც, რომ სონდალულიდან სარვანისად წოდებული ტოპონიმი, რაც ვახუშტის გადმოცემით „მეფეთა აქლემთა სადგომს“ ნიშნავს. სამხრეთით ყოჩის ქვის სახელით პატარა გორაა, ხოლო მის სამხრეთ-დასავლეთით ხანჯრის გორაა. სონდალულს დასავლეთიდან ესაზღვრება და კტება ხანჯრისგან მეორე ზევი, რომელიც საბავეს აღმოსავლეთით იდებს და მის დასავლეთით უახახის გზამდე აღწევს.

სონდალული შემოიფარგლებოდა დღევანდის ზევით, ტაშვარყანათი, მდ. მტკვრით, შულაჯრის და უახახის გზებით, ყოჩის ქვით, ხანჯრის გორით, ხანჯრისგან მეორე ზევით. ამილახვრების თელეთით, ტაშის (თაშის) ქვის და ისევ დღევანდის ზევით.

ამგვარად, სონდალულს ეკავა წყლისპირეთი — მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ქალღები და თელეთის (ამილახვრების) მახლობელი ველ-მინდვრები.

პირველად სონდალულის ადრეული სახელი ურრუთა სპარსეთში გიორგი სააკაძის წახვლასთან დაკავშირებით გვხვდება. ეს იმ ურრუთაოდ ცნობილ დროს ემთხვევა, როცა ქართლის მეფის ლუარსაბ II კარზე აღწევებულ და განდობებულ გიორგი სააკაძის მდგომარეობით გაუფლ-სებულთა და შერთა აღვამი ქართველი, ძირძველი დიდებულებას შეჩენით, ქართლის მეფე გიორგი თარხან-მოურავის დაპატიმრებას და მოკვლას გადასწყვეტს. დიდი მოურავი გააგებს მეფის განზარაბას და თავისი მახლობლების თანხლებით უცხოეთში იხიზნება.

გიორგი სააკაძე დამით ლილოებზე გავლით თბილისის ჩრ. აღმოსავლეთიდან ჩაუვლას, მტკვრის ფონით ურრუთას ვაგა და აქაყალას მიდის. აქედან დევნილი თბილისის მოურავი იბრანის მხრამხედლის შამახას I კარს ებღლებოდა.



ეს 1612 წელს მოხდა. მოტანილი ამხავი აღწერილი და გაღუქნილი აქვს მეფერამეტ საუკ. ქართველ მოღ-

ვაწებს, ვიორგი სააკაძის ნათესავს, თბილისის მიტროპოლიტს, იოსებ სააკაძეს (1681).

ბერი ეგნატაშვილი თბილისის მონასტრობის იმეორებს. შეიძლება შემათიანე ამ ამბის წერისად აღნიშნულ პოემას თავის წყაროდ იყენებდა, ანდა ხელთ სხვა საბუთი ჰქონდა — „და ეს, მოურავი იყო კაცო მცდელი და ილაჟიანი და ურჩია ნუგზარს გაუღლა თუსთა თანა მრავლათა რჩევითა, საქმისა ჩუენებითა, და დაუჭერა ნუგზარ ერისთავმანცა და დაასკუნეს წარსელა უაენთანა, და მუნ შეუფისა გამაჯრება არა შეეძლოთ, და ვაჟეუ ნუგზარცა, და წარვადენ მუნით და ვანეოდენ ლილოსა, და მუნით ვაჟედეს უფრუთას მტუარს ღონად, და ვანეოდენ აღჯაუღასა“ მ. შ. კიევისის მიერ გამოცემულ „პარტიის ქრონაკაში“ მოთხრობილი ვიორგი სააკაძის სპარსეთში წასვლის ამხავი — თითქმის სიტყვა-სიტყვით მიჰყვება იოსებ თბილისის პოემას, და აქაც ჩვენთვის საინტერესო ადგილა უფრუთას სახელით ვგვხვდება.<sup>9</sup>

ადრეულ წუაროებში მოხსენიებული უფრუთა ისე ჩანს, რომ ადგილის სახელი უნდა უყოფილიყო და არა დასახლებული პუნქტის სახელწოდება. ეტყობა: ადგილის საერთარი სახელი შემდეგში დასახლებულმა პუნქტმა ბუნებრივად მიიღო და შეინახოს სტორცა.

როგორც ცნობილია როსტომ მეფის ვარდუცალების (1658) შემდეგ ირანის შაჰი აბას II ქართლის ტახტს ვახტანგ V შაჰნავაზად წოდებულს აძლევს.

ამ ამხავთან დაკავშირებით სენხია ჩხეიძისა და „პარტიის ქრონიკის“ თხრობა ერთმანეთს მიჰყვება. ოღონდ სენხია არაუფრას ამბობს, თუ სად მიიღო შაჰნავაზმა შაჰის რაყამი, სოლო „პარტიის ქრონიკა“ კი ვგაწმენობს, რომ სარდალი პაპუნა ციციშვილის ხელით გამოგზავნილი შაჰის რაყამი და ხალათი ვახტანგ მეხუთემ, სონღალღუღში მიიღო: „...მეფობდა და დედოფალიც მუხრანის ბატონს მიხცა, და ქართლი და ამ რაყ როსტომ მეფის საქონელი იყო და ამ რაყ ერანში როსტომ მეფეს ჰქონდა, უყვლავს წყალობა უყო, სახელად შაჰნავას ხან დაარქვა, მალე გამოისატურმა, პაპუნა სახალწლოდ მოვიდა, სოღანღუღს ჩავიდა და უაენის ხალათი ჩაიყვა. რაყამი თავზე დაიჭირა, ისე შემოვადა ქალაქში, მეფე გაათარეს...“<sup>10</sup>

მოტანილი მონაკვეთში უფრადხადებია ის, რომ ვახტანგ V შაჰის რაყამსა და ხალათს

„რადას ვაგრძელებ, წავედით, მე ცოლ-შვილითა ვიარე; გზა წარვლე საგურამოსი და არე მათი ვიარე. ლილოს პირს ჩაველ, ლოკინის ზევეში დაუტარე, უფრუთას ღონი მზად დაგვხვდა, ჩვენთვის არ დასანქმირა“<sup>11</sup>.

სონღალღუღში იდებს. ეს წესი მომდევნო ხანაშიც გრძელდებოდა.

თან შარდენს, რომელმაც ჩვენში 1672 წელს იმოგზაურა, აღნიშნულ წესისაგვის უფრადდება მიუქცევია. მოგზაური ამ წესს ასე განმარტავს: „ქალაქი სამარტიოდან ჩრდილოეთაკენ არის ვაწეული — სამარტიოს მხარე აქვს დიდი ციხე, რომელიც მოის კალთაზე დგას. ციხეში მხოლოდ სპარსელები ცხოვრობენ და მეციხოვნედაც მხოლოდ სპარსელები არიან... საქართველოს მეფემ ეს ციხე გზად უნდა გაიაროს, როდესაც ჩვეულებისამებრ ქალაქვარედ მიდის სპარსეთის შახსაგან გამოგზავნილი წერალების ან ხარუქების მიხედვად, რადგან სპარსეთიდან მომსვლულს ტფილისში მხოლოდ ამ ციხით შეუძლია შემოსვლა. დაბეჭიებით შეგვიძლია ვთქვათ, მეფე არასოდეს არ გაივლის ხოლმე აქ ისე, რომ შინა არ ჰქონდეს ვითუ შემაქრონო, იქნებ ციხის თავს საიდუმლო ბრძანება ჰქონდეს ჩემი შეუპრობისაო, სპარსელებს ძალიან ჰკვიანურად დაუწევებიათ, რომ საქართველოს მეფეები და სპარსეთის მარის მმართველები ქალაქვარედ უნდა გავიდნენ ამის მიხედვად, რასაც შაჰი უგზავნის, ეს ძალიან მოხერხებული ღონენა, რომ ადვილად და უხეფაოდ შეიპროსონ საექვეო კაცები.“<sup>12</sup> მოგზაური არ ასახელებს შეხვედრის ზუსტ ადგილს, მაგრამ საფუძვლებულია, რომ ეს იყო უფრუთა — სონღალღუღი.

როდის და ვის მიერაა ეს წესი შემოღებული იდებს ძნელია ამის თქმა?

თან შარდენს სწორად უნდა იყოს, როცა ჩვენში ამ წესის შემოსვლას ირანთან დაკავშირებს, მაგრამ არაა სწორი, როცა წესის დაწესებას იმას მიაწერს, რომ თითქმისდა ქართველი მეფის ქალაქვარედ გაუენა-ვატყუება იმითამ იყო საჭირო, რომ საჭიროების შემთხვევაში ის დეპატიმრებინათ; რამდენადაც ჩვენ ვიცით არცერთ ქართველ მეფეს თავისი გვირგვინი თბილისის მთავრობეში ვატყუების გზით არ დაუარავს. ირანის მმართველები ამ ბერბს მოყრიდებოდნენ ჭერ ერთი იმითომ, რომ ამ აქტით გამოწვეული რეაქციისა ეწინააღმდეგებოდნენ, მთორედ მათ უყუთების საშუალება ჰქონდათ თავის კარზე მოწვეულ მეფეს იქვე გაწეობდნენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ მართლაც ასეთი საგანგებოდ შემოღებული წესი არსებობ-

და, მას მხოლოდ და მხოლოდ უნდა გამოეხატა ქართველი მეფის ვასალური დამოკიდებულება შაჰის ტახტისადმი. ეს იყო ერთი მხრივ ხოვარზმის — ირანის ზედიზედულის შაჰის და მეორე მხრივ ვასალის ამ შემთხვევაში ქართლის მეფის ურთიერთდამოკიდებულების გამომატველი ცერემონიალი.

როგორც ეტყობა მეფის, რომლის ზედსაყდრე შაჰის ნებასურველზე იყო დამოკიდებული, უფლება არ ჰქონდა ირანის მხრამხრის მერ გამოგზავნილი რაყამი და ხალათი თავის სასახლეში, მეფის ტახტზე მჯდომს მიეწოდებოდა. თუმცადა შემდგომი ეტყობა ეს ცერემონიალი ტრადიციულად იქცა და ქართლის მეფე მაღალთანამდებობის პირს პატავისცემის ნიშნად ქალაქგარეთ სონდალულში ხედებოდა (შეხვედრის ადგილი დამოკიდებული იყო იმანზე, თუ მოსულა რომელი მხრიდან მოდოდა), მაგ. ანანურიდან წამოსვლის ერთკლე II დიდიბეგში ხედებთან და ა. შ. (იხილეთ მაშინაც როცა შაჰნავაზი თავის შვილს არჩილს (რომელიც სპარსეთს იყო და შაჰის სურვილისამებრ კახეთის ტახტი მიიღო), სონდალულში შეხვდა.

ირანის შაჰი ვახტანგ მეხუთეს აძიულებს მამადიანთა წესისამებრ (მოუხედავად იმისა, რომ მას ცოლად ჰუავს როდამ უფლანაშვილი) ცოლად შეირთოს როსტომ მეფის ქვრივი, მარიამ დედოფალი.

ვახტანგ მეხუთეს როდამ უფლანაშვილთან უდავ ექვსი ვაჟიშვილი: არჩილი, ვიორგი, ალექსანდრე, ლევანი, ლუარსაბი, ხუდილიანი და ორი ასული ანუკა, თამარი.

შაჰნავაზის უფროსი ვაჟი — არჩილი იმერეთში ხაშკოვლე მეფობის შემდეგ შაჰის დახმარებით კახეთის ტახტის მფლობელია. აღსანიშნავია რომ 1662 წელს თეიმურაზ I ახტაბაბაღში ვარდაცივალა, ამის შემდეგ კახეთის ტახტი ეკუთვნოდა მის შვილიშვილს დავითის ძე ერეკლე I, მაგრამ ერეკლე I საიმდროსო საქართველოსათვის დამახასიათებელი სასახლისა და დიდებულების ინტრიგის მსხვერპლი გახდა. იგი იძულებული შეიქნა ვასცლოდა სამშობლოს და რუხეთში ვარდახეწილს ექნა თავშესაფარი.

ამგვარად, როგორც ვთქვით კახეთის სამეფოს ტახტი ზედიზედ ქართლის მეფის შაჰნავაზის ძემ არჩილია.

.....კახეთის ბატონობა მისცეს (არჩილს თ. ბ.) და შაჰნავს ხან დაარქვეს და ვაჟისიტუმრეს და ქართლს მოვიდა, კახი ბატონი არჩილ და შაჰნავს მეფე ურყუთს მიეგება, თქიდან ქალაქს შემოვიდნენ და ქალაქიდან კახეთს წავიდა კახი ბატონი.<sup>12</sup>

ეს მოხდა 1668 წელს.

1722 წ. თურქები არღვევენ ირანთან 1689 წ. დადებულ ზედშერულებას და იწვე-

ბენ მის წინააღმდეგ ომს. თურქთა ლაშქარი ქართლში შემოდის და აი, (თურქეთის) მძალა თანამდებობის პირს-სარაქცის... კონსტანტინე სონდალულში ქალაქის კლიტეს გადასცემს. ამ ფაქტს ვედავთ იმეამდელ ისტორიკოსთა თხზულებებში და სხვა წერილობით წყაროებში. ...წავიდა ქალაქიდან, შეეგება სარაქცის სონდალულს, მიაჩრა კლიტის ციხისანი" (სენიანი, გვ. 88); "...წაშიმართა ხარაქკარი, მოვიდა და დაიბანაჟა ურყუთას: ხოლო მსცნა რა ესე მამად-უფლიხან... მიეგება და მიაჩრა კლიტის ციხე-ქალაქისა". (ოშანი, გვ. 242); "ურყუთას მიეგება მამადუფლიხან სარაქკარს, მისცა ციხე ტფილისისა" (ქრონიკები, III, გვ. 91).

„ქრონიკების“ სხვა ადგილას ეს ამბავ ასეა მოთხრობილი: „მოვიდნენ ხალაულს. აქ 10 ივნისს მოეგება მამადუფლიხან და მიაჩრა სარაქკარს კლიტის ციხისანი“ (გვ. 92).

1752 წელს ქართველ მეფეებს — თეიმურაზ II და ერეკლე II შაჰის და შირვანის ხანის აჯი-ჩალაბის თაოსნობით განუდგნენ და აეშლნენ ქართველ მეფეთა ადრე უშანდნაფიცი ხანება. აჯი-ჩალაბი ესე ვეადნიერდა, რომ ზვენს მეფეებს უღტამატუცი კი წამოუყენა, რომ მათ ხელი აეღოთ თავანთი უშანდნაფიცი მამადიანურ სახანოებზე და მხოლოდ ქართლთა დაკმაყოფილებულიყვნენ. მეფეთა შემოთავაზებულ დაზავებაზეც კი უარი სთქვა. მაშინ ქართველმა მეფეებმა ქართლ-კახეთისა და დაქირავებული ჩერქეზთა ჯარი უაზახს შეუსიეს. შემდეგ ვანქაში მოხდა ვადამწვეტი ბრძოლა, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.

გამარჯვებული მეფეები უაზახიდან „საქონლით სავსენი მობრძანდნენ სონდალულში, დადგნენ იქ და იქიდან ვანწყვეს საქმენი უაზახ-ბორჩალოსნი, შეუდღვეს ცოთმა და ახატევის დანაშაულნი, მორათვეს მოსართმეცნი და აქებდნენ მოწყალეებას მეფეთა ჩვენთასა...“ (პაპუნა, გვ. 200).

ოშან ხერხეულიძე იგივე ამბავს მოგვითხრობს ოღონდ თარიღად 1758 წელს ასახელებს და, რომ მეფენი უაზახიდან კი არ ჩამოვიდნენ სონდალულს, არამედ პირიქით ისინი უაზახში საომრად წახლდისას ქალაქიდან ჯერ „რონიე მეფენი ქართლ-კახეთისა და ჩერქეზების ქართლ ტფილისით ვანდგნენ. რა ენენი სონდალულს შეთავადნენ მაშინ ბაღირი-დამ აჯი-ჩალაბის შვილი ალიქიმი და სხვა ხანები ვინც იყვნენ აყარენ და უყან ვაბარუნებელი უაზახში მივიდნენ“. (ოშან ხერხეულიძე, გვ. 258).

პაპუნას მიხედვით ქართველი მეფენი გამარჯვების შემდეგ ჩერდებიან სონდალულში და აქედან ავგარებენ უაზახ-ბორჩალოსი და სხვა საქმეებს. ოშან ხერხეულიძის მიხედვით

მეფეები, ხანამ შეებოდნენ უაზახს, სონღალელოში ჩერდებან. ამ შემთხვევაში ორივე მოსახრობი ერთმანეთს ავსებს და ჩვენთვის საინტერესო საკითხს უფრო მეტად არკვევენ, კერძოდ კი იმას, რომ სონღალელი ქართლის სამხრეთ-დასავლეთ საქმეების მოგვარებაში მეტად მნიშვნელოვანი პუნქტია.

1756 წელს გორიდან წამოსული მეფე თეიმურაზ II ერეკლეს II-ს სონღალელოში შეხვდა და აქედან ორივემ ერთად დაიწვეს ქართლის სამხრეთ-დასავლეთ მხარეთა საქმეების მოგვარება, „მოსხენდა ესე უოველო ქართველ ბატონს, წამობრძანდა ვორიდაშ, გამოართვეს ბორჩალუს, დემურჩანალოს, ბაადარს, და ზოგთა უაზახელთა უფროს კაცებს მძევლები და აქუარეს, შემოიყვანეს ქალაქი თბილისასასა და დააუენეს, მოუყენეს მცველნი“ (პაპუნა, გვ. 206).

ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროებიდან, ვახუშტის ვარდა, არსად არ ვხვდებით ცნობას სამხედროსო სონღალელის ტერიტორიის განსაზღვრების შესახებ. სონღალელი მეთვრამეტე საუკუნის 40-50-იან წლებშიც დასაზღვრულია, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვაწარად ვერ ავსენით ასეთ ხშირ სტუმრობას, ისეთი მაღალი რანგის პირებისა როგორცაა ქართლ-კახეთის მეფეები.

ვახუშტის „აღწერაში“ თბილისის სანახებში არსებული სხვა სოფლებთან ერთად დასაზღვრული აქვს — „უფრუჟთას ობა“<sup>13</sup> (გვ. 195).

ვახუშტი აღწერაში სონღალელის მოსახლეობაზე, მის ეთნიკურ შემადგენლობაზე არის გვაქვს ვარდა იმისა, რომ სოფელთა მამოხელის სახე, როგორც აღნიშნეთ მოხსენიებული აქვს-ობა, ამ პარაგრაფს ავსებს მის მიერვე შედგენილი რუკები. მკვლევარს — „ქართა ანუ რუკა ძველად ორის საერისთაოსი ზუნანისა და სამშვილდისა“ (№ II) სოფ. სონღალელის ადგილზე დატანილი აქვს წარწერა „ობანი“, გეომეტრიული აღნიშვნით ორი რგოლი — 00; ხოლო სხვა რუკაზე „ქართა ანუ რუკა საბარათიანი სომხითისა და საციცია-ნისი“ (№ 13).<sup>14</sup> სონღალელის ადგილას უოველგვარი წარწერის ვარაუდ დატანილი აქვს იმე ვეომეტრიული ნიშნები.

ვახუშტის ერთ-ერთ რუკას (№ 3) თანდართული ექსპლიკაციის განმარტებისას ჩვენს მიერ მოტანილ აღნიშვნებს ასეთი განმარტება აქვს — „ობა, თათრის ობა,“ რადგანაც მოტანილ რუკებზე მსგავსი აღნიშვნები წველადაა, სონღალელოში ორი-თათრული დასახლება უოველდა (მოგვიანრო რუკებზეა და საბუთებშიც ვხვდებმა ზემო და ქვემო სონღალელი, ანდა პატარა და დიდი სონღალელი).

ამგვარად, ვახუშტის მიხედვით ირკვევა, რომ სამხედროსო სონღალელი მამზადიანებით უოვიდა დასაზღვრული.

სონღალელის დასაზღვრების საკითხის გარკვევისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ერეკლე მეფის მიერ 1765 წელს გამოცემულ ბიხაღმა გაკეთებულ სიგელს — პირობის წიგნს.

„ქ. ესე პირობა დაგვიცას ჩვენ მეფის ერეკლეს თქვენ ამილახორის, რევანისა, სალთხუცის დიმიტრისა, ამილახორის შვილს იესესა დავითობით ამილახორის შვილებსათვის, ასე რომე სონღალელის აშენება, ჩვენი მოედო-მეთ დათქვენც მოგვახსენეთ. ოცი თუმანი ციხის ასაშენებლად თქვენ მოგვეციოთ. დარაც მეტი დაიხარჯება ჩვენ უნდა დავხარჯოთ; იქ ჩვენი კაციც უნდა დასაზღვრეს და თქვენიცა. რაც სონღალელოში თქვენი მამულია იქვს წელიწადს ნახევარი სარწუხიცა და ურწუხიცა ნახოსოვრად ჩვენ უნდა გვეციროს. იმაში თქვენ არც ღალა აღოთ და არცარა საქმე გქონდეთ იქვს წელიწადს უკან თქვენი მამული თქვენვე უნდა დაგრჩესო.“

აღნიშნული საბუთი ნათელსა ფენს იმ დროინდელი ქართლ-კახეთის ეკონომიურ სურათს. მეფეს, რომელიც თავის კუთვნილ სოფელში ავებს ციხეს, სააღმშენებლო თანხა არ გააჩნია, უფრო სწორად არ უოთენის, ამიტომ იგი იძულებულია შეიამზანავოს თვალი. ამილახორი, რომელსაც ამ საქმისათვის 20 თუმანს ართმევს, სანაჯიროდ იგი მას სოფლის ნაწილს უთმობს, თვითონ „ნახოსოვრად“ იბრებს, ექვს წლებ ვადით.

და მართლაც გაიარა ექვსმა წელმა და 1772 წ. ერეკლე მეფის მიერ გაკეთებულ სიგელში კვათხულობთ: „ქ. ჩვენი ბრძანება: არის: ამილახორო რევან: მდგომარე: იესე: მინამა: ვიორგი და: ბეჯან: მერხე: სოღალელი: ავსა დროს მიწეით: რომ: ხანაბა: იყო: იქ. ჩვენ ციხე, ავაშენეთ, და, შერობა ჩავადვიეთ, და, დღესა აქამდინ: ჩვენ გვეპირა: ახლა სოღალელი: ასე: ციხით, თქვენ წალობა. გიყავით: და: გიბოძეთ: ამ: წესითა: რომ სოღალელის: მამული: მერვედი, ჩვენი, სახასო: არის, და: შვიდი წილი მამულის თქვენთვის გიბოძებია ციხის, წილიც, ამ მამულს. კვლად გვიბოძებია რაც, იქ, ჩვენი: სახასო: კაცნი, სახლობენ, იმათთან, თქვენ: საქმე: არა, ვაქუთარა, და რაც, თქვენი საკვიდრო ვლემი, არის, იქაური: ისინი, შვიდი, წილი: თქვენი, არის, და, მერვედი; ჩვენი: სახასო: დღეს: იქით ამ სოღალელის: მამულიდამ. ამ. ვლენი: იქით: რაც: ვამოსავალი, ადგებოდეს, შვილებ: წილს. თქვენ, აიღებდეთ: და: მერველს, ჩვენს. სარქარაში: მიხარებდეთ: იქ. ერთი მართებული, კაცი. უნდა, დაუყნოთ, რომ, იქაურობას, კარგათა. მართებულთა. ვაუტრთხილდეს, და: მოუაროს. არა, წახლდნობარა. ამილახორო: რევან: ან: თქვენ: და: ან: რომელმაც: ამილახორის: შვილმა. ამ. სოღალელოში. მდგომარე: კაცსა: ძალა, და. უსამართლო: და: ჭიბრა.

უყო, რამე, და. ის, კაცნი. იქიდან. აიყარნენ. და. დაიარვნენ. ან. ჩვენი, სახსო. კაცნი. ან. თქვენი. კაცნი. იცოდეთ: დიდათ მოფიქრო- ხათ: ამ. სოდალულად. წაგართმევთ. და. ვი- სიყ: სახებით: და: უხამართლეს: კნით: იქი- დამ. კაცი: აიყრება: იმასაც: დიდათ. მოფიქო- ხათ. და. გარდავახდევინებთ. იცოდეთ.

**თებერვლის 8. გ. ქ. კ. უ. ა. ნ. (მეფე ერეკლე).**

მოტანილ დოკუმენტიდან ჩანს, რომ სოფ. სონდალული ასევე, როგორც ქალაქის სანახებ- ში მდებარე ბევრი სოფელი მოხალეებულ გა- რეშე მტერთა თუ შინა აშლილობის გამოიხი- ბით აყრია, ანდა მტერთა შემოსევის მსხვე- რპლი განხატა.

სეციალურ ლიტერატურაში ზმირად ვხვდებით, რომ მტერთაგან აკლებული ბევრი სოფელი სამუდამოდ გამქრალა, სონდალუ- ლი ამ ავბედლობის ქვამს ბედნიერი გამოაქ- ლისია, იგი ააბრტხ, მაგრამ გამოხდა ხანი და აი, იგი ხელახლა განახალეს, რასაკვირ- ველია ამაში სოფელი თავის აღვიღებულებარე- ბას უნდა უმადლოდეს (დუდაქალაქთან სიხ- ლოვც, და მასზე გამავალი საქარავნო გზა- ვანჩისა).

1781 წ. თბილისის მიდამოების სოფლები ალწერის დავთრების მიხედვით სონდალულ- ში სახლობს: ქართველება, სომხები და მამნა- დიანები — თურქები.<sup>17</sup>

სონდალულის მოსახლეობის წარმომავლო- ბის, თუ შემადგენლობის შესახებ — შეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის იოანე ბატონი- შვილის შივრ 1797—1798 წწ. შედგენილი ქართლის სოფლების ალწერის დავთარი, სა- ბუთში ჩვენ ვხვდებით: „ქ. ურუყუთას ობა... ქ. სონდალული მოსახლე“. მოტანილი მონა- კვეთში ორ სახელსა ვხვდებით „ურუყუთას“ და „სონდალულს“. შეიძლება აღმწერის შივრ ამ ორი სახელის ზმარება განაპირობა სწორად ამ არბეულმა ეთნიურმა სხვადასხვაობამ — „ურუყუთას ობა“ თურქული მოსახლეობას უნდა ნიშნავდეს, ხოლო „სონდალული მოსახ- ლე“, ქრისტიანულს ქართულ-სომხურს, უფრო ადრე გოულდენშტედტი აღნიშნავდა, რომ სონ- დალულის ციხეში... „ცხოვრობენ ქართველუ- ბა“ ტ. 1, გვ. 65). თურქული მოსახლეობის ქვემო ქართლში ასე ფართოდ განსახლებას იას. ლორთქიფანიძე ასე ხსნის: „ამასთანავე ცხადი ხდება, რომ დასახლებიდან (XVII საუკ. პირველი მეოთხედი) XVIII საუკუ- ნის დასაწყისამდე ე. ი. დაახლოებით 70—100 წლის განმავლობაში ამ ხალხს გადაუღაზეს პირველად მიწნეული საზღვრები და დაუ- ყრია ახალი ადგილები. დასავლეთით ისინი გადახლდნ სომხეთში და მიხუდან შელაგე- რამდე, ერთ მათგანს (ნახიბლუ) დმანისის ზე- ობამდისაც მიუღწევია. მაგრამ განსაკუთრებით ისინი გარეულან ჩრდილოეთისაკენ ქციის ზე-

ობაში, და ალგეთში და აღმოსავლეთისაკენ. უკანასკნელ შემთხვევაში გასწრან მტერთის ვაღმაც. ე. ი. მოცილებიან დიდორგანს მამრტე- თის და ყარაიის მიწა-წყალს, სადაც უფრო კარგი საძოვარი ადგილები იყო და სადაც რუბიცი იყო გაყვანილი“.<sup>18</sup>

ზემოთ ვთქვით: 1781 წლის ალწერის დავ- თრის მიხედვით სონდალული სომხური მო- სახლეობაც უყოფილა. ამ სომხები უნდა დასა- ხლებულნიყვნენ XVIII საუკ. 50-იან წლებში ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას გვა- ძლებს ჩვენს ხელთ არსებული ერთი საბუთი.

„უ—დ უკანათლებულებო დიდო კელმწი- რეც იმპერატორო აღიქსანდრე პავლეს ძვე თვით მპყრობნელო ს—დ რუსეთისიო ყ—დ მო- წაუღეც კელმწიფეც —

ითხოვს ერასტი ამილახერის შვილი ორ- მოცდაათი წელიწადია სონდალულს უახელო- ნი სომხები ჩემს მამულში დგანან წუალობას ეთხოვ იმათი თავი როგორც გიორგი მეფეს ებოძებინოს ისე მამსახურით ან არადა თუ ჩემი თავი არუნდოდესთ ჩემი მამული დამი- ღონ საითაც უნდოდეს იქით წაიღენ საქმე აღარ შექნება იმთაჩა ამის წყალობას ეთხოვ სექტემბერს, ბ.ქ.ს უთა“.<sup>20</sup>

• მოტანილი საბუთი 1801 წელს შეუდგენი- ა, ზოლს თვით საბუთის შემდგენელი ერას- ტი ამილახერი გვაუწყებს, უახეელი სომხები სონდალულს დასახლებულან აღნიშნულ დო- კუმენტის შედგენამდე ორმოცდაათი წლის წინ. სწორედ მაშინ, როცა აღმოსავლეთ სა- ქართველოში იწყება მათი ინტენსიური შე- მოსვლა და განსახლება.

სამეფო ქალაქის თბილისის სახანებში მდებარე ყველა სოფელი ქართლის მეფის, ანდა მისი ოჯახის წევრების — დედოფლის, ბატონიშვილების კუთვნილება იყო.

1788 წ. შედგენილი საბუთის მიხედვით მეფე ერეკლე II სონდალულის მერვედი ეკუთვნოდა — „ქ. სონდალულის კაცი. და, მერვედი მიწა წუალი ბატონისა არა“.<sup>21</sup> ასე წერია ქართლ-კახეთის მოსამართლის ამილახ- ვარ დემეტრეს შვილის საწილო მამულის დავთარში, რომლის პირველ 1793 წ. გადაულა მეფეს ძის ვახტანგის ზრანებით იესე ბეგთა- ბეგავს.

XVIII ს. მიწურულს სოფ. სონდალული ბატონიშვილების ხელში გადადის. იგი ხან იულონ, ხან კიდევ ფარნაოზ ბატონიშვილებს კუთვნილი მამულა — „ქ. სონდალულს სახა- სო და სამილახეროს მერვედი. ხან მეფის ძის იულონს ეკირა ხან ფარნავაზს“<sup>22</sup> ვგამ- ცნობს დოკუმენტო. სხვაგან კი სონდალულზე ასე წერია: „ქ. საქართველოს მეფის ძეს ფარ- ნავაზს თავის მამიხაგან ბოძებული რაც მამუ- ლი და უმა ეკირა... ქ. სონდალულის სო- ფელა“.<sup>23</sup>

უკვე ვთქვით, რომ სონდალულის ხელახლა

განახლება 1765 წელს მომხდარა, მაშინ როცა ერეკლე მეფეს დაუწყია ციხის აშენება თუ განახლება.

სონღალელში მამულის ნაწილი თავად ამილახვრებს ეკუთვნის.

სოფ. სონღალელი ქალაქის ბაზარს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ამარაგებდა. მართალია ამის მიზანიშენებელი პირდაპირი საბუთი არ გავაჩნია, მაგრამ სოფლის ქალაქთან სიახლოვე სონღალელელ ვლებს უარსახებდა ქარბი პროდუქცია გასაყვად ბაზარზე მოტანა. გავიხსენით ვახუშტის სატყუება თქმული სონღალელზე: „მტკვრის კიდუედ არს ქალა ყურყუთა და აქ სონღალელი წოდელი, ნაყოფიერი ყოვლიანე“. ვახუშტი მხოლოდ მტკვრის კიდუეზე არსებულ სონღალელის ქალის ნაყოფიერებაზე ღაპარაკობს. იგი არაფერს ამბობს სონღალელის მიდამო ირწყევითა თუ არა, ამ ხარკებს ავსებს ქართლის მეფის თეიმურაზ II მიერ 1752 წ. (ზოგჯერ საბუთი 1753 წ. კალექ. 1449, საქ. 254) წყალობის სიგელი, სადაც ღაპარაკია სონღალელის სარწყავ არხზე „ქ. ჩვენ მეფე თეიმურაზ. ესე წყალობა გიყვით. თქვენ სონღალა, შვილს. ქაიხოსროს, შვილებს, იასეს... და მომავლთა. სახლისა. თქვენიასთა. ასე რომ. თქვენც. ძველა წყაროები გავსიწყეთ. რომ. უწინაც. დავა. ღაპარაკი. ყოფილიყო. და. თქვენ. და გრჩომოდით. სონღალელდას. ძირიდამ. რომ. დიდი. არხი. არის. აღებული. ამას. ქვემოთ. მტკვრის. პირზე. მოხვეული. ქალა. და. კიდევ. პატარა: არხი. ამ არხების. სახლები. ჩვენ. გავარაგეთ. ქვემოთ. აღიანა. აღეს ეცხიან. საფლტუტონს. გზა. რომ. ვიყიდის. იმ ძირიდამ. ზემოთ. საცხენა. საყუახო. გზა. რომ. გადმოვა. და. შემოვიდის. იმ. გზის. ქვემოთ. რასაც. ეს არხები. და. ცხანს... მიწდორს. და ქალას. მტკვრის. პირამდის. თავის. საწულისპირათი. სონღალელის. სახლებამდის. თქვენა. და. გრჩით. და. ჩვენცა. თქვენ. გიწყალობეთ. რადგან. ავის. დრო მიწეზით. ეს. არხები. ვერ. გიმუშაებთათ. როდესაც. გინდოდესთ. ამ არხის სათავეების. საიდამაც. აიღებდეთ. სონღალელელნი. ვერ. და. ვიმოდენენ. ამ ჩვენგან. ვარაგებულს. სამზღვრებთან. და. ვა. და. ღაპარაკი. არავისა. აქვს. როდესაც. ამ. თქვენს. მამულში. ჩვენა. სახასო. იღები. და. დგებოდნენ. თუთუნქავს. და. ბარას. თქვენ. გამოართმევდეთ. როგორც. გაწყნება. ვქონდეს. როგორადაც. ამ. ჩვენგან. ნაბოძებს. ფარმანში. ვერსეთს. არ. მოვეშალოს. არცა. ჩვენგან. და. არცა. შეშდგომთა. ჩვენთაგან. დაიწერა. იანვრის. ია ქ—ს უმ“.

1752 წელს შედგენილ სიგელშია ჩანს, რომ სონღალელში მტკვრიდან ორი არხი უწყლია გატანილი.

სონღალელელები სხვადასხვა გამოსაღება იბეგრებიან.

1766 წ. ქალაქისპირა სოფლების ბეგრის გამოსაღებ ხაში სოფ. სონღალელიც არის მოხსენებული. „ქ—ს უმდ იანვრის. ქვ ქალაქის ნაპირის სოფლებს შუა შესწერა ეს იმას პირა არმოდნას ისაულათ წადენდნ ისინიც აქა სწერან... გ. ქ. სონღალელშია ურემი. ამის ისაულია ბაე ოპანენა“.

ბატონიშვილების კუთვნილ მამულებში საქმიანობას აღსანუსხავად საგანგებოდ არსებობდა „დავთარი“, ამ „დავთარებში“ დაცული მწიკი ცნობები გვაძლევენ იმის საშუალებას, რომ ასე თუ ისე დავადგინოთ თუ სონღალელში სოფლის მეურნეობის რომელი დარგი იყო დაწინაურებული — „მეფის ძის თულონის ნაქონის მამულის ვითარებასა წერილით... ქ. სამხედროსა საბოსტენ სონღალელს ვახნეიანე რომ ნეხვ და სახმორო დამთესენებია ამისი. ხარჭი არის თესლის ფასი და—ხენზე პურის ქმეცისა და მინალითენი“.

1797—1798 წლებში ერეკლე — II და გიორგი XII მეფეთა ნებართვითა და სურვილით ოპანე ბატონიშვილმა ქართლის სოფლები აღწერა. დავთარში სოფლების გარდა შეტანილია „ქ. სამთვარნი ადგილნი და სათამნი მიწდორნი და მთებნი და სანადირო ადგილნი სამეფო... ქ. სარგანის ქალა და ნათლელისა“.

ქ. სონღალელის ქალა“.

მართალია ოპანე ბატონიშვილი ადგილების ჩამოთვლისას ცალ-ცალკე მათზე არაფერს ამბობს, მაგრამ ჩვენთვის ისიც საინტერესოა, რომ სონღალელის ქალა სამეფო სანადირო ადგილია, ანდა შეიძლება სათიბიც იყო, ასევე ისტორიკოს მოკლებული არ არის ისიც, რომ სონღალელში ქალასთან ერთად იხსენიება სარგანის ქალაც, რომელიც მისი მომქანვე ადგილია.

1808 წელს ქართლ-კახეთის სამეფო ხახლის იძულებითი წესით რუსეთში გაყვანის შემდეგ მეფისა და ბატონიშვილების კუთვნილი მამული საზაინთა, სოფლ სოფ. სონღალელის მერვედი ეკლავაც ამილახორებს ეკავათ „წელსა მაცხოვრისასა ჩემ ქართლეთა ქ—ს უფე. კათოვის და ამას ქვეით იწერება რაც... ამილახვრის უმა და მამული არის ნახელი და მხოთვეად. ქ. სონღალელის მერვედი კაცო მამული წყადი ჩვენი არის“.

XIX ს. 20-იან წლებში ამილახვრების კუთვნილი სოფ. სონღალელი ნაწილდება — იყოფა. „სამამილახვრო სოფლები ქალაქის უნუღა და ბორჩალოს დისტანციაში რაოდენ არის და ან როგორც განწილებულია იენისის. მ, ჩყა-სა, ქ—ს ფთ. ოთხ მენდა“.

ტორეთ. აღქვანდრე მუყუციანგან აწნაურის იოვანე თურქისტანოვისაგან, აწნაურის აღქვანდრის დავით რეცტორისაგან, და ნიკოლოზ ონიკოვისაგან, ამის ქვეშით დაიწერება სახელდობრ.

ქ. სოფელი სოდალელი ოთხთა გაიყოს და შერამე მეოთხედებოც გაიყოფა ვის რა ნაწილი შეხუდება იმას წაიდებს“.<sup>30</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ სოფ. სონდალელის ნაწილი თავად ამილახერებს ეკუთვნით. ნაწილი კი საბატონიშვილთა. ამ საბატონიშვილო მამულის მოურავად ამილახერათა გვარიდან ინიშნება „ქ. საქართველოს მექვეყნარის მეფის ძის დავითის პატრე სიყეთთ სახსოვარო, ამილახერის შვილო ერასტი, მერე სოდალუხი თქვენი მამული არის და რაც იქ. ჩემი საბატონის შვილო კაცო სახლობს. იმის მოურაობა შენდავს გვიბოძებია. და იმით მოხელედ შენ დაჯავდეგინებისა. და რომელიც. ჩვენა სამსახური არის. რიგინად შენ უნდა გვაშახურო. ის ჩვენი კაცო. სედეშბრის კვ. ქ. კ. ს. უბშ“.<sup>31</sup>

ამილახერებს ეს სახელი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც სჭირათ. „ბრძანება საქართველოს სამოქალაქოს მმართველთაგან თავადო იოსებ ერისთავო, ერთობლივ სოდალულელთა მეფის გიორგის ოქმის ძალით ეს ერასტი ამილახერის შვილი არის თქვენი მოურავი და რაც სამოურავო განწესება არის ისე უნდა მსახუროთ ამ თქვენს მოურავს ერასტის. მაგრამ ვისაც მამულში მოსავალი გქონდესთ იმ მამულის მებატონეს უნდა განწესებული ღადა მისცეთ. სედეშბრის ბ. ქვს უბა“.<sup>32</sup>

საბუთს ხელს აწერენ: გენერალ-მაიორი დარჩილი, თავადი — ზაალ ბარათოვი, იოანე ჩოლოყავეი, სულხან თუმანოვი, ევნატი თუმანოვი.

სონდალულში მიწისზედა ზურთთმოდერულ ნაგებობათა შორის ძველ საბუთებში, ისტორიულ ლიტერატურაში და რუკებზე გვხვდება ციხე-სიმაგრე, ან ციხე-კოშკი და ეკლესია, ასევე დიდი და პატარა ხარწუები არხები.

სამწუხაროდ სოფლის ეკლესიას მხოლოდ 1848 წლის რუკაზე ვხვდებით: იგი ჭკრით არის აღნიშნული. რუკაზე დატანილი რუსული თავსაღები P II იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული ნაგებობა ამ დროს დაწერულია სოდალელის ციხის მშენებლობა (თუ აღდგენა), როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ მეფე ერეკლე II 1765 წელს დაუწერა<sup>33</sup> ამ მშენებლობაში მას ფინანსურ დახმარებას უწევს ქართლის თავადი ამილახორი. სივლით ირკვევა, რომ ამილახორმა მეფე ერეკლეს მისცა 20 თუმანი, როგორც თვით მეფე აცხადებს, ზედმეტ ხარჯს თვით გააღებდა. ჩვენ არ ვიცით სონდალელის ციხის მშენებლობა

რა დაქდა. არც ის ვიცით მისი აღდგენა თუ მშენებლობა რამდენხანს გაგრძელდა. უკვე აღვნიშნეთ 1772 წელს იგი დაშორებულია. ამ დროს თბილისში ჩამოსული გიულდენშტედტი მის შესახებ გვაწვდის საინტერესო ცნობებს, შეკლევარა თავის „მოგზაურობაში“ რამდენჯერმე ასახელებს სონდალელის ციხეს. მოგზაური კახეთში მიმავალ მეფე ერეკლე II თანახმაა. გზად მიმავალი გიულდენშტედტი უვლადურს აღწერს რაზეც კი თვალი მიუწევდება, იგი მოგვითხრობს, რომ სოფ. ნაოლუღის „პირდაპირ, მტკვრის მარჯვნივ ნაპირზე, დგას სოფელი სონდალელი, გამაგრებული ასევე კოშკით, რომელიც ეკუთვნის თავად უაფლანიშვილს“. (ტ. I, გვ. 17).

თუ მოგზაური სონდალელის გამაგრებულ კოშკს აიგოვებს სოფლის ციხესთან, მაშინ იგი სცდება მისი მებატონის გვარის დასახელებისას, იმითმ, რომ ჩვენს ხელთ არსებულა თვით მეფე ერეკლეს მიერ გაცემული სიგელის თანახმად მეფემ დასახელებული ციხე თავად ამილახორს გადასცა და არა თავად უაფლანიშვილს.

მეფეთ მოგზაურს. იგი ამხელად ქვემო ქართლში მიეგზავრება. „24 მაისი. მე გავატენე მტკვრის ნაპირზე სონდალელის ციხის ქვეშით“ (ტ. I, გვ. 87). ამგვარად, ვიგებთ, რომ სონდალელის ციხე მდგარა მდ. მტკვრის სიახლოვეს. ციხის აღვლიშვებარების საყუბო კიდევ დაუბრუნდებოთ. თბილისში უკან მომავალი მოგზაური სონდალელის ციხეშია, სამწუხაროდ მის აკარგანობაზე არას ამბობს „1/4 საათში ვიყავით სონდალელის ციხეში, 7/4 საათში კი თბილისს მავადრეთ ვანჯიკარიო“ (ტ. I, გვ. 86).

გიულდენშტედტისავე მიერ შედგენილი „საქართველოს 1772 წ. რუკაზე“ დატანილია სოფ. სონდალელი. რუკაზე სოფელს უწის რომისსებური ნიშანი — რაც დოკუმენტს თანდართულ ექსპლიკაციაში აქვს ახსნილი — *Castillum habitatum* — დასახელებული ციხე-სიმაგრე.<sup>34</sup>

მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ სახელმწიფო არქივში დაცულია გენერალ ციციანოვის (ციციშვილი) თბილისიდან განქაში დაშქრობის მარშრუტის 1808 წ. რუკა — «Маршрутъ от города Тифлиса до крепости Ганджи».

ქალაქიდან გასული რუსთა ჭარი გზადაგზი სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში ჩერდებოდა. საბუთზე ვკითხულობთ: «Маршъ ноября 20-го дня от города Тифлиса до лагера при деревне Суганлугъ, чарасი გასაჩერებლად აღვიღს წარწერა აქვს: ...Лагерьъ при деревне Суганлугъ съ 20-го на 22 числа Ноября»<sup>35</sup>. რუკაზე რუსთა ჭარის ბანაკი აღნიშნულია მოგზაურ კვადებით, ხოლო სონდალელის

ციხე წაგრძელებული ოთხკუთხედივით, რომელსაც ოთხივე კუთხეში დატანილი აქვს ბურჯები, რუკის მიხედვით ქარის ბანაკი და ციხე მდებარეობს მდ. მტკვრის და გზის შორის. დავით ბატონიშვილი გვამცნობს, რომ 1808 წელს სონდალულს მდგარი რუსთა გარნიზონს ღუეები დასხმდნენ: „კვალად მოვიდნენ სონდალულს და წარტყვნეს უმეტეს ორასსა რუსნი“.<sup>36</sup>

ცოტა მოგვიანებით კვლავ ვხვდებით სონდალულს ციხეს მკვლევარი ს. ბრონცეკო თბილისის შემოგარენის ლანდშაფტის აღწერისას ამბობს: «От Тифлиса до крепости Согаула почти на 18 версть возвышаются на лелом берегу Куры»<sup>37</sup>.

1795 წლის სექტემბრის თვეში თბილისზე წამოსული ირანის შაჰი აღა-შაჰმად ხანი სონდალულს გაიჭრა და აქ თავისი აურაცხელი ქარი საომრად განაწყო. „წარმოშარბულელი აღა შაჰმად ხან მოვიდა და დაიბანაკა 30000 კაცითა სონდალუსა შინა“<sup>38</sup> მოგვითხრობს დავით ბატონიშვილი.

ორაკლის ძე ვახტანგ ბატონიშვილის მიერ გაცემულ წყალობის სიგელში ეკითხულობთ — „სონდალულს მდგარი აღა-შაჰმად ხანს თბილისზე წამოსასვლელი ქარი ორად გაუყვია

ერთი სონდალულს გზით წამოსულა, ხოლო მეორე ზემოთის კლდეებზედ“.<sup>39</sup> ამ შემოსევის შედეგად თუ რა ბედი ეწია ქალაქს საყოველთაოდ ცნობილია — თბილისის სასტიკად აობრა და, ხოლო სვეტამწარებული ქართლ-კახეთის მეფე ერეკლემ თავის ახლობლებთან ერთად ანანურს მიაშურა.

ამგვარად, ჩვენს ზეღთ არსებული წერილობითი წყაროებით და ისტორიული ლიტერატურით მტკიცდება, რომ უფრუთა-სონდალული თბილისის შემოგარენში, მის სამხრეთით, როგორც სოფელი, დასახლებული პუნქტი უნდა გაჩენილიყო არა უადრეს XVII საუკუნის დასაბრუნებისა და XVIII საუკუნის დასაწყისში.<sup>40</sup> იგი საბატონო სახასო სოფელი იყო.

თბილისის სანახევში იყო როგორც სახელოსნო, ასევე სასოფლიო-სამეურნეო სოფლები და უბნები. სოფ. სონდალული თავისი სარწყავი სისტემით (ორი არხით), სამოვრებითა და სათიბი ადგილებით ამ მეორე სოფელთა რიცხვს განეუფუნებოდა, რომელიც ქალაქის ბაზარს ამარაგებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, კერძოდ მოსტრენულით და ხილით.

შენიშვნები

1 П. Носелиани, Путевые записки отъ Тифлиса до Ахтала, Тиф., 1850, стр. 4.  
 2 ქართული გეოგრაფიული სონდალუაშვილი, წარმოებულა სონდალულიან ასე ფიქრობდა ქართველი მოღვაწე ოთროდიონ სონდალუაშვილი.  
 3 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს გეოგრაფიული ისტორია, მეორე გამოცემა წიგნი 1, 1930, გვ. 32.  
 4 ვახუშტი, აღწერა, გვ. 48.  
 5 ა. ჯანაშვილი, საქართველოს ფრინველები სარკვევი, 1960.  
 6 Подробная карта окрестностей г. Тифлиса, 1848 г.  
 7 ოსებ თბილელი, დიდ-მოურავიანი, თბ. 1897, გვ. 28.  
 8 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 1940 წ. გვ. 125.  
 9 პარიეის ქრონიკა ანუ ცხოვრება საქართველოსა და დიდი მოურავის ამბები, მეორე გამოცემა, ზ. კეჭინაძისა, თბ. 1906 წ. გვ. 36.  
 10 პარიეის ქრონიკა, გვ. 64.  
 11 თან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, გვ. 92.  
 12 პარიეის ქრონიკა, გვ. 67.  
 13 „თბა ულუსთ სიდეგშია“ — საბა. მისივე

განმარტებით „ულუსი თურქთა (ა) ენა, ბანაკს პქვიან, თურქთ ბანაკი“. ამ განმარტებიდან ჩანს, რომ უფრუთაში თურქთა ერთი ბანაკი (თბა) დგას.  
 14 ЛОИВ АН, ф. р. — 4.  
 15 საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, კოლექცია, 1448, საქ. 1153.  
 16 საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, კოლექცია, 1448, საქ. 1153.  
 17 ტფილისის მიდამოების სოფლების 1781 წ. ხალხის აღწერის დავთარი, ივ. ჯავახიშვილი, საქ. გეოგ. ისტ. ძეგ. 1, 1967, გვ. 181—182.  
 18 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. s—3729, ფურც. 149.  
 19 იან. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, წ. I—II, გვ. 249.  
 20 საქ. ცენტრ. ისტ. არქივი — კოლექცია 1448, საქ. 7146.  
 21 საქ. ცენტრ. ისტორ. არქივი, კოლექც. 1449, საქ. 854.  
 22 საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, კოლ. 1448, საქ. 7723.  
 23 საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, კოლექც. 1448, საქ. 7726.



24 საქ. ცენტრ. ისტ. არქ. კოლექც. 1448, საქ. 4569.

25 საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, კოლექც. 1448, საქ. 1703, 1704.

26 დასახელებული კოლექცია, საქ. 4071.

27 დასახელებული კოლექცია, საქ. 7897.

28 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S — 3729, ფურც. 156.

29 საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, კოლექც. 1448, საქ. 7452.

30 საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, კოლექც. 1448, საქ. 7454.

31 საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, კოლექც. 1448, საქ. 306.

32 დასახ. კოლექც. საქ. 7146.

33 პლ. იოსელიანი «Путевые записки от Тифлиса до Ахтала», სონღალულის ციხეზე წერს, რომ იგი 1765 წ. აღდგენია მეფე ერეკლეს მეუღლეს, დარეჯან დედოფალს. მკვლევარი ცდებდა როცა დედოფალს მიაწერს ციხის საღმშენებლო, თუ აღსადგენ სამუშაოებს. მაგრამ აქ ანგარიშგასაწევია ის, რომ პლ. იოსელიანი 1765 წელს ასახელებს ციხის აღდგენის და არა მისი მშენებლობის დაწყების თარიღად. ძველ ქართულში აღშენება, ხომ შეეფთებასაც ნიშნავდა და ერეკლეს მიერ გაცემულ სიგელში სიტყვა «ასაშენებლად», მარ-

თლაც ნიშნავდას შეეფთებას, აღდგენის და არა თავდაპირველ საღმშენებლო სამუშაოს. ასეთ მოსახზობას მხარს უჭერს ამ საქმისთვის ამილახვარის მიერ გაცემული ფულადი თანხის სიმცირეც (20 თუმანი).

34 ვ. გამრეკელი, საქართველოს 1772 წ. რუკა, 1964, გვ. 41, 45.

35 ЦГВИА, ф. ВУА, д. 4276.

36 დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, 1941, გვ. 29.

37 Броневский С., Новейшая географические и исторические известия о Кавказе, ч. I, М., 1823, стр. 89.

38 დავით ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტ. 65.

39 საქ. ცენტ. ისტ. არქივი, კოლ. 1450 დავ. 12, საქ. 88.

40 თუმცა სონღალულის მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა VI საუკუნის ხოსრო I (531—574) ერთი მონეტა (ეს ცნობა მოგვაწოდა ირ. ჯალალანიამ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუწირავთ). რასაკვირველია, ერთი მონეტა და ისიც შემთხვევით აღმოჩენილი არ იქნება იმის საშუალებას, რომ აღნიშნულ პერიოდში სონღალულის განსახლებულად მივიჩნიოთ. მონეტა უფრო საიმპროსოდ აქ გამოვალ და მოქმედ საქარაენო გზაზე მიგვანიშნებს.

6<sup>3</sup>/20



8260 80 333

ИНДЕКС  
76128

## „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ